

იგანე ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

იურიდიული ფაკულტეტი

## 04061 გაბზა

სადისერტაციო ნაშრომი:

**მთბიცების ფინანსურული სამოქალაქო საპროცესო  
სამართალში**

სადისერტაციო ნაშრომი წარდგენილია სამართლის  
დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

სამეცნიერო ხელმძღვანელი: სამართლის დოქტორი,  
პროფესორი: ზურაბ ძლიერიშვილი



# ს ა რ ჩ ე ვ ი

|  |    |
|--|----|
| სარჩევი .....  | 2  |
| ნაშრომში გამოყენებული აპრეზიატურის ნუსხა.....  | 4  |
| შესაგალი .....   | 5  |
| ა. განსახილველი ნაშრომის აქტუალობა.....  | 5  |
| ბ. კვლევის მიზანი და მეთოდი .....  | 9  |
| გ. ნაშრომის სტრუქტურა .....  | 10 |
| თავი I. მტკიცების ტვირთის არსი და მისი მნიშვნელობა<br>საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალში .....  | 11 |
| §1. მტკიცების ტვირთის ბუნება და მისი ფილოსოფიური დახასიათება.....  | 11 |
| §2. მტკიცების როლი და მისი მნიშვნელობა სამართალწარმოებისას.....  | 16 |
| §3. მტკიცების ტვირთის ვალდებულების მქონე სუბიექტები.....   | 18 |
| ა. მოსარჩევე და მოპასუხე მსარეები, როგორც მტკიცების ტვირთის<br>ვალდებულების მქონე სუბიექტები.....  | 18 |
| ბ. მესამე პირები, როგორც მტკიცების ტვირთის ვალდებულების მქონე<br>სუბიექტები.....   | 19 |
| გ. მტკიცების ტვირთის ვალდებულების მქონე სუბიექტები კანონისმიერი და<br>სახელშეკრულებო წარმომადგენლობისას.....   | 20 |
| დ. პროკურორი, როგორც მტკიცების ტვირთის ვალდებულების მქონე<br>სუბიექტი, თუ როგორც სახელმწიფოს წარმომადგენელი.....   | 21 |
| ე. სასამართლო, როგორც მტკიცების ტვირთის ვალდებულების მქონე<br>სუბიექტი?.....   | 23 |
| §4. მტკიცების ცნება და მისი შინაარსი .....   | 25 |
| ა. მტკიცების ცნება, როგორც „მტკიცების ტვირთის“ შემცნების<br>საშუალება.....   | 25 |
| ბ. მტკიცება, როგორც საქმის გარემოებების დადგენის საპროცესო<br>მოქმედება და არა როგორც საქმეზე ობიექტური ჭეშმარიტების მიღწევის<br>საშუალება.....            | 27 |
| გ. მტკიცებულებათა შეფასება, როგორც მტკიცების ტვირთის<br>ვალდებულების შესრულება თუ, საქმის ფაქტობრივი გარემოებების<br>შემცნების აუცილებელი წინა პირობა..... | 29 |
| §5. მტკიცების ტვირთისა და მტკიცების საგნის მჯიდრო ურთიერთკავშირი<br>და მათი ურთიერთგამიჯვნის პრობლემა (ქართული და უცხოური<br>სამართლის მიხედვით).....      | 33 |
| ა. მტკიცების საგანი და მისი მნიშვნელობა სამართალწარმოებისას.....   | 33 |
| ბ. სასამართლოს როლი მტკიცების საგნის განსაზღვრაში.....   | 35 |
| გ. მტკიცების საგნის განსაზღვრა, როგორც მტკიცების ტვირთის<br>რეალიზების აუცილებელი წინა პირობა.....   | 38 |
| §6. ფაქტებზე მითითების ტვირთისა და მტკიცების ტვირთის<br>ურთიერთგამიჯვნის პრაქტიკული მნიშვნელობა.....   | 45 |
| ა. ფაქტებზე მითითების ტვირთისა და მტკიცების ტვირთის თანაარსებობის<br>საფუძველი.....  | 45 |

|  |     |
|--|-----|
| ბ. მხარეთა შორის ფაქტებზე მითითების ტვირთის და მათი დამტკიცების ტვირთის გამიჯვნის მატერიალურ-სამართლებრივი საფუძვლები.....   | 49  |
| <b>თავი II. მთკიცებულებათა პლასიზიკაცია და მათი სახეები უცხოზრი სამართლის მიხედვით</b> .....   | 63  |
| §1. მტკიცებულებათა სახეების უცხოური სამართლის მიხედვით განხილვის დასაბუთება.....   | 60  |
| §2. მტკიცებულებათა კლასიფიკაცია და მტკიცების განხსნავებული საშუალებები ინგლისის მტკიცებით სამართლში.....   | 60  |
| §3. მტკიცებულების განხსნავებული სახე „მტკიცებულებების შესახებ აშშ-ის ფედერალური წესების“ მიხედვით.....   | 65  |
| <b>თავი III. სამართლის ორგზი და ფუნქცია მხარეთა შორის მთკიცების ტვირთის განაწილებისას</b> .....  | 71  |
| §1. მხარეთა შორის მტკიცების ტვირთის განაწილების საპროცესო მნიშვნელობა.....   | 68  |
| §2. დისპოზიციურობისა და შეჯიბრებითობის პრინციპები, როგორც მხარეთა შორის მტკიცების ტვირთის განაწილების საფუძველი .....  | 73  |
| §3. მხარეთა შორის მტკიცების ტვირთის განაწილების წესი ....  | 82  |
| §4. პრეზუმაციები, როგორც მტკიცების ტვირთის განაწილების საფუძველი.....  | 89  |
| <b>თავი IV. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული მთკიცების ტვირთის ინვაციური განაწილების თავისებურება საქმეთა განხილვისას</b> .....  | 97  |
| §1. მტკიცების ტვირთის ინვაციური განაწილების თავისებურება საოჯახო საქმეთა განხილვისას.....  | 96  |
| §2. მტკიცების ტვირთის ინვაციური განაწილების თავისებურება რეკეტული ქონების, თანამდებობის პირის, ქურდული სამყაროს წევრის, ადამიანით მოვაჭრის, ნარკოტიკული საშუალების გავრცელების ხელშემწყობის ან საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 194-ე მუხლის მესამე ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით მსჯავრდებული პირის ქონების ჩამორთმევისა და სახელმწიფოსათვის გადაცემასთან დაკავშირებული საქმეების განხილვის დროს ..... | 111 |
| §3. მხარეთა შორის მტკიცების ტვირთის ინვაციური განაწილების თავისებურება პირის ოკუპირებულ ტერიტორიებზე აკრძალული ეკონომიკური საქმიანობის განხორციელებისათვის მსჯავრდებულ პირთან დაკავშირებულ პირად ცნობის თაობაზე საქმის განხილვასთან დაკავშირებით .....   | 127 |
| დასპენა.....   | 137 |
| <b>გიგლიორგაზია</b> .....  | 134 |
| <b>ნორმატიული მასალა</b> .....   | 141 |
| <b>სასამართლოს გადაწყვეტილებები</b> .....  | 142 |
| <b>სამეცნიერო ნაშრომები</b> .....  | 147 |

## ნაშრომში გამოყენებული აბრევიატურის ნუსხა

|               |  |
|---------------|--|
| ა.შ.....      | ასე შემდეგ   |
| ბერძ.....     | ბერძნული   |
| გამ-ბა.....   | გამომცემლობა   |
| ე.ი.....      | ესე იგი  |
| ე.წ.....      | ეგრეთ წოდებული   |
| თბ.....       | თბილისი  |
| იხ.....       | იხილეთ   |
| ლათ.....      | ლათინური   |
| მაგ.....      | მაგალითად  |
| პროფ.....     | პროფესორი  |
| ჟურნ.....     | ჟურნალი  |
| რედ.....      | რედაქტორი  |
| სუსგ.....     | საქართველოს უზენაესი სასამართლოს<br>გადაწყვეტილება   |
| ტ.....        | ტომი   |
| წ.....        | წელი   |
| РФ.....       | Российская Федерация (რუსეთის<br>ფედერაცია)  |
| под. ред..... | редакции (რედაქტორობით)  |
| М.....        | Москва (მოსკოვი)   |
| Тб.....       | Тбилиси (თბილისი)  |
| изд-ва.....   | издательство (გამომცემლობა)  |
| изд.....      | издание (გამოცემა)   |
| Сов.....      | .Советский (საბჭოთა)   |
| ж.....        | журнал (ჟურნალი)   |
| Art.....      | Article (მუხლი)  |
| aufl.....     | auflag (გამოცემა)  |
| BGB.....      | Bürgerliches Gesetzbuch (გერმანიის<br>სამოქალაქო კოდექსი)  |
| GRUR.....     | Gewerblichen Rechtsschutz und<br>Urheberrecht (სამეწარმეო სამართლებრივი<br>დახმარება და სააგტორო სამართლი) |
| Dr.....       | Doctor (დოქტორი)   |
| ED.....       | Edition (დამატება)   |
| Prof.....     | professor (პროფესორი)  |
| Verl.....     | verlag (გამომცემლობა)  |
| vol.....      | volume (ტომი)  |
| ZPO.....      | Zivilprozessesordnung (გერმანიის<br>სამოქალაქო საპროცესო კოდექსი)  |
| NJW.....      | Neue Juristische Wochenschrift<br>(ყოველ პირებული გერმანული<br>იურიდიული ჟურნალი)                          |

## შ ე ს ა ვ ა ლ ი

### ა. განსახილველი ნაშრომის აქტუალობა

სამოქალაქო საპროცესო სამართლის მეცნიერებაში სულ უფრო იზრდება დამუშავებული, გამოკვლეული საკითხების წრე. თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ დაუმუშავებელი და პრობლემური საკითხები არ არსებობს. დროთა განმავლობაში მეცნიერებასა და კანონმდებლობაში მიმდინარე ცვლილებები წარმოშობს ძველი დებულებების გადახედვის აუცილებლობას. მით უმეტეს, ეს ეხება იმგვარ საკითხებს, რომლებითაც იშვიათად ინტერესდებიან მეცნიერები. ერთ-ერთი ასეთი დაუმუშავებელი საკითხია მტკიცების ტვირთი საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალში. საქართველოს ახალი სამოქალაქო საპროცესო კოდექსის ძალაში შესვლის შემდეგ, მტკიცების ტვირთოთან დაკავშირებით არ არსებობს არც ერთი მონოგრაფიული გამოკვლევა. ქართველი მეცნიერები და პრაქტიკოსი იურისტები მტკიცების ტვირთის საკითხზე საბჭოთა პერიოდის მონოგრაფიებით ხელმძღვანელობენ. თუმცა, მათში ასახული ძირითადი დებულებები არ შეესაბამება საქართველოს თანამედროვე სამოქალაქო საპროცესო სამართლის მოთხოვნებს.

ათწლეულების მანძილზე, „უფრო ზუსტად საქართველოს ახალი სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მიღებამდე საქართველოს სამოქალაქო სამართალწარმოებაში გაბატონებული იყო სამძებრო (ინკვიზიციური) პრინციპი. ამ პრინციპზე იყო აგებული საქართველოს 1922წ-ის, 1932წ-ის და 1964წ-ის სამოქალაქო საპროცესო კოდექსი<sup>1</sup>. სასამართლო ვალდებული იყო მიეღო კანონით გათვალისწინებული ყველა ზომა, რათა სრულად და ობიექტურად გამოერკვია საქმის ნამდვილი გარემოებები და მხარეთა უფლება-მოვალეობები. მტკიცების პროცესისადმი სასამართლოს ამგვარი მიღვომა უჭვევებში აუენებდა მტკიცების ტვირთის, როგორც სამართალწარმოების უმნიშვნელოვანესი საპროცესო მოქმედების მხარეთა მიერ რეალიზების აუცილებლობას და მოქალაქებში იწვევდა აასიურობას, უნდობლობას, შიშს. საქართველოს ახალ სამოქალაქო საპროცესო კოდექსში (1997წ.) ინკვიზიციურობის პრინციპი ჩაანაცვლა დისპოზიციურობის პრინციპმა, რომლის თანახმად, სასამართლო პროცესი აგებულია საქმეში მონაწილე მხარეების აქტიურობასა და ინიციატივაზე. ამდენად, ქართულმა სამართლებრივმა სისტემამ უარი თქვა სოციალისტური სამართლებრივი სისტემისათვის დამახასიათებელი თავისებურებების გათვალისწინებაზე და განვითარების სხვა გზა აირჩია, კერძოდ, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში განხოციელებულმა ცვლილებამ ძირფესვიანად შეცვალა მტკიცების ტვირთის არსი და მისი მნიშვნელობა სამართალწარმოებისას; განსაზღვრა, როგორც ამ ტვირთის

<sup>1</sup> ლილუაშვილი თ, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი, თბ, 2005, 83.

ვალდებულების მქონე სუბიექტები, ისე ამ ვალდებულების შეუსრულებლობის მატერიალურ-სამართლებრივი შედეგები.

სამოქალაქო საპროცესო სამართლის უნიფიკაციის გზაზე, ობიექტური ჭეშმარიტების დადგენის პრინციპის უარყოფის შედეგად, მივიღეთ სასამართლო ხელმძღვანელობის პრინციპი, რაც გამოიხატება „იმ გარემოების დამტკიცებაში, რომელსაც ემყარება მხარის მოთხოვნა“, „მხარეთა შორის მტკიცების ტვირთის განაწილებაში,“ „დაუმტკიცებელი გარემოების მეორე მხარის სასარგებლოდ გადაწყვეტაში“. მსგავსი კონცეფციებით შეიქმნა იურიდიული დებულებები, რომლებიც მოქნილობას ანიჭებს სამოქალაქო საპროცესო სამართლის ნორმებს. დღეს მოქმედ საპროცესო სამართლში მხარეთა შორის მტკიცების ტვირთის განაწილებაში უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს მოსამართლე. საქართველოში სასამართლო რეფორმის შედეგად, რომელიც მიმდინარეობს ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაციის შესაბამისად, მივიღეთ ის, რომ მართლმსაჯულება ხორციელდება შეჯიბრებითობისა და დისპოზიციურობის პრინციპების შესაბამისად, რომელიც ინკვიზიციურობისაგან განსხვავებით, არ გულისხმობს სასამართლოს მიერ საქმეზე ობიექტური ჭეშმარიტების დადგენას, განსახილველი დავის ნამდვილი ფაქტობრივი გარემოებებისა და მოდავე მხერეთა უფლება-მოვალეობების სრულად გამორკვევას. დავების განხილვისას სასამართლო მთლიანად ეყრდნობა მხარეთა აქტიურობას, თვითინიციატივას და მხოლოდ მხარეების მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებების ფარგლებში იხილავს ყოველ კონკრეტულ სამოქალაქო საქმეს და გამოაქვს არა სწორი გადაწყვეტილება, როგორც ეს დამახასიათებელი იყო რეფორმამდელი სასამართლოებისათვის, არამედ დასაბუთებული გადაწყვეტილება, რომელიც ემსახურება პროცესის სამართლიან დასრულებას.

ამდენად, სასამართლო რეფორმის შედეგად ჩამოყალიბებული და თანამედროვე იურიდიულ აზროვნებას მორგებული საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მიღების შემდგომ სამართალწარმოების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საპროცესო მოქმედება გახდა მტკიცების პროცესი. თანამედროვე სამოქალაქო საპროცესო სამართლში დისპოზიციურობისა და შეჯიბრებითობის პრინციპის მოქმედების პირობებში სწორედ მტკიცების ტვირთის რეალიზებასა და მის ხარისხზეა დამოკიდებული მხარეთა შორის წარმოშობილი დავის (კონფლიქტის) განხილვის საპროცესო შედეგი (საბოლოო რეზულტატი). ამიტომაც, აქტუალურია მტკიცების ტვირთის არსისა და მისი მნიშვნელობის გააზრება, მხარეთა შორის მტკიცების ტვირთის სწორი გადანაწილება, მოდავე მხარეთა მიერ მტკიცების ტვირთის რეალიზება. შეიძლება გადაუჭრაობებლად ითქვას, რომ მტკიცების ტვირთი არის ის ხერხემალი სამართალწარმოებისა, რომლის გარეშეც არ დგება არც ერთი სასამართლოს შემაჯამებელი გადაწყვეტილება და, მაშასადამე, წარმოდგენილი ნაშრომი, რომელშიც რეფორმის შემდეგ პირველად არის კომპლექსურად გაანალიზებული მტკიცების ტვირთი, მისი როლი და მნიშვნელობა, შესწავლილია მოდავე მხარეებს შორის მტკიცების ტვირთის სწორი გადანაწილება განხილულია ის მატერიალურ-სამართლებრივი შედეგები, რომლებიც დგება მტკიცების ტვირთის სწორი ან/და არასწორი გადანაწილების შედეგად არის

აქტუალური, რაც წარმოდგენილი სადისერტაციო ნაშრომის სიახლეა და მიგვითოთებს მის მნიშვნელობაზე.

ნაშრომში შემოთავაზებულია საზღვარგარეთის ქვეყნების პრაქტიკის გაზიარების მცდელობა, სადაც მტკიცებულებები და მტკიცების პროცესი მათი მნიშვნელობიდან გამომდინარე, არ წარმოადგენს სამოქალაქო საპროცესო სამართლის ერთ-ერთ ინსტიტუტს, მსგავსად ქართული საპროცესო სამართლებრივი პრაქტიკისა, არამედ იგი არის სამართლის დამოუკიდებელი დარგი „მტკიცებულებითი სამართლის“ სახელწოდებით<sup>2</sup>. დღესდღეობით სამოქალაქო საპროცესო სამართლი აერთიანებს სხვადასხვა ინსტიტუტის ერთობლიობას, როგორიცაა სარჩელის ინსტიტუტი, ხანდაზმულობის ინსტიტუტი, საქმის წარმოების ინსტიტუტი და ა.შ. მათ შორისაა, მტკიცებულებებითან და სასამართლოში მტკიცების პროცესთან დაკავშირებული მთელი რიგი ფუნდამენტური საკითხები, რომლებზედაც აგებულია სამართლწარმოების პროცესი და მისი შედეგი პირდაპირაა დაკავშირებული მტკიცებულებების წარმოდგენასთან და მტკიცების ტვირთის რეალიზებასთან, მაშინ როდესაც საზღვარგარეთელ მეცნიერთა ნაწილი სხვაობას ხედავს მტკიცებულებით სამართლსა და პროცესს შორის. კერძოდ, ამერიკელ და არა მხოლოდ ამერიკელ იურისტთა აზრით, პროცესი ითვალისწინებს სასამართლოში საქმის განხილვის წესებს, რომლის მიზანია სასამართლო გადაწყვეტილების მიღება, ხოლო მტკიცება – ეს არის მოსამართლის დარწმუნება, დაქვემდებარება ლოგიკის კანონებისადმი<sup>3</sup>. სადავო არ არის, რომ საქართველოში მტკიცებულებებთან და მტკიცების პროცესთან დაკავშირებული საკითხები არის პროცესის ნაწილი, თუმცა, მისი მნიშვნელობიდან და მოცულობიდან გამომდინარე სასურველია, რომ ისწავლებოდეს „მტკიცებულებითი სამართლის“ სახელწოდებით სპეციალური კურსი. ამ გზით უფრო მეტად იქნება წარმოჩნდებული სასამართლოში მტკიცებასთან დაკავშირებული კომპლექსური საკითხები; უფრო მეტად შეიცნობა მტკიცებულებებისა და მტკიცების პროცესში მხარის აქტიურობის მნიშვნელობა და, რა თქმა უნდა, განვითარდება ახალი სასწავლო (სპეციალური) კურსი, რომელიც გააერთიანებს იმ უმნიშვნელოვანებს საკითხებს, რომელთა ირგვლივ მიმდინარეობს საქმის წარმოება სარჩელის წარმოებაში მიღებიდან საქმეზე გადაწყვეტილების მიღებამდე, რაც შესაძლებლობას მისცემს სტუდენტებს, დამწეუბ პრაქტიკოსებს, იურისტებსა და ადვოკატებს მეტი ყურადღება დაუთმონ სამართლწარმოების პროცესში ამ საკვანძო საკითხს.

საქართველოში სამოქალაქო, დია და სამართლებრივი საზოგადოების შექმნისათვის საერთო სასამართლოებში კერძო დავების განხილვისას აუცილებელია ისეთი სამართლებრივი პროცედურის დანერგვა, რომელიც ხელს შეუწყობს სასამართლოს მიერ მხარეთა შორის წარმოშობილი დავის სწრაფ და ეფექტურ გადაწყვეტას და ამავდროულად, თანაბრად ხელმისაწვდომს გახდის საპროცესო საშუალებებს სამართლწარმოებაში მონაწილე სუბიექტებისათვის. დღესდღეობით ქართულ იურიდიულ დიტერატურაში ჯეროვნად არ არის შესწავლილი და დამუშავებული

<sup>2</sup> (Evidence Law).

<sup>3</sup> იხ., Гражданский Процесс Зарубежных Стран, под редакцией Давтян А. Г, М, 2008, 237.

სასამართლო მტკიცებულებები, მათი ყველა შესაძლო სახე, მტკიცების ის საშუალებები, რომლებიც წარმატებით გამოიყენება საერთო სამართლის ქვეყნების სასამართლო პრაქტიკაში – ვგულისხმობ მტკიცებულებების იმგვარ სახეებს, როგორებიცაა ინგლისისა და აშშ-ის მტკიცებითი სამართალში არსებული „აფიდევიტი“<sup>4</sup> და „ჩვენება სხვისი სიტყვების“<sup>5</sup> სახით, რომელთა შესწავლა და შემდგომ მათი დანერგვა, ვფიქრობ, დადგებითად აისახება პრაქტიკაში. ისინი უფრო მეტ პროცესუალურ საშუალებას მისცემენ მხარეებს დაადასტურონ ან/და უარყონ სადავო ფაქტობრივი გარემოებები. ამ კუთხით კი, გაიზრდება მხარეთა აქტიურობისა და თვითინიციატივის ხელშემწყობი ფაქტორები.

წინამდებარე ნაშრომში გაანალიზებულია მტკიცების ტვირთის მნიშვნელობა სამართალწარმოების პროცესში ქართული და უცხოური სამართლის მიხედვით. ნაშრომში ნაჩვენებია ოუ როგორ ხდება მხარეთა შორის მტკიცების ტვირთის განაწილება და რა ზეგავლენას ახდენს იგი სამოქალაქო საპროცესო სამართლის ფუნდამენტურ პრინციპებსა და ინსტიტუტებზე.

სამართალწარმოებაში ამ საპროცესო მოქმედების შესრულების ან შეუსრულებლობის გადამწყვეტმა მნიშვნელობამ განაპირობა საკვლევი თემის შედარება უცხო ქვეყნების საპროცესო სამართალისა და მტკიცებულებითი სამართლის ნორმებთან, მათი დადებითი და უარყოფითი მხარეების გამორკვევა და ქართული საპროცესო სამართლის თეორიისა და პრაქტიკისათვის საინტერესო სიახლეების გაზიარება.

ნაშრომში განხილული საკითხების ირგვლივ მსჯელობა მტკიცების ტვირთის სამართლებრივი ბუნების უკეთ შეცნობის ცდაა. დიდი ყურადღება ეთმობა ქართულ კანონმდებლობაში ბოლო დროს განხორციელებულ ცვლილებებსა და დამატებებს, მათ დადებით და უარყოფით მხარეს. საკვლევ თემასთან დაკავშირებით ვრცლადაა გაანალიზებული სასამართლო პრაქტიკა. „სამართლის მეცნიერებასა და სასამართლო პრაქტიკას შორის კავშირი აუცილებელია იმისათვის, რომ სამეცნიერო კვლევის შედეგები პრაქტიკოსისთვისაც გახდეს საინტერესო და გამოსაყენებელი“, ამიტომ ნაშრომში არის ცდა მიეცეს მას შემეცნებითი, ინფორმაციული ხასიათი და იმავდროულად, გაანალიზდეს პრაქტიკული მაგალითებიც<sup>6</sup>.

<sup>4</sup> (affidavit) ეს არის წერილობითი, ფიცის ქვეშ გადმოცემული ჩვენება ან მოწმის საზეიმო განცხადება. იხ., Civil Evidence Act (1995) 32.15 (1).

<sup>5</sup> (hearsay evidence) ეს არის ინფორმაცია საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ფაქტის შესახებ, რომელიც მიღებულია არა პირველწყაროდან, არამედ ინფორმაციის მატარებლისაგან, რომელიც ინფორმაციის შინაარსს აწარმოებს პირველწყაროდან. იხ., Federal Rules of Civil Procedure, 1997-98, Educational Edition, West Publishing Company, St. Paul, Minn, 1997, 958.

<sup>6</sup> იხ., ჭანტურია ლ, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, თბ, 2011, 26, 27.

## **ბ. კვლევის მიზანი და მეთოდი**

ნაშრომის მიზანია მტკიცების ტვირთის არსის გარკვევა, მისი სამართლებრივი რეგლამენტაცია. ასევე საპროცესო სამართლის და თავად სასამართლოს როლის გარკვევა მხარეთა შორის მტკიცების ტვირთის განაწილებაში და მტკიცების ტვირთის განაწილების თავისებურებათა წარმოჩენა პრაქტიკული მაგალითებით. კვლევის მიზანია წვლილი შეიტანოს სამოქალაქო სამართალწარმოებაში მტკიცების ტვირთის ახლებურ გააზრებასა და საქმეში მონაწილე მხარეთა მიერ მტკიცების ტვირთის რეალიზებაში, მის პრაქტიკულ გამოყენებაში. მხარეთა მიერ მტკიცების ტვირთის რეალიზება და მხარეთა შორის მტკიცების ტვირთის სწორი გადანაწილება მნიშვნელოვანი საპროცესო მოქმედებაა სამართალწარმოებაში, რომლის როლი უფრო და უფრო იზრდება საქართველოში მიმდინარე სასამართლო რეფორმის ფარგლებში, რომლის ამოსავალი წერტილი არის მხარეთა თვითინიციატივისა და აქტიურობის ფარგლების გაფართოება. ნაშრომში განხილულია სასამართლო პრაქტიკის მასალები, იურიდიულ მეცნიერებაში არსებული დოქტრინები და შეჯამებულია მათი დადებითი და უარყოფითი მხარეები.

ნაშრომში წარმოჩნდებულია ქართული სამოქალაქო საპროცესო სამართლისათვის უცნობი მტკიცებულების სახეები, რომლებსაც ითვალისწინებს ინგლისისა და აშშ-ის მტკიცებითი სამართალი „აფიდევიტისა“ და „ჩვენება სხვის სიტყვების“ სახით, რაც საინტერესოა ეროვნული სამართლისათვის. ჩვენთვის უცხო ინსტიტუტების გამოყენების მიზნებიდან გამომდინარე, ისინი უპირველსად უნდა განვიხილოთ სამცნიერო ნაშრომის ფურცლებზე, ვიდრე უშუალოდ აისახება კანონმდებლობაში.

ნაშრომი შესრულებულია შედარებით-სამართლებრივი კვლევის მეთოდის გამოყენებით, რამაც შესაძლებელი გახსადა მოგვეძიებინა და შეგვედარებინა კვლევის ობიექტი სხვა ქვეყნების კანონმდებლობაში არსებულ ანალოგიურ საკითხებსა, და პრობლემებთან. ეჭვგარეშეა, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი განიცდის კონტინენტური ევროპის ქვეყნების სამოქალაქო საპროცესო სამართლის გავლენას. უფრო მეტიც, „კონტინენტური ევროპის იურისპრუდენციაში დღეს სიამაჟით არის აღიარებული, რომ შორეულ რომის სამართალს თანამედროვე საქართველოს სამოქალაქო სამართალში აქვს ფესვები მყარად გადგმული“<sup>7</sup>. ამიტომ, გვერდს ვერ ავუვლი კონტინენტური ევროპის ქვეყნების სამართლის ოჯახების (გერმანია, საფრანგეთი) კანონმდებლობისა და სასამართლო პრაქტიკის განხილვას საკვლევ თემასთან მიმართებით. აგრეთვე ყურადღებაა გამახვილებული საერთო სამართლის ქვეყნებში არსებულ გამოცდილებაზე. მართალია ამ ქვეყნებში არსებობს სრულიად განსხვავებული სამართლებრივი სისტემა, თუმცა, დღესდღეობით შეინიშნება საერთო სამართლისა და კონტინენტური ევროპის სამართლის სისტემებს შორის ინტეგრაცია და მათი დაახლოების გზები იმდენად თვალსაჩინოა,

<sup>7</sup> ჭანტურია ლ, შესავალი საქართველოს სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში, თბ, 1997, 9.

რომ საკვლევ თემასთან მიმართებით წარმოჩინებულია სასამართლო მტკიცების ის განსხვავებული წესები და მტკიცებულებათა საშუალებები, რომლებსაც ითვალისწინებს ინგლისსა და აშშ-ში მოქმედი სამართლებრივი აქტები, რაც საინტერესოა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართლისათვის, გამომდინარე იქიდან, რომ ისინი ხელს შეუწყობენ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართლით გათვალისწინებული მტკიცების ტვირთის ახლებურ გააზრებასა და კონკრეტულ სადაც საკითხზე მტკიცების ტვირთის სათანადოდ რეალიზებისათვის საჭირო მტკიცებულებების იმგვარი საშუალებების გამოყენებასაც, რასაც ითვალისწინებს ინგლისში მოქმედი კანონი „სამოქალაქო საქმეებზე მტკიცებულებებითა შესახებ“<sup>8</sup> და აშშ-ში მოქმედი „ფედერალური წესები მტკიცებულებებითა შესახებ“<sup>9</sup>.

## გ. ნაშრომის სტრუქტურა

ნაშრომი შედგება შესავლის, ოთხი თავისა და დასკვნისაგან. ნაშრომს ერთვის ბიბლიოგრაფია. პირველი თავი ეძღვნება მტკიცების ტვირთის არსესა და მის მნიშვნელობას საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალში. მეორე თავში განხილულია მტკიცებულებათა კლასიფიკაცია და მისი სახეები ქართული და უცხოური სამართლის მიხედვით. ამ თავში განვიხილავთ გერმანიისა და საფრანგეთის სამოქალაქო საპროცესო სამართალში, ინგლისისა და აშშ-ის მტკიცებით სამართალში მტკიცების ტვირთის ჩამოყალიბებას, მის ისტორიულ კანონზომიერებებსა და განვითარების დინამიკას. ისტორიულ საკითხებთან ერთად, განხილულია თუ როგორ ხდება მხარეთა შორის მტკიცების ტვირთის განაწილება პრაქტიკული თვალსაზრისით და როგორ ზეგავლენას ახდენს მასზე სამართლის ამ დარგის ფუნდამენტური პრინციპები და ინსტიტუტები. მესამე თავში განხილულია სამართლის როლი და ფუნქცია მხარეთა შორის მტკიცების ტვირთის განაწილებისას. მეოთხე თავი ეთმობა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული მტკიცების ტვირთის ინვაციური განაწილების თვისებურებათა ანალიზს. თავები შედგება პარაგრაფებისა და ქვეთავებისაგან.

<sup>8</sup> Civil Evidence Act (1995) 32.15 (1); 1 (2) (a).

<sup>9</sup> Federal Rules of Evidence (1995) article VIII.

## თავი I

მუსიკის ფილოსოფიური და მისი გენერაციული  
საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალში

### §1. მტკიცების ტვირთის ბუნება და მისი ფილოსოფიური დახასიათება

შეუძლებელია მოიძებნოს იურისტი, რომელმაც უარყოს მტკიცებულებათა მნიშვნელობა სამოქალაქო, ადმინისტრაციული, საარბიტრაჟო, თუ სისხლის საპროცესო სამართალში. მტკიცებულებებს გააჩნიათ შინაარსი, ანუ სასარჩელო ფაქტების შესახებ ინფორმაცია; პროცესუალური ფორმა, რომელიც იწოდება მტკიცების კანონიერ ფორმად, დაბოლოს, მათ ახასიათებს მტკიცებულებითი ინფორმაციის მიღებისა და გამოკვლევის, და მტკიცების საშუალებების განსაზღვრული პროცესუალური წესრიგი. ეს სამი ნიშანი განსაზღვრავს სასამართლო მტკიცებულების სამართლებრივ ბუნებას. დასახელებული ნებისმიერი კომპონენტის არასებობა განაპირობებს მთლიანად მტკიცებულების უპუგდებას. მტკიცებულება მოკლებული თავის შემეცნებით შინაარსს ან პროცესუალურ ფორმას არაა მტკიცებულება<sup>10</sup>.

სასამართლოს საქმიანობაში ყველაზე რთული საქმიანობა არის წანამდლვრების დადგენა და მათი ზუსტი გამიჯვნა. უნდა განისაზღვროს, ერთი მხრივ, მატერიალური სამართლის შესაბამისი ნორმა და, მეორე მხრივ, შესაფასებელი შემთხვევის ფაქტობრივი გარემოებები. საბოლოო ჯამში, სამართლის შემფარდებელი ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების კანონიერება და დასაბუთება დამოკიდებულია მტკიცების პროცესისადმი საპროცესო და მატერიალური კანონმდებლობით ზუსტად განსაზღვრული მიღომით.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი არ იძლევა მტკიცების ტვირთის საკანონმდებლო განსაზღვრებას.

მაინც რა არის მტკიცების ტვირთი?

— თეორიულად მტკიცების ტვირთს ვერ განვიხილავთ, როგორც „კანონით დადგენილ ვალდებულებას“<sup>11</sup>, რადგან საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი მისი შეუსრულებლობისათვის არ ითვალისწინებს სანქციას პირდაპირი მნიშვნელობით. „იერინგმა ჯერ კიდევ ასი წლის წინ შენიშნა, რომ: „სამართლის ცნება თავის თავში მოიაზრებს ორ სრულიად განსხვავებულ კატეგორიას: ბრძოლასა და მშვიდობას. პირველი წარმოადგენს მეორის შესაძლებლობას და ისინი ერთმანეთისაგან

<sup>10</sup> ი. ტრეუშნიკოვ მ. კ., დოკაზატება და დოკაზივანი სისტემის მიზანის შესახებ, 1982, 9.

<sup>11</sup> „იქ, სადაც არსებობენ წესები, მათი დაუცველობა მოასწავებს შეუწინარებელ რეაგირებას ან სასამართლოს მიერ წესების დამრღვევი პირების მიმართ სანქციის გამოყენებას“. ამგვარად განმარტავს „კანონით დადგენილ ვალდებულებებს“ პარტი სამართლის კონცეფციაში. Hart H. L. A, The Concept of Law, New York, 1994, 82, 84.

განუყოფელი არიან...“<sup>12</sup> პრაქტიკული თვალსაზრისით, მტკიცების ტვირთის არასათანადო რეალიზება წარმოადგენს პროცესის მონაწილე სუბიექტების მიმართ მატერიალურ-სამართლებრივი თვალსაზრისით არახელსაყრელი და არასასურველი გადაწყვეტილების მიღების წინა პირობას. ამ თვალსაზრისით, სასამართლო დავის საპროცესო შედეგი მთლიანადაა დამოკიდებული პროცესის მონაწილე სუბიექტების მტკიცებით საქმიანობასთან. სწორედ ამიტომ, მტკიცების ტვირთი წარმოგვიდგება, როგორც მოდავე მხარეთა შორის რისკების გადანაწილება, რომელსაც, უპირველეს ყოვლისა, აქვს პრაქტიკული მნიშვნელობა, გამომდინარე იქიდან, რომ მის გარეშე შეუძლებელია საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ფაქტების იმგვარად დადგენა, როგორც ეს მოხდა სინამდვილეში.

კონკრეტულად რა მოქმედება უნდა შეასრულოს მტკიცების ტვირთის ვალდებულების მქონე სუბიექტმა იმისათვის, რომ მის მიმართ არ დადგეს რომელიმე საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ფაქტის დაუმტკიცებლობით გამოწვეული არახელსაყრელი მატერიალურ-სამართლებრივი შედეგი?

– მოსარჩევები სასამართლოს უნდა მიუთიოთს ყველა იმ გარემოებაზე, რომელიც კანონის მიხედვით ასაბუთებს სასარჩელო მოთხოვნას. თუ მოსარჩელის მიერ მითითებული ფაქტობრივი გარემოებები არ აკმაყოფილებს სასარჩელო მოთხოვნას, მაშინ სარჩელი უკვე ამის საფუძველზევე არ უნდა დაკმაყოფილდეს; ხოლო რაც შეეხება მოპასუხეს, თუ სარჩელში მითითებულია ყველა იმ გარემოებაზე, რომელიც კანონის მიხედვით ადასტურებს მოსარჩელის მოთხოვნის არსებობას, მაშინ უკვე მოპასუხეზეა დამოკიდებული საქმის განხილვის საბოლოო შედეგი (რეზულტატი), გამომდინარე იქიდან, რომ თუ მოპასუხე დაეთანხმება მოსარჩელის მიერ წარდგენილ ფაქტობრივ გარემოებებს ან, თუ აღნიშნულთან დაკავშირებით, მოპასუხემ თავისი საფუძვლიანი მოსაზრება არ გამოთქვა (რაც ფაქტობრივად ნიშნავს, რომ იგი სარჩელში მითითებულ გარემოებებს არ ხდის სადაცოდ), მაშინ ამ გარემოებებთან დაკავშირებით ადარ არის საჭირო მტკიცებულებათა შეგროვება.<sup>13</sup> უდავო ფაქტობრივი გარემოებები შესაძლებელია მიჩნეულ იქნეს დადგენილად (რაც სასამართლოს შეფასების საგანია). შეიძლება ჩამოვაყალიბოთ შემდეგი წესი: პირველი, მტკიცების ტვირთის ვალდებულების მქონე სუბიექტმა თავისი მოვალეობის შესასრულებლად სასამართლოში უნდა წარმოადგინოს მტკიცებულება, იმ ფაქტის დადასტურების მიზნით, რომლის დამტკიცებაც მისი მოვალეობაა. ამით პროცესის მონაწილე მხარე ადასტურებს ყოველგვარ ეჭვს, გამორიცხავს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებათა ურთიერთშორის წინააღმდეგობას<sup>14</sup>.

<sup>12</sup> Haft, Fritjof, Verhandlung und Mediation, in: Haft, Fritjof./von Schlieffen, Katherina, (Hrsg.) Handbuch Mediation, 2. aufl., München 2009, 79. ვუთითებ: ცერცვაძე გ. მედიაცია დავის გადაწყვეტის ალტერნატული ფორმა (ზოგადი მიმოხილვა) თბ., 2010, 30. მიხედვით.

<sup>13</sup> ი. თოდუა მ. ქურდაძე შ. ცალკეული კატეგორიის საქმეებზე გადაწყვეტილების მიღების მეორედიკა, თბ., 2005, 82.

<sup>14</sup> “Beweisvereitelung” durch beweisbelastete Partei und Nachholbarkeit in der Berufungsinstanz, NJW, 1991, 2069 <<http://beck-online.beck.de/?vpath=bibdata%5Czeits%5Cnjw%5C1991%5Ccont%5Cnjw.1991.2069.1.htm&pos=5&hlwords=beweislastumkehr#xhlhit>> (17.10.2010).

ეოველ სამოქალაქო საქმეზე დასაბუთებული გადაწყვეტილების მიღების შემცნების ერთადერთ გზას მტკიცება წარმოადგენს და იგი განიმარტება, როგორც საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ფაქტობრივი გარემოებების დადგენა.<sup>15</sup> მტკიცებაში მოიაზრება პროცესის მონაწილე სუბიექტების იმგარი საქმიანობა, რომელიც მიმართულია საქმის გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე ფაქტების არსებობის ან არარსებობის დასადგენად<sup>16</sup>. ლიტერატურაში ეს ფაქტობრივი მონაცემები განიხილება, როგორც რეალური სინამდვილის ფაქტები, რომლებსაც კავშირი აქვს დასადგენ გარემოებებთან ან მათ შესახებ მონაცემებთან<sup>17</sup>.

მტკიცებულებათა თეორიაში მტკიცების ქვეშ მოიაზრება სასამართლოსა და სხვა პირების მტკიცებითი საქმიანობა, რომელიც მოიცავს შემდეგ სტადიებს: მტკიცების საგნის განსაზღვრას, მტკიცებულებათა შეგროვებას (მტკიცებულებათა გამოვლენა, მათი შეკრება და სასამართლოში წარდგენა), მტკიცებულებათა სასამართლოში გამოკვლევას, მტკიცებულებათა შეფასებას<sup>18</sup>. მტკიცებას ექვემდებარება ის გარემოებები, რომლებიც ასაბუთებს სასარჩელო მოთხოვნას და სარჩელის ფაქტობრივ გარემოებებს, ასევე მოწინააღმდეგე მხარის მიერ სარჩელის ფაქტობრივი გარემოებებისა და სასარჩელო მოთხოვნის უარყოფას, ასევე სხვა გარემოებები, რომლებიც მნიშვნელოვანია საქმის გადაწყვეტისათვის. სარჩელის სამოტივაციო ნაწილი უნდა შეიცავდეს მითითებას იმის შესახებ, თუ რაში მდგომარეობს უფლების დარღვევა ან მოსარჩელის უფლებისა და კანონით დაცული ინტერესების დარღვევის საშიშროება. მოსარჩელემ უნდა მოიხმოს ყველა ის მტკიცებულება, რომლითაც დაადასტურებს სარჩელში მითითებულ გარემოებებს, ხოლო, თავის მხრივ, მოპასუხემ შესაგებელში უნდა ჩამოაყალიბოს საპასუხო შეხედულება სარჩელის ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით. მტკიცების საგნის განსაზღვრა და წარმოსადგენი მტკიცებულებების დასაშვებობა თავდაპირველად განისაზღვრება სარჩელში და შესაგებელში. მოსარჩელის მიერ მისი წილი მტკიცების ტვირთის შეუსრულებლობის შემთხვევაში, გადაწყვეტილება გამოტანილი იქნება საქმის ნამდვილი ფაქტობრივი გარემოებებისა და მოსარჩელის ინტერესების გათვალისწინების გარეშე. სწორედ ამაში მდგომარეობს მტკიცების ტვირთის ვალდებულების მქონე სუბიექტის მიერ მტკიცების ტვირთის შეუსრულებლობით დამდგარი უარყოფითი შედეგი.

ამდენად, საპროცესო და მატერიალური კანონმდებლობით გათვალისწინებული საგალდებულო, დასაბუთებული პოზიციის არარსებობამ შესაძლებელია მხარეები მიიყვანოს უარყოფით შედეგებამდე, რაც მოსარჩელისათვის მდგომარეობს სარჩელის დაკმაყოფილებაზე სრულ ან ნაწილობრივ უარის თქმაში, ხოლო მოპასუხისათვის მის მიმართ წარდგენილი მოთხოვნის სრულ ან ნაწილობრივ დაკმაყოფილებაში.

<sup>15</sup> იხ., Треушиков М. К., Доказательства и Доказывание Советском Гражданском Процессе, М, 1982, 22.

<sup>16</sup> იხ., Юдельсон К. С., Проблема Доказывания в Сов. Гражданском Процессе, М, 1951, 33.

<sup>17</sup> იხ., Воложсанин В. П., Земченко Н. А., Сов. Гражданский Процесс, М, 1988, 194, 195.

<sup>18</sup> იხ., Комментарий к Гражданскому Процессуальному Кодексу РФ, под редакцией Жилин Г. А., М, 2008, 135-137.

გარდა ამისა, უნდა ითქვას ისიც, რომ მხოლოდ მტკიცებულების წარმოდგენა არ ნიშნავს, რომ მხარემ უკვე შეასრულა თავისი მოვალეობა. საქმე ისაა, რომ წარმოდგენილი მტკიცებულება უნდა პასუხობდეს მტკიცებულებათა განკუთვნადობისა და დასაშვებობის შესახებ კანონით გათვალისწინებული პრინციპების მოთხოვნებს. ამავე დროს, სასამართლოში წარმოდგენილი მტკიცებულებები ისეთ კავშირში უნდა იყოს დასადგენ გარემოებასთან, რომ შეიძლებოდეს ამ გარემოების არსებობა-არარსებობის შესახებ უტყუარი დასკვნის გაკეთება. მაგალითად, ერთ-ერთ სამოქალაქო საქმეზე სს „კ.ს.ბ-ს“ სააპელაციო საჩივრის გამო, მოწინააღმდეგე მხარის, გ.ბ-ის მიმართ, დავის საგანზე – ჩუქების ხელშეკრულების ბათილად ცნობა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ნორმის დანაწესიდან გამომდინარე, რომელიც შეიცავს ზოგად დებულებას მხარეთა მტკიცების ტვირთთან დაკავშირებით, სასამართლომ მიუთითა, რომ სს „კ.ს.ბ“ როგორც მოსარჩელე, ვალდებული იყო მიეთითებინა და წარედგინა მტკიცებულებები იმ გარემოების დასადასტურებელად, რომ გ.ბ-სა და მის არსერულწლოვან შვილს შორის დადგებული გარიგება იყო მოჩვენებითი ხასიათის, რაც შეიძლება განპირობებული ყოფილიყო მოპასუხის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისათვის თავის არიდებით. ამ გარემოებების არსებობის დამადასტურებელი მტკიცებულებები, ანუ მტკიცების ტვირთი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 56-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ნორმის მაკალიფიცირებელი გარემოებების არსებობის დასადასტურებლად, ეკისრებოდა მოდავე მხარეს<sup>19</sup>.

საქმეში მონაწილე მხარის საპროცესო მოქმედება, რომელიც მიზნად ისახავს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ფაქტის დადასტურებას უნდა შეესაბამებოდეს კანონს. შესრულდა თუ არა სამართლურთიერთობის სუბიექტზე დაკისრებული დამტკიცების მოვალეობა სასამართლოს შეფასების საგანია. პირველ რიგში, სასამართლო იკვლევს წარმოდგენილი მტკიცებულების შინაარსს და განსაზღვრავს მის იურიდიულ მნიშვნელობას, კერძოდ, აფასებს თუ რა დასკვნა შეიძლება გაკეთდეს წარმოდგენილი მტკიცებულების საფუძველზე იმ გარემოებასთან მიმართებით, რომლის დასამტკიცებლადაც იგი წარმოადგინეს<sup>20</sup>. სასამართლო მსჯელობს იმის თაობაზე, დასტურდება თუ არა ესა თუ ის სადავო ფაქტობრივი გარემოება იმ მტკიცებულებით, რომლის დასადასტურებლადაც იგი წარმოადგინეს თუ, დასტურდება რაიმე სხვა გარემოება, რომელიც, თავის მხრივ, შესაძლებელს ხდის ზემოთ აღნიშნულ დასამტკიცებელ გარემოებასთან დაკავშირებით ლოგიკური დასკვნების გაკეთებას. ამ შემთხვევაში, საუბარია ირიბ მტკიცებულებაზე, კერძოდ, დამხმარე ფაქტობრივ გარემოებებზე, რომლებიც არაპირდაპირ, მაგრამ საბოლოო ჯამში, მაინც ადასტურებს სადავო ძირითადი გარემოების არსებობას (ნამდვილობას). ამასთან, ე.წ. შინაგანი

<sup>19</sup> თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 19 მარტის გადაწყვეტილება, სამოქალაქო საქმე №28/2795-09; სუსგ. 2011 წლის 1 ნოემბერი, სამოქალაქო საქმე №ას-715-674-2011. ხელმისაწვდომია მხოლოდ სასამართლოს არქივში.

<sup>20</sup> იხ., Leo levin A, Shuchman P, Yablon C, Cases and Materials on Civil Procedura, 1997 Supplement, successor edition, Westbury, New York, 1997, 237, 238.

გარემოებების, ანუ რაიმეს ცოდნა ან განზრახვა, დამტკიცება პრაქტიკულად შესაძლებელია მხოლოდ ირიბი მტკიცებულების საფუძველზე; ხოლო საკითხი იმის შესახებ აქვს თუ არა იურიდიული მნიშვნელობა ამა თუ იმ ირიბ მტკიცებულებას, ემყარება მოსამართლის პირად გამოცდილებას. სწორედ სასამართლოს შეფასების საგანია ამა თუ იმ ირიბი მტკიცებულების სარწმუნოობა, რაშიც სასამართლოს ეხმარება შინაგანი რწმენა.

სამართლებრივი დავისას სამოქალაქო საქმეთა განმხილველი სასამართლო მხოლოდ კანონის ნების აღმსრულებლად და კანონის შემფარდებლად არ გვევლინება. სასამართლოს ამოცანა უფრო მეტია ვიდრე კანონის შეფარდება. სასამართლომ სამართლიანობა უნდა აღადგინოს, სასამართლომ თავის გადაწყვეტილებაში უნდა გადმოსცეს ის, თუ მოდავვ მხარეთა შორის რეალურად რა ურთიერთობას ჰქონდა ადგილი. ამ მიზნის მისაღწევად მოსამართლეს ორი დაბრკოლება აქვს დასაძლევი: პირველ რიგში, მან უნდა გამოარკვიოს, თუ რა მოხდა სინამდვილეში, რაც ხშირად არც ისე იოლია, ვინაიდან მოსარჩელის ახსნა-განმარტება არ არის მკაფიო და ხშირ შემთხვევაში, საჭიროებს დაზუსტებას; ამავდროულად, იგი არ ემთხვევა მოპასუხის ახსნა-განმარტებას. შემდგომ, მოსამართლემ სამართლებრივად უნდა შეაფასოს განსახილველი საქმის ფაქტობრივი გარემოებები და დაადგინოს, არსებობს თუ არა სასარჩელო მოთხოვნის საფუძველი. „რთული და სახიფათოა წანამდვრების დადგენა და არა მათგან დასკვნის გაკეთება; დასკვნა გარდაუვლად და თავისთავად კეთდება, მაგრამ წანამდვრების პოვნა წარმოადგენს სირთულეს და აქ გვტოვებს ჩვენ ლოგიკა. იურიდიული გადაწყვეტილებები მიიღება წანამდვრების ძიების, გამიჯვნის, დადგენისა და ფორმალურ-ლოგიკური აზროვნების ურთიერთკავშირის შედეგად“<sup>21</sup>. საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ფაქტების დადგენილად მიჩნევა განეკუთვნება შეფასებით კატეგორიას, რაც გულისხმობს, რომ ფაქტის სადაცოდ თუ უდაცოდ მიჩნევა მხოლოდ სამოსამართლო უფლებამოსილების სფეროა. ამდენად ფაქტი მიიჩნევა დადგენილად მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სასამართლო მას ასეთად მიიჩნევს, თუ სასამართლო დარწმუნდება ამ ფაქტის არსებობაში. მოსამართლისათვის ამგვარი რწმენის შექმნა იმ პირთა მოვალეობაა, რომლებსაც ყოველ კონკრეტულ საქმეში ეკისრებათ მტკიცების ტვირთი. პრაქტიკული თვალსაზრისით, შესაძლებელია ისეთი შემთხვევაც, როდესაც შინაგანი რწმენა მოსამართლეებისა არ აღმოჩნდება უტყუარი, როდესაც იგი დარწმუნდება იმაში, რაც სინამდვილეს არ შეესაბამებოდა და ამის გამო საქმეს არასწორად გადაწყვეტს. ასეთ შემთხვევაში, საქმის არასწორი გადაწყვეტა, იმით კი არ არის გამოწვეული, რომ მოსამართლის ღრმა, საფუძვლიანი შინაგანი რწმენა ყალბი აღმოჩნდა, არამედ იმით, რომ მოსამართლე ჯეროვნად ვერ ჩასწოდა საქმის ყველა გარემოებას მათ ერთობლიობაში და თავისი დასკვნა მხოლოდ ზედაპირულად მიღებულ

<sup>21</sup> Schopenhauer A, Vorlesungen über die gesamte Philosophie, Erster Teil, Cap. 3 (Werke, hrsg. v. P. Deussen, Bd. 9, 1913, 361). ვუთითებ: ციბელიუსი რ, იურიდიული მეთოდების მოძღვრება, მე-10 გადამუშავებული გამოცემა, მიუნხენი, 2006. (თარგმანი ქართულ ენაზე – თოთლაძე ლ, სამუცნიერო რედაქტორი ტურავა გ. (2009)), 109. მიხედვით.

შთაბეჭდილებას დააფუძნა. ასეთ შემთხვევაში, შთაბეჭდილების შინაგან რწმენად მიჩნევა შეცდომაა. ამიტომ, თუკი მოსამართლეს არა აქვს შექმნილი მტკიცე რწმენა, თუ მან ვერ გააქარწყლა თუნდაც მცირედი ეჭვი, მაშინ საქმის გარემოებები დამტკიცებულად არ უნდა მიიჩნიოს და გადაწყვეტილება არ უნდა მიიღოს<sup>22</sup>. ერთ-ერთ საქმეზე სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმების საფუძვლად საქართველოს უზენაესმა სასამართლომ საქმეზე შეკრებილი მტკიცებულებების არასწორი სამართლებრივი შეფასება მიიჩნია და მიუთითა, რომ საქმის განმხილველმა სასამართლომ დაარღვია საქართველოს სსკ-ის 105-ე მუხლის მეორე ნაწილის მოთხოვნა, რომლის თანახმად, სასამართლო აფასებს მტკიცებულებებს თავისი შინაგანი რწმენით, რომელიც უნდა ემყარებოდეს სასამართლო სხდომაზე მათ ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას, რის შედეგადაც სასამართლოს გამოაქვს დასკვნა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესახებ. საკასაციო პალატის მოსაზრებით, საქმის განმხილველმა სასამართლომ არასწორად განმარტა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის მესამე ნაწილი: „საქმის გარემოებები, რომლებიც კანონის თანახმად უნდა დადასტურდეს გარკვეული სახის მტკიცებულებებით, არ შეიძლება დადასტურდეს სხვა სახის მტკიცებულებებით“. პალატის განმარტებით, კანონის ეს მოთხოვნა ითვალისწინებს ისეთ შემთხვევას, როცა ამა თუ იმ გარემოების დასამტკიცებლად კანონით გათვალისწინებულია მტკიცების სტანდარტი – სპეციალური მტკიცებულება. კონკრეტულ შემთხვევაში, მხარეთა შორის წარმოშობილი სამართლებრივი ურთიერთობა გათვალისწინებული იყო საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1484-ე მუხლით, რომელიც აღგენდა მემკვიდრეთა პასუხისმგებლობას მამკვიდრებლის კრედიტორთა წინაშე და ამ მუხლიდან წარმოშობილი კანონისმიერი ვალდებულებების დადასტურებისათვის კანონით რაიმე სპეციალური ფორმა ან მტკიცებულება გათვალისწინებული არ ყოფილა<sup>23</sup>. ამიტომ, ამ მუხლზე, კერძოდ, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის მესამე ნაწილზე მითითებით მოწმეთა ჩვენებების უარყოფა არ გამომდინარეობდა კანონიდან<sup>24</sup>.

ამოსავალი წერტილი ერთია: მოსამართლე საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებებს საქმეში მონაწილე ორივე მხარის პოზიციიდან უნდა შეხედოს. საქმის ნამდვილი გარემოებების დანახვა და მხარეთა რეალური ურთიერთობების გარკვევა შესაძლებელია მხოლოდ

<sup>22</sup> „იმ ქვეყნებში, რომლებიც ადრევე გახდნენ ევროკავშირის წევრები (ჩეხეთი, პოლანდია, უნგრეთი) მთავარ პრობლემად სასამართლო სისტემის მიკერძოებულობა კი არ მიიჩნევა, არამედ უფრო მეტად მოსამართლეთა პროფესიონალიზმი და თავად სისტემის ეფექტურობა“. იხ., The Case Law of Central and Eastern Europe. Enforcement of Contracts, Vol. 1, Ed. by Mussman S, Tajti T, Germany, 2009, 14.

<sup>23</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებებში გამოყენებულ ნორმათა განმარტებანი, თბ., 2010, 17, 18.

<sup>24</sup> სუბ. 2002 წლის 4 მარტი, სამოქალაქო საქმე №33/441-01. გადაწყვეტილება გამოქვეწებულია სამოქალაქო, სამეწარმეო და გაბოტრების საქმეებზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებათა კრებულში.

ასეთ შემთხვევაში<sup>25</sup>. ცხადია, ამ დროს მოსამართლეზე მოქმედებს ძლიერი ემოციური ფონი, მაგრამ მთავარი ამ ემოციის არსებობა როდია, მთავარია ის, აქვს თუ არა ადგილი ამ ემოციის მართვას და საბოლოო ჯამში, ჩამოყალიბდება თუ არა ყოველგვარი ემოციისაგან განთავისუფლებული შინაგანი რწმენა.

გამომდინარე იქიდან, რომ მტკიცების ტვირთის რეალიზება საბოლოოდ გავლენას ახდენს საქმის განმხილველი სასამართლოს შინაგანი რწმენის ჩამოყალიბებაზე, „მტკიცების ტვირთი“ უნდა განიმარტოს, როგორც მოდავე მხარეთა იმგვარი საპროცესო მოქმედება, რომლის შესრულებაზე ან პირიქით, შეუსრულებლობაზეა დამოკიდებული სასამართლოს მიერ სამოქალაქო საქმეზე მოდავე მხარეთაოვის ხელსაყრელი თუ, არახელსაყრელი შემჯამებელი გადაწყვეტილების მიღება<sup>26</sup>.

## §2. მტკიცების როლი და მისი მნიშვნელობა სამართალწარმოებისას

საპროცესო მოქმედებებს შორის მტკიცების განსაკუთრებული როლის ხაზგასასმელად, პირველ რიგში, მტკიცება უნდა დავახასიათოთ იურიდიულ ლიტერატურაში არსებული მოსაზრებების მიხედვით.

სასამართლო მტკიცების არსის შესახებ იურისპრუდენციაში გამოიყოფოდა განსხვავებული თვალსაზრისი. კერძოდ, მტკიცება განისაზღვრებოდა, როგორც საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული ხერხებითა და საშუალებებით განხორციელებული მოქმედება, რაც მდგომარეობდა ფაქტების არსებობის ან არარსებობის შესახებ ობიექტური ჭეშმარიტების პრინციპის დადგენაში.<sup>27</sup>

თანამედროვე სამოქალაქო სამართალწარმოებაში სასამართლოს მიერ ობიექტური ჭეშმარიტების მიღწევის პრინციპმა შეწყვიტა არსებობა. ახალი სამართლებრივი კონცეფციით სასამართლო მოქმედებს არა სასამართლო აქტივობის პრინციპის შესაბამისად, რაც დამახასიათებელი იყო საბჭოური სამართლებრივი კონცეფციისათვის, არამედ სასამართლო მხოლოდ ხელმძღვანელობს მხარეთა შორის წარმოებულ დავას. ამდენად, მოხდა სასამართლო აქტიურობის პრინციპის ტრანსფორმაცია სასამართლო ხელმძღვანელობად<sup>28</sup>.

<sup>25</sup> ი. ი. Levin A., Shuchman P., Yablon C., Cases and Materials on Civil Procedura, Westbury, New York, 1992, 516.

<sup>26</sup> ი. ი. Othmar J., Zivilprozessrecht, München, 1993, 179-210; Rosenberg L., Schwab K., Gottwald P., Zivilprozessrecht, München, 2009, 638-735.

<sup>27</sup> ი. ი. Юдельсон К. С., Судебные доказательства и практика их использования в Гражданском Процессе, М, 1956, 78; Лилуашвили Т. А., Предмет и бремя доказывания в Гражданском Процессе, Тб, 1957, 55.

<sup>28</sup> ი. ი. ქორია გ., სასამართლო გადაწყვეტილებათა გადასინჯვის თეორიულ-პრაქტიკული კომენტარები საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მიხედვით, თბ, 2002, 29.

თანამედროვე კონცეფციის თანახმად, მოსამართლე „შებოჭილია“ მხარეთა მითითებულით და გამოსაყენებელი სამართლის ნორმით. მოსამართლე არ არის თავისუფალი ახალი ქცევის წესების დადგენაში.

ზემოთ აღნიშნული მსჯელობისაგან აბსოლიტურად განსხვავებულ შეხედულებას ავითარებდნენ თავისუფალი სკოლის მიმდევრები: კანტოროვიჩი, ფუქსი, ერლიხი, ისეი, რომელთა აზრით, „მოსამართლე გადაწყვეტილებას დებულობს არა კანონის საფუძველზე, არამედ „რეალური ცხოვრებისეული ურთიერთობებიდან“ გამომდინარე. სამართლის ნორმის ავტორია არა სახელმწიფო, არამედ მოსამართლე, მოსამართლე კანონზე მაღლა დგას. თავისუფალი სკოლა უარყოფდა ხელისუფლების დანაწილებას, ასევე კანონის მიერ მოსამართლის შებოჭვის პრინციპებს“.<sup>29</sup>

„მოსამართლის „ბოჭვას“ და მის მიერ ახალი ქცევის წესების განსაზღვრის თავისუფლებასთან მიმართებით საერთო პარალელები ახასიათებს კონტინენტური ევროპის სამართლის სისტემებსა და ინგლისურ სამართლის. ძირითადი განსხვავება, ცხადია ისაა, რომ მოსამართლის „ბოჭვა“ არა კანონთან, არამედ წინა პრეცედენტებთან მიმართებით არის განსახილვებილი“<sup>30</sup>. მოსამართლის შეზღუდვა პრეცედენტით თანამედროვე პერიოდში არ ატარებს იმგვარ იმპერატიულ ხასიათს, როგორიც მას ჰქონდა მე-19 საუკუნის მიწურულს. მაგალითად, „ლორდთა პალატა უფლებას იტოვებს საჭიროების შემთხვევაში, კერძოდ, უსამართლო გადაწყვეტილების მიღების თავიდან აცილებისა და სამართლის შემდგომი განვითარების ინტერესებიდან გამომდინარე არსებული პრეცედენტისაგან განსხვავებული გადაწყვეტილებები მიიღოს“.<sup>31</sup>

ქართული სასამართლო რეფორმის შედეგად სამოქალაქო სამართალწარმოებაში ძირფესვიანად შეიცვალა მხარეთა აქტიურობის მასშტაბი. დღეს მოქმედი საპროცესო კანონმდებლობით უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება მხარეთა თვითინიციატივას, შეჯიბრებითობის პრინციპს, რომლის ამოსავალი წერტილი არის სწორედ საქმის ფაქტობრივი გარემოებების დამტკიცების ტვირთის მოდავე მხარეთა მიერ რეალიზება. გამომდინარე იქიდან, რომ თანამედროვე სამოქალაქო საპროცესო სამართალში დისპოზიციურობის პრინციპის მოქმედების პირობებში, სწორედ მტკიცების ტვირთის რეალიზებასა და მის ხარისხზეა დამოკიდებული მხარეთა შორის წარმოშობილი დავის (კონფლიქტის) საპროცესო შედეგი, შესაბამისად, სამართალწარმოებისას გადამწყვეტი ფაქტორია მხარეთა მიერ მტკიცების ტვირთის რეალიზება.

მტკიცების ტვირთის მნიშვნელობა თვალსაჩინოა მტკიცებულებათა შეფასების პროცესშიც, იმ მიზეზით, რომ მტკიცებულებათა შეფასების დასრულებისას სასამართლოსათვის მტკიცების საგანი ან დადასტურებულია, ან არა. თუკი საქმის განმხილველი მოსამართლე მტკიცების საგანს არ მიიჩნევს დადასტურებულად, ეს აისახება იმ მხარის

<sup>29</sup> იხ., ხუბუა გ, სამართლის თეორია, თბ, 2004, 181.

<sup>30</sup> იხ., კერძესელიძე დ, კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, თბ, 2009, 70.

<sup>31</sup> Zweigert/Kötz, Rechtsvergleichung, 1996, §18 II, 225 f. ვუთითებ: კერძესელიძე დ, კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, თბ, 2009, 72. მიხედვით.

საზიანოდ, რომელსაც აღნიშნული გარემოების დასადასტურებლად ეკისრებოდა მტკიცების საგანში შემავალი ფაქტების დამტკიცების ტვირთი.

სასამართლო გადაწყვეტილებაზე, ასევე აისახება მტკიცების ტვირთის შებრუნების შედეგები<sup>32</sup>, გამომდინარე იქიდან, რომ როდესაც იმ მხარის განმარტება, რომელსაც ეკისრება მტკიცების ტვირთი გაქარწყლებულია, სახეზეა ფაქტობრივი გარემოება იმის თაობაზე, რომ მხარემ ვერ დაადასტურა მის მიერ მითითებული გარემოებები სარწმუნო მტკიცებულებებით.

### **§3. მტკიცების ტვირთის ვალდებულების მქონე სუბიექტები**

#### **ა. მოსარჩევა და მოპასუხე მხარეები, როგორც მტკიცების ტვირთის ვალდებულების მქონე სუბიექტები**

დაისმის კითხვა – ვინ უნდა წარმოადგინოს მტკიცებულება სასამართლოში, ვის ეკისრება მტკიცების ტვირთი.

სასარჩევო წარმოებაში მონაწილეობს ორი ურთიერთდაპირისპირებული იურიდიული ინტერესის მქონე მხარე: მოსარჩევე და მოპასუხე. მტკიცების ტვირთის ვალდებულების მქონე სუბიექტია პროცესის მონაწილე ის მხარე, რომლის უფლებებსა და ვალდებულებებზე შესაძლოა იმოქმედოს სასამართლო გადაწყვეტილებამ. ასეთ პირებს კი, უპირველეს ყოვლისა, წარმოადგენენ მოსარჩევე და მოპასუხე. ისინი ვალდებული არიან წარმოადგინონ სასამართლოში სარჩელში ან/და შესაგებელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებების დამადასტურებელი მტკიცებულებები, რომ არ დადგეს მათ მიმართ მათ მიერვე მითითებული ფაქტობრივი გარემოებების დაუდასტურებლობით გამოწვეული არახელსაყრელი მატერიალურ-სამართლებრივი შედეგი.

პრაქტიკულად, მტკიცებულებების შეგროვებისაკენ მიმართული მოქმედება უნდა დაიწყოს ჯერ კიდევ საქმის აღმერამდე, რაც ნიშნავს იმას, რომ სასარჩევო წარმოების დაწყებამდე მოსარჩევე ან მოსარჩევის წარმომადგენელი უნდა დაწყმუნდეს სასარჩევო მოთხოვნის საფუძვლიანობასა და სასარჩევო ფაქტების დასადასტურებლად შესაბამისი მტკიცებულებების არსებობაში. თუმცა, ძირითადი მოქმედება აუცილებელი მტკიცებულებების მოსაძიებლად იწყება საქმის სასამართლო განხილვისათვის მომზადების ეტაპზე, როდესაც მხარეები იღებენ სრულ ინფორმაციას სასარჩევო მოთხოვნის მატერიალური საფუძვლისა და სარჩელის უარყოფის შესახებ. როგორც წესი, ამ ეტაპზე მხარეებმა უნდა ჩაატარონ დოკუმენტების გონივრული ძიება სადაცო ფაქტის დადასტურებისა თუ უარყოფის მიზნით, რომელიც მათთვის ცნობილი ხდება შეჯიბრებითი დოკუმენტების (საბუთების) გაცვლის შედეგად. ყველა სადაცო

<sup>32</sup> მტკიცების ტვირთის შებრუნებაზე საუბარია ნაშრომის მე-6 პარაგრაფში, ამიტომ ამ საკითხზე აქ არ შევჩერდები.

ფაქტის მტკიცების ტვირთი, რომელიც მიზნად ისახავს საქმის ირგვლივ დაკავშირებული გარემოებების გამოკვლევას, არ ეკისრება პროცესის მონაწილე მხოლოდ ერთ სუბიექტს. მტკიცების ვალდებულების მქონე სუბიექტები არიან პროცესის მონაწილე მხარეები, რომელთა უფლებებსა და ვალდებულებებზე უშალოდ მოქმედებს საქმის განხილვის საპროცესო შედეგი, თუმცა საკითხი იმის შესახებ, როგორი წესით ნაწილდება ამ სუბიექტებს შორის მტკიცების ტვირთი განხილულია ნაშრომის მესამე თავში.

### **პ. მესამე პირები, როგორც მტკიცების ტვირთის ვალდებულების მქონე სუბიექტები**

საკითხის ამ კუთხით გაშუქებისას უნდა შევეხოთ სამართალწარმოებაში მონაწილე იმ სუბიექტების დამოკიდებულებას მტკიცების ტვირთის რეალიზებასთან, როგორიცაა მესამე პირი. იმის მიხედვით თუ როგორია მესამე პირის იურიდიული ინტერესი კონკრეტული დავის მიმართ, მესამე პირები იყოფიან ორ ჯგუფად: მესამე პირები დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით და მესამე პირები დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე.

დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის მქონე მესამე პირები შედიან მხარეთა შორის იმ დროისათვის დაწყებულ პროცესში სარჩელის შეტანის გზით. ცხადია, სარჩელის შეტანისას მესამე პირების დამოუკიდებელი მოთხოვნა სადაცოა, რამდენადაც კითხვაზე: სარგებლობენ თუ არა მესამე პირები სადაცოდ ქცეული უფლებით, პასუხობს სასამართლო შემაჯამებელ გადაწყვეტილებაში<sup>33</sup>. გამომდინარე იქიდან, რომ საქმეზე გამოტანილი გადაწყვეტილება შესაძლოა შეეხოს მესამე პირის უფლებებს და საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ფაქტების დაუმტკიცებლობით დამდგარი არახელსაყრელი შედეგი შეიძლება გავრცელდეს მესამე პირზე, უნდა დავასკვნათ, რომ დამოუკიდებელი მოთხოვნის მქონე მესამე პირიც წარმოადგენს მტკიცების ტვირთის ვალდებულების მქონე სუბიექტს. შესაბამისად, იგი ფლობს ყველა იმ უფლებებს და მას ეკისრება ის საპროცესო ვალდებულებები, როგორიც ზოგადად ეკისრებათ მხარეებს.

საინტერესოა გაირკვეს საკითხი იმის შესახებ ეკისრება თუ არა მტკიცების ტვირთი მესამე პირს იმ შემთხვევაში, თუ მას არა აქვს აღძრული სარჩელი დამოუკიდებელი მოთხოვნით.

დამოუკიდებელი მოთხოვნის გარეშე მესამე პირის ამ ვალდებულებასთან დაკავშირებით საკითხის გაშუქება უპრიანი იქნება არსებული სასამართლო პრაქტიკის მაგალითით, რომელიც შეეხება სამოქალაქო საქმეს ლ. ფს სარჩელზე, მოპასუხებ ნოტარიუს ქ. ბ-სა და მესამე პირის, ი. კ-ს მიმართ, სამკვიდრო მოწმობის გაცემის შესახებ მოთხოვნაზე. საქმის ფაქტობრივი გარემოებების მიხედვით, 20.02.2000წელს გარდაცვლილი მოსარჩელის დედას ჰყავდა ორი პირველი რიგის მემკვიდრე.

<sup>33</sup> შეად. გაბეჭდია ქ. მესამე პირები სამოქალაქო სამართალის პროცესში, ლილუაშვილი თ, საიუბილეო კრებული „75“, თბ, 256.

მთლიანი სამკვიდრო ქონება ფაქტობრივი ფლობით მიღებული პქონდა მხოლოდ ერთ-ერთ პირველი რიგის მემკვიდრეს – მესამე პირს ი.კ-ს. მოსარჩელე სადაცოდ ხდიდა მესამე პირის მიერ სამკვიდროს ფაქტობრივი ფლობით მიღების ფაქტს. საკასაციო პალატის მსჯელობის საგანს წარმოადგენდა საკითხის გარკვევა იმის შესახებ, შესაძლებელი იყო თუ არა ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოს დაედგინა დამოუკიდებელი მოთხოვნის გარეშე მესამე პირის მიერ სამკვიდროს ფლობის ფაქტი. საკასაციო პალატამ მიუთითა საქართველოს სკის 1421-ე მუხლის მეორე ნაწილზე, რომლის თანახმად, სამკვიდრო მიღებულად მიიჩნევა თუ მემკვიდრე ფაქტობრივად შეუდგება სამკვიდროს ფლობას ან მართვას, რაც უდავოდ მოწმობს, რომ მან სამკვიდრო მიიღო. პალატამ განიმარტა, რომ სამკვიდროს მიღება ცალმხრივი გარიგებაა, რომლის არსებობის ფაქტის წარდგენის უფლებამოსილება, აქვს მესამე პირსაც დამოუკიდებელი მოთხოვნის გარეშე. იმისათვის რომ, სასამართლოში წარდგენილ იქნება ფაქტობრივი ფლობით სამკვიდროს მიღების დამადასტურებელი მტკიცებულება, რომლითაც განისაზღვრება მემკვიდრის უფლებრივი შინაარსი, არ არის აუცილებელი ამის შესახებ მან აღძრას სარჩელი და მოითხოვოს სამკვიდროს ფაქტობრივი ფლობით მიღების დადასტურება. აღნიშნული მოთხოვნით სარჩელის აღმგრა არის მისი უფლება, რაც დაცულია დისპოზიციურობის პრინციპით. იმ შემთხვევაში, თუ მესამე პირს არა აქვს აღძრული სარჩელი დამოუკიდებელი მოთხოვნით, იგი უფლებამოსილია, დადასტუროს მის მიერ სამკვიდროს მიღების ფაქტი, რითაც განისაზღვრება მოსარჩელის სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილების ფარგლები<sup>34</sup>. აღნიშნული პრაქტიკული მაგალითი თვალსაჩინოდ წარმოაჩენს მესამე პირის საპროცესო ვალდებულებას მტკიცების პროცესთან დაკავშირებით, მიუხედავად იმისა, გააჩნია თუ არა მას თავისი დამოუკიდებელი მოთხოვნა.

დაისმის კითხვა: თუკი მესამე პირს არა აქვს გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლება, განსხვავებით პროცესში მონაწილე სხვა სუბიექტებისაგან, მაშინ რატომ ეკისრება მას მტკიცების ტვირთი. სხვაგვარად რომ ვთქვათ, თუკი მტკიცების ტვირთის რეალიზებასა და გადაწყვეტილებით დამდგარ მატერიალურ-სამართლებრივ შედეგს შორის არსებობს პირდაპირი კავშირი, მაშინ რატომ ეკისრებათ ამ პროცესულაური ვალდებულების შესრულება პროცესის იმ მონაწილე სუბიექტებს, რომლებსაც საპროცესო კანონმდებლობით არა აქვთ მინიჭებული გადაწყვეტილების გასაჩივრების პროცესუალური უფლებამოსილება.

- მესამე პირების ინსტიტუტისათვის დამახასიათებელი ეს თავისებურება განპირობებულია იმ იურიდიული ინტერესით, რომელიც მათ გააჩნიათ კონკრეტული დავის მიმართ. შეიძლება გადაუჭარბებლად ითქვას, რომ დამოუკიდებელი მოთხოვნის გარეშე მესამე პირების მტკიცებითი საქმიანობა მთლიანადაა განპირობებული იმ ინტერესების დაცვით, რისთვისაც ისინი ერთვებიან მხარეთა შორის იმ დროისათვის დაწყებულ

<sup>34</sup> სესგ 2008 წლის 17 სექტემბერი, სამოქალაქო საქმე №ას-63-347-08. გადაწყვეტილება გამოქვეყნებულია სამოქალაქო, სამეწარმეო და გაბოტრების საქმეებზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებათა კრებულში.

პროცესში. მესამე პირების მიერ მტკიცების ვალდებულების შესრულება გარკეულწილად განსაზღვრავს საქმეზე გამოტანილი გადაწყვეტილებით დამდგარ მატერიალურ-სამართლებრივ შედეგს.

## **გ. მტკიცების ტვირთის ვალდებულების მქონე სუბიექტები კანონისმიერი და სახელშეკრულებო წარმომადგენლობისას მტკიცების ტვირთის ვალდებულების მქონე სუბიექტების თაობაზე. აღნიშნული საკითხი დიდი პრაქტიკული მნიშვნელობისაა, რაც ვლინდება მტკიცებითი პროცესის რეალიზაციაში, კერძოდ, საინტერესოა წარმომადგენლის მეშვეობით პროცესში მონაწილე მხარის ახსნა-განმარტება, როგორც მტკიცებულება.**

ინტერესს იწვევს საკითხი კანონისმიერი და სახელშეკრულებო წარმომადგენლობისას მტკიცების ტვირთის ვალდებულების მქონე სუბიექტების თაობაზე. აღნიშნული საკითხი დიდი პრაქტიკული მნიშვნელობისაა, რაც ვლინდება მტკიცებითი პროცესის რეალიზაციაში, კერძოდ, საინტერესოა წარმომადგენლის მეშვეობით პროცესში მონაწილე მხარის ახსნა-განმარტება, როგორც მტკიცებულება.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი იცნობს კანონიერ და სახელშეკრულებო წარმომადგენლობას. სამოქალაქო კოდექსის 103-ე და 104-ე მუხლების ერთობლივი ანალიზით, სასამართლო წარმომადგენლობად მიიჩნევა იმგვარი ურთიერთობა, რომლის ძალითაც ერთი მხარე (წარმომადგენლი) ასრულებს საპროცესო მოქმედებას სხვისი სახელითა და სხვისი ინტერესების სასარგებლოდ, ხოლო უფლებები და მოვალეობები წარმოეშობა წარმოდგენილ პირს.

„კანონისმიერ წარმომადგენლებად“<sup>35</sup>, როგორც ცნობილია, გვევლინებიან მშობლები, მშვილებლები, მეურვე, მზრუნველი, აგრეთვე ორგანიზაცია, რომელიც ვალდებულია მეთვალყურეობა გაუწიოს არასრულწლოვანსა თუ ქმედუუნაროდ აღიარებულ პირს. კანონიერი წარმომადგენლები წარმოსადგენ პირთა სახელით ასრულებენ ყველა საპროცესო მოქმედებას, რომელთა შესრულების უფლებაც მინიჭებული აქვთ წარმომდგენთ კანონით გათვალისწინებული შეზღუდვებით.

მოქალაქეებსა და იურიდიულ პირებს შეუძლიათ აწარმოონ თავიანთი საქმე სასამართლოში წარმომადგენლის მეშვეობით დავალების ხელშეკრულებით (სკ-ის 709-ე მუხლი). სასამართლო წარმომადგენლობად მიიჩნევა იმგვარი ურთიერთობა, რომლის ძალითაც ერთი მხარე (წარმომადგენლი) ასრულებს საპროცესო მოქმედებას სხვისი სახელითა და სხვისი ინტერესების სასარგებლოდ, კერძოდ, სამოქალაქო სამართლწარმოების მხარეების (მარწმუნებლები) სასარგებლოდ. ამ გზით, უფლებამოსილება სასამართლოში საქმის წარმოების შესახებ უფლებას აძლევს წარმომადგენელს მარწმუნებლის სახელით შეასრულოს ყველა საპროცესო მოქმედება, გარდა კანონში ჩამოთვლილი ისეთი მოქმედებისა,

<sup>35</sup> „კანონისმიერი წარმომადგენლობა იდეალური ან სულაც, ერთადერთი შესაძლო სამართლებრივი ცნებაა, რომლის მეშვეობით ქმედუუნარო ფიზიკური პირები არასრულწლოვანთა, მეურვეობის ქვეშ მყოფთა და სულით ავადმყოფთა სახით, მონაწილეობენ სამართლებრივ ურთიერთობებში,“ იხ., ცვაიგერტი კ. აოტცი კ, შედარებითი სამართლებრივი სამართლებრივი ურთიერთობებში, საქართველოს სამართლის სფეროში, ტომი I, (თარგმანი ქართულ ენაზე – სუმბათაშვილი გ. მუცნიული რედაქცია ნინიძე თ.), თბ, 2000, 39.

რომელიც უშუალოდ მარწმუნებელმა უნდა შეასრულოს, თუ ამის შესახებ სპეციალურად არის აღნიშნული მარწმუნებლის მიერ გაცემულ მინდობილობაში.

საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ფაქტობრივი გარემოებების დაუმტკიცებლობით არახელსაყრელი შედეგი (მატერიალურ-სამართლებრივი თვალსაზრისით) წარმომადგენლის მიმართ არ დგება. შესაბამისად, წარმომადგენლი არ არის მტკიცების ტვირთის ვალდებულების მქონე სუბიექტი. სასამართლო წარმომადგენლი სასამართლოში ადასტურებს ყველა იმ ფაქტს, რომელთა მტკიცების ტვირთი ეკისრება იმ მხარეს, რომელსაც ის წარმოადგენს (მარწმუნებელი).

ამდენად, შეგვიძლია დავასკვანთ, რომ დამტკიცების ტვირთის ვალდებულების მქონე სუბიექტები მარწმუნებლები არიან და არა მათი წარმომადგენლები. ამ თვალსაზრისით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 127-ე მუხლით გათვალისწინებულ ერთ-ერთ მტკიცებულებას „მხარეთა ახსნა-განმარტებას“ წარმოადგენს სწორედ კანონისმიერი თუ სახელშეკრულებო წარმომადგენლების მიერ გაკეთებული განმარტება მათვის ცნობილი და საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების შესახებ. უნდა ითქვას ისიც, რომ მტკიცებულების ამ ფორმას გააჩნია როგორც დადებითი, ისე უარყოფითი მხარე. ერთი მხრივ, დისპოზიციურობის პრინციპის მოქმედების ფარგლებში სასამართლო შეზღუდულია უშუალოდ საქმეში მონაწილე მხარისაგან მიიღოს ახსნა-განმარტება საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებათა შესახებ; ხოლო, მეორე მხრივ, საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოების შესახებ წარმომადგენლის ახსნა-განმარტებით შინაარსობრივი კუთხით შეიცავს გარკვეულ რისკს, ვინაიდან, წარმომადგენლის ახსნა-განმარტებით დამდგარი პროცესუალური შედეგი დგება უშუალოდ წარმოდგენილი პირის მიმართ.

**დ. პროკურორი, როგორც მტკიცების ტვირთის ვალდებულების მქონე სუბიექტი, თუ როგორც სახელმწიფო წარმომადგენელი**

მტკიცების ტვირთის ვალდებულების მქონე სუბიექტების განხილვისას შეუძლებელია არ შევეხოთ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალში აქტუალურ საკითხს, სამართალწარმოების ერთ-ერთი სუბიექტის - პროკურორის მტკიცების ვალდებულებასთან დაკავშირებით. სამართალწარმოების ამ სუბიექტის მტკიცების მოვალეობის ფარგლები განსხვავდება სხვა სუბიექტების მტკიცების ვალდებულების ფარგლებისაგან.

პროკურორის მონაწილეობა სამოქალაქო საქმის განხილვაში და მით უფრო, მისთვის სარჩელის აღმვრის უფლების მინიჭება არის ინოვაცია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართლში. ამგვარი სიტუაცია დამახასიათებელი იყო მხოლოდ საბჭოთა სამოქალაქო საპროცესო

სამართლისათვის, სადაც მტკიცების გალდებულების სუბიექტები იყვნენ არამარტო მხარეები, არამედ საქმეში მონაწილე სხვა პირები, რომლებიც სარგებლობდნენ საპროცესო უფლებებითა და მოვალეობებით. მათ, როგორც იურიდიულად დაინტერესებულ სუბიექტებს მინიჭებული ჰქონდათ უფლებები, რომლის ძალით აქტიურ მონაწილეობას ღებულობდნენ სამოქალაქო სამართალწარმოებაში, აღმრავდნენ სარჩელს, შეეძლოთ გავლენა მოეხდინათ პროცესის მსვლელობასა და განვითარებაზე. საუბარია პროკურორებზე, რომელთა განცხადების საფუძველზე საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლის მე-2 ქვეპუნქტის თანახმად, სასამართლო შეუდგებოდა საქმის განხილვას. თანამედროვე ქართული სამართლებრივი სისტემისაგან განსხვავებით, რომელმაც რეფორმის შემდეგ (1997წ.) უარი თქვა სოციალისტური სამართლებრივი სისტემისათვის დამახასიათებელი თავისებურებების გათვალისწინებაზე და განვითარების რომაულ-გერმანული მოდელი აირჩია. რუსეთის ფედერაციის სამოქალაქო საპროცესო სამართალში მტკიცების გალდებულების სუბიექტებს, საბჭოთა პერიოდიდან მოყოლებული, დღემდე წარმოადგენენ, პროკურორები<sup>36</sup>, რომლებიც აქტიურ მონაწილეობას ღებულობენ სამოქალაქო სამართალწარმოებაში.

პროკურორის ყველა საპროცესო უფლებამოსილება 1997 წლის საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსიდან ამოღებულია 2005 წლის 20 დეკემბრამდე, როდესაც ძალაში შევიდა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის XLIV<sup>1</sup> თავი, რომელიც შეეხება რეკეტული ქონების, თანამდებობის პირის, ქურდული სამყაროს წევრის, ადამიანით მოვაჭრის, ნარკოტიკული საშუალების გავრცელების ხელშემწყობის ან საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 194-ე მუხლის მესამე ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით მსჯავრდებული პირის ქონების ჩამორთმევისა და სახელმწიფოსათვის გადაცემასთან დაკავშირებულ წარმოებას, სადაც სამართალწარმოების სუბიექტს წარმოადგენს პროკურორი.

გალდებულია თუ არა სამოქალაქო სამართალწარმოებაში მონაწილე პროკურორი დაამტკიცოს ფაქტები ე.ი. ეკისრება თუ არა მას მტკიცების ტვირთი?

— სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 356<sup>2</sup> მუხლის თანახმად, რეკეტული ქონების, თანამდებობის პირის, ქურდული სამყაროს წევრის, ადამიანით მოვაჭრის, ნარკოტიკული საშუალების გავრცელების ხელშემწყობის ან საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 194-ე მუხლის მესამე ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით მსჯავრდებული პირის ქონების ჩამორთმევისა და სახელმწიფოსათვის გადაცემის თაობაზე სარჩელს აღმრავს პროკურორი. ამ კატეგორიის საქმეთა განხილვისას საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით მტკიცების ტვირთი გადანაწილებულია მოსარჩელის სასარგებლოდ, კერძოდ, მოსარჩელემ უნდა მიუთითოს მხოლოდ საფუძლიანი ეჭვის არსებობის შესახებ ფაქტობრივ გარემოებაზე, ხოლო საპირისპირო მტკიცების ტვირთი სადაც ქონების

<sup>36</sup> ი. კомментарий к Гражданскому Процессуальному Кодексу РФ, под редакцией Жилин Г. А., М, 2008, 111-115.

დასაბუთებულობასთან დაკავშირებით, საბოლოოდ ეკისრება მოპასუხე მხარეს, ამიტომ, სარჩელში მითითებული დაუდასტურებელი ფაქტები მოწინააღმდეგე მხარის სასარგებლოდ არ გადაწყდება.

აღნიშნულიდან გამომდინარეობს დასკვნა, რომ პროკურორი, რომელიც სასამართლოს მიმართავს სარჩელით, ასევე სარგებლობს მოსარჩელის უფლებებით და ეკისრება ვალდებულებები, მაგრამ არასასურველი მატერიალურ-სამართლებრივი შედეგები, რომლებიც შეიძლება გამოიწვეულ იქნეს საქმის აღმდეგის ინიციატორის მიერ მტკიცების ვალდებულებების შეუსრულებლობით არ ვრცელდება პროკურორზე, რის გამოც, პროკურორს, მიუხედავად იმისა, რომ იგი არის სარჩელის აღმდეგის ინიციატორი, ვერ განვიხილავთ მტკიცების ტვირთის ვალდებულების მქონე სუბიექტად.

## ე. სასამართლო მტკიცების ტვირთის ვალდებულების მქონე სუბიექტი?

პროცესუალური თვალსაზრისით, სასამართლოებს (პირველი ინსტანციის სასამართლოები) მინიჭებული აქვთ განსაზღვრული უფლებები, კერძოდ, მათ შეუძლიათ შესთვაზონ მხარეებს წარმოადგინონ დამატებითი მტკიცებულებები საქმის მომზადების სტადიაზე. თუ მხარეებმა ამა თუ იმ მიზეზით ვერ შეძლეს მტკიცებულებების უშუალოდ მიღება და მათი სასამართლოში წარდგენა, მხარეთა შუამდგომლობით სასამართლოებს შეუძლიათ თავად გამოითხოვონ მტკიცებულებები, გისთანაც არ უნდა იმყოფებოდეს ისინი. სასამართლო არ მიიღებს, არ გამოითხოვს ან საქმიდან ამოიღებს მტკიცებულებებს, რომლებსაც საქმისათვის მნიშვნელობა არა აქვთ, დაბოლოს, მას, ერთადერთს, შეუძლია შეაფასოს საქმეზე შეგროვილი მტკიცებულებები, მათი უტყუარობის თვალსაზრისით. საპროცესო მოქმედებების შესრულების ეს არც ისე მცირე უფლებამოსილება საფუძვლიანად ბადებს კითხვას: ხომ არ არის სასამართლო მტკიცების ტვირთის ვალდებულების მქონე სუბიექტი, ხომ არ ეკისრება სასამართლოს ტვირთი იმ ფაქტების მტკიცებისა, რომელთაც აქვს მნიშვნელობა საქმის არსებითად გადაწყვეტისათვის?

— ამ კითხვაზე შეიძლება ორი სხვადასხვა პასუხის გაცემა. ერთი მხრივ, შეიძლება ვიფიქროთ, რომ სასამართლო არის მტკიცების ტვირთის ვალდებულების მქონე სუბიექტი, რომ იგი დადგენილად მიიჩნევს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ფაქტობრივ გარემოებებს. ამ მოსაზრების საპირისპიროდ შეიძლება ვამტკიცოთ, რომ მტკიცებაში სამოქალაქო პროცესი მოიაზრებს პროცესის მონაწილე სუბიექტების იმგვარ საპროცესო მოქმედებას, რომელიც მიმართულია საქმის ფაქტობრივი გარემოებების დასადგენად მტკიცებულებების მოპოვებაში და სასამართლოში წარმოდგენაში.

შეიძლება გადაუჭირდებლად ითქვას, რომ სასამართლო არ არის დამტკიცების მოვალეობის მქონე სუბიექტი. სასამართლოს მტკიცებითი

საქმიანობა განსხვავდება დამტკიცების მოვალეობის სუბიექტების საქმიანობისაგან. ეს განსხვავება იმაში გამოიხატება, რომ სასამართლოს საქმიანობა განპირობებულია კონკრეტულ საქმეზე მართლმსაჯულების განხორციელებით, კონკრეტულ საქმეზე დასაბუთებული და სამართლიანი გადაწყვეტილების მიღებით, ხოლო დამტკიცების მოვალეობის სუბიექტების საქმიანობა მთლიანადაა განპირობებული იმ ინტერესების დაცვით, რისთვისაც მათ სასამართლოში წარადგინეს სარჩელი ან/და შესაგებელი.

ამასთან, დამტკიცების ტვირთის სუბიექტმა სასამართლოს უნდა წარუდგინოს ისეთი მტკიცებულებები, რომლებიც დაადასტურებს იმ ფაქტების არსებობას ან არარსებობას, რომლის დამტკიცება მისი მოვალეობაა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ფაქტობრივი გარემოებების დაუმტკიცებლობით დამდგარი არახელსაყრელი მატერიალურ-სამართლებრივი შედეგის თავიდან ასაცილებლად. სასამართლოს კი, არ შეიძლება ფაქტის დაუმტკიცებლობით რაიმე არახელსაყრელი მატერიალურ-სამართლებრივი შედეგი დაეკისროს. სასამართლოს ევალება პროცესის ხელმძღვანელობა. საგულისხმოა, რომ თუ სასამართლო არ მიიღებს უკელა ზომას მტკიცების საგანში შემავალი ფაქტების დასადგენად ე.ი. არ გამოიკვლევს მხარეთა უფლება-მოვალეობებს, ზემდგომი ინსტანციის სასამართლო გააუქმებს გადაწყვეტილებას. თუმცა, ეს იმიტომ კი არ ხდება, რომ სასამართლომ ვერ შეასრულა სადავო ფაქტობრივი გარემოების დამტკიცების მოვალეობა, არამედ იმიტომ, რომ სათანადოდ ვერ განახორციელა მართლმსაჯულება, სწორად ვერ დაადგინა საქმის გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე ფაქტობრივი გარემოებები, რაც მიღებული გადაწყვეტილების კანონიერების შეფასების ქვაკუთხედია.

სასამართლო პრატიკაში არსებობს შემთხვევები, როდესაც რომელიმე მხარეთაგანი მოკლებულია შესაძლებლობას წარადგინოს მისი მოთხოვნის დამადასტურებელი მტკიცებულებები. ასეთ შემთხვევაში, სასამართლოს მხარეთა შუამდგომლობით შეუძლია თვითონ გამოითხოვოს, მტკიცებულებები ვისთანაც არ უნდა იყოს ისინი. ამასთან, სასამართლოს მხრიდან აღნიშნული ქმედებების განხორცილება მკაცრად რეგლამენტირებულია საპროცესო კანონმდებლობით. მსგავს შემთხვევბში, ამოსავალი პრინციპი ერთია – სასამართლო მოქმედებს დისპოზიციურობისა და მხარეთა თანასწორობის პრინციპებით დადგენილ ფარგლებში ე.წ. „ოქროს შუალედში” სასამართლოს პასიურ როლსა და მხარეთა აქტიურ როლს შორის. სასამართლოს ისეთი ქმედება, როგორიცაა მტკიცებულებათა შეგროვება არ შეიძლება განვიხილოთ, როგორც სასამართლოს მტკიცებითი საქმიანობა, ვინაიდან ასეთ შემთხვევაში, სასამართლო თავად იქნება მტკიცების ტვირთის ვალდებულების მქონე სუბიექტი.

მტკიცებით საქმიანობაში მოსამართლის როლი საქართველოში რეგულირებულია ისე, როგორც გერმანულ საპროცესო სამართლში, სადაც დომინირებს მტკიცებულებათა თავისუფალი შეფასების პრინციპი<sup>37</sup>. მტკიცებულებათა შეგროვების, კერძოდ, მოწმის დაკითხვის, ექსპერტიზის ჩატარების, აღგილზე დათვალიერებისა და სხვა წერილობითი მტკიცებულებების წარმოდგენის შემდეგ, მოსამართლე აფასებს მათ

<sup>37</sup> ZPO, §286, Гражданское Процессуальное Уложение Германии, перевод с немецкого, М, 2006, 95, 96.

თავისი შინაგანი რწმენით. მტკიცებულებათა შეფასების დროს მხედველობაში მიიღება არა მხოლოდ მტკიცებულებათა გამოკვლევის შედეგები, არამედ ზოგადად მთელი სამართალწარმოების განხორციელების შედეგი. მოსამართლე მტკიცებულებათა გამოკვლევისა და სამართალწარმოების ჩატარების შედეგად წყვეტს საკითხს საქმის ფაქტობრივი გარემოებების სისწორისა და უსწორობის შესახებ. მტკიცებულებათა თავისუფალი შეფასების პრინციპის შინაარსი მდგომარეობს იმაში, რომ სასამართლო დამოუკიდებელია მხარეთა მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებების უტყუარობის შეფასებაში<sup>38</sup>.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ მტკიცების ტკირთის ვალდებულების მქონე სუბიექტს არ წარმოადგენს სასამართლო. ამასთან, სასამართლოს მიერ მტკიცებულებათა შეფასება არ ექცევა და არც უნდა მოექცეს მტკიცების საზღვრებში და ამდენად იგი არ წარმოადგენს მტკიცების არსებით შემადგენელ ნაწილს.

#### **§4. მტკიცების ცნება და მისი შინაარსი**

##### **ა. მტკიცების ცნება, როგორც „მტკიცების ტკირთის“ შემეცნების საშუალება**

პრობლემათა გადაწყვეტაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს იურიდიული ცნებები. იურიდიული ცნებების ერთობლიობა, სამართლებრივი დებულებების გაწონასწორებული სტრუქტურა, რომელიც პრობლემათა გადაწყვეტაში მონაწილეობს, ემსახურება ჯერ კიდევ ზოგადად წარმოდგენილი სწორი შედეგის ახსნას, დაზუსტებას და ხშირად, შესწორებასაც.

„ფსიქოლოგიური თვალსაზრისით, ცნებას ხშირად განსაზღვრავენ როგორც „სიტყვის მნიშვნელობას“. მართლაც, უსიტყვო ცნება არ არსებობს. ცნებას ადამიანი განიცდის, როგორც სიტყვის მნიშვნელობას, მაგრამ სიტყვის მნიშვნელობის ყოველი განცდა როდია ცნება. ცნება ამ სიტყვის ზუსტი მნიშვნელობით, მხოლოდ ლოგიკური, ანუ მეცნიერული ცნებაა ე.ი. იმის რეალური ფსიქიკური განცდაა (ფსიქოლოგიური ეკვივალენტი ანუ „კორელატი“), რასაც ლოგიკაში ცნება ეწოდება. ასეთ ცნებას მეცნიერება აყალიბებს სათანადო მოვლენათა შესწავლისა და მათი არსებითი ნიშნების დადგენის შედეგად. ამიტომ, ნამდვილ ცნებებს „მეცნიერულს“ უწოდებენ. ადამიანი ცნებებს სწავლობს, ეუფლება მათ სათანადო ცოდნის შეძენის პროცესში. იმისათვის, რომ ადამიანი დაეუფლოს ნამდვილ ცნებას, რომ შეძლოს სათანადო მოვლენათა გააზარება კონკრეტული ცნების სახით ე.ი. ამ მოვლენათა არსებითი

<sup>38</sup> ი. მ. Heinz Thomas, Klaus Reichold, Hans Putzo, Rainer Husstege, Zivilprozessordnung, 24, neu bearbeitete Aufl, München, 2002, 495.

ნიშნების ერთობლიობის სახით, აუცილებელია ინტელექტუალური განვითარების საკმაოდ მაღალი დონე; სახელდობრ, ამისათვის ადამიანს განვითარებული უნდა ჰქონდეს აზროვნების ის მაღალი ფორმა, რასაც ლოგიკური, ანუ ცნებითი აზროვნება ეწოდება.<sup>39</sup>

თანამედროვე სამეცნიერო ლიტერატურაში, ასევე სასამართლო პრაქტიკაში ხშირად მიმართავენ ცნებათა იურისპრუდენციაზე დაფუძნებულ მსჯელობის მეთოდებს. ცნებათა იურისპრუდენციის თანახმად, იურიდიული აზროვნების სტილს ლოგიკა განსაზღვრავს. „ცნებების პირამიდა აგებულია ლოგიკის კანონების მიხედვით“. ცნებათა პირამიდას აქვს სამართლის წარმოების უნარი. სამართლის ნორმა გამომდინარეობს სამართლებრივი ცნებათა ლოგიკური დასკვნებიდან – სამართლის ნორმა სამართლებრივი ცნებების ლოგიკის შედეგია.<sup>40</sup>

სასამართლოში ყოველი კონკრეტული სამოქალაქო საქმის გადაწყვეტა უკავშირდება გარკვეული ფაქტების დადგენას. ფაქტების დადგენის აუცილებლობა გამოწვეულია სამართლით რეგულირებული ურთიერთობებიდან მხარეთა შორის წარმოშობილი კონფლიქტის (დავის) განხილვითა და გადაწყვეტილების მიღებით. სამართლებრივი ურთიერთობა წარმოშობა იურიდიული ფაქტების საფუძველზე ე.ი. ისეთი ფაქტების საფუძველზე, რომლებსაც სამართლის ნორმა გარკვეულ იურიდიულ შედეგს უკავშირდებს. სამოქალაქო საქმეზე სასამართლო ადგენს იმ გარემოებების არსებობას ან/და არარსებობას, რომლებიც ასაბუთებს ან აქარწყლებს მხარეთა მოთხოვნებს. სასამართლო ვერ გადაწყვეტს ვერც ერთ სამოქალაქო საქმეს, თუ მან წინასწარ არ დაადგინა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ფაქტობრივი გარემოებები. ამავე დროს, სასამართლოს ამოცანა მდგომარეობს საქმის არა უბრალოდ გადაწყვეტაში არამედ არსებითად და სამართლიანად გადაწყვეტაში. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ამ მხრივ, მართლმსაჯულება სამოქალაქო საქმეზე ემსახურება პროცესის სამართლიან დასრულებას. ამ მიზნის მიღწევის წინა პირობად განიხილება სასამართლოს მიერ საქმის გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოების შემეცნება და მათი დადგენა.

სადაც სამოქალაქო საქმის გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე ფაქტების დადგენა, მათი გამოკვლევა და ბოლოს, მათი შემეცნება ხორციელდება უმთავრესად მტკიცების გზით. ამ თვალსაზრისით, მტკიცების პროცესი, რომელიც მიმდინარეობს საერთო „გნოსეოლოგიურ“<sup>41</sup> კანონზომიერებათა შესაბამისად წარმოადგენს შემეცნების ერთ-ერთ სახეს.

გამომდინარე იქიდან, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართლი განიცდის კონტინენტური ევროპის ქვეყნების სამოქალაქო საპროცესო სამართლის გავლენას, საკალებ საკითხთან მიმართებით საინტერესოა თუ რას მოიაზრებს მტკიცების ცნებაში გერმანული საპროცესო სამართლის თეორია:

<sup>39</sup> შეად. პედაგოგიური ფსიქოლოგია, ნაწილი I, რედ., ჩხარტიშვილი შ, თბ, 1962, 121-123.

<sup>40</sup> შეად. ხუბუა გ, სამართლის თეორია, თბ, 2004, 180.

<sup>41</sup> გნოსეოლოგია (ბერძ. gnosis ცოდნა და logos მოძღვრება) – ფილოსოფიური მოძღვრება მეცნიერული შემეცნების შესაძლებლობათა და საშუალებათა შესახებ; შემეცნების თეორია. იხ., უცხო სიტყვათა ლექსიკონი, შემდგენელი ჭაბაშვილი გ, თბ, 1964, 91.

„მხარეებისა და სასამართლოს საქმიანობა, რომელიც მიმართულია მტკიცებულებათა წარმოდგენის, შეგროვების, გამოკვლევისა და შეფასებისაკენ გერმანულ მტკიცებულებათა თეორიაში იწოდება მტკიცებად“<sup>42</sup>. „დაამტკიცო - ნიშნავს დაარწმუნო სასამართლო წარმოდგენილი ფაქტების სისწორეში“<sup>43</sup>, „ფაქტის სისწორის კვალდაკვალ მოსამართლე რწმუნდება ფაქტობრივი გარემოებების სისწორეშიც. მოსამართლის დარწმუნებაში გერმანული სამართალწარმოება მოიაზრებს „სრულ დარწმუნებას“<sup>44</sup>.

ზემოაღნიშნული გვაძლევს საფუძველს დავასკვნათ, რომ მტკიცება სამოქალაქო საქმეში მონაწილე სუბიექტთა და სასამართლოს იმგარი საქმიანობაა, რომელიც მიმართულია საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ფაქტობრივი გარემოებების დასადგენად მტკიცებულებათა შეგროვებისა და გამოკვლევისათვის.

### **ა. მტკიცება, როგორც საქმის გარემოებების დადგენის საპროცესო მოქმედება და არა როგორც საქმეზე ობიექტური ჯეშმარიტების მიღწევის საშუალება**

ადამიანის ცნობიერება განუსაზღვრელია, რის გამოც, აბსოლუტური ჯეშმარიტების მიღწევა სასამართლო პროცესუალურ შემეცნებაში, როგორც ადამიანთა შემცნების ერთ-ერთ სახეობაში, ყოველთვის არ არის შესაძლებელი. ამიტომ, პრაქტიკული მუშაობისას აუცილებელი არ არის საქმეზე არსებული მონაცემების აბსოლუტური სიზუსტით დადასტურება. მთავარია, მხოლოდ ვარაუდის იმგვარი ხარისხი, რომელიც ნათელს მოჰყენს განსახილველ საქმეს და გაფანტავს ეჭვებს. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ მხოლოდ ვარაუდი, რომელიც საფუძვლად უდევს კონკრეტულ ფაქტებს არ შეიძლება საფუძვლად დაედოს სასამართლოს გადაწყვეტილებას<sup>45</sup>. საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ფაქტობრივი გარემოება შეიძლება საფუძვლად დაედოს სასამართლო გადაწყვეტილებას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოსამართლე დარწმუნდება ამ ფაქტობრივი გარემოების ნამდვილობაში. არ უნდა შეგვექმნას შთაბეჭდილება, თითქოს მოსამართლე ინდივიდუალურად აფასებს წარდგენილ ფაქტობრივ გარემოებებს, ანუ მათი შეფასება არ ექვემდებარება რაციონალურ კონტროლს. მოსამართლის წინაშე არსებული ამოცანა უფრო მეტია, ვიდრე წარდგენილი იურიდიული ფაქტების (მტკიცებულებების) სუბიექტური შეფასება. სწორედ ობიექტური გარემოებები წარმართავს მოსამართლის

<sup>42</sup> იხ., Елисеев Н. Г, Гражданское процессуальное право зарубежных стран, М, 2004, 246.

<sup>43</sup> იხ., ხოვერია ნ, მტკიცებულებათა თეორია გერმანიის სამოქალაქო საპროცესო სამართალში, ლილუაშვილი თ, საიუბილეო კრებული „75“, თბ, 340.

<sup>44</sup> შეად. Rosenberg, L. Die Beweislast, 5 aufl, München, Berlin, 1965, 4. მითითებულია დისერტაციიდან: Frohlich, D. Beweisvereitelung im Zivilprozess. Inaugural-Dissertation zur Erlangung der Wurde eines Doc. iuris der Julius-Maximilians-Universität, Würzburg, 2008, 2. ხელმისაწვდომია <<http://opus.bibliothek.uni-wuerzburg.de/volltexte/2009/3706/pdf/dissFroehlich.pdf>> (22.10.2010).

<sup>45</sup> იხ., Гражданский Процесс Зарубежных Стран, под редакцией Давтян А. Г, М, 2008, 58.

შინაგანი რწმენის ჩამოყალიბებას<sup>46</sup>. მტკიცების როლი ერთნაირადაა ქართული და გერმანული საპროცესო სამართლის თეორიაში. კერძოდ, გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის §286(1) თანახმად, სასამართლომ სხდომის ოქმების, წარდგენილი მტკიცებულებების გათვალისწინებით და თავისი შინაგანი რწმენით უნდა განსაზღვროს, საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ფაქტობრივი გარემოება დადგენილად. სასამართლოს გადაწყვეტილებაში უნდა მიეთითოს ის საფუძვლები, რომლითაც იხელმძღვანელა სასამართლომ<sup>47</sup>. გერმანული სამოქალაქო საპროცესო სამართლის თეორია ერთმანეთისაგან განასხვავებს მტკიცებას ვიწრო გაგებით და მტკიცებას პროცესუალური გაგებით. ვიწრო გაგებით მტკიცებაში მოიაზრება მოსამართლის პრაქტიკული საქმიანობა, რომლის შედეგად, მოსამართლეთა შინაგანი რწმენა ყალიბდება არა ინტუიციის, უანგარო გრძნობის, ინსტიქტის, შინაგანი ხმის სახით, არამედ არის შეგნებული დაჯერება საქმის გარემოებებში, საქმეზე გადაწყვეტილების სისწორეში, დაჯერება დაფუძნებული ობიექტზე საფუძველზე, საიდანაც გამომდინარეობს სახელდობრ მხოლოდ ასეთი და არა სხვა რომელიმე გადაწყვეტილება. რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, ქართული და გერმანული საპროცესო სამართლისაგან რადიკალურად განსხვავებული როლით ხასიათდება მტკიცება საფრანგეთის სამოქალაქო საპროცესო სამართალში, მით უფრო იმის ფონზე, რომ საფრანგეთში მოქმედი სამართლებრივი სისტემა, იურიდიულ ლიტერატურაში მიღებული კლასიფიკაციის თანახმად, მიეკუთვნება რომაულ-გერმანულ სამართლებრივ სისტემას:

თანამედროვე ფრანგული სამოქალაქო საპროცესო სამართალი მტკიცებით საქმიანობაში ხასიათდება მოსამართლის აქტიური როლით. საფრანგეთის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლიდან პირდაპირ გამომდინარებს მოსამართლის მიერ ობიექტზე ჰეშმარიტების დადგენის ვალდებულება<sup>48</sup>. მტკიცებად იწოდება ისეთი საპროცესო მოქმედება, რომლის მიზანი მდგომარეობს სასამართლოს მიერ სადაცო ობიექტზე ჰეშმარიტების შემეცნებაში. საფრანგეთის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-10 მუხლით დადგენილია პროცესის მონაწილეთა ვალდებულება დაეხმაროს სასამართლოს ჰეშმარიტების დადგენაში. თავის მხრივ, ჰეშმარიტების დადგენა დამოკიდებულია მტკიცების საგნის განსაზღვრაზე ანუ, იმ ფაქტების ერთობლიობაზე, რომელიც სამართლის შესაბამისი ნორმა უკავშირებს განსაზღვრულ იურიდიულ შედეგს<sup>49</sup>. იქედან გამომდინარე, რომ შეჯიბრებითობა გულისხმობს მტკიცების პროცესში მხარეთა აქტიური შესაძლებლობის უზრუნველყოფას, სადაც გადაწყვეტილებას პროცესუალურ „შეჯიბრში“ მონაწილეობის თაობაზე

<sup>46</sup> ი. ხან-იოახიმ მუსიელაკ. Grundkurs ZPO, 2 Auf, 1993, 252.

<sup>47</sup> ZPO, §286 (1), Гражданское Процессуальное Уложение Германии, перевод с немецкого, М, 2006, 96.

<sup>48</sup> ი. ხან-იოახიმ მუსიელაკ. Grundkurs ZPO, 2 Auf, 1993, 252.

<sup>49</sup> იქვე: 18, 19.

დებულობს თვითონ მხარე, ამიტომ ძნელია გავამართლოთ აღნიშნული თეზისის ლოგიკურობა<sup>50</sup>.

ქართული და გერმანული საპროცესო სამართლის შედარება ფრანგულ საპროცესო სამართლთან, გვაძლევს საფუძველს ვამტკიცოთ, რომ განსხვავებით ფრანგული საპროცესო სამართლისაგან, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართლში მტკიცება, როგორც ერთ-ერთი უმნიშვნელოვანი და ძირეული საპროცესო მოქმედება, წარმოგვიდგება, როგორც განსახილველი საქმის გარემოებების დადგენის საპროცესო მოქმედება და არა როგორც საქმეზე ობიექტური ჭეშმარიტების მიღწევის საშუალება<sup>51</sup>. უნდა ითქვას ისიც, რომ მტკიცების როლის ამგვარი შინაარსი აბსოლიტურ შესაბამისობაშია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართლში მოქმედი შეუზღუდავი შეჯიბრებითობის პრინციპთან, რომლის მოქმედების პირობებში, მართლმსაჯულება ყოველ კონკრეტულ საქმეზე გულისხმობს არა ობიექტური ჭეშმარიტების დადგენას, არამედ პროცესის სამართლიან დასრულებას.

**გ. მტკიცებულებათა შეფასება, როგორც მტკიცების ტკირთის გალდებულების შესრულება თუ, საქმის ფაქტობრივი გარემოებების შემუცნების აუცილებელი წინა პირობა**

მტკიცებულებათა შეფასება მოიცავს მოსამართლის აზროვნების პროცესს და ექვემდებარება იმ წესებს, რომლებიც არ შეიძლება გახდეს სამართლებრივი რეგულირების საგანი, იგულისხმება მოსამართლის შინაგანი რწმენა. შეუძლებელია ერთ პროცესუალურ კატეგორიაში გავაერთიანოთ მტკიცებულებათა „შეგროვება“ და მათი „შეფასება“.

მტკიცებულებათა თავისუფალი შეფასების პრინციპი მოქმედებს გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობაში და მისი მოქმედება ვლინდება მხარეთა მიერ მტკიცების საგნის განსაზღვრაშიც<sup>52</sup>. კერძოდ, საქმის ფაქტობრივი გარემოებები შესაძლოა საფუძვლად დაედოს სასამართლოს გადაწყვეტილებას, თუ მოსამართლე დარწმუნებულია მათ სისწორეში. არ უნდა ვიფიქროთ, რომ მოსამართლე ეყრდნობა რაციონალურ

<sup>50</sup> მაგრამ როგორ დავიცვათ სუბიექტური უფლება (თავისუფლება, ინტერესები) მათი რეალურად არსებობის, მათი დარღვევის დადგენისაგან დამოუკიდებლად? არ შეიძლება დავიცვათ სიცარიელე, მოტყუებითი შეხედულება, რომელსაც ქმნის ეკონომიკურად უფრო ძლიერი და იურიდიულად შეიარღებული მხარე. გარკვევით უნდა გვესმოდეს, რომ ზიანს არ გამოიწვევს არც ბრიტანეთის, არც საფრანგეთის მათლმსაჯულება თუ მისი მისწრავება იქნება ობიექტური ჭეშმარიტების დადგენა. იხ., Jolowicz J. A, The Woolf Report and the Adversary System, CIQ, Vol. 15, 1996, 201.

<sup>51</sup> საწინააღმდეგო მოსაზრებას ავითარებდა პროფ. თ. ლილუაშვილი, რაც გამოწვეული იყო 1964 წლის საქართველოს სსკის სამოქალაქო საპროცესო კოდექსში განმტკიცებული ფუნდაქტებური პრინციპებით. შეად. ლილუაშვილი თ, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართლი, თბ, 1992, 126.

<sup>52</sup> შეად. ხოჭერია ნ, მტკიცებულებათა თეორია გერმანიის სამოქალაქო საპროცესო სამართლში, ლილუაშვილი თ, საიუბილეო კრებული „75“, თბ, 347.

კონტროლს დაუქვემდებარებელ თვითშეფასებას. წარმოდგენილი იურიდიული ფაქტების (მტკიცებულებების) უტყუარობის საკითხის გარკვევისას სასამართლოს ამოცანა სცდება სუბიექტური შეფასების ჩარჩოებს და შინაგანი რწმენა ყალიბდება ობიექტურ საფუძველზე<sup>53</sup>.

მტკიცებულებათა შეგროვებისა და მათი გამოკვლევის მიზნით განხორციელებული საქმიანობა ემიჯნება მტკიცებულებათა შეფასებას. თავის მხრივ, მტკიცებულებათა შეფასება, რომელიც არ ემორჩილება მხოლოდ და მხოლოდ აზროვნების ობიექტურად არსებულ წესებს, წარმოადგენს საქმის ფაქტობრივი გარემოებების შემეცნების აუცილებელ წინა პირობას. საგულისხმოა, რომ კონკრეტულ სადაცო საქმეზე დადგენილი გარემოებების შემეცნებისათვის მხოლოდ აზროვნების წესების დაცვა საქმარისი არ არის. ამისათვის, ასევე აუცილებელია სწორი, თანამიმდევრული, დასაბუთებული და ყოველგვარი სუბიექტური ფაქტორებისაგან განთავისუფლებული მსჯელობა. უნდა აღნიშნოს ისიც, რომ სინამდვილის შემეცნებისათვის მნიშვნელოვანია აგრეთვე, ლოგიკური აზროვნების უნარიც. გამომდინარე იქიდან, რომ აზროვნების წესები ეს არის ობიექტურად არსებული კანონები, ისინი ნორმატიულ რეგულირებას არც ექვემდებარება და ამას არც საჭიროებს; ნორმატიული აქტები და, კერძოდ, ის აქტები, რომლებიც მტკიცებულებათა შეფასების საკითხებს არეგულირებს გადამწყვეტ როლს ასრულებს სასამართლო მტკიცების პროცესში.

ლოგიკურად მტკიცებულებათა შეფასება არის სადაცო საქმის ნამდვილი ფაქტობრივი გარემოებების დადგენისა და შემდგომ მათი სამართლებრივი დასაბუთების თანამიმდევრული პროცესი. თუმცა, სასამართლო მტკიცების ცნების ამგვარი გაგება, თავის მხრივ, ეწინააღმდეგება სამოქალაქო საპროცესო სამართლის კანონმდებლობით დადგენილ იმ დებულებას, რომლის თანახმად, მტკიცების ტვირთი (მოვალეობა) ეკისრებათ მოდავე მხარეებს, მტკიცებულებათა წარმოდგენა, ასევე შეუძლიათ საქმეში მონაწილე სხვა პირებს, ხოლო მათი შეგროვება შეუძლია მხოლოდ სასამართლოს, რომელიც, ამავდროულად, აფასებს წარმოდგენილ მტკიცებულებებს თავისი შინაგანი რწმენით. კანონის აღნიშნული დებულება გვაძლევს საფუძველს ვიფიქროთ, რომ სასამართლო მტკიცება ობიექტურად არსებული სინამდვილის შემეცნების პროცესია და მიუხედავად იმისა, რომ ამ პროცესის სხვადასხვა მონაწილე სხვადასხვა ფუნქციას ასრულებს, ყველა მათგანის საქმიანობა მიმართულია ერთი მიზნისაკენ – გაირკვეს და დადგინდეს განსახილველი სამოქალაქო საქმის ფაქტობრივი გარემოებები.

ობიექტური სინამდვილის შემეცნება შესაძლებელია ორი გზით მოვახდინოთ, კერძოდ, უშუალო ან/და შუალობითი შემეცნებით.

უშუალო შემეცნება დაკავშირებულია შეგრძნებასთან, აღქმებთან. იმასთან, რასაც ჩვენ ვხედავთ, ვისმენთ, ვყნოსავთ, შევეხებით და სხვა გარე სინამდვილის საგნები და მოვლენები ახდენს რა ზემოქმედებას ჩვენი გრძნობის ორგანოებზე, ცნობიერებაში აღქმის ფორმით აისახება. აღქმა ჩვენი ცოდნის, ჩვენი გამოცდილების ერთ-ერთი ყველაზე ძირითადი წყაროა

<sup>53</sup> იხ., Гражданский Процесс Зарубежных Стран, под редакцией Давтян А. Г, М, 2008, 69, 70.

ინფორმაციისა. ინფორმაცია აზროვნების აღქმაში მოცემულ მასალას უნდა დაემყაროს, რომ გრძნობადი სამყაროს საფუძველში არსებულ კანონზომიერებას მისწვდეს. მეხსიერებასაც არაფერი ექნებოდა გასაკეთებელი, რომ იგი აღქმიდან არ დებულობდეს შთაბეჭდილებებს მისთვის დამახასიათებელი პროცესებისათვის. სწავლა პირადი დაკვირვების საგანს ეხება თუ იგი საკაცობრიო გამოცდილებას, სულ ერთია, იგი ყოველთვის აღქმით იწყება: მოვლენა თვალით უნდა ვნახოთ, ინფორმაცია ყურით უნდა მოვისმინოთ. უშუალო ცოდნა ეყრდნობა ცოცხალ განჭვრეტას, რომელიც გვაძლევს ცოდნას სინამდვილის მოვლენების გარეგანი, ზედაპირული თვისებების შესახებ. მაგრამ, როდესაც ამა თუ იმ მოვლენის დადგენა უშუალო შემეცნების გზით შეუძლებელია, მაშინ მიმართავენ ე.წ. შუალობით შემეცნებას, როდესაც ჯერ წინასწარ დადგინდება გარკვეული გარემოებები, ხოლო შემდეგ მათი მეშვეობით - სხვა, ჩვენთვის საინტერესო გარემოებები<sup>54</sup>.

სასამართლო შემეცნების ფორმების თვალსაზრისით საქმის არსებითად გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებები შეიძლება დავყოთ ორ ჯგუფად:

1. გარემოებები, რომლებიც განაგრძობენ არსებობას სასამართლოს მიერ საქმის განხილვა-გადაწყვეტისას (ე.ი. აწმყოს ფაქტები) და ამიტომ, შესაძლებელია მათი დადგენა გრძნობადი აღქმის გზით;

2. გარემოებები, რომლებსაც ადგილი პქონდა წარსულში და ამიტომ, შეუძლებელია მათი დადგენა უშუალო შემეცნების გზით. ასეთი ფაქტები შეიძლება დადგინდეს მხოლოდ გაშუალებული გზით, მტკიცებულების გამოყენებით.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა ითვალისწინებს ზემოთ აღნიშნულ ორივე სახის გარემოებათა დადგენის წესს. უნდა აღნიშნოს ისიც, რომ კანონმდებელი მთელ რიგ სამართლებრივ პრინციპებთან ერთად, მხედველობაში იღებს თვით დასადგენი გარემოების ხასიათს და მისი შემეცნების ფორმების თავისებურებას. მაგალითად, თუ დასადგენ გარემოებას ადგილი აქვს აწმყოში, საქმის სასამართლოში განხილვის მომენტში და ამასთან ერთად, მისი გრძნობადი აღქმა შესაძლებელია, კანონი ითვალისწინებს ფაქტის ასეთი გზით დადგენის შესაძლებლობას და წესს. კერძოდ, საქართველოს სსკ-ის 159-ე მუხლი ითვალისწინებს ნივთიერ მტკიცებულებათა ადგილზე დათვალიერებას, რომელსაც მოახდენს პირველი ინსტანციის სასამართლო ერთპიროვნულად, ხოლო საპელაციო სასამართლო – კოლეგიური შემადგენლობით. ადგილზე დათვალიერების შედეგები შეიტანება სასამართლო სხდომის ოქმში, რომელსაც, ასევე დაერთვის დათვალიერების დროს შედეგენილი გეგმები, ნახაზები, სურათები. სასამართლოს მიერ საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების გრძნობადი აღქმის გზით დადგენის დასაშვებობა შეიძლება იმით დასაბუთდეს, რომ ასეთი აღქმისას საჭირო არ არის ლოგიკური, აზრობრივი პროცესის ჩარევა, რადგან ზედაპირულ საფეხურზე ხდება ფაქტის მხოლოდ კონსტატაცია. ეს ფაქტი ერთნაირად აღიქმება, როგორც სასამართლოს, ისე საქმეში მონაწილე პირების მიერ, რის გამოც, მათ არ

<sup>54</sup> შეად. პედაგოგიური ფსიქოლოგია, ნაწილი I, რუს, ჩხარტიშვილი შ. თბ, 1962, 37.

შეიძლება დაებადოთ ეჭვი აღქმის შესაბამისობაში აღსაქმელ საგანთან. არასდროს არ დგას სინამდვილესთან ადამიანის ფსიქიკა ისე ახლოს, როგორც ამ სინამდვლის აღქმის შემთხვევაში: აქ სინამდვილე პირდაპირ მოქმედებს ჩვენზე და აღქმამ ამ სინამდვლის მაქსიმალურად უშუალო ასახვა უნდა მოგვცეს<sup>55</sup>. საგულისხმოა ისიც, რომ გრძნობადი აღქმის შესაძლებლობები შეზღუდულია გრძნობის ორგანოების ბუნებრივი შესაძლებლობით. მაგალითად, ჩვენ არ შეგვიძლია გავიგონოთ ძლიერი, მაგრამ ჩვენგან გარკვეული მანილით დაშორებული ხმა. შეზღუდულია, აგრეთვე მხედველობითი აღქმა და ა.შ. ადამიანი, მართალია, შეზღუდულია თავისი გრძნობების ორგანოების ფიზიოლოგიური საზღვრებით, მაგრამ ამის გამო, სავსებით არ არის შეზღუდული თავის შემეცნებაში. ტექნიკური საშუალებების გამოყენებით ის აფართოებს თავის აღქმასა და შემეცნებას დაუსრულებლად ბუნებრივი შესაძლებლობების საზღვრებს იქით<sup>56</sup>. სწორედ უშუალო აღქმის შესაძლებლობების შეზღუდულობის გამო, შემეცნების მთავარი გზა აზროვნებაა, რაც სინამდვილის გაშუალებულ ასახვას წარმოადგენს. სასამართლო მტკიცება სწორედ გაშუალებული ასახვაა სინამდვილისა.

სამართალწარმოებაში არამარტო უშუალო შემეცნება, არამედ მტკიცების პროცესიც, როგორც გაშუალებული შემეცნება, რეგულირდება კანონით. კერძოდ, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლით დადგენილი მტკიცების ტვირთის განაწილების ზოგადი რეგულაციით, რომლის დანაწესით, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს ის გარემოებები, რომლებზედაც იგი ამჟარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს.

აღნიშნული გვაძლევს საფუძველს დაგასკვნათ, რომ სასამართლო მტკიცება ისეთი საპროცესო მოქმედებაა, რომელიც მოიცავს მტკიცებულებათა შეგროვებას, შემოწმებასა და შეფასებას. სასამართლოსა და საქმეში მონაწილე სუბიექტების ეს საპროცესო მოქმედება მოწერილებულია საპროცესო კოდექსით და მისი მიზანია საქმის გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების დადგენა. სასამართლო ახდენს ფაქტების შეფასებას სამართლის ნორმის საფუძველზე, ხოლო შინაგანი რწმენა საფუძვლად უდევს მტკიცებულებების შეფასებას. საგულისხმოა ისიც, რომ მტკიცებულებების შეფასება ხდება ძირითადად ორი თვალსაზრისით, კერძოდ, მათი უტყუარობის და იმ თვალსაზრისით თუ რა მსჯელობა გამომდინარეობს მათ საფუძველზე დასადგენი სამართლებრივი ფაქტის არსებობა-არარსებობის შესახებ. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი განსაზღვრავს მტკიცებულებათა შეფასების ზოგად წესს, ვინაიდან, მტკიცებულებათა შეფასება ეფუძნება აზროვნების ობიექტურ წესებს, რომლებსაც სწავლობს ლოგიკა და, რომლებიც არ საჭიროებს ნორმატიულ-სამართლებრივ რეგულირებას.

<sup>55</sup> იხ., უზნაძე დ, ზოგადი ფსიქოლოგია, თბ, 1980, 463.

<sup>56</sup> იხ., მუზრულიძე კ, აზროვნების სოციოლოგიის ძირითადი პრობლემები, თბ, 1965, 218.

**§5. მტკიცების ტვირთისა და მტკიცების საგნის მჭიდრო ურთიერთკავშირი და მათი ურთიერთგამიჯვნის პრობლემა (ქართული და უცხოური სამართლის მიხედვით)**

**ა. მტკიცების საგანი და მისი მნიშვნელობა სამართალწარმოებისას**

ზოგადი წესის თანახმად, „საჭიროა ზედმეტი საპროცესო ღონისძიებების თავიდან აცილება, რადგან ისინი ზედმეტად ტვირთავენ მხარეებსა და სასამართლოებს და ეწინააღმდეგებიან პროცესის ეკონომიის პრინციპს“<sup>57</sup>, რომლის მიხედვითაც, სასამართლო მტკიცებულების სახით მიიღებს მხოლოდ იმ ფაქტებს, რომლებიც საბოლოო ჯამში, საფუძვლად უნდა დაედოს სასამართლო გადაწყვეტილებას. ეს მოკლე მონახაზი მიგვანიშნებს სასარჩელო განცხადებასა და გადაწყვეტილებას შორის არსებულ კავშირზე. სასარჩელო განცხადება უნდა შეესაბამებოდეს მატერიალური მოთხოვნის საფუძველს. მასში ისე ნათლად უნდა იყოს წარმოჩენილი მოსარჩელისათვის სასურველი საპროცესო მიზანი, რომ სასამართლომ შესძლოს მისი გათვალისწინება. ამიტომ, მხედველობაშია მისაღები მტკიცების საგნის ზუსტი ფორმულირება და შესაბამისად, მხარეთა შორის მტკიცების ტვირთის განაწილება.

დაისმის კითხვა – რა კრიტერიუმების საფუძველზე შეირჩევა ის ფაქტები, რომლებიც მნიშვნელოვანია საქმის გადაწყვეტისათვის?

– საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 104-ე მუხლის შესაბამისად, დაუშვებელია მტკიცებულებათა შეგროვება იმ ფაქტობრივ გარემოებებზე, რომლებსაც მნიშვნელობა არა აქვს საქმეზე გადაწყვეტილების გამოტანისათვის. ეს წესი ვრცელდება არა მხოლოდ მტკიცებულებათა შეგროვებაზე, არამედ მხარეთა მიერ მოხსენებული საქმის ფაქტობრივ გარემოებებზეც. იგი მოქმედებს, როგორც მხარეთა სასარგებლოდ (იცავს მათ ზედმეტი დროის ხარჯვისა და სასამართლო ხარჯებისაგან), ისე მართლმსაჯულების ინტერესების სასარგებლოდ, რათა თავიდან იქნეს აცილებული ზედმეტი საპროცესო ღონისძიების განხორციელება.

მხარეები საქმის ფაქტობრივი გარემოებების მოხსენებით მოსამართლეს წინასწარ ბოჭავენ და თავადვე განსაზღვრავენ საქმის ფაქტობრივი გარემოებების შემეცნების ფარგლებს (მასშტაბებს). მიუთითებენ იმაზე თუ საქმის რომელ ფაქტობრივ გარემოებებზე უნდა იქნეს გამოტანილი გადაწყვეტილება. თავის მხრივ, გადაწყვეტილება შედგება ძირითადად ორი ნაწილისაგან: კონკრეტული საქმის (შემთხვევის) ფაქტობრივი გარემოებებისა და ნორმის აღწერილობითი ნაწილისაგან, რომლის შეფარდება სამოსამართლო უფლებამოსილების სფეროს განეცუთვნება. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 178-ე მუხლის „თ“

<sup>57</sup> იხ., ბიოლინგი პ. ლუტრინგბაუები პ. შატბერაშვილი ლ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ცალკეული მოთხოვნის სისტემური ანალიზი, თბ, 2005, 163.

ქვეპუნქტი კი, ავალდებულებს მოსარჩელეს, სარჩელში მიუთითოს იმ სამართლებრივ საფუძვლებზე, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებს, თუმცა ასეთის მიუთითებლობა ან ფაქტობრივი გარემოებების არასწორი სამართლებრივი შეფასება არ შეიძლება იყოს სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველი. მხარის მიერ სარჩელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებების კონკრეტულ მატერიალურ-სამართლებრივ ნორმასთან შესაბამისობის დადგენა სასამართლოს უფლებაცაა და ვალდებულებაც. დავის სამართლებრივი შეფასებისას მოსამართლე სრულიად დამოუკიდებელია, განსხვავებით პროცესის ფაქტობრივ საფუძვლებზე მუშაობისაგან და არ არის შებოჭილი დისპოზიციურობის ან შეჯიბრებითობის პრინციპებით. შეჯიბრებითობისა და დისპოზიციურობის პრინციპიდან გამომდინარე, მხარეებს შეუძლიათ თავად განსაზღვრონ, აღძრან თუ არა დავა სასამართლოში, როგორ წარმართონ ან როგორ დაასრულონ იგი. მათ, ასევე შეუძლიათ თავად გადაწყვიტონ საქმის რომელი ფაქტობრივი გარემოებები მოახსენონ და რომელი მტკიცებულებები წარუდგინონ სასამართლოს. მხარეთა მიერ წარდგენილი მოთხოვნებისა და მოხსენებული ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება კი, მხოლოდ სასამართლოს პრეროგატივაა.<sup>58</sup>

ყველა ამ ზემოთ ჩამოთვლილ საპროცესო მოქმედებათა შორის უმთავრესია მტკიცების საგნის განსაზღვრა, ანუ იმ ფაქტობრივი გარემოებების კლასიფიკაცია, რომლებსაც სუბსუმცია, ანუ იურიდიული კვალიფიკაცია უნდა მიენიჭოს. მაგალითისათვის მოყიფვანთ მოთხოვნის კლასიკურ საფუძველს, რომელიც ფორმულირებულია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 477-ე მუხლში, როდესაც ნასყიდობის ხელშეკრულებით გამყიდველი მოვალეა გადასცეს მყიდველს საკუთრების უფლება ქონებაზე... და მიაწოდოს საქონელი. ეს ფორმულირება შეიცავს ფაქტობრივ გარემოებას და ადგენს სამართლებრივ შედეგსაც. სწორედ ამ შედეგის დადგენაში გვეხმარება მტკიცების საგანი, რომელსაც საბოლო ჯამში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება მხარეთა შორის მტკიცების ტვირთის განაწილებაში.

საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ფაქტების ჯგუფი განისაზღვრება განკუთვნებადობის პრინციპის საფუძველზე, რომლის თანახმად, საქმესთან დაკავშირებულად მიიჩნევა მხოლოდ ისეთი ფაქტები, რომლებსაც არსებითი მნიშვნელობა აქვს მხარეთა უფლებებისა და მოვალეობების გამოსავლენად და დასადგენად.

მაინც რა კრიტერიუმები განსაზღვრავს მტკიცების საგანს?

— მტკიცების საგნის განსაზღვრისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონეა სარჩელში და შესაგებელში მითითებული სადაცო, იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტები, მაგრამ თუ ამ ფაქტებს შორის არის ისეთებიც, რომლებიც შემხებლობაში არ არიან

<sup>58</sup> იურიდიული კვალიფიკაციისას მოსამართლე ადგენს მოცემულია თუ არა კონკრეტულ შემთხვევაში ამ ნორმისა და მოთხოვნის საფუძვლის შემადგენელი ნიშნები. მოსამართლე აგრეთვე, ამოწმებს, ემთხვევა თუ არა მის მიერ გადასაწყვეტი კონკრეტული საქმის ფაქტობრივი გარემოება იმ კანონის აბსტრაქტული ნორმის შემადგენლობას, რომელსაც იგი ამ კონკრეტულ შემთხვევაში იყენებს.

მხარეთა მოთხოვნებისა თუ, შესაგებლის შინაარსთან, ისინი არ შეიტანება მტკიცების საგანში.

ამასთან, მიგვაჩნია, რომ სარჩელის საგანი (მოთხოვნა) და მატერიალურ-სამართლებრივი ნორმა არ შედის მტკიცების საგანში. ეს ორივე კომპონენტი ეხმარება სასამართლოს განსაზღვროს სარჩელისა და შესაგებლის საფუძვლად მითითებული იმ სადაც ფაქტების იურიდიული მნიშვნელობა, რომლებიც შედის მტკიცების საგანში.

ამდენად, მტკიცების საგნის ფორმირება ხდება არა მარტო სარჩელი, არამედ ასეთივე მნიშვნელობის მქონეა შესაგებელში მითითებული სადაც, იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტებიც. ხოლო, თავის მხრივ, მტკიცების საგანში შემავალი ფაქტების იურიდიულ მნიშვნელობას განსაზღვრავს სასამართლო. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მტკიცების საგანში არ მოიაზრება ყველა ის ფაქტი, რომლებიც მნიშვნელოვანია საქმის „არსებითად სწორი“ გადაწყვეტისათვის, საქმეზე „ობიექტური ჭეშმარიტების“ დადგენისათვის, არამედ მხოლოდ ის ფაქტები, რომლებზედაც მიუთითებენ თავად საქმეში მონაწილე მხარეები (მოსარჩელე, მოპასუხე, მესამე პირები დამოუკიდებელი მოთხოვნით და მესამე პირები დამოუკიდებელი მოთხოვნის გარეშე). შეჯიბრებითობის პრინციპიდან გამომდინარე, მხოლოდ მხარეებს აქვთ უფლება განსაზღვრონ, თუ რომელი ფაქტობრივი გარემოებები უნდა დაედოს საფუძვლად მათ მოთხოვნებს და შესაგებელს და, რომელი მტკიცებულებებით უნდა დადასტურდეს მათ მიერ მითითებული სადაცოდექცეული ფაქტობრივი გარემოებები.

### **ბ. სასამართლოს როლი მტკიცების საგნის განსაზღვრაში**

ყურადღება უნდა გამახვილდეს სასამართლოს როლზე იმ კუთხით, რომ სასამართლოს ყოველი გადაწყვეტილება აუცილებლად სამართლებრივ საფუძველს უნდა ეყრდნობოდეს. ამ პროცესში გადამწყვეტ როლს ასრულებს მტკიცების საგნის სწორი განსაზღვრა<sup>59</sup>.

სამოქალაქო საპროცესო სამართლი ბოლო წლებში კონცეპტუალურად შეიცვალა. ახლა არავინ ითხოვს სასამართლოსაგან ობიექტური ჭეშმარიტების დადგენას. ახალი სამოქალაქო საპროცესო კოდექსით (1997წ.) სამოქალაქო საპროცესო წარმოება აგებულია არა სამძებრო, არა ინკვიზიციურ, არამედ შეჯიბრებითობისა და დისპოზიციურობის საწყისებზე. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლი განსაზღვრავს შეჯიბრებითობის პრინციპს, რომლის თანახმად, მტკიცების საგნის განსაზღვრა და მასში შემავალი ფაქტების დამტკიცების ტვირთი მთლიანად ეკისრებათ მხარეებს. „სამოქალაქო საპროცესო სამართლის დისპოზიციურობისა და შეჯიბრებითობის პრინციპები წარმოადგენენ პროცესში მონაწილე მხარეების

<sup>59</sup> იხ., ბიოლინგი პ. მოსამართლეთა სემინარი თემაზე: გადაწყვეტილების მიღების მეთოდიკა, ბაკურიანი, 2007, 14.

თვითინიციატივის გარანტიებს“<sup>60</sup> დისპოზიციურობის პრინციპი მხარეებს ანიჭებს თავისუფლებას – განკარგონ თავიანთი მატერიალური და საპროცესო უფლებები. ადრე მოქმედი სამართლებრივი კონცეფციისათვის არსებით და უმთავრეს პრინციპთა შორის გახლდათ ე.წ. ობიექტური ჭეშმარიტების მიღწევის პროცესუალური პრინციპი, რაც იწვევდა არა მხოლოდ ზოგადად ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დარღვევას, არამედ კერძო-სასამართლებრივი ურთიერთობის ისეთი პრინციპების დარღვევასაც, როგორიცაა ნების გამოხსატვისა და ნების ავტონომიურობის თავისუფლების დარღვევა. ობიექტური ჭეშმარიტების მიღწევის პრინციპის არსიდან გამომდინარე, სასამართლოს შეეძლო თავისი ინიციატივით გასულიყო სარჩელის საგნისა და სარჩელის საფუძვლის გარეთ. უფრო მეტიც, სასამართლოს უფლება პქონდა თვითონ აღეძრა საქმე. ობიექტური ჭეშმარიტების პრინციპი წარმოადგენდა ქცევის ზოგად წესს და იგი განსხვავდებოდა თვით ობიექტური ჭეშმარიტებისაგან – ყოველი საქმის განხილვის პროცესის მიზნისაგან. ობიექტური ჭეშმარიტების საგანს წარმოადგენდა ობიექტური სინამდვილის კონკრეტული ფაქტები. ჭეშმარიტება არ შეიძლებოდა შერეულიყო სასამართლოს დარწმუნებაში. ჭეშმარიტებაში მოიაზრებოდა სასამართლოს დასკვნის შესაბამისობა ობიექტურ სინამდვილესთან, ხოლო სასამართლოს დარწმუნებაში – ის, რომ კონკრეტულ საქმეზე სასამართლოს დასკვნის შესაბამისობა ობიექტურ ჭეშმარიტებასთან ნამდვილად არსებობდა. ობიექტური ჭეშმარიტების დადგენას ემსახურებოდა საბჭოთა საპროცესო კანონმდებლობის ყველა პრინციპი და მთელი პროცესი. ობიექტური ჭეშმარიტების პრინციპთან ერთად მოქმედებდა დისპოზიციურობისა და შეჯიბრებითობის პრინციპები, მაგრამ ობიექტური ჭეშმარიტების დადგენის მიზნიდან გამომდინარე, დისპოზიციურობისა და შეჯიბრებითობის პრინციპების დატვირთვა იყო სხვაგვარი, ვიდრე დღეს. მართლია, მოქმედებდა „ნების ბატობა“, „ნების ავტონომია“, მაგრამ ობიექტური ჭეშმარიტების დადგენის ფონზე საქმის გარემოებების განხილვა და გადაწყვეტილების გამოტანა არ იყო დამოკიდებული მხარეთა ნებაზე.

აღნიშნულ დებულების თეორიული დასაბუთების ბაზა შექმნეს მეცნიერ-პროცესუალისტებმა: მ. ელისეიკინმა, მ. შაქარიანმა, ე. მალცევმა, ი. პიატილეტოვმა, ვ. ბოიარინცევმა და სხვ. ისინი მიიჩნევდნენ, რომ მხარის გარდა, სამოქალაქო საქმის აღმვრის უფლება, სასამართლოსაც უნდა

<sup>60</sup> იხ., ხოვერია ნ, შეჯიბრებითობის პრინციპი სამოქალაქო საპროცესო სამართალში. დისპოზიცია იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, 1999, 9.

მინიჭებოდა.<sup>61</sup> აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით საბჭოთა პერიოდში სამეცნიერო წრეებში არ იყო ერთგვაროვანი მიღებომა<sup>62, 63, 64</sup>.

ამჟამინდელი სამოქალაქო საპროცესო კოდექსი აგებულია შეჯიბრებით საწყისებზე, რომლის საფუძველზე, სასამართლოში საქმის წარმოების დაწყების უფლებამოსილების მქონე სუბიექტები არიან მოდავე მხარეები (მოსარჩევე და მოპასუხე). მტკიცებულებათა გამოვლენა და შეგროვება ევალებათ მხარეებს. შეჯიბრებით სამართალწარმოებაში თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს<sup>65,66</sup>. დავის საგანი განისაზღვრება მხარეთა მიერ და სასამართლოს უფლება არა აქვს მოახდინოს მისი ტრანსფორმირება. ახალმა კოდექსმა ეს საკითხი 248-ე მუხლით განსაზღვრა და დაადგინა ქცევის წესი, რომლის თანახმად, სასამართლოს უფლება არა აქვს მიაკუთვნოს თავისი გადაწყვეტილებით მხარეს ის, რაც მას არ უთხოვია ან იმაზე მეტი, ვიდრე ის მოითხოვდა.

<sup>61</sup> *об.*, Елисейкин М., Право суда выйти за пределами требования, М., 1965; Шакарян М., Субъекты Советского Гражданского процессуального права, М., 1970; Мальцев Е., О праве суда (судья) на возбуждение Гражданских дел, Сборник учебных трудов Свердловского юридического института, Свердловск, 1975; Пиаталетов И., Право суда выйти за пределы исковых требований, М., 1978; Бояринцев В., Соотношение публичности и диспозитивности в судебном праве, диссертация на соискание ученой степени кандидата юридических наук, М., 1987.

<sup>62</sup> од зეროდზი სასამართლოსათვის საქმის აღმარის უფლების მინიჭების წინააღმდეგ გამოდიოდნენ გურვიჩი, შელეგოვი და სხვები. ი. კ., *Гурвич М. А.*, Принципы Гражданского процессуального права (система и содержание), Советское государство и право №12, 1977; *Щеглов В. Н.*, Принципы искового производства, Вопросы теории и практики Гражданского процесса, Саратов, 1976, 33.

<sup>63</sup> ბონერი აღნიშნავდა, რომ სასამართლოსათვის ამ უფლების მინიჭების შემდგომ სამოქალაქო სამართლწარმოების უმთავრესი პრინციპი – დისკონტიურობა – ფიქციად იქცეოდა. იხ., ბონერ ა. გ., Соотношение инициатива и активности сторон и суда в Советском Гражданском Судопроизводстве, советское государство и право, №8, 1983.

<sup>64</sup> საბჭოთა მროცესებალურ მცნიერებაში უმრავლესობას შეადგენდა მცნიერთა ის წრე, რომელებიც თეორიულად ასაბუთებდა მოსახლეობას, რომ სასამართლოს პქმონდა უფლება სასამართლო მოთხოვნის და საქმის განხილვის ფარგლებს გარეთ გასვლისა. ამ დებულების მომხრეები იყვნენ ელიტები, ბირჟი, პარტკავშირი, მატევაკი, ი. ე., Елисеевин M, Право суда выйти за пределами требования, М, 1965; Биркин M, Роль суда в обнаружения и собирания письменных доказательств по гражданским делам, М, 1977; Пиаталетов И, Право суда выйти за пределы исковых требований, М, 1978; Матиевский M, Осуществление диспозитивных правомочий в Свердловском Гражданском Процессе, Свердловск, 1980.

<sup>65</sup> იხ., ქორია გ., სასამართლო გადაწყვეტილებათა გადასინჯვის თეორიულ-პრაქტიკული კომენტარები საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მიხედვით, თბ., 2002, 27.

<sup>66</sup> საინტერესო გამონაკლისთან გვაქვს საქმე საქართველოს სსკის XLIV<sup>1</sup> თავში, რომელიც ითვალისწინებს პროცერორის მონაწილეობას სამოქალაქო საქმის განხილვაში და მისთვის სარჩელის აღმვრის მინიჭების უფლებამოსილებას, რაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსით გათვალისწინებულ ყველა თავისაგან გამოარჩევს აღნიშნულ თავს, რომელზედაც საუბარია ნაშრომის IV თავში.

## გ. მტკიცების საგნის განსაზღვრა, როგორც მტკიცების ტკირთის რეალიზების აუცილებელი წინა პირობა

საქმის გადაწყვეტა უშუალოდაა დაკავშირებულია იმ ფაქტების ჩამონათვალის სწორად განსაზღვრაზე, რომლებიც მტკიცების საგანია.

როგორ განისაზღვრება მტკიცების საგანი და თუ არსებობს მტკიცების საგნის განსაზღვრის წესთან დაკავშირებით ერთიანი მიდგომა საქართველოსა და გერმანიის სამოქალაქო საპროცესო სამართლის თეორიაში?

– საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალში მტკიცების საგანს შეადგენს ის გარემოებები, რომლებსაც პროცესუალურ სამართალურთიერთობებში წარმოადგენს სამართლებრივი ფაქტები. პრაქტიკული თვალსაზრისით, სამართლებრივი ფაქტის მნიშვნელობა მხოლოდ განსახილველი საქმის ფაქტობრივი გარემოების ცნებასთან არ იგივება. სამართლებრივი ფაქტი გულისხმობს იმასაც, თუ რა შედეგი მოჰყვა საქმის ფაქტობრივ გარემოებას. ამაზე ნათლად მეტყველებს სამართლებრივი ფაქტის სინონიმური მნიშვნელობით გამოყენებადი სიტყვა –

– საქმის ფაქტობრივი გარემოება, რომლის მნიშვნელობაზე მიუთითებს, აგრეთვე სინონიმური დანიშნულების მქონე სიტყვა – საქმის ფაქტობრივი შემადგენლობა. თუ სამივე სინონიმურ სიტყვას გავაერთიანებთ ერთ ცნებაში – ფაქტი, მაშინაც არ იქნება ადნიშნული ცნება სრულყოფილად განმარტებული, ვინაიდან იგი არ შეიცავს საპირისპირო არსებულს, აზრობრივად გაუთვითცნობიერებელს. სწორედ ამიტომ, ფაქტის ცნებას შეიძლება მიეწეროს ყველაფერი ის, რაც მატერიალურ სამყაროში არსებობს სინამდვილეში, მიუხედავად იმისა, ცნობილია თუ არა ჩვენთვის მისი არსებობა.

– საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართლისაგან განსხვავებით, გერმანული საპროცესო სამართლის თეორია მტკიცების საგანში მოიაზრებს არა მხოლოდ ფაქტებს, არამედ ასევე უცხო ქვეყნების სამართლებრივ ნორმებსაც.

ფაქტები შეადგენს სასამართლოს სილოგიზმს<sup>67</sup>; ეს არის კონკრეტული, დროსა და სივრცეში განსაზღვრული მოვლენა და გარეგანი სამყაროსა და ადამიანის სულის მდგომარეობა, რომლებიც სამართლებრივი ქმედების წანამდლვრად ქმნიან ობიექტურ სამართლს<sup>68</sup>.

ერთმანეთისაგან განასხვავებენ გარეგან და შინაგან ფაქტებს. შინაგან ფაქტებს წარმოადგენს განზრახვა, განსაზღვრული გარემოებების ცოდნა. სხვაობა შინაგან და გარეგან ფაქტებს შორის მდგომარეობს იმაში, რომ შინაგანი ფაქტები შესაძლოა მიუღწეველი იყოს და, როგორც წესი დაინდება გარეგანი ფაქტების მეშვეობით. მტკიცების საგანში შემავალი ფაქტები კლასიფიცირდება დადებით და უარყოფით ფაქტებად. მათი

<sup>67</sup> სილოგიზმი (ბერძ. syllogismos) დედუქციური დასკვნა, რომელშიც ორი მოცემული მსჯელობიდან (წანამდლვრიდან) გამოდის მესამე (დასკვნა). იხ., უცხო სიტყვათა ლექსიკონი, შემდგენელი ჭაბაშვილი გ, თბ, 1964, 350.

<sup>68</sup> იხ., Rosenbeg L, Schwab K, Gottwald P, Zivilprozessrecht, München, 2009, 638.

ამგვარი კლასიფიკაცია დამოკიდებულია მოვლენაზე ან ქმედებაზე, რომელსაც ადგილი პქონდა ან რომლებიც განხორციელდა, ან რომლებსაც ადგილი არ პქონია ან რომლებიც არ განხორცილებულა. გარდა ამისა, გერმანული საპროცესო სამართლის თეორიაში განსხვავებენ ფაქტებს, რომლებიც უშუალო კავშირშია გამოსაყენებელი ნორმის ფაქტობრივ შემადგენლობასთან და ირიბ ფაქტებს, რომლებსაც არა აქვს მნიშვნელობა საქმისათვის.<sup>69</sup>

როგორც ზემოთ აღინიშნა, მტკიცების საგანში მოიაზრება საზღვარგარეთის სამართალი (სხვა ქვეყნის გამოსაყენებელი სამართალი), თუკი იგი უცნობია სასამართლოსათვის<sup>70</sup>. მსგავს შემთხვევებში, სასამართლო ყველზე უფრო ხშირად ნიშნავს ექსპერტიზას, საზღვარგარეთის სამართლის კონკრეტულ დარგში კვლევის ჩასატრებლად.

როგორც ვხედავთ, გერმანიის სამოქალაქო საპროცესო სამართლის თეორია მისთვის დამახასიათებელი სიზუსტით აღწერს მტკიცების საგანში შემავალი ფაქტების რაობას და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართლისაგან განსხვავებით, მტკიცების საგანში მოიაზრებს არა მხოლოდ ფაქტებს, არამედ ასევე გამოსაყენებელი უცხო ქვეყნის სამართალსაც. რაც საინტერესოა საქართველოს საპროცესო სამართლისათვის არსებული გლობალიზაციის პირობებში, კერძოდ, ადგილობრივი ფიზიკური და იურიდიული პირები სახელშეკრულებო ურთიერთობებში შედიან უცხო ქვეყნის ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან, რაც გარკვეულ შემთხვევებში წარმოშობს დავებს და შესაბამისად ქმნის, როგორც ეროვნული სამართლის, ისე უცხო ქვეყნის სამართლის გამოყენების გარდაუვალობას; სხვა ქვეყანაში მოქმედი სამართლის, ჩვეულებითი სამართლის, წესდების გამოყენება საჭიროებს მტკიცებას, იმ თვალსაზრისით, რომ ისინი უცნობია ეროვნული სასამართლოებისათვის. ამგვარი სამართლებრივი ნორმების შინაარსის დადგენის შემთხვევაში, სასამართლო არ არის შემოფარგლული მხარეთა მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებით, სასამართლო უფლებამოსილია გამოიყენოს სხვა წყაროებიც.

მტკიცების საგნის სწორად განსაზღვრას აქვს პრაქტიკული მნიშვნელობა გამომდინარე იქიდან, რომ ერთი მხრივ, მტკიცების საგნის შევიწროება ნიშნავს საქმის არსებითი ხასიათის გარემოებათა ერთი ნაწილის დატოვებას ჯეროვანი გამოკვლევის გარეშე, რაც საბოლოოდ, გამოიწვევს საქმის განხილვის ცალმხრივობას, ხოლო მეორე მხრივ, მტკიცების საგნის უსაფუძვლო გაფართოება, გამოიწვევს საქმისათვის უმნიშვნელო მასალის შეკრებას – ძალისა და საშუალებების უნაყოფოდ ხარჯვას, სასამართლოს უურადღების გაფანტვას უმნიშვნელო გარემოებებზე. საბოლოო ჯამში, საქმის გამოკვლევა-განხილვის სრულიად გაუმართლებელ გაჭიანურებას და ზედმეტი საპროცესო ხარჯების გაწევას.

მხარეთა მიერ მტკიცების ტვირთის რეალიზებასა და მტკიცების საგნის განსაზღვრას ახასიათებს მჭიდრო ურთიერთკავშირი გამომდინარე იქიდან, რომ სასამართლოში ყოველი კონკრეტული სამოქალაქო საქმის

<sup>69</sup> იხ., Гражданский Процесс Зарубежных Стран, под редакцией Давтян А. Г, М, 2008, 63.

<sup>70</sup> ZPO, §293, Гражданское Процессуальное Уложение Германии, перевод с немецкого, М, 2006, 97.

გადაწყვეტა დაკავშირებულია განსაზღვრული ფაქტების დადგენასთან. ფაქტების დადგენის აუცილებლობა გამოწვეულია სწორედ იმით, რომ სასამართლო იხილავს და გადაწყვეტს მხარეთა შორის სამართლით რეგულირებული ურთიერთობებიდან წარმოშობილ დავებს. საგულისხმოა, რომ სასამართლოში საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ფაქტების დადგენა უმთავრესად ხორციელდება დასადგენი ფაქტების დამტკიცების გზით, შესაბამისი მტკიცებულებების წარდგენით. მტკიცების საგანს სწორედ ის ფაქტები განსაზღვრავს, რომელთა დამტკიცება-დადასტურების მიზნითაც სასამართლოში უნდა განხორციელდეს მტკიცებითი საქმიანობა<sup>71</sup>. მტკიცების საგანს ემსახურება სადაც იურიდიული ფაქტების განსაზღვრას, კერძოდ, ამ ფაქტების არსებობის ან არარსებობის დადგენის აუცილებლობის გამორკვევას.<sup>72</sup> ამიტომ, მტკიცების საგანს პროცესუალურ კანონმდებლობასა და პრაქტიკაში გააჩნია პრინციპული მნიშვნელობა.

ერთიმეორისაგან განსხვავდება მთავარი ფაქტი, რომელიც შეადგენს მტკიცების საგანს კონკრეტულ საქმეზე (ზიანის მიერნება, უსაფუძვლო გამდიდრება, ხელშეკრულების შესრულების ვადის დარღვევა) და მტკიცებითი ფაქტი, რომელიც სხვა ასეთივე ფაქტებთან კრებადობით ადასტურებს ან უარყოფს მტკიცების საგანში შემავალ მთავარ ფაქტს.

კონკრეტულ სამოქალაქო საქმეზე დასადგენი ფაქტები ერთმანეთისაგან განსხვავდება, როგორც ხასიათითა და შინაარსით, ასევე იმ შედეგით, რომლებსაც მათ უკავშირებს კანონი. ჯერ კიდევ სარჩელის წარმოებაში მიღების დროს სასამართლო ადგენს ისეთი გარემოებების არსებობას ან არარსებობას, რომლებსაც უკავშირდება მხოლოდ საპროცესო-სამართლებრივი შედეგი (სარჩელის წარმოებაში მიღება, უარი სარჩელის წარმოებაში მიღებაზე). მხოლოდ მას შემდეგ, რაც სარჩელი მიღებულია წარმოებაში, წამოიჭრება მეორე საკითხი, კერძოდ, რომელი ფაქტები უნდა იქნეს დადგენილი იმისათვის, რომ სასამართლომ შეძლოს სწორად გადაწყვიტოს საქმე. ესენი, როგორც წესი, მატერიალურ-სამართლებრივი ფაქტებია, რადგან მათ უკავშირდებათ მატერიალურ-სამართლებრივი შედეგები, კერძოდ, მოსარჩელის მატერიალურ-სამართლებრივი მოთხოვნის ან მოპასუხის მატერიალურ-სამართლებრივი შესაგებლის დასაბუთებულად ცნობა და დაგმაყოფილება, ან ასეთ დაკმაყოფილებაზე უარის თქმა, იმის მიხედვით, დამტკიცდა თუ არა მოთხოვნის საფუძველში მითითებული ფაქტები (სარჩელის საფუძველი).

„ზემოთ აღნიშნული ფაქტების გარდა, სამოქალაქო პროცესში საჭიროა დადგინდეს და დადასტურდეს ასევე მტკიცებულებითი ფაქტები, რომელთა მეშვეობითაც ხორციელდება საქმის არსებითად გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე ფაქტების არსებობა-არარსებობის დამტკიცება. მაშასადამე, კონკრეტული სამოქალაქო საქმის განხილვისა და გადაწყვეტისას, მოსარჩელემ უნდა დაადგინოს სხვადასხვა ხასიათის, შინაარსისა და შედეგების მქონე ისეთი ფაქტები, როგორიცაა:

<sup>71</sup> იბ., ძლიერიშვილი ბ, სამოქალაქო საპროცესო სამართლის ცალკეული საკითხები, თბ, 2007, 11, 12.

<sup>72</sup> იბ., მალიშევ კ, სუბიექტური მუშაობის სამართლის მიზანი, მ, 1876, 123.

1. ფაქტები, რომლებსაც უკავშირდება მხოლოდ პროცესუალურ-სამართლებრივი შედეგი (სარჩელის წარმოებაში მიღება ან მიღებაზე უარის თქმა);
2. ფაქტები, რომლებსაც უკავშირდება მატერიალურ-სამართლებრივ შედეგი (სარჩელის დაკმაყოფილება ან მის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა);
3. მტკიცებულებითი ფაქტები, რომელთა მეშვეობითაც ხორციელდება საქმის არსებითად გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე ფაქტობრივი გარემოებების დადგენა“.<sup>73</sup>

გამოცდილება, რომელიც ეფუძნება ცხოვრებაზე ზოგადი ხასიათის ცოდნას, ბუნებითი სამართლის მეცნიერებას და ფსიქოლოგიას და ა.შ. არ ექვემდებარება დამტკიცებას. გამოცდილება შეიძლება იყოს როგორც ცხოვრებისეული, ასევე მეცნიერების, ხელოვნების დარგში სპეციალური წესები. გამოცდილება შეიძლება გახდეს მტკიცების საგანი, თუ ის გამოიხატება საერთო გადაწყვეტილების ფორმით, დაგროვებული ცხოვრებისეული გამოცდილების საფუძველზე ანალოგიური ფაქტებიდან, ანდა სპეციალური (პროფესიული) ცოდნიდან. კონკრეტული ფაქტებისაგან განსხვავებით, აქ საუბარია აბსტრაქტულ მოვლენებზე. ამ განსხვავების ცოდნა აუცილებელია, რადგან გამოცდილების შეფასების დროს ინფორმაცია შეიძლება მოპოვებული იქნეს ნებისმიერი წყაროდან და ნებისმიერი ხერხით (თავისუფლი მტკიცებულება), განსაკუთრებით ექსპერტის დასკვნიდან. ასევე, სპეციალური ლიტერატურის გაცნობით, ცნობების მოძიებით. სასამართლოს ეს მოქმედება კი დამოკიდებული არ არის მოდავე მხარეებზე. მაგალითად, ავტოსატრანსპორტო შემთხვევის შედეგად ზიანის ანაზღაურების შესახებ საქმის გახილვისას, უნდა დადგინდეს ფაქტობრივი გარემოება იმის თაობაზე, იყო თუ არა მოპასუხე მომხდარის დროს ნასვამ მდგომარეობაში? რა დოზის ალკოჰოლი ჰქონდა მას მიღებული? აღნიშნული კითხვები შეეხება კონკრეტულ ფაქტს, რომელიც შეიძლება დადგინდეს მხარეთა მიერ წარმოდგენილი ფაქტების საფუძველზე. ამ შემთხვევაში, სასამართლო დამოკიდებულია მხარეებზე. თუმცა, დასკვნით შედეგში, რომელიც შეეხება წარმოდგენილი ფაქტების შეფასებას სასამართლო დამოკიდებული და თავისუფალია მხარეებისაგან.

მტკიცების საგნის, როგორც მტკიცების ტვირთში შემავალი ფაქტების სწორად განსაზღვრის საპროცესო მნიშვნელობიდან გამომდინარე, მიზანშეწონილად მიგვაჩნია საკვლევი თემის ფარგლებში მტკიცების საგნის განსაზღვრის წესების შესწავლა ჩვენი ქვეყნის საპროცესო სამართლისაგან ძირფესვიანად განსხვავებული იმ ქვეყნების გამოცდილებისაგან, როგორებიცაა ინგლისი და აშშ.

ინგლისის მტკიცებით სამართალში არსებული შეხედულების მიხედვით, მტკიცების საგანი განისაზღვრება მოდავე მხარეების მიერ, რომელიც მოსარჩელისათვის - ფაქტია, რომელიც მან უნდა დაამტკიცოს საქმის მოგების მიზნებიდან გამომდინარე, მოპასუხისათვის კი, ფაქტი, რომელიც მან უნდა უარყოს. თუმცა, მტკიცების საგანს წარმოადგენს არა ყველა საშეჯიბრო ქაღალდებში მითითებული იურიდიული ფაქტები, არამედ

<sup>73</sup> იხ., ძლიერი შვილი ზ., სამოქალაქო საპროცესო სამართლის ცალკეული საკითხები, თბ, 2007, 12, 13.

მხოლოდ ისინი, რომელთა არსებობასა თუ არარსებობაზე დავობენ მხარეები<sup>74</sup>. ასე მაგალითად, მოპასუხე შეიძლება არ უარყოფდეს უშუალოდ მოქმედების შესრულების შესახებ ფაქტის არსებობას, რომლითაც ზიანი მიაყენა მოსარჩელეს და აღიარებდეს თავის ბრალს ამ ზიანის მიმკენებელი ქმედების დადგომაში, მაგრამ არ ეთანხმებოდეს ზიანის ოდენობას. ასეთ შემთხვევაში, სასამართლო განხილვაზე გამოტანილი იქნება საქმის მხოლოდ ის გარემოება, რომელთა შესახებ მხარეებმა ვერ მიაღწიეს თანხმობას, კერძოდ, თანხის ოდენობა, რომლითაც ფასდება მიყენებული ზიანის ოდენობა.

ინგლისის მტკიცებულებით სამართალში მსგავსად საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართლისა, არსებობს ფაქტები, რომლებიც თუმცა შედის მტკიცების საგანში მაგრამ დამტკიცებას არ საჭიროებს. მათ განეკუთვნება: 1. პრეიუდიციული ფაქტები; 2. პრეზუმაციები; 3. საყოველთაოდ ცნობილი ფაქტები; 4. სასამართლოსათვის პერსონალურად ცნობილი ფაქტები<sup>75</sup>. ამ ჩამონათვალიდან მხოლოდ მე-4 ქვეპუნქტი არ გვხვდება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალში, რის გამოც, სწორედ მასზეა მიპყრობილი ყურადღება: დებულება, რომლის თანახმად, დამტკიცებას არ ექვემდებარება ფაქტები, რომლებიც ცნობილია მხოლოდ სასამართლოსათვის, შეესაბამება ინგლისის სამართალწარმოებაში მტკიცების არსს.<sup>76</sup> ამ დებულების ამოსავალი წერტილი არის ის, რომ მტკიცებითი საქმიანობა ხორციელდება სასამართლოს წინაშე და მისი ამოცანა მდგომარეობს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ფაქტების არსებობასა ან არარსებობაში სასამართლოს დარწმუნებაში, ხოლო, თუკი სასამართლოსათვის ესა თუ ის სადაცო ფაქტი უკვე ცნობილია, მაშინ მისი არსებობის ან არარსებობის მტკიცება მოკლებულია ყოველგვარ დასაბუთებას. „ინგლისური სამართალი მეტისმეტი სიზუსტით უდგება სამართლებრივ საკითხებს. გარდა ამისა, ინგლისური სამართალი მოწიფელია, იგი სამართლის ტექნიკას ავითარებს ყოველდღიურად, ყოველი ახალი გადაწყვეტილების მიღებით“<sup>77</sup>.

აშშ-ში მოქმედი სამოქალაქო პროცესის ფედერალური წესების თანახმად, მტკიცების საგნის შინაარსს შეადგენს მთავარი სადაცო ფაქტები. ისინი იურიდიული ხასიათისაა ე.ი. დაინტერესებული პირებისათვის ატარებს სამართლებრივ შედეგს და ამიტომაც, მთავარი სადაცო ფაქტები მითითებული უნდა იყოს მოსარჩელის მიერ მირითადი მოთხოვნის ჩამოყალიბებისას და მოპასუხების მიერ სარჩელის უარყოფისას<sup>78</sup>.

<sup>74</sup> ი. მ., *Решетников И. В. Доказательственное право Англии и США*, Екатеринбург, 1997, 98.

<sup>75</sup> იქვე: 99.

<sup>76</sup> Federal Rules of Evidence (1975 წლის 01 ივნისი). Rule 201. Judicial Notice of Adjudicative Facts.

ი. მ., *Federal Rules of Civil Procedure*, 1997-98 Educational Edition, St. Paul, Minn, 1997, 944, 945.

<sup>77</sup> ი. მ., *Zimmerman R. Roman Law, Contemporary Law, European Law, The Civilian Tradition Today*, New York, 2001, 177.

<sup>78</sup> სამოქალაქო პროცესის ფედერალური წესების მე-8 წესის სამართლებრივი ანალიზი ცხადებულის, რომ სარჩელში მოკლედ უნდა იყოს მითითებული: სასარჩელო მოთხოვნა, მოსარჩელის მოთხოვნის იურიდიული საფუძვლები, ფაქტები, გარემოებები ან მოსაზრებები, და მტკიცებულებები, რომლებიც ადასტურებენ მოთხოვნას. მოსარჩელე ერთდოულად შეიძლება დაეკრძოს სხვადასხვა სახის მტკიცებულებებს. *Federal Rules of Civil Procedure*,

შეჯიბრებით პროცესში მტკიცების საგანი განისაზღვრება მხარეების მიერ. ამასთან ერთად, არ შეიძლება ითქვას, რომ სასამართლო საერთოდ არ მონაწილეობს მისი განსაზღვრის პროცესში. მაგალითად, სასამართლოს შეუძლია განხილვისაგან მოხსნას საკითხი, რომელიც არ მიეკუთვნება მტკიცების საგანის. არცთუ იშვიათად, პროცესში შეიძლება გამოკვლეული იყოს განსხვავებული ფაქტები, რომლებსაც ერთი შეხედვით, კავშირი არა აქვს განსახილველ საქმესთან, თუმცა მათი გამოკვლევის შედეგად აღიჭურვებიან გარკვეული მნიშვნელობით და ამგვარად, ხდებიან სასარჩევლო ფაქტები.

მტკიცებულებების შესახებ ფედერალური წესები აყალიბებს იმგვარი ფაქტების ჩამონათვალსაც, რომლებიც სასამართლოში არ საჭიროებს დამტკიცებას. მათ რიცხვს განეკუთვნება, პირველ რიგში ფაქტები, რომელთა ცოდნა სასამართლოს ევალება სამსახურებრივი ვალდებულების თანახმად. კერძოდ, წესების 201-ე წესის თანახმად, ფაქტები შეიძლება დადგენილად ჩათვალოს სასამართლომ, თუ ეს ფაქტი ცნობილია იმ ტერიტორიაზე, რომლის საზღვრებშიც მოქმედებს ამ საქმის განმხილველი სასამართლოს იურისდიქცია ან თუ მისი დადგენა შესაძლებელია იმ წყაროზე დაყრდნობით, რომლის ნამდვილობა არ იწვევს ეჭვს. ამ წესით სასამართლომ დადგენილად შეიძლება ცნოს ფაქტი როგორც თავისი ინციატივით, ისე მხარის განცხადებით და, ამასთან, საქმის განხილვის ნებისმიერ სტადიაზე.

ინგლისის მსგავსად, აქაც გვხვდება ეროვნული სამართლისაგან განსხვავებული ფაქტები, რომლებიც, თუმცა შედის მტკიცების საგანში, მაგრამ დამტკიცებას არ საჭიროებს. მათ განეკუთვნება ფაქტები, რომლებიც მოსამართლისათვის ცნობილია. მაგალითად, აგზოსატრანსპორტო შემთხვევის საქმეში მოსამართლე წყვეტს საკითხს მდლოლის დადლილობისა და მის მიერ ავტომანქანის ცუდად მართვის ფაქტის შესახებ. საკუთარი გამოცდილებით მოსამართლემ იცის, რომ მდლოლის დადლილობა ზეგავლენას ახდენს ავტომანქანის ცუდად მართვაზე. მოცემული ფაქტი მიეკუთვნება ადვილად დასადგენ ფაქტთა რიცხვს<sup>79</sup>.

მტკიცებას დაუქვემდებარებებელი ფაქტების რიცხვს მიეკუთვნება მხარის მიერ აღიარებული ფაქტები მაგალითად, მოსარჩევემ სარჩევის საფუძვლად მიუთითა რამოდენიმე ფაქტი. მოპასუხემ თავის შეპასუხებაში ამ ფაქტებიდან ზოგიერთი ცნო, აღიარა ე.ი. მასზე არ წამოიწყო დავა. ასეთ შემთხვევაში, მტკიცების საგანს მხოლოდ ის ფაქტები მოიცავს, რომელთა შესახებაც მხარეებს განსხვავებული მოსაზრებები აქვთ. ფაქტები, რომლებზეც მხარეები არ დავობენ ამოიღება მტკიცების საგნიდან.

გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ, თუ მოპასუხე სადავოდ ხდის ისეთ გარემოებას, რომელიც არ არის დაკავშირებული მოთხოვნის არსებობის კანონით გათვალისწინებულ წინა პირობასთან, მაშინ ეს არ არის მნიშვნელობის მქონე და, ამდენად, აღნიშნულთან დაკავშირებით

1937 (1966 წლის 01 ივნისი). ი. ს. Steven Baicker-McKee, William M. Janssen, Jon B. Corr, A Student's guide to the Federal Rules of Civil Procedure, St. Paul, Minn, 1997, 139, 140.

<sup>79</sup> ი. ს. Решетникова И. В., Доказательственное право Англии и США, Екатеринбург, 1997, 119.

სასამართლო არ აგროვებს მტკიცებულებებს (საქართველოს სსკ-ის 104-ე მუხლის პირველი ნაწილი).

მტკიცების საგანში არ შედის ფაქტები, რომლებსაც სასამართლო საყოველთაოდ დადგენილად მიიჩნევს და ფაქტები, რომლებიც დადგენილია ერთ სამოქალაქო საქმეზე სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით, თუ სხვა სამოქალაქო საქმეების განხილვისას იგივე მხარეები მონაწილეობენ (საქართველოს სსკ-ის 106-ე მუხლი).

პრეიუდიციულად დადგენილ ფაქტებზე განსაკუთრებული ყურადღებაა გახვილებული ამ პარაგრაფში, რაც განპირობებულია იმ გარემოებით, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართლის თეორიისაგან განსხვავებით, პრეიუდიციული ფაქტების ჯგუფში შემავალი ფაქტების რაობის დადგენა ხორციელდება განსაზღვრული წესების მიხედვით, რაც საინტერესოა ეროვნული საპროცესო სამართლის თეორიისათვის.

პრეიუდიციული ფაქტების მიმართ გამოიყენება ორი წესი:

- “res judicata”-ს<sup>80</sup> გამოყენება ითვალისწინებს შემდეგი პირობების დაცულობას: 1. გადაწყვეტილება უნდა იყოს საბოლოო; 2. გადაწყვეტილება გამოტანილი უნდა იყოს არსებით საკითხზე; 3. მოთხოვნები პირველ და მეორე პროცესში უნდა იყოს ერთნაირი; 4. მხარეები პირველ და მეორე პროცესში უნდა იყოს ერთი და იგივე. ამრიგად, ამ ინსტიტუტის გამოყენების მიზნებისათვის მოსარჩევე უფლებამოსილია მხოლოდ ერთხელ წარადგინოს სარჩელი, რომელიც გამომდინარეობს ერთი და იგივე გარემოებიდან.

- “collateral estoppel”-ის<sup>81</sup> არ ეწინააღმდეგება სარჩელის წარდგენას, თუ ერთსა და იმავე მხარეებს შორის წარმოშობილ დავაზე რომელიმე საკითხი არ ყოფილა გადაწყვეტილი პირველ პროცესში. მითითებული წესი გამოიყენება შემდეგი პირობების დაცვით: 1. მტკიცების საგანი პირველ და მეორე პროცესში უნდა იყოს ერთი და იგივე; 2. ეს საკითხები უპევ წარმოადგენდა სასამართლოს განხილვის საგანს; 3. მიუხედავად იმისა, რომ

<sup>80</sup> Res judicata/res iudicata (RJ) (მომდინარეობს ლათ. ტერმინიდან "a matter [already] judged") გამოიყენება როგორც სამოქალაქო სამართლის, ისე საერთო სამართლის სისტემაში. RJ-ს წესი მიუთითებს, რომ კონკრეტული საკითხის მიმართ გამოტანილია საბოლოო გადაწყვეტილება და განხილული საკითხი განმეორებითი განხილვის საგანს აღარ წარმოადგენს; თუმცა სადაცო საკითხი შეეხება „res judicata”-ს ნიშანას, რომ აღნიშნული საკითხი არ შეიძლება კალაპ გახდეს განხილვის საგანი. ეს წესი ვრცელდება, როგორც იმავე სასამართლოზე, რომელმაც აღნიშნულ საკითხზე იმსჯელა თავდაპირველად, ასევე სხვა სასამართლოზე. „res judicata”-ს გამოყენებით სასამართლოები უარყოფენ განხილული საკითხის ხელახლა გადასინჯვას. იხ., Joseph W. Glannon, A Student's guide to Anderstanding Civil Procedura, Boston, Toronto, 1987, 279, 280.

<sup>81</sup> Collateral estoppel (CE), თანამედროვე ტერმინოლოგიაში ცნობილია როგორც საკითხი, რომელიც მტკიცებას არ საჭიროებს. საერთო სამართლის სისტემაში აღნიშნული დოქტრინა იცავს პირს სასამართლოში ამა თუ იმ ფაქტის შესახებ მტკიცებულებების წარდგენის მოვალეობისაგან. CE-ს პრინციპი მდგომარეობს იმაში, რომ ფაქტი, რომელიც ერთხელ იყო სასამართლოში განხილვის საგანი არ საჭიროებს ხელმეორედ განხილვის სხვა საქმეში, რომელშიც მონაწილობები იგივე მხარეები, რომლებიც მონაწილეობდნენ წინა პროცესში. ამ პრინციპის არსი მდგომარეობს იმაში, რომ სამართალწარმოების პროცესში თავიდან იქნეს არიდებული რესურსების უსაფუძლო ხარჯვა. იხ., Joseph W. Glannon, A Student's guide to Anderstanding Civil Procedura, Boston, Toronto, 1987, 279-280.

საკითხი უკვე იყო წინა პროცესის განხილვის საგანი collateral estoppel-ის ინსტიტუტი არ ეწინააღმდეგება ახალ განხილვას ვიდრე მოთხოვნა გადაწყვეტილი არ იქნება მოცემულ პროცესში<sup>82</sup>.

როგორც ვხედავთ, მტკიცების საგნის გასაზღვრის წყაროებია მატერიალურ-სამართლებრივი ფაქტები მითითებული შეჯიბრებით ქადაღდებში (სარჩელი, შესაგებელი), რომელთა დადგენაზეა დამოკიდებული საქმის არსებითი განხილვა და მატერიალური სამართლის ნორმები.

## §6. ფაქტებზე მითითების ტვირთისა და მტკიცების ტვირთის ურთიერთგამიჯვნის პრაქტიკული მნიშვნელობა

### ა. ფაქტებზე მითითების ტვირთისა და მტკიცების ტვირთის თანაარსებობის საფუძველი

„სამოქალაქო საქმის განხილვაში მონაწილე მხარეებმა თვითონვე უნდა მიუთითონ, თუ რომელი ფაქტების საფუძველზე აყენებენ მოთხოვნას და შესაგებელს. სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა არ ითვალისწინებს ისეთ ღონისძიებებს რომელთა მეშვეობით შესაძლებელია მხარის იძულება, მიუთითოს სარჩელის ან შესაგებლის ფაქტებზე.“<sup>83</sup> საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართლში მოქმედი დისპოზიციურობისა და შეჯიბრებითობის პრინციპების თანახმად, მხარეებს ევალებათ თვითონ მიუთითონ იმ გარემოებებზე, რომლებიც ასაბუთებს მათ მოთხოვნებს და შესაგებელს. კერძოდ, საქართველოს სსკ-ის მე-4 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მხარეები თვითონვე განსაზღვრავენ რომელი

<sup>82</sup> Res judicata-ს და Collateral estoppel-ის ერთიმეორისაგან განსხვავების მიზნით, მოვიყვან მაგალითს: „ა“ სარჩელით მიმართავს სასამართლოს „ბ“-ს მიმართ იმ საფუძვლით, რომ „ბ“ უნდართვოდ შეიჭრა „ა“-ს საკუთრებაში და მოჭრა ხე-ტყე. „ბ“-მ მოთხოვნა უარყო, რაც დაასაბუთა მის მიერ სასამართლოში წარდგენილი ნებართვით, რომელიც მას უფლებას რთავდა შესულიყო „ა“-ს მიერ მითითებულ ტერიტორიაზე და მოჭრა ხე-ტყე. RJ წესი უკრძალავს „ა“-ს განმეორებით მიმართოს სასამართლოს „ბ“ წინააღმდეგ იმავე ხე-ტყის მოჭრის შემთხვევაზე დაყრდნობით. CE წესი კი, უკრძალავს „ა“-ს კვლავ გახადოს სადაცოდ წინა სასამართლო განხილვის პროცესში დადგენლი ფაქტობრივი გარემოებები, მაგალითად „ბ“-ს მიერ წარდგენლი ნებართვა ხე-ტყის მოჭრის შესახებ. თუმცა „ბ“-ს კვლავ მოჭრის ხე-ტყეს და „ა“ კვლავ მიმართავს სასამართლოს „ბ“ წინააღმდეგ RJ წესის მოქმედების ძალით მას არ ეკრძალება სარჩელის წარდგენა, გამომდინარე იქიდან, რომ მისი სარჩელის საფუძველს წარმოადგენს „ბ“-ს ახალი მოქმედება (ხე-ტყის მეორედ მოჭრა). თუმცა, ამ მეორე სარჩელში „ა“ არ არის უფლებამოსილი სადაცოდ გახადაოს „ბ“ მიერ წარდგენილი ნებართვა ხე-ტყის მოჭრის შესახებ, თუმცა უფლებამოსილია დაეყრდნოს სხვა გარემოებებს, როგორიცაა მაგალითად, ნებართვით სარგებლობის გადასახადის გადაუხდელობა და ა.შ., რომლებზეც არ იყო ნამსჯელი წინა სასამართლო პროცესზე. მაგალითი მოყვანილია Joseph W. Glannon, A Student's guide to Anderstanding Civil Procedure, Boston, Toronto, 1987, 280. მიხედვით.

<sup>83</sup> იხ., ძლიერი შვილი ზ, სამოქალაქო საპროცესო სამართლის ცალკეული საკითხები, თბ, 2007, 14, 15.

ფაქტები უნდა დაედოს საფუძვლად მათ მოთხოვნებს ან რომელი მტკიცებულებებით უნდა დადასტურდეს ეს ფაქტები. კოდექსის 178-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, სარჩელში უნდა აღნიშნოს კონკრეტული ფაქტები და გარემოებები, რომლებზედაც მოსარჩელე ამყარებს თავის მოთხოვნებს. 368-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტის თანახმად, სააპელაციო საჩივარი უნდა შეიცავდეს მითითებას გარემოებებზე, რომლებიც ასაბუთებს სააპელაციო საჩივარს და მტკიცებულებებზე, რომლებიც ადასტურებენ ამ გარემოებებს.

ამდენად, მოქმედი კანონდებლობით თავად მხარეები განსაზღვრავენ სამართლებრივი დავის ფაქტობრივ შინაარსს და მათვე ევალებათ გამოთქან მოსაზრება საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით. „საუბარია ეწ. მხარეთა ტვირთზე მიუთითონ ფაქტებზე, ანუ ფაქტების მითითების ტვირთზე“<sup>84</sup>. დამტკიცების ტვირთის (მოვალეობის) გვერდით საროცესო სამართლის მეცნიერება და პრაქტიკა ადრეული პერიოდიდან მოყოლებული დღემდე იცნობს ისეთ ცნებასაც, როგორიცაა ფაქტების მითითების ტვირთი<sup>85</sup>.

ამასთან, საქმარისი არ არის, რომ მხარემ ზოგადად გამოთქვას მოსაზრება საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებაზე, მაგალითად, განაცხადოს, რომ იგი მთლიანად უარყოფს მეორე მხარის მიერ მოხსენებულ საქმის ფაქტობრივ გარემოებებს. მხარის მიერ წარმოდგენილი მოსაზრებები კონკრეტულად და დეტალურად უნდა ჩამოყალიბდეს და ეხებოდეს საქმის გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე ეველა გარემოებას. მხარეთა მიერ წარმოდგენილი ახსნა-განმარტებები უნდა იყოს დასაბუთებული და ეხებოდეს იმ გარემოებებს, რომლებსაც უშუალო კავშირი აქვს დავასთან. ზოგადი ხასიათის მტკიცება ან ზოგადი ხასიათის უარყოფა დასაშვებია მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში. მაგალითად, თუ მხარე აღწერს როგორი გულისხმიერებით შეფუთ გასაგზავნი საქონელი და ამტკიცებს, რომ გადამზიდველს შესაბამისი მითითებები მისცა როგორ უნდა განხორციელებულიყო საქონლის ტრანსპორტირება. ასეთ შემთხვევაში, დაზიანებული საქონლის მიმღები უფლებამოსილია ზოგადად უარყოს მტკიცების პირველი პუნქტი და მიუთითოს, რომ საქონლის მიღებისას მან თავად ნახა როგორ იყო იგი შეფუთული; თუმცა, შემდეგ დეტალურად უნდა აღწეროს შეფუთვის მდგომარეობა. რაც შეეხება გამგზავნისა და გადამზიდველს შორის შემდგარ საუბრებს, მას, ასევე შეუძლია ამ გარემოების ზოგადი უარყოფით შემოიფარგლოს და უბრალოდ აღნიშნოს, რომ მას ამ გარემოებების შესახებ არც უნდა სცოდნოდა.

დაისმის კითხვა – არის თუ, არა ფაქტებზე მითითების ტვირთი ისეთი იურიდიული მოვალეობა, რომლის შეუსრულებლობას შეიძლება მოჰყვეს არახელსაყრელი გადაწყვეტილება იმ პირის მიმართ, ვინც ეს მოვალეობა არ შეასრულა?

<sup>84</sup> ბიოლინგი პ. ჭახტურია ლ, სამოქალაქო საქმეზე გადაწყვეტილების მიღების მეთოდიკა, მე-2 გამოცემა, თბილისი, 2004, 30.

<sup>85</sup> (ფაქტების მითითების ტვირთი - onus proferendi) იხ., ლილუაშვილი თ, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი, თბ, 1992, 125,

— სამოქალაქო სამართალწარმოების არც ერთი მხარე არ არის ვალდებული, გამოხატოს თავისი მოსაზრება ამა თუ იმ ფაქტებთან დაკავშირებით. მოქმედი დისპოზიციურობის პრინციპიდან გამომდინარე, სასამართლო ვერ აიძულებს პროცესის მონაწილე რომელიმე მხარეს განახორციელოს აღნიშნული მოქმედება. სამართალწარმოების სუბიექტების ამგვარი იძულება ეწინააღმდეგება შეჯიბრებითობისა და დისპოზიციურობის პრინციპებს. თითოეულმა მხარემ თავად უნდა განსაზღვროს მიიღოს თუ არა პროცესში მონაწილეობა და რა მოცულობით. მაგალითად, მხარეს უფლება აქვს უარი განაცხადოს ახსნა-განმარტების მიცემაზე და ცნოს მოსარჩელის მოთხოვნა. ასევე, მას შეუძლია არ გამოოქვას მოსაზრება დავის საგანთან დაკავშირებით.

შესაბამისად, ზემოთ დასმულ კითხვას დადებითად უნდა ვუპასუხოთ. თანამედროვე საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის ფუქმდებლური დისპოზიციურობის პრინციპიდან გამომდინარე, მხარეები ვალდებული არიან მიუთითონ ისეთ ფაქტებზე, რომლითაც შესაძლებელი გახდება მათი სასარჩელო მოთხოვნისა თუ შესაგებლის დადასტურება.

უნდა აღინიშნოს, რომ ფაქტების მითითების ტვირთი განეკუთვნება საქმეში მონაწილე მხარის დამატებით მოვალეობებს. სწორედ ამიტომ, სასამართლო ვერ აიძულებს პროცესის მონაწილე მხარეს შეასრულოს ეს მოვალეობა. თუკი მხარე არ მიუთითებს ფაქტებზე თავისი მოთხოვნის (შესაგებლის) დასაბუთების მიზნით, იგი წააგებს პროცესს, სხვაგვარად, თუკი მხარე არ წარმოადგენს ახსნა-განმარტებას კონკრეტულ ფაქტობაზე დაკავშირებით, მაშინ პროცესუალური თვალსაზრისით, იგი აღმოჩნდება წამგებიან მდგომარეობაში. მაგალითად, ხელშეკრულება მოწინააღმდეგებების მხარესთან დადებულად, ხოლო შესაბამისი ფაქტი უდავოდ ჩაითვლება და მისი შემდგომი მტკიცების შესაძლებლობა მხარეს აღარ მიეცემა. სასამართლო ამ გარემოებას დადგენილად მიიჩნევს და საფუძვლად დაუდებს გადაწყვეტილებას.

კონკრეტულ ფაქტებზე მითითება და მათზე განმარტებების წარდგენის მოვალეობა განეკუთვნება მხარეთა ფაქტობრივ გარემოებებზე მითითების ტვირთს. თუ მხარეთა მიერ წარმოდგენილი ახსნა-განმარტება არ აკმაყოფილებს ფაქულტატური მოვალეობისათვის დადგენილ მოთხოვნებს, ჩაითვლება, რომ ახსნა-განმარტება არ არის დეტალურად ჩამოყალიბებული, არ წარმოადგენს მოწინააღმდეგებების მხარის მიერ მოხსენებული ფაქტობრივი გარემოების ნამდვილ უარყოფას და იგი არ იქნება გათვალისწინებული.

რა მოქმედება უნდა შეასრულოს მხარემ მისთვის დაკისრებული მტკიცების ტვირთის რეალიზებისათვის და პროცესის რომელ მონაწილეს ეკისრება ფაქტების მითითების ტვირთი?

— მხარემ სასამართლოში უნდა წარადგინოს მტკიცებულებები იმ ფაქტის დადგენის მიზნით, რომლის დამტკიცების მოვალეობაც მას ეკისრება და, ამასთან, მის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები ისეთ კავშირში უნდა იყოს სადავო საქმეზე დასადგენ გარემოებასთან, რომ შეიძლებოდეს ამ გარემოების არსებობა-არასებობის შესახებ უტყუარი დასკვნის გაკეთება.

ამ შემთხვევაში, მოქმედებს შემდეგი ცალსახა წესი: ფაქტების მითითების ტვირთი და მტკიცების ტვირთი თანაარსებობენ (მატერიალური

ნორმებით განსაზღვრული ზოგიერთი საგამონაკლისო შემთხვევების გარდა). სწორედ ამიტომ, თითოეულმა მხარემ უნდა მიუთითოს მის სასარგებლოდ მოქმედ გარემოებაზე და თუ სადაცო გახდება, დაამტკიცოს იგი. აღნიშნული წესი გამომდინარეობს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე პირველი ნაწილიდან, რომელიც ადგენს მტკიცების ტვირთის განაწილების წესს და ანალოგის წესით შესაძლოა მისი მოქმედება გავავრცელოთ მითითების ტვირთზე.

ამრიგად, ის მხარე, რომელიც ამტკიცებს, რომ დადებულია ხელშეკრულება ან სავარუდოა, რომ მოწინააღდეგე მხარემ არ შეასრულა ნაკისრი ვალდებულებები, რაც უფლების წარმოშობის საფუძველია, კონკრეტულად უნდა მიუთითოს შესაბამისი ფაქტები და მანვე უნდა დაამტკიცოს ისინი.

## **ბ. მხარეთა შორის ფაქტებზე მითითების ტვირთის და მათი დამტკიცების ტვირთის გამიჯვნის მატერიალურ-სამართლებრივი საფუძვლები**

მატერიალური კანონმდებლობით გათვალისწინებულ ზოგიერთ საგამონაკლისო შემთხვევებში, ფაქტების მითითების ტვირთი და დამტკიცების ტვირთი ერთმანეთს უნდა გაემიჯნოს. ეს ის საგამონაკლისო შემთხვევებია, როდესაც სამართალწარმოება ძირითადად მოწინააღმდეგე მხარის მტკიცების ტვირთი უნდა იყოს. სამაგალითო კლასიკური დავები შეეხება მკურნალობის დროს ექიმის მიერ დაშვებულ შეცდომებს და წუნდებული პროდუქტით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების შესახებ მოთხოვნებს.

სამართალწარმოების იმ თავისებურებებით დაინტერესება, რომლებიც შეეხება სამოქალაქო დავებს მკურნალობის დროს ექიმის შეცდომით მოქალაქეთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის ზიანის ანაზღაურების შესახებ, განაპირობა იმ გარემოებამ, რომ ჯანმრთელობის დაცვის სექტორი, როგორც ეს საყოველთაოდ არის აღირებული, წარმოადგენს მაღალი რისკის სფეროს, ვინაიდან პირდაპირი კაგშირი აქვს ადამიანის ძირითად უფლებასთან - სიცოცხლესა და ჯანმრთელობასთან, რომელიც დაცულია ადამიანის უფლებათა სფეროში არსებული საერთაშორისო სამართლებრივი აქტებით და ქვეყნის შიდა კანონმდებლობით, როგორც დაცვის უმაღლესი სტანდარტი. ყოველ კონკრეტულ დავაში, მკურნალობის არასასურველი შედეგის სწორი სამედიცინო და იურიდიული შეფასება, როგორც წესი, გარკვეულ სირთულეებს იწვევს და ამიტომ, მდგომარეობა უფრო რთულდება, როდესაც პაციენტმა უნდა შეასრულოს პროცესუალური ვალდებულება დაშვებული სამკურნალო შეცდომის დამტკიცების კუთხით<sup>86</sup>.

<sup>86</sup> სამწუხაროდ, საქართველოში ექიმის შეცდომით მოქალაქეთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის ზიანის ანაზღაურების თაობაზე სასამართლო პრაქტიკა არ არის განზოგადებული. თუმცა, ამ დარგში წარმოშობილი ურთიერთობების მეცნიერულ კვლევასთან და მის იურიდიულ შეფასებასთან დაკავშირებით დღვისათვის უკვე არსებობს

პაციენტს (მის ნათესავს) სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის ზიანის მიუწვდის შედეგად წარმოეშობა მოთხოვნის უფლება ექიმის ან/და სამკურნალო დაწესებულების მიმართ. ექიმს ან/და სამკურნალო დაწესებულებას შეიძლება პასუხისმგებლობა დაეკისროს იმ შემთხვევაშიც თუ მას არავითარი ხელშეკრულება არ გაუფორმებია პაციენტთან, გამომდინარე იქიდან, რომ მას ეკისრება ვალდებულება, კანონით დადგენილ ფარგლებში დაიცვას და შეინარჩუნოს პაციენტის ჯანმრთელობა და სიცოცხლე<sup>87</sup>. ექიმის ან/და სამკურნალო დაწესებულების მიერ ჩატარებული მცდარი მკურნალობა, როგორც წესი, ხელშეკრულების დარღვევაც არის და დელიქტიც. მოთხოვნის საფუძვლები შესაძლებლია იყოს როგორც სახელშეკრულებო, ასევე არასახელშეკრულებო ვალდებულებები.

სახელშეკრულებო ზიანის გადახდევინებისას კრედიტორმა უნდა დაამტკიცოს მხოლოდ ხელშეკრულების არსებობა. მოვალის საქმეა დაამტკიცოს, რომ ხელშეკრულების შეუსრულებლობა გამოწვეულია გარეშე გარემოებებით, რომელთა შეცვლა მოვალეს არ შეეძლო.

დელიქტური ვალდებულებების დროს კი, პირიქით, დაზარალებული (კრედიტორი) ვალდებულია დაამტკიცოს მოპასუხის ბრალი<sup>88</sup>. საქართველოს სკ-ის 992-ე მუხლი არეგულირებს დელიქტური ზიანის ანაზღაურების წესებს, რომლის საკანონმდებლო დანაწესით, პირს ზიანის ანაზღაურება ეკისრება, თუ არსებობს ზიანის მიუწვდისათვის პასუხისმგებლობის დაკისრების პირობები, კერძოდ, თუ სახეზეა ზიანი, ზიანი მიუწვდის მართლსაწინააღმდეგო მოქმედებით, მართლსაწინააღმდეგო მოქმედებასა და ზიანს შორის არსებობს მიზეზობრივი კავშირი და ზიანის მიმუწვდებელს მიუძღვის ბრალი.

ერთ-ერთ სამოქალაქო დავაში, რომელიც შეეხებოდა მკურნალობის დროს ექიმის მიერ დაშვებული შეცდომის გამო ზიანის ანაზღაურების შესახებ მოთხოვნას, სასამართლომ მიიჩნია, რომ არც ექსპერტიზის დასკვნით და არც საქმის მასალებით არ დგინდებოდა, რომ პირველი ოპერაციის შემდგომი გართულებები უხარისხო სამედიცინო მომსახურებით იყო გამოწვეული. სასამართლოს მოსაზრებით, თ.ჯ-ს შპს „... სა“ და ოპერატორ ო.კ-ს მართლსაწინააღმდეგო ბრალეული ქმედების შედეგად ზიანი არ მიდგომია, რადგან დელიქტური ვალდებულების არსებობისათვის აუცილებელი მიზეზობრივი კავშირი არამართლზომიერ ქმედებასა და

---

ფართომასშტაბიანი და მეტად მნიშვნელოვანი სამეცნიერო კვლევა. იხ., კუნძულიანი 6, „პაციენტის უფლებები და ჯანმრთელობის დაცვის პერსონალის სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძვლები“. დისერტაცია იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, თბილისი, 2012.

<sup>87</sup> BGB-ის §823 პირველი ნაწილის მიხედვით, შესაბამისი პასუხისმგებლობა ითვალისწინებს იმ წინა პირობას, რომ ექიმმა ბრალეულად და მართლსაწინააღმდეგოდ დააზიანა პაციენტის სხეული ან ჯანმრთელობა. მოთხოვნის საფუძვლად შესაძლებელია პასუხისმგებლობა, აგრეთვე BGB-ის §823 მუ-2 ნაწილისა და ასევე დაცვის სპეციალური კანონის ნორმებიდან გამომდინარე. სპეციალური დაცვის კანონი არის ამ შემთხვევაში სისხლის სამართლის ნორმები სხეულის დაზიანების შესახებ. იხ., გერმანიის სამოქალაქო კოდექსი (ქართულ ენაზე თარგმანი, ჭეშელაშვილმა), თბ, 2010.

<sup>88</sup> სახელშეკრულებო და არასახელშეკრულებო ვალდებულებათა შორის განსხვავებაზე აქ აღარ შევჩერდები, რადგან ეს არ არის ჩვენი კვლევის საგანი. აღნიშნული საკითხი დეტალურადა განხილული 6. კუნძულიანის ზემოთხსნებულ სადისერტაციო ნაშრომში.

მიუენებულ ზიანს შორის, რაც მოცემულ შემთხვევაში არ დადასტურდა პირველი ინსტანციის სასამართლომ საბოლოოდ მიიჩნია, რომ მოსარჩელე თ.ჯ-მ საქართველოს სკ-ის 992-ე, 1007-ე მუხლებით განსაზღვრული ზიანის არსებობა ვერ დაადასტურა.<sup>89</sup>

ზემოთ მოყვანილი მაგალითი გვიჩვენებს, რომ ფაქტებზე მითითების ტვირთი და მათი მტკიცების ტვირთი პროცესის მონაწილე მხოლოდ ერთ მხარეს დაეკისრა, რომლისთვისაც შეუძლებელი აღმოჩნდა ამ პროცესუალური ბარიერის გადალახვა.

მკურნალობის დროს ექიმის შეცდომით მოქალაქეთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის ზიანის მიუენების გამო, სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობის წარმოშობის პირობები იგივეა, როგორც ყველა სხვა დელიქტურ ვალდებულებებში, რაც ნიშნავს იმას, რომ ერთდროულად უნდა დადგინდეს შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: а) არის თუ არა ზიანი მიუენებული პაციენტის ჯანმრთელობისათვის და ამავდროულად, უნდა განისაზღვროს მიუენებული ზიანის ხარისხი; ბ) დგინდება თუ არა პირდაპირი ან ირიბი მიზეზობრივი კავშირი ზიანსა და მართლსაწინააღმდეგო ქმედებას შორის; გ) დასტურდება თუ არა ექიმის ან/და სამკურნალო დაწესებულების მართლსაწინააღმდეგო ქმედება; დ) დასტურდება თუ არა ექიმის ან/და სამკურნალო დაწესებულების ბრალი. გარდა ამისა, ნორმის შემადგენლობის თითოეული ნიშნის სპეციფიკა სამედიცინო საქმიანობის ხასიათით განისაზღვრება. პაციენტს ეკისრება როგორც ფაქტების სრულყოფილად და დამაჯერებლად წარდგენისა და დასაბუთების ვალდებულება, აგრეთვე მტკიცების ტვირთი იმის დასადასტურებლად, რომ ადგილი პქონდა სამკურნალო შეცდომას. თუ პაციენტის განმარტებები არ დადასტურდება, მაშინ სამკურნალო შეცდომა პაციენტის მოთხოვნის საწინააღმდეგოდ არ მიიჩნევა დადგენილად.

დაზარალებულის მტკიცებასთან დაკავშირებით არსებული სასამართლო პრაქტიკიდან საინტერესოა სამოქალაქო საქმე დ.კ-ს სარჩელისა მოპასუხების, შპს „ს. და ი. დ. ინსტიტუტისა“ და ვ.კ-ს მიმართ, თანხის ანაზღაურების შესახებ, იმ საფუძვლით, რომ 2002 წლის 24 სექტემბერს ერთწლიანი გამოკვლევების შედეგად შპს „ს. და ი. დ. ინსტიტუტში“ მოწვეული ქირურგის პროფესორ ვ.კ-ს მიერ მოსარჩელეს ჩაუტარდა ზემო-წინა შუასაყრის სიმსივნე თიმობის თიმოქომია სტერნოტომული მიღვომით, წინა შუასაყრის დრენაჟირება. ოპერაციის შემდგომ პერიოდში, 2002 წლის 8 ოქტომბერს მას ამოეთესა ბაქტერია სეუდომონას ერუგინოსა, რომლის საშიშროებასა და თვისებებზე მისთვის ცნობილი არ იყო და არც ექიმებს განუმარტავთ სათანადოდ. საგადმყოფოდან გაწერის შემდეგ პაციენტის მდგომარეობა გაუარესდა, რის გამოც, 2002 წლის 29 აპრილს, იგი მოათავსეს ონკოლოგიის ნაციონალურ ცენტრში, სადაც დაუდგინეს მკერდუკანა ჯირკვლის სიმსივნე გართულებული მიასთენით, ოპერაციის შემდგომი გართულება, მკერდის ძვლის ნეკნების ოსტეომელიტი. ამის შედეგად მას ჩაუტარდა განმეორებითი

<sup>89</sup> სუსგ. 2007 წლის 27 ნოემბერი, სამოქალაქო საქმე №ას-537-879-07. გადაწყვეტილება ხელმისაწვდომია საქართველოს უზენაესი სასამართლოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე <<http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/11-2007.pdf>> (10.07.2011).

ოპერაცია, ხოლო მე-3 ოპერაცია – 2003 წლის 29 აპრილს ქ. მოსკოვში. ზემოთ მითითებულ სარჩელის ფაქტობრივ გარემოებებში შემავალი ფაქტების დამტკიცების მიზნით, მოსარჩელემ მიუთითა, რომ მის ორგანიზმში პირველი ოპერაციის შედეგად, რომელიც შპს „სხივური და ინტერვენციული დიაგნოსტიკის ინსტიტუტში“ ჩატარდა ხარვეზით, შეჭრილმა პოსპიტალურმა ბაქტერიამ ოპერაციებისა და ტრავმების შედეგად მისი ჯანმრთელობა საგრძნობლად გააუარესა, რამაც არსებითად შეუმცირა მას შრომის უნარი (ფაქტებზე მითითების ტვირთის რეალიზება). სასამართლომ იხელმძღვანელა სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის №ქ/30 დასკვნით, რომლის თანახმად, ავადმყოფ დ.კ-ს სწორად დაუდგინდა დიაგნოზი და ჩაუტარდა რადიკალური ოპერაცია-თიმექტომია ირგვლივ მდებარე ქსოვილებთან ერთად. თიმობა ნებისმიერ შემთხვევაში იწვევს იმუნოდეფიციტს, რაც შეიძლება იყოს ოპერაციის შემდგომი გართულების ერთ-ერთი მიზეზი. დ.კ-ს პლევროპნევმონიის დიაგნოზი დაესვა დროულად, მკურნალობა ამ მიმართულებით ჩატარდა ადეკვატურად, რამაც ხელი შეუწყო ანთების სწრაფ კუპირებას. ფსევდონომა აეროგინეზა წარმოადგენს არამაფერმინტირებულ გრამ-გრამ უარყოფით ბაქტერიას, რომელიც წარმოქმნის ეგზოტიქსინს და ხასიათდება მაღალი ვირულენტობით. განსაკუთრებით გავრცელებულია სტაციონარულ-სამქურნალო დაწესებულებებში, ვინაიდან აქ ხდება იმუნიტეტდაქვეითებული მძიმე ავადმყოფების თავმოყრა. აღნიშნულიდან გამომდინარე, სამედიცინო დაწესებულების ხარვეზი, რაზედაც (ფაქტებზე მითითების ტვირთის რეალიზების ფარგლებში) მიუთითებდა მოსარჩელე მხარე (პაციენტი) და რასაც შეეძლო გამოეწვია მის ჭრილობაში პოსპიტალური ბაქტერიის შეჭრა, არ დადასტურდა. შესაბამისად, სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელემ ვერ შეძლო მტკიცების ტვირთის სათანადო რეალიზება ე.ი. იმ გარემოებების დამტკიცება, რომლებზედაც იგი ამყარებდა თავის მოთხოვნებს. აქედან გამომდინარე, არ გამოიკვეთა სამოქალაქო პასუხისმგებლობის წარმოშობის ის საფუძველი, როგორიცაა ვნების მიმყენებლის მართლსაწინააღმდეგო, ბრალეული ქმედება და მიზეზობრივი კავშირი ამ ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის, რის გამოც მოსარჩელე დ.კ-ს უარი ეთქვა სარჩელის დაკმაყოფილებაზე<sup>90</sup>.

ზემოთ განხილული პრაქტიკული მაგალითი თვალსაჩინოდ მიუთითებს, რომ მხოლოდ ფაქტებზე მითითების ტვირთი არ წარმოადგენს სასურველი საპროცესო შედეგის მიღწევის წინა პირობას, ასეთივე დოზითად აუცილებელი მითითებული ფაქტების დამტკიცების ტვირთის რეალიზება. სასამართლო პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ სამედიცინო მომსახურებით უკმაყოფილო პაციენტების მიერ შეფასებული ზიანის ოდენობა მეტია, ვიდრე სასამართლო გადაწყვეტილებით დაკისრებული კომპენსაციის ოდენობა. გამომდინარე იქიდან, რომ მტკიცების ტვირთი ეკისრება მოსარჩელეს, სარჩელში პაციენტის (დაზარალებულის) ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანის ფაქტი და მიყენებული ზიანის

<sup>90</sup> სუსგ. 2005 წლის 14 სექტემბერი, სამოქალაქო საქმე №ას-874-1146-05. გადაწყვეტილება გამოქვეყნებულია სამოქალაქო, სამეწარმეო და გაბოტრების საქმეებზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებათა კრებულში.

ხარისხი იურიდიულად დამაჯერებლად უნდა იყოს დასაბუთებული. ეს შესაძლებელია მხოლოდ სათანადო მტკიცებულებების წარდგენის გზით. ამ გარემოებათა მტკიცების ტვირთი ეკისრება პაციენტს. სამოქალაქო საქმის განხილვისას პირველ რიგში, უნდა დადგინდეს არა მხოლოდ პაციენტის ჯანმრთელობის დაზიანების ფაქტი, არამედ ასეთივე დოზითაა აუცილებელი დადგინდეს პაციენტის ჯანმრთელობის დაზიანების გამო დამდგარი უარყოფითი შედეგის არსებობა. ვინაიდან, ანაზღაურებას ექვემდებარება ის ზიანი, რომლის რეალური არსებობა დასტურდება სათანადო მტკიცებულებებით. ამგვარი ფაქტების მითითებისა და მათი დამტკიცების ტვირთი, მათივე სირთულიდან გამომდინარე, ერთმანეთს უნდა გაემიჯნოს და არ უნდა დაეკისროს პროცესის მხოლოდ ერთ მონაწილე მხარეს.

საკითხის ამ კუთხით გაშუქებისას დაისმის კითხვა: ხომ არ უნდა შექმნას სასამართლო პრაქტიკაში პაციენტისათვის მტკიცების ტვირთის შემამსუბუქებელი საშუალებები ანუ ამგვარი კატეგორიის დავებში ერთმანეთს ხომ არ უნდა გაემიჯნოს ფაქტობრივი გარემოებების მითითების ტვირთი მათი დამტკიცების ტვირთს.

— მკურნალობის ეტაპზე დაშვებულ შეცდომებთან დაკავშირებით პაციენტის სასარგებლოდ შეიძლება გამოყენებულ იქნეს ე.წ. პრეზუმაცია. აქ საუბარია იმაზე, დადგენილი სამკურნალო შეცდომის შემთხვევაში, გამოგვაქს თუ არა დასკვნა ბრალის ან/და მიზეზობრივი კავშირის არსებობის შესახებ. მიზეზობრივი კავშირის დადგენის მიზნით, გამოყენებულ უნდა იქნეს მიზეზობრივი კავშირის ზოგადი კრიტერიუმები, რაც ნიშნავს, იმას, რომ პირველ რიგში, უნდა გაირკვეს არის თუ არა პაციენტის (დაზარალებულის) ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანი ექიმის ან/და სამკურნალო დაწესებულების ქმედების (უმოქმედობის) შედეგი. სასამართლო პრაქტიკასთან ახლოსაა პირდაპირი და არაპირდაპირი მიზეზობრივი კავშირის თეორია, რომლის თანახმად, ამგვარი კავშირის დასადგენად უმნიშვნელოვანესია მოვლენებს შორის ობიექტური კავშირის დადგენის აუცილებლობა. ექიმის ან/და სამკურნალო დაწესებულების მართლსაწინააღმდეგო ქმედება მხოლოდ მაშინაა ზიანის გამომწვევი მიზეზი, თუკი იგი უშუალოდ უკავშირდება პაციენტის (დაზარალებულის) ჯანმრთელობისათვის მიყენებულ ზიანს. ამასთან, მიზეზ-შედეგობრივი კავშირის დადგენაზეა დამოკიდებული პაციენტისათვის (დაზარალებულისათვის) მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ წარდგენილი ყოველი კონკრეტული სარჩევის დაკმაყოფილება.

გამომდინარე იქიდან, რომ ვეყრდნობით ვარაუდს, ექიმს ან/და სამკურნალო დაწესებულებას ევალება, გააქარწყლოს აღნიშნული ვარაუდი (ე.წ. პრეზუმაცია). მან უნდა დამტკიცოს, რომ რეალურად საქმე გვაქს არა ტიპიურ შემთხვევასთან. მტკიცების ტვირთის შებრუნებას ესაჭიროება სამი წინაპირობა:

ა) პაციენტის მდგომარეობის/ანამნეზის<sup>91</sup> გამოსწორება ვერ უნდა იქნას მიღწეული სწორი მკურნალობით;

<sup>91</sup> (ბერძ. anamnesis მედიცინის ენაზე (მოგონება)). ცნობები ავადმყოფობის ცხოვრების პირობათა შესახებ დაავადებამდე და ავადმყოფობის განვითარების ისტორია; ადგენს ექიმი

ბ) საქმაო საფუძველი არსებობს დაშვებისათვის, რომ ექიმის მიერ პაციენტის მდგომარეობის/ანამნეზის სწორი შეფასება შესაბამის სასურველ შედეგს მოიტანდა;

გ) პაციენტის მდგომარეობის/ანამნეზის უყურადღებოდ დატოვება ძირეული დიაგნოსტიკური შეცდომა.

სამკურნალო პროცედურებისა და მისი შედეგების შესახებ არსებული დოკუმენტაციის ნაკლმა გავლენა უნდა მოახდინოს ექიმისა ან/და სამკურნალო დაწესებულების მტკიცების ტვირთზე, ვინაიდან ექიმმა, მიუხედავად სამედიცინო დოკუმენტაციის არასათანადობისა, უნდა ამტკიცოს მისი ქმედების (დიაგნოზი, მკურნალობა, ჩატარებული გამოკვლევების სისწორე) მართებულობა. ამიტომ თუკი არ მოხდება ისეთი სადიაგნოზო, სამკურნალო ან ქირურგიული მოქმედებების წერილობითი ასახვა, რომელთა წერილობით გაფორმება სავალდებულოა, გამომდინარეობს არაპირდაპირი დასკვნა იმისა, რომ ის, რაც არ არის წერილობით დაფიქსირებული სინამდვილეში არც მომხდარა.

ამიტომ, ექიმმა ან/და სამკურნალო დაწესებულებამ უნდა დაამტკიცოს, რომ მათ ჩატარეს სწორი მკურნალობა ან ჩატარეს სრულყოფილი და ზუსტი გამოკვლევა. სწორედ ექიმმა ან/და სამკურნალო დაწესებულებამ უნდა იზრუნოს სამედიცინო დოკუმენტაციის სათანადოდ გაფორმებაზე (პაციენტის მიმართვიდან მომსახურების დასრულებამდე პერიოდზე), რისი დარღვევაც ართულებს საქმეზე ობიექტურად არსებული ვითარების დადგენას. ამგვარი დოკუმენტების გამოკვლევით ხედება შესაძლებელი დადგინდეს თუ რა კონკრეტული სადიაგნოზო, სამკურნალო ან/და ქირურგიული მოქმედება განახორციელდა ექიმმა ან/და სამკურნალო დაწესებულებამ და რამდენად სწორად და ღროულად განხორციელდა სამედიცინო ჩარევა. აღნიშნული ვალდებულების შეუსრულებლობა ცალსახად მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ დაზარალებულს უნდა შეუმსუბუქდეს მკურნალობის შეცდომასა და ჯანმრთელობის ან/და სიცოცხლისათვის მიუწებულ ზიანს შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირის მტკიცების ტვირთი.

ამდენად, პაციენტის მკურნალობის თითოეული ეტაპის არასწორად ასახვა უნდა იქცეს პაციენტზე დაკისრებული მტკიცების ტვირთის შემამსუბუქებელ გარემოებად.

აქვთ უნდა აღინიშნოს ისიც, რომ თუ ექიმი ან/და სამკურნალო დაწესებულება საყოველთაოდ აღიარებული სამეცნიერო სტანდარტებისა და მითითებებისაგან განსხვავებულად იქცევა, მაშინ იგულისხმება, რომ მკურნალობაში დაშვებულია შეცდომა. ამ შემთხვევაში, ექიმს ან/და სამკურნალო დაწესებულებას შეუძლია თავისი საქციელის იურიდულად არგუმენტირებული დამაჯერებლობით გაიმართოს თავი. ერთ-ერთ სამოქალაქო საქმეში საკასაციო სასამართლომ გაიზიარა კასატორის მითითება, რომ აცრის ჩატარებისას დარღვეული იყო სამედიცინო დოკუმენტაციის წარმოება (ჩატარებული აცრის სათანადო წესით რეგისტრაცია, ექიმის მიერ პაციენტის მდგომარეობის შესახებ ჩანაწერების

ავადმყოფის ან მისი მახლობლების ჩვენებათა მიხედვით. იხ., უცხო სიტყვათა ლექსიკონი, შემდგენელი ჭაბაშვილი გ, თბ, 1964, 38.

არაკვალიფიციური შესრულება, ვაქცინის არასთანადო საბუდალტრო აღრიცხვა).<sup>92</sup> ამდენად, მიზეზ-შედეგობრივი კავშირის დასადგენად მნიშვნელოვანია სამედიცინო დოკუმენტაციის შესწავლა, მით უფრო იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ ხშირ შემთხვევაში, სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა შეიცავს ისეთ მითითებებს, რაც, თავის მხრივ, გამორიცხავს კატეგორიული დასკვნის გაკეთების შესაძლებლობას. უმეტეს შემთხვევებში, სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველია პაციენტისათვის არასასურველ შედეგსა და ექიმის ან/და სამედიცინო დაწესებულების მოქმედებას შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირის დაუდგენლობა. განსაკუთრებით თვალსაჩინოა ამ პრობლემის არსებობა მაშინ, როდესაც პაციენტი დროულად არ ზრუნავს უფლების დაცვის სასარჩელო ფორმის გამოყენებისას დროულად მოიძიოს მტკიცებულებები და სათანადოდ შეასრულოს მისთვის დაკისრებული მტკიცების საპროცესო ვალდებულება.

პაციენტის სასარგებლოდ არსებობს, აგრეთვე მტკიცების ტვირთის შემსუბუქებისა და მტკიცების ტვირთის შებრუნების შესაძლებლობა სამკურნალო შეცდომის მიზეზებთან დაკავშირებით – უხეში შეცდომის შემთხვევაში. „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „ო“ ქვეპუნქტით, მცდარ სამედიცინო ქმედებად განმარტებულია ექიმის მიერ უნებლივედ პაციენტის მდგომარეობისათვის შეუსაბამო სადიაგნოზო ან/და სამკურნალო დონისძიებების ჩატარება, რაც მიყენებული ზიანის უშუალო მიზეზი გახდა.<sup>93</sup> „პაციენტთა უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლით, პაციენტს ან მის კანონიერ წარმომადგენელს უფლება აქვს მიმართოს სასამართლოს და მოითხოვოს: ა) კომპენსაცია ქონებრივი და არაქონებრივი ზიანისა, რომლებიც გამოწვეულია: ა.ა) პაციენტის უფლებების დარღვევით; ა.ბ) მცდარი სამედიცინო ქმედებით.<sup>94</sup>

დამკვიდრებული პრაქტიკის თანახმად, პაციენტისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურებისას, როგორც წესი, უნდა დადგინდეს ექიმის ბრალეულობად.<sup>95</sup> რაც გულისხმობს მის მიერ ნაკისრი ვალდებულებების

<sup>92</sup> სუსგ. 2011 წლის 27 ივნისი, სამოქალაქო საქმე №ას-260-244-11. გადაწყვეტილება ხელმისაწვდომია საქართველოს უზენაესი სასამართლოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე <<http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/06-2011.pdf>> (10.02.2012).

<sup>93</sup> საქართველოს კანონი „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ (10.12.1997წ). საქართველოს პარლამენტი №1139).

<sup>94</sup> საქართველოს კანონი „პაციენტის უფლებების შესახებ“ (05.05.2000წ). საქართველოს პარლამენტი №283).

<sup>95</sup> „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ საქართველოს კანონის“ 50-ე მუხლის დანაწესში (ნორმის დისპოზიცია: მცდარი სამედიცინო ქმედებისათვის ექიმი პასუხს აგებს კანონმდებლობით დადგენილი წესით) ქმედების ცალსახად განსაზღვრული სუბიქტია ექიმი. ამ თვალსაზრისით, ყურადღებას იპყრობს ნ. კვანტალიანის მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ „პაციენტისათვის არასასურველი შედეგი შეიძლება დადგეს არა მხოლოდ ექიმის, არამედ სხვა სამედიცინო პერსონალის (მედდის, სანიტარი) მცდარი სამედიცინო ქმედების საფუძველზეც. არ არის გამორიცხული ზიანი მათ მიერ განხორციელებულ სამკურნალო დონისძიებას მოჰყვეს. თუმცა კანონი არ აძლევს უფლებას პაციენტს ზიანი მოითხოვოს სხვა სამედიცინო პერსონალისაგან. დაწვრილებით ის, კვანტალიანი ნ. „პაციენტის უფლებები და ჯანმრთელობის დაცვის პერსონალის

აუცილებელი გულისხმიერებისა და ყურადღების გარეშე განხორციელებას. გულისხმიერებასა და ყურადღებიანობაში იგულისხმება ექიმის მიერ საჭირო სამედიცინო ქმედებების ზედმიწვნით ხარისხიანად, აღიარებული სამედიცინო სტანდარტების შესაბამისად შესრულება, რაც საკმაოდ რთული სამტკიცებელია დაზარალებულისათვის. საქართველოს სკ-ის 1007-ე მუხლით, ზიანის მიმყენებელი თავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან, თუ დაამტკიცებს, რომ ზიანის დადგომაში მას ბრალი არ მიუძღვის. ამიტომ, მსგავსი კატეგორიის დავებში ფაქტებზე მითითების ტვირთი და მათი დამტკიცების ტვირთის ერთმანეთისაგან გამიჯვნა პრაქტიკული თვალსაზრისით აუცილებელია.

ფაქტების მითითების ტვირთისა და მტკიცების ტვირთის გამიჯვნის აუცილებლობა არანაკლებ თვალსაჩინოა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის იმ მუხლში, რომელიც არეგულირებს წუნდებული პროდუქტით მიყენებული ზიანის ანაზღაურებას და მტკიცების ტვირთს აკისრებს დაზარალებულ მხარეს. ამ კატეგორიის დავებზე არსებული სამართლწარმოების თავისებურებებზე განსაკუთრებული ყურადღება იქნა გამახვილებული, რაც ძირითადად განაპირობა იმ გარემოებამ, რომ ქვეყანაში არსებული მდგომარეობით ირდვევა პროდუქტის მომხმარებელთა უფლებები, არ გარდება რაიმე სახის ქმედით ლონისმიერები. აღნიშნული კი, იწვევს სასამართლო დავების განხილვის გარდაუვლობას. რა პირობებში შეუძლია დაზარალებულს აღძრას სარჩელი ზიანის ანადაურების შესახებ წუნდებული პროდუქტის წარმოებლის წინააღმდეგ?

— სამოქალაქო კოდექსი ითვალისწინებს მწარმოებლის პასუხისმგებლობას, მიუხედავად იმისა, არსებობს თუ არა მასსა და დაზარალებულს შორის ხელშეკრულება<sup>96</sup>. გამყიდველის ვალდებულება აანაზღაუროს ზიანი, დამოკიდებულია მისი ბრალის არსებობაზე საქონლის უხარისხობასთან კავშირში. მიუხედავად წარმოების ტექნოლოგიური მიღწევებისა, პროდუქციის ხარისხი რჩება არააღკვატური და ცვალებადი. პროდუქტი მიიჩნევა წუნდებულად<sup>97</sup>, თუ იგი არ უზრუნველყოფს იმ საიმედოობას, რომელიც ყველა გარემოების გათვალისწინებით მოსალონებით იყო ამ პროდუქტისაგან. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით პროდუქტად მიიჩნევა ყველა მოძრავი ნივთი და ნივთთან დაკავშირებული მომსახურება, თუნდაც ეს ნივთი იყოს სხვა მოძრავი ან უძრავი ნივთის შემადგენელი ნაწილი. მწარმოებლად მიიჩნევა პირი, ვინც აწარმოა საბოლოო პროდუქტი, ძირითადი ელემენტი ან პროდუქტის ნაწილი. მწარმოებლად მიიჩნევა ასევე ყველა, ვინც საკუთარი სახელით, სასაქონლო ან სხვაგვარი განმასხვავებელი ნიშნით გამოდის, როგორც მწარმოებელი. მწარმოებლად მიიჩნევა აგრეთვე პირი, რომელსაც პროდუქტი გააქვს გაყიდვის, გაქირავების ან სხვა ფორმით, სამეურნეო მიზნით თავისი საქმიანობის სფეროში ამ კოდექსით გათვალისწინებული

<sup>96</sup> სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძვლები“. დისერტაცია იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, თბ, 2012. 104.

<sup>97</sup> იხ., ზოდე ბ, ქართული ვალდებულებითი სამართლის სისტემა და პრინციპები, ურ. ქართული სამართლის მიმოხილვა, 2000, 3/4 კვ, 119.

<sup>98</sup> წუნდებული (სპეც.) წუნის ქქონე, - ცედი, უხარისხოდ წარმოებული საქონელი. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, რედ. ა. ჩიქობავა, თბ, 1986, 566.

პირობების დაცვით. წუნდებული პროდუქტის მწარმოებელი პასუხს აგებს ამ პროდუქტით გამოწვეული ზიანისათვის. ზოგადი წესის თანახმად, ზიანის მიმყენებლის ბრალეულობა წარმოადგენს აუცილებელ პირობას იმისათვის, რომ დაკმაყოფილდეს მოთხოვნა ზიანის ანაზღაურების თაობაზე. უპირატესად, უნდა განიმარტოს ტერმინი „მწარმოებელი”, რომ გასაგები იყოს თუ ვინ არის პასუხისმგებლობის სუბიექტი იმ შემთხვევაში, როდესაც მომხმარებელს ადგება ზიანი წუნდებული პროდუქტის მოხმარების შედეგად. „მწარმოებლად მიიჩნევა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმით ჩამოყალიბებული საწარმო, რომლის საქმიანობის მიზანს შეადგენს პროდუქციის დამზადება, წარმოება და გასადება”<sup>98</sup>. პასუხისმგებლობის ზოგადი საფუძვლები მოცემულია საქართველოს სკ-ის 992-ე მუხლში, რომლის თანახმად, პირი, რომელიც სხვა პირს მართლსაწინააღმდეგო, განზრახი ან გაუფრთხილებელი ქმედებით მიაყენებს ზიანს ვალდებულია აუნაზღაუროს მას ეს ზიანი. 1012-ე მუხლის თანახმად, წუნდებული პროდუქტით მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებლობისას მტკიცების ტვირთი ეკისრება დაზარალებულს. აღნიშნული მუხლის დანაწესით, დაზრალებულმა უნდა ამტკიცოს ფაქტობრივი გარემოება იმის შესახებ, რომ მას მიადგა ზიანი და რომ მის მიერ გამოყენებული პროდუქტი წუნდებული იყო.

წუნდებული პროდუქტით მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ წარმოებული დავისას, ფაქტების მითითების ტვირთისა და მტკიცების ტვირთის მხოლოდ მოსარჩევე მხარეზე დაკისრების თვალსაჩინო მაგალითია სამოქალაქო საქმე ნ.რ-ის სარჩევის გამო მოპასუხე, შპს „ი-ის“ მიმართ<sup>99</sup>. საქმის ფაქტობრივი გარემოებების თანახმად, მოსარჩევემ 28.06.2004წ-ს მაღაზიაში შეიძინა პური. საუზმობიდან ერთი სათის შემდეგ გახდა ცუდად. იგი გადაყვანილ იქნა ინფექციური პათოლოგიისა და იმუნოლოგიის ცენტრში. მაღაზიაში ნაყიდი პურით მოწამვლის ფაქტის დადასტურებას მოსარჩევე შეუცადა ვირსალაძის სახელობის სამედიცინო პარაზიტოლოგისა და ტროპიკული მედიცინის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის პროფ. გ-ის მიერ 21.03.2005წ-ს გაცემული წერილით, რომელშიც ექიმი მიუთითებდა, რომ მის მიერ გასინჯული იყო მრგვალი თეთრი პურის ნაჭერი, რომელიც ცხვებოდა „....ი-ში“. შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ პურში აღმოჩნდა ვირთაგვის ექსკრემენატები, რამაც გამოიწვია ნ.რ-ის მოწამვლა. ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური

<sup>98</sup> იხ., შოთაძე თ, უხარისხო პროდუქტით მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებლობის სამართლებრივი პრობლემა ქართულ და ევროპულ კანონმდებლობაში, ქურნ. მართლმსაჯულება, №2 (2007), 66.

<sup>99</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსში 2012 წლის 08 მაისის №6151-ის საქართველოს კანონით სამოქალაქო კოდექსში შევიდა ცელილება, რომლითაც უხარისხო პროდუქტს ეწოდა წუნდებული პროდუქტი. საკვლევი თემის ირგვლივ საინტერესო დებულებას, რომელიც შეეხება ამ კატეგორიის დავაში მხარეთა შორის მტკიცების ტვირთის განაწილებას ცელილება არ განუცდია. ამიტომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსში აღნიშნული ცელილების შესვლამდე მიღებული სასამართლო გადაწყვეტილებები, რომლებიც მოხმობილია ნაშრომში და აღწერილია უხარისხო პროდუქტით მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ დავაში დაზარალებულის ვალდებულება, ამტკიცოს სარჩევში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები, პრაქტიკული პურით კვლავ საინტერესოა.

იმუნოლოგიის სამეცნიერი პრაქტიკული ცენტრიდან წარმოდგენილი ამონაწერით მოსარჩევებ დაადასტურა, რომ იყო მოწამლული იყო და ჩაუტარდა გარკვეული სახის მკურნალობა. თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს 04.04.2005წ-ის გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა, რაც უცვლელად იქნა დატოვებული სააპელაციო წესით გასაჩივრების შედეგად, გამომდინარე იქიდან, რომ კონკრეტულ შემთხვევაში, ადგილი ჰქონდა საქართველოს სკ-ის 992-ე მუხლით გათვალისწინებულ გარემოებას, რის გამოც მოპასუხე ვალდებული იყო აენაზღაურებინა მის მიერ მიყენებული ზიანი<sup>100</sup>.

ამ კატეგორიის დავებში დაზარალებულის მტკიცებასთან დაკავშირებით არსებული სასამართლო პრაქტიკიდან ასევე საინტერესოა სამოქალაქო საქმე ლ.ჩ.-ის სარჩელის გამო, მოპასუხე, „....ს.ი.დ.ი-სა“ მიმართ, მორალური და მატერიალური ზიანის ანაზღაურების შესახებ. საქმის გარემოებების თანახმად, 2001 წლის მარტში მოსარჩელეს საკეისრო კვეთის შედეგად ქუთაისის №2 სამშობიარო სახლში შეეძინა ვაჟი. ლ.ჩ-ეს დასჭირდა სისხლის გადასხმა. მისმა ნათესავებმა სისხლის ბანგში შეიძინეს 600 გრამი ერითროციტული მასა და კრიოპლაზმა, რაც გადაესხა მოსარჩელეს. ბავშვის დაბადებიდან 2-3 თვის შემდეგ ლ.ჩ-ის შვილი, ხოლო ორი წლის შემდეგ თავად მოსარჩელე დაავადდა. ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის სამეცნიერო-პრაქტიკული ცენტრის გამოკვლევით დადგინდა, რომ მოსარჩელის ვაჟს ვირუსი გადაეცა დედის რძესთან ერთად. სპეციალისტთა განმარტებების თანახმად, შიდსის ვირუსით დაინფიცირების დადგენის უზუსტესი მეთოდი ცენტრში ხდება, თუმცა ამ მეთოდის სიძირის გამო, იგი დონორთა სისხლის შემოწმებისას არ გამოიყენება. ცხადია, ლ.ჩ-ის ახლო ნათესავები მოსარჩელისათვის საჭირო სისხლის შეძენისას ვარაუდობდნენ, რომ იძენდნენ ნამდვილად საიმედო, ხარისხიან პროდუქტს და ისინი ნივთის ვარგისიანობის შესაძლო ნაკლებ არავის გაუფრთხილებია. სწორედ ამ საფუძვლით არ იქნა გაზიარებული მოპასუხე ორგანიზაციის მოსაზრება, რომ სარეალიზაციო პროდუქტის გატანის დროს არსებული მეცნიერულ-ტექნოლოგიური დონის გათვალისწინებით შეუძლებელი იყო პროდუქტის ნაკლის აღმოჩენა, რის გამოც საზოგადოების ბრალი არ არსებობდა, რაც მის პასუხისმგებლობას გამორიცხავდა. მოპასუხე ვალდებული იყო, ეწარმოებინა და გაესხვისებინა მხოლოდ უსაფრთხო სისხლი იმ გარემოებათა გაუთვალისწინებლად, თუ რა დირექტულების გამოკვლევები ესაჭიროებოდა აღნიშნულს<sup>101</sup>.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1010-ე მუხლის საკანონმდებლო დანაწესი ხარისხის კრიტერიუმად მიიჩნევს მის საიმედოობას. ამიტომაც პროდუქტის წუნის მითითების (ფაქტების მითითების ტვირთის რეალიზება) შემდგომ მისი დამტკიცება (მტკიცების ტვირთის რეალიზება) სამოქალაქო ბრუნვის მონაწილისათვის და განსაკუთრებით, არამერარმე

<sup>100</sup> თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2006 წლის 21 სექტემბრის განჩინება, სამოქალაქო საქმე №28/256-06. მისი გაცნობა შესაძლებელია მხოლოდ სასამართლოს არქივში.

<sup>101</sup> სუსგ. 2007 წლის 25 სექტემბერი, სამოქალაქო საქმე №ას-296-624-07. გადაწყვეტილება გამოქვეყნებულია სამოქალაქო, სამეწარმეო და გაპოტრების საქმეებზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებათა კრებულში.

მომხმარებლისათვის რთულია; ზოგიერთ შემთხვევაში შეუძლებელიცაა განისაზღვროს თურამდენად საიმედოა ესა თუ ის პროდუქტი. ბუნებრივია, ხელშეკრულების მხარეს, რომელიც სთავაზობს მომხმარებელს ამა თუ იმ პროდუქტის, მართებს გულისხმიერი დამოკიდებულება მის საიმედობასთან მიმართებაში. ამგვარი გულისხმიერი დამოკიდებულების მოთხოვნა მომეტებულია იმ შემთხვევაში, როდესაც პირი ახდენს ისეთი პროდუქტის რეალიზაციას, რომელიც გარკვეულწილად რისკობაა დაკავშირებული. ამასთან, პროდუქტის ხარისხი განსაზღვრავს მის ფასს და კონტრაქტის ინტერესს მოცემული პროდუქტისადმი. შესაბამისად, სახელშეკრულებო ურთიერთობის მონაწილეებს შორის პროდუქტის ხარისხზე შეთანხმების არარსებობა არ გამორიცხავს წუნდებული პროდუქტის მწარმოებლის პასუხისმგებლობას. იმ შემთხვევაში, როდესაც მწარმოებელი თავისი საქმიანობიდან გამომდინარე, სახელმწიფოს მიერ გაცემული სპეციალური ხებართვის საფუძველზე აწარმოებს სპეციფიკურ პროდუქტს და მის რეალიზაციას მომხმარებელს მწარმოებლის მიმართ გააჩნია განსაკუთრებული ნდობა. იგო განპირობებულია საქმიანობის ამ სფეროში კონტრაქტის მზადყოფნის პრეზუმეციით, როგორც პროფესიონალი კადრებით, ისე სათანადო ტექნიკური აღჭურვილობით. „მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულია მომხმარებლის უფლება მოითხოვოს რომ პროდუქტია იყოს უსაფრთხო მისი სიცოცხლის, ჯანმრთელობისა და გარემოსათვის.

სამოქალაქო კოდექსის 1009-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, წუნდებული პროდუქტის მწარმოებელი პასუხს არ აგებს იმ ნაკლისათვის, რომლის აღმოჩენა შეუძლებელი იყო მეცნიერებისა და ტექნიკის იმ დონის გათვალისწინებით, რომელიც არსებობდა სარეალიზაციოდ პროდუქტის გატანის დროს. მწარმოებელი, რომელიც პრეტენზიას აცხადებს ამა თუ იმ პროდუქტის წარმოება-რეალიზაციის კომპეტენციაზე, ვალდებულია საწარმოს სათანადო ტექნიკით აღჭურვაზე, ხოლო ტექნიკის სიძვირე და იშვიათობა მწარმოებლის პასუხისმგებლობის გამორიცხავ გარემოებად ვერ იქნება მიჩნეული. გამომდინარე იქიდან, რომ მწარმოებელი ახდენს ისეთი პროდუქტის რეალიზაციას, რომელიც პირდაპირ მოქმედებს ადამიანის უფლებაზე – სიცოცხლესა და ჯანმრთელობაზე და რომლის ხარისხის სრულყოფილი გამოკვლევა მეცნიერებისა და ტექნიკის არსებული დონის გათვალისწინებით გარკვეულ პრობლემებთანაა დაკავშირებული, ამიტომ მწარმოებელი ვალდებულია, მომხმარებელს მისცეს ინფორმაცია აღნიშნულის თაობაზე და გააფრთხილოს სავარაუდო თანამდევ შედეგებზე. პროდუქტის საშიში თვისებების შესახებ ინფორმაციის არასრული მითითება (მომხმარებლის სრული ინფორმირება), რომლის ცოდნის შემთხვევაში, დაზარალებულ მხარეს ექნებოდა არჩევანის გაკეთების შესაძლებლობა, თავისთავად წარმოადგენს აუცილებელ ფაქტორს პროდუქტის უხარისხოდ მიჩნევისათვის.

ამ პრობლემის თვალსაჩინოებისათვის უპრიანი იქნება მაგალითის მოყვანა უზენაესი სასამართლოს პრაქტიკიდან, რომელიც წარმოაჩენს პროდუქტის საშიში თვისებების შესახებ ინფორმაციული ნაკლის არსებობას. აღნიშნული გადაწყვეტილებით ხაზგასმულია პროდუქტის

ინფორმაციული ნაკლით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების საფუძვლები. აღნიშნულ საქმეში უხარისხო პროდუქტს წარმოადგენდა ე.წ. კორეული წარმოშობის ვაქცინა, რომელიც პუმანიტარული მისით საქართველოში შემოიტანა გაეროს ბავშვთა ფონდის საქართველოს წარმომადგენლობამ. 18.03.2002წ-ს 12 წლის გ.ქ.-ს გაუკეთდა ვ-ჟეპატიტის საწინააღმდეგო პროფილაქტიკური აცრა. აცრას წინ უსწრებდა გამოკვლევა, რომლითაც დადგინდა, რომ ბავშვი აცრის მომენტისთვის იყო ჯანმრთელი. აცრიდან მესამე დღეს, კერძოდ, 20.03.2002წ-ს გ.ქ.-ს განუვითარდა ტეტრაპარეზი (ზედა და ქვედა კიდურების პარალიზი) და ჩავარდა კომაში. ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა ემყარებოდა იმ გარემოებას, რომ პროდუქტს – ვაქცინას, თან არ ახლდა გაფრთხილება გვერდითი მოვლენების შესახებ. „წამლისა და ფარმაცევტული საქმიანობის შესახებ“ კანონის 26.4 მუხლის შესაბამისად, სამკურნალო საშუალებების მიმოქცევისა და გამოყენების სუბიექტები ვალდებული არიან წამლის სააგენტოს მიაწოდონ ინფორმაცია სამკურნალო საშუალების სხვა ურთიერთქმედების თავისებურებათა შესახებ, რომელიც მითითებული არ არის ინსტრუქციაში.

სამკურნალო საშუალების მიმოქცევა, ამავე კანონის 11 მუხლის მე-18 ნაწილის შესაბამისად, მოიცავს სამკურნალო საშუალების მომზადება-წარმოებას. მითითებული ნორმებიდან გამომდინარე და იმის გათვალისწინებით, რომ „გ. კორპორეიშენის“ მიერ წარმოდგენილი არ იყო არც ერთი მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებდა მითითებული ინფორმაციის მიწოდების ფაქტს, სასამართლოს მოსაზრებით, სახეზე იყო უმოქმედობით გამოწვეული ზიანი, რომელიც საქართველოს სკ-ის 992-ე მუხლის შესაბამისად ქმნიდა ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის საფუძველს<sup>102</sup>.

ზიანის დადგომის შესახებ ფაქტობრივი გარემოების დამტკიცება მომხმარებლისათვის პრობლემას არ წარმოადგენს, ხოლო პროდუქტის წუნის დამტკიცება, ანუ იმ გარემოების დამტკიცება, რომ კონკრეტული პროდუქტის წარმოებისას შეცდომა იქნა დაშვებული ძნელი დასამტკიცებელია მომხმარებლის მხრიდან, რადგან მომხმარებელს საქმარისი ცოდნა არ გააჩნია ამისათვის. აქედან გამომდინარე, არ არის მართებული, რომ დაზარალებულს, რომელსაც წარმოდგენა არა აქვს წარმოების ტექნოლოგიურ პროცესზე, ეკისრება მტკიცების ტვირთი; დაზარალებული ვერ შესძლებს იმის დამტკიცებას, რომ კონკრეტული პროდუქტის წარმოებისას დაშვებული იყო რაიმე სახის შეცდომა. დაზარალებულის მტკიცების ტვირთი უნდა შემოიფარგლოს მხოლოდ იმ ფაქტობრივი გარემოების მითითებით, რომ ნამდვილად პროდუქტის წარმოებისას დაშვებული შეცდომით მიადგა მას ზიანი. მტკიცების ტვირთი უნდა გადანაწილდეს დაზარალებულის სასარგებლოდ და საქართველოს სკ-ის 1012-ე მუხლით წუნდებული პროდუქტით მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ დავებზე მიყენებული ზიანისათვის

<sup>102</sup> სუბ. 2005 წლის 26 ივლისი, აღმინისტრაციული საქმე №ბს-434-25(3\_05). გადაწყვეტილება ხელმისაწვდომია საქართველოს უზენაესი სასამართლოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე <<http://prg.supremecourt.ge/DetailViewAdmin.aspx>> (10.02.2012).

პასუხისმგებლობისას მტკიცების ტვირთი უნდა დაეკისროს პროდუქტის მწარმოებელს. მტკიცების ტვირთის ამგვარი გადანაწილებით კი უკეთესად იქნება დაცული მომხმარებელთა უფლებები.

ფაქტების მითითების ტვირთისა და მათი მტკიცების ტვირთის ერთმანეთისაგან გამიჯვნის აუცილებელი გამონაკლისი შემთხვევების კვლევა წარმოუდგენელია ე.წ. ნეგატიური ფაქტების გარეშე. კერძოდ, კანონი სამართლებრივ შედეგს უკავშირებს შემდეგ გარემოებას: რაღაც არ მომხდარა ან არ არსებობს, რისი დამტკიცებაც საკმაოდ რთულია. თეორიულად შესაძლებელია მრავალი საპირისპირო პოზიტიური შესაძლებლობის დაუსრულებლად მოფიქრება. არც ერთ მხარეს არ მოეთხოვება, რომ ყველა სავარაუდო შესაძლებლობა უარყოს და მათ შესახებ ახსნა-განმარტება მისცეს. ამ შემთხვევაშიც, ფაქტებზე მითითების ტვირთი, რომელიც ფაქტის პოზიტიურ შესაძლებლობებს შეეხება და მოსარჩელის მოთხოვნებს გამორიცხავს მოწინააღმდეგე მხარეს ეკისრება, ხოლო ამ უკანასკნელის მიერ მითითებული არარსებული შესაძლებლობის მტკიცების ტვირთი – მოსარჩელეს. ეს საკითხი შესაძლოა უფრო თვალნათელი გახდეს შესაბამისი მაგალითით: იმ შემთხვევაში, თუ მოსარჩელე მოპასუხის მიმართ აყენებს მოთხოვნას უსაფუძვლო გამდიდრების შესახებ საქართველოს სკ-ის 976-ე მუხლის პირველი ნაწილი „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე და მიუთითებს, რომ თანხის გადახდა შემთხვევით განხორციელდა, რადგან სინამდვილეში არ არსებობდა მოპასუხის ნამდვილი მოთხოვნა, მაშინ მოპასუხებ სავარაუდო სამართლებრივი საფუძველი უნდა დაასახელოს ზუსტად და მხოლოდ პასუხის (შესაგებლის) წარდგენით არ უნდა შემოიფარგლოს. მოპასუხებ უნდა მიუთითოს, რომ შესრულებისათვის არსებობდა სათანადო მატერიალურ-სამართლებრივი საფუძველი. მოპასუხის მიერ ამ გარემოებებზე მითითების შემდეგ კი მოსარჩელებ უნდა დაამტკიცოს, რომ მოპასუხის მიერ მითითებული მატერიალურ-სამართლებრივი საფუძველი არ არსებობდა და სხვა თეორიულ, შესაძლო სამართლებრივ საფუძველზე ფიქრით აღარ უნდა დაკავდეს. ამ შემთხვევაშიც, ფაქტებზე მითითების ტვირთი და მტკიცების ტვირთი ერთმანეთს ემიჯნება. ამ თვალსაზრისით, სასურველია გავითვალისწინოთ გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსისათვის დამახასიათებელი დისპოზიციურობის პრინციპიდან გადახვევა. თუ სასამართლო აღიჭურვება უფლებამოსილებით და ფორმულირებას მისცემს მტკიცების საგანს მტკიცების ტვირთის შესაბამისად მაშინ მოსამართლის ეს საპროცესო მოქმედება საქმეში მონაწილე მხარეებისათვის თვალსაზრის გახდის, რომელ დასამტკიცებელ ფაქტთან დაკავშირებით უნდა ჩამოაყალიბოს თავისი შეხედულება. სასამართლოს ამ უფლებამოსილებით თავიდან იქნება აცილებული ზედმეტი საპროცესო დონისმიერები.

## თავი II

### მუნიციპალურიათა კლასიფიკაცია და მათი სახეები ქართული და უცხოური სამართლის მიხედვით

#### §1. მტკიცებულებათა სახეების უცხოური სამართლის მიხედვით განხილვის დასაბუთება

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის მეორე ნაწილი ადგენს მტკიცებულების შემდეგ სახეებს: მხარეთა (მესამე პირთა) ასენა-განმარტება, მოწმეთა ჩვენება, წერილობითი და ნივთიერი მტკიცებულება და ექსპერტის დასკვნა<sup>103</sup>.

გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა ითვალისწინებს მტკიცებულების ხუთ სახეს: დათვალიერება, დოკუმენტური მტკიცებულება, მოწმის ჩვენება, ექსპერტიზის დასკვნა და მხარეთა ასენა-განმარტება<sup>104</sup>.

საფრანგეთის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მეშვიდე თავი არეგულირებს მტკიცების წესებს და მტკიცებულებათა ცალკეულ სახეებს: მხარეთა და მესამე პირთა ასენა-განმარტებები<sup>105</sup>, მხარეთა ჩვენებები<sup>106</sup>, მოწმის ჩვენებები<sup>107</sup>, სპეციალისტის მონაწილეობის ფორმა – დათვალიერება, კონსულტაცია, ექსპერტიზა<sup>108</sup>, წერილობითი მტკიცებულებები<sup>109</sup>, ფიცი<sup>110</sup>.

გერმანული და ფრანგული საპროცესო კანონმდებლობა არ შეიცავს მტკიცებულების განსხვავებულ სახეს, რომელიც გვლევის ფარგლებში საინტერესოა ეროვნული სასამართლო პრაქტიკისათვის. ამ მხრივ, ყურადღებაა გამახვილებული საერთო სამართლის სისტემის ქვეყნებში მოქმედი მტკიცებითი სამართლის იმ ნორმებზე, რომლებიც ახდენს მტკიცებულებათა კლასიფიკაციას და განსაზღვრავს მტკიცებულების იმგვარ სახეებს, რომლებიც საინტერესოა ეროვნული სასამართლო პრაქტიკისათვის, იმ თვალსაზრისით, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი უნიფიკაციის გზაზე საჭიროებს პროცესის მონაწილეობა თვითინიციატივისა და შეჯიბრებითობის დამატებით

<sup>103</sup> ob., ლილუაშვილი თ, ხრუბალი ვ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი, თბ, 2007, 230-298.

<sup>104</sup> ZPO, §372-455, Гражданское Процессуальное Уложение Германии, перевод с немецкого, М, 2006, 128-150.

<sup>105</sup> ob., *Code de Procédure Civile*. Centrime Edition. avec le concours de Isabelle Despres. Laurent Darget. Redacteur aux Editions Dalloz, 2009, (la compréhension personnelle des Parties; les déclarations des tiers) Art. 184-199.

<sup>106</sup> ob., *Code de Procédure Civile*. Centrime Edition. avec le concours de Isabelle Despres. Laurent Darget. Redacteur aux Editions Dalloz, 2009, (les attestations) Art. 200-203.

<sup>107</sup> იქვე: (la preuve testimoniale) Art. 204-231.

<sup>108</sup> იქვე: (les constatations), (la consultation), (l'expertise) Art. 232-284.

<sup>109</sup> იქვე: (les preuves littéraires) Art. 285-316.

<sup>110</sup> იქვე: (le serment judiciaire) Art. 317-322.

გარანტიებს, რაც, ბუნებრივია, საჭიროებს მტკიცების დამატებითი საშუალებების გათვალისწინებასაც. ისეთ პირობებში, როდესაც მოსამართლე ხელმძღვანელობს მხოლოდ მხარეთა შორის წარმოშობილ დავას და განსახილველი საქმის საპროცესო შედეგი მთლიანადაა დამოკიდებული მოდავე მხარეთა თვითინციატივასა და აქტიურობაზე, გადამწყვეტი საროცესო მოქმედება სადავო ფაქტებისა ან/და შესაგებლის ფაქტების მტკიცების ტვირთის რეალიზაციაა. მით უფრო, ისეთ პირობებში, რომ მტკიცებულებების ამა თუ იმ სახის გამოყენება ყველაზე ნაკლებადაა დამოკიდებული თავად მხარეებსა და სასამართლოზე. იგი დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ გარემოებაში წარმოიშვა და განვითარდა ფაქტები, რომლებთანაც დაკავშირებულია სამართალუროთიერობები, სად დატოვეს მათ (ფაქტებმა) კვალი – ადამიანთა შემეცნებასა თუ საგნებზე. რიგ შემთხვევებში, მოსამართლის შემეცნება არასაკმარისია ფაქტების სწორი ადგმისა და შეფასებისათვის და ოუცილებელია ექსპერტის ან/და სპეციალისტის დახმარება. მომდევნო პარაგრაფში ყურადღებაა გამახვილებული ინგლისისა და აშშ-ის მტკიცებით სამართალზე, რომელშიც მტკიცებულებითი სამართლის თეორია ატარებს გამოყენებით ხასიათის, რაც იმას ნიშნავს, რომ იგი მიმართულია მტკიცებულებების შესახებ მხოლოდ პრაქტიკული წესების შემუშავებისაკენ და ლიტერატურაში ძნელად შევხვდებით გულახდილ სამეცნიერო კამათს სასამართლო მტკიცებულებებისა თუ მტკიცებულებითი სამართლის შესახებ, მტკიცებულებათა განკუთხნადობისა თუ დასაშვებობის შესახებ. მტკიცებულებითი სამართლის შინაარსი ამოიწურება პრაქტიკული დანიშნულებით. „მართლმსაჯულების მიერ შექმნილი დაუწერელი სამართლის უზენააქცია თავად ინგლისელი მოსამართლის სულშია ღრმად ჩაბეჭდილი“<sup>111</sup>.

## §2. მტკიცებულებათა კლასიფიკაცია და მტკიცების განსხვავებული საშუალებები ინგლისის მტკიცებით სამართლში

ინგლისის მტკიცებით სამართალში მტკიცებულებად მიჩნეულია ნებისმიერი მასალა, რაც მოსამართლეს ეხმარება დარწმუნდეს ამა თუ იმ ფაქტის სისწორესა თუ უსწორობაში<sup>112</sup>. ინგლისის მტკიცებითი სამართლის თეორია ერთმანეთისაგან განასხვავებს მტკიცებულებას და მტკიცებულების უშუალო მატარებელს. მტკიცებულების მატარებელი შეიძლება იყოს დოკუმენტი, ნივთი, მოწმე, ხოლო თავად მტკიცებულება – მტკიცებულების უშუალო მატარებელში ბუნებრივად დამაგრებული ინფორმაციაა; ამ მხრივ, გამოარჩევენ მტკიცებულებების შემდეგ სახეებს: 1. ინფორმაცია, რომელიც დამაგრებულია დოკუმენტებში (წერილობითი მტკიცებულებები), 2.

<sup>111</sup> იხ., Roderick Munday, The Common Lawyer's Philosophy of Legislation (1983) 14 Rechtstheorie, ვუთითებ: Zimmerman R, Roman Law, Contemporary Law, European Law, The Civilian Tradition Today, New York, 2001, 201, მიხედვით.

<sup>112</sup> შეად. Murphy P. A, Practical Approach to Evidence, 3-rd Edition, London, 1988, 1.

ინფორმაცია, რომელიც დამაგრებულია მოწმეთა ჩვენებებში (ზეპირი მტკიცებულებები), 3. ექსპერტის დასკვნა, 4. „ჩვენება სხვისი სიტყვების სახით“, 5. ნივთიერი მტკიცებულება, 6. „აფიდევიტი“.

თავის მხრივ, წერილობითი მტკიცებულება იყოფა კერძო და საჯარო მტკიცებულებად. საჯარო მტკიცებულებას მიეკუთვნება დოკუმენტები, რომლებიც იქმნება საზოგადოებრივი გამოყენებისა და საჯარო მოხმარებისათვის<sup>113</sup>, ესენია:

1. ოფიციალური ჩანაწერები, რეესტრი, დოკუმენტები, რომლებიც გამოცემულია უფლებამოსილი სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ საჯარო ინტერესების მქონე საკითხებზე, კერძოდ, სამოქალაქო მდგომარეობის შესახებ აქტები, ქორწინების რეგისტრაციის, გარდაცვალების, დაბადების ფაქტის შესახებ ჩანაწერი და ა.შ..
2. სხვა სახის საჯარო ხასიათის დოკუმენტები და მასალები, კერძოდ, განსაზღვრული სასამართლოების პროტოკოლები, შეთანხმებები, სამეფო გრანტები, შეწყალება, მინდობილობა.
3. გამოქვეყნებული ნაშრომები, რომლებიც შეეხება საჯარო ინტერესების მქონე საკითხებს (ისტორიული, სამეცნიერო ნაშრომი, ლექსიკონი, რუკა).

კერძო მტკიცებულებას მიეკუთვნება ინფორმაცია საზოგადოების პირადი ცხოვრების კონკრეტული დეტალების შესახებ, რომელიც გადმოცემულია წერილებში ან სხვა დოკუმენტებში.

წერილობით მტკიცებულებებს მიეკუთვნება არა მხოლოდ ინფორმაცია ბუნებრივად დამაგრებული მტკიცებულების მატარებელზე სხვადასხვა ნიშნის დახმარებით, როგორიც შეიძლება იყოს: ასო, ციფრი, იეროგლიფი, არამედ სხვა სახის ინფორმაცია ასახული სურათებზე, ნახაზზე, სქემაზე, გრაფიკზე, გეგმაზე, რუკაზე, მაგნიტურ ფირზე, რომლებშიც ხმები ან სხვა ინფორმაცია არ არის ხილვადი და მისი ნახვა შეიძლება რაიმე სხვა მოწყობილობის დახმარებით ან მის გარეშეც, ასევე ფილმებში მოცემული ინფორმაცია (მიკროფილმები), ნეგატივები ან სხვა მოწყობილობაში, რაშიც განსახიერებულია ერთი ან რამდენიმე გამოსახულება<sup>114</sup>.

ზეპირ მტკიცებულებად მიჩნეულია მოწმეთა ჩვენებები. ნიშანდობლივია, მოწმის ჩვენების მნიშვნელობის განსაკუთრებული ხასიათი მტკიცებულებათა სახეებს შორის. ეს განსაკუთრებულობა მდგომარეობს იმაში, რომ მოწმე შეიძლება გამოძახებულ იქნეს სასამართლოში და დაექმდებაროს ჯვარედინ დაკითხვას<sup>115</sup>. საგულისხმოა ისიც, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართლისაგან განსხვავებით, ინგლისის კანონმდებლობა არ ადგენს ასაკობრივ შეზღუდვას მოწმედ გამოსაძახებელი და დასაკითხი პირების მიმართ. ამდენად, პროცესში მოწმე შეიძლება დაშვებულ იქნეს არასრულწლოვნებიც. მთავარია, მათ შეეძლოთ ფიცის არსისა და მნიშვნელობის გააზრება პქონდეთ კომპეტენცია, ანუ უნარი აღიქვან მოვლენა და დაიმახსოვრონ იგი. მოწმეები მიჩნეული არიან სრული ინფორმაციის მქონე სუბიექტებად<sup>116</sup>.

<sup>113</sup> წერილობითი მტკიცებულებების მიმართ გამოიყენება ტერმინი “document”.

<sup>114</sup> Civil Evidence Act (1995) მუხლი მუ-10 (1).

<sup>115</sup> იხ., Гражданский Процесс Зарубежных Стран, под редакцией Давтян А. Г, М, 2008, 222.

<sup>116</sup> იქვე: 222.

მტკიცებულება არ შეიძლება დაუშვებლად იქნეს მიჩნეული იმ მოტივით, რომ ის წარმოადგენს მხოლოდ ჩვენებას სხვისი სიტყვების მიხედვით. 1995 წლის კანონი „სამოქალაქო საქმეზე მტკიცებულებათა შესახებ“<sup>117</sup> დასაშვებად მიიჩნევს „სხვისი სიტყვებით ჩვენებას“, როგორც განცხადებას, რომელიც გაკეთებულია სხვა პირის მიერ და არა იმ პირის მიერ ვინც უნდა მისცეს ზეპირი ჩვენება სასამართლოში<sup>118</sup>. მტკიცების ეს საშუალება უცხოა ეროვნული სამართლწარმოებისათვის, რის გამოც მასზე განსაკუთრებულ ყურადღებას მივაპყრობ.

„ჩვენება სხვისი სიტყვებით“ არის ინფორმაცია საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ფაქტის შესახებ, რომელიც მოწოდებული არ არის პირველწყაროდან<sup>119</sup>. „ჩვენება სხვისი სიტყვებით“ შესაძლებელია მოწოდებული იყოს პირველი ან მეორე პირის მიერ. ამის მიხედვით მტკიცებულების აღნიშნული სახე ერთმანეთისაგან განსხვავდება. ამავდროულად, ინფორმაციის პირველწყაროს შეიძლება წარმოადგენდეს არა ადამიანი, არამედ რაიმე დოკუმენტი, რომლის სასამართლო სხდომაზე წარმოდგენა შეუძლებელია. „ჩვენებას სხვისი სიტყვებით“ შეიძლება წარმოადგენდეს ასევე ინფორმაცია, რომელიც შეიცავს მოწმის წერილობით ჩვენებას, იმ პირობით, რომ განცხადების გამკეთებელი პირი (მოწმე) არ იქნება გამოძახებული სასამართლოში ზეპირი ჩვენების მისაცემად, ფაქტობრივად „ჩვენება სხვისი სიტყვებით“ არის წარმოებული მტკიცებულების ანალოგი<sup>120</sup>. სამოქალაქო საქმეზე მტკიცებულებათა შესახებ კანონი ადგენს მტკიცებულების ამ სახის გამოყენების წინა პირობებს. კერძოდ, მტკიცებულების ამ სახეზე, ისევე როგორც ჩვეულებრივი მოწმის ჩვენებაზე, ვრცელდება მოთხოვნა კომპეტენტურობის შესახებ. აღნიშნული გულისხმობს, რომ ინფორმაცია, რომელიც დამაგრებულია მტკიცებულების ამ სახეობაში, უნდა გაკეთდეს იმ პირის მიერ, რომელიც განცხადების გაკეთების დროისათვის ფლობდა კომპენსირებულის ყოფილიყო მოწმე<sup>121</sup>.

ნივთიერ (რეალურ) მტკიცებულებებს მიეკუთვნება ისეთი ინფორმაცია, რომელიც არსებობს მატერიალურად, მაგალითად, კომპაქტდისკი, ინფორმაციის მატარებელი და სხვ. ნიშანდობლივია, რომ ინგლისის მტკიცებულებითი სამართლი ნივთიერი მტკიცებულებების გაცილებით ფართო ჩამონათვალს იცნობს, ვიდრე საქართველოს სამოქალაქო

<sup>117</sup> „ჩვენება სხვისი სიტყვებით“ 1968 წლის „სამოქალაქო საქმეზე მტკიცებულებათა შესახებ“ კანონისაგან განსხვავებით (Civil Evidence Act), რომელიც „სხვისი სიტყვებით ჩვენებას“ დასაშვებად მიიჩნევდა მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში ან მხარეთა თანხმობის შემთხვევაში, ამჟამად მოქმედი 1995 წლის კანონი Civil Evidence Act (კანონი სამოქალაქო საქმეზე მტკიცებულებათა შესახებ) არ შეიცავს ასეთ შეზღუდვებს.

<sup>118</sup> Civil Evidence Act (1995) I(2)(a).

<sup>119</sup> ი. გრажданский Процесс Зарубежных Стран, под редакцией Давтян А. Г, М, 2008, 224, 225.

<sup>120</sup> ი. გრажданский Процесс Зарубежных Стран, под редакцией Давтян А. Г, М, 2008, 224, 225.

<sup>121</sup> მოწმედ ყოფნის კომპეტენცია ნიშავს, რომ პირი არ უნდა განიცდიდეს ისეთ ფსიქიურ და ფიზიკურ ავადმყოფობას, რომელიც მას გახდის არაკომპეტენტურს ან/და პირს უნდა ესმოდეს შესრულებული მოქმედების მნიშვნელობა Civil Evidence Act (1995) მუ5 (1) მუხლი.

საპროცესო სამართალი. ნივთიერ (რეალურ) მტკიცებულებებს მიეკუთვნება ინფორმაცია, რომელიც ნივთის გარეგნული გამოხატულებიდან ირკვევა. რეალური მტკიცებულებების წყაროდ მიიჩნევა, როგორც უშუალოდ დავის ობიექტი, ასევე განცენებული საგნები, რომლებიც თავის თავში აირეკლავს დამდგარ მოვლენას. ნივთიერ მტკიცებულებებს განეკუთვნება ინფორმაცია, რომელიც აღიქმება არა მხოლოდ გარეგნული დათვალიერებით, არამედ სმით (როდესაც მტკიცებულების წყაროა მუსიკალური ინსტრუმენტი), შეხებით, ყნოსვით<sup>122</sup>.

მტკიცებულების განსაკუთრებულ სახეს ინგლისურ სამართალწრმოებაში წარმოადგენს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართლისათვის უცნობი მტკიცებულების სახე, როგორიცაა „აფიდევიტი“. „აფიდევიტი“ არის წერილობითი, ფიცის ქვეშ გადმოცემული ჩვენება ან მოწმის საზეიმო განცხადება. ჩვენება გადმოცემული უნდა იყოს „აფიდევიტის“ ფორმით<sup>123</sup>. მოწმეს სხვა შემთხვევებშიც შეუძლია ჩვენების მიცემა „აფიდევიტის“ ფორმით. „აფიდევიტი“ შესაძლებლობას იძლევა მიღებულ იქნეს ინფორმაცია მოწმისაგან ან/და პროცესის სხვა მონაწილეებისაგან, რომლებიც ვერ ცხადდებიან პროცესზე ჩვენების მისაცემად<sup>124</sup>. მოწმის ჩვენების „აფიდევიტის“ ფორმით მიცემის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს სასამართლო ან მხარე. პირი, რომელიც იძლევა ჩვენებას „აფიდევიტის“ ფორმით ან საზეიმო ვითარებაში იწოდება დეპონენტად. დოკუმენტი ხელმოწერილ უნდა იყოს უფლებამოსილი პირისა და დეპონენტის მიერ<sup>125</sup>. ჩვენება შეძლებისდაგვარად უნდა გადმოიცეს საკუთარი სიტყვებით, პირველ პირში.

„აფიდევიტი“, როგორც წერილობითი დოკუმენტი, შედგება სამი ნაწილისაგან: პირველი ნაწილია შესავალი, რომელიც შეიცავს განსახილველი სამოქალაქო საქმის დასახელებას, რომლისთვისაც ხდება ჩვენების აღება, პროცესის ყველა დაინტერესებული მონაწილის დასახელებას. მითითებული უნდა იყოს მხარეები, რომლის ინტერესებშიც ხდება „აფიდევიტის“ მიცემა. დეპონენტის რეკვიზიტები, დოკუმენტის შედგენის თარიღი. მეორე ნაწილი ინფორმაციული ხასიათისაა, კერძოდ, მასში მოცემულია ის ცნობები, რომლებსაც მოწმე აწოდებს სასამართლოს. დეპონენტმა უნდა მიუთითოს თავისი პროფესია და საქმიანობა. თუკი დეპონენტი თავის ჩვენებაში ეყრდნობა ნივთიერ მტკიცებულებებს ან დოკუმენტს, მან უნდა აღწეროს ისინი მათთვის დამახასიათებელი ინდივიდუალური ნიშნებით. მესამე დასკვნითი ნაწილი უნდა შეიცავდეს განცხადებას, რომლითაც დადასტურდება „აფიდევიტი“. დასკვნაში მიეთითება იმ პირის რეკვიზიტი, რომლის წინაშეც მიცემულ იქნა ჩვენება „აფიდევიტის“ ფორმით.

<sup>122</sup> ი. გრაჯანსკის Процесс Зарубежных Стран, под редакцией Давтян А. Г, М, 2008, 231.

<sup>123</sup> Civil Evidence Act (1995) 32.15-ე მუხლი.

<sup>124</sup> ი. რეшетникова И. В. Доказательственное право Англии и США, Екатеринбург, 1997, 121.

<sup>125</sup> ი. გრაჯანსკის Процесс Зарубежных Стран, под редакцией Давтян А. Г, М, 2008, 223.

### **§3. მტკიცებულების განსხვავებული სახე „მტკიცებულებების შესახებ აშშ-ის ფედერალური წესების“ მიხედვით**

მტკიცებულებათა სახეების განხილვისას შეუძლებელია არ შევეხოთ „სხვისი სიტყვებით ჩვენებას“, რომელიც წარმოგვიდგება, როგორც ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სახე მტკიცებულებისა, რომელსაც ინგლისის მტკიცებულებითი სამართლის მსგავსად, ითვალისწინებს აშშ-ში მოქმედი „მტკიცებულებების შესახებ ფედერალური წესები“.

მტკიცებულების ამ სახის გამოყენებისას დაცული უნდა იქნეს ძირითადი წესი, რომლის თანახმად, საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ამა თუ იმ ფაქტის დასადასტურებად დაუშვებელია მტკიცებულების წარმოებული სახის გამოყენება. სასამართლო პროცესზე უშუალოდ უნდა დაიკითხონ ის პირები, რომლებმაც აღიქვეს მომხდარი ფაქტი და დაუშვებელია ამა თუ იმ ფაქტის არსებობა-არარსებობის შესახებ გარემოების დასადასტურებლად საკმარისად იყოს მიჩნეული ამ პირების მიერ ნებისმიერი ფორმით, არასამართლწარმოების პროცესში გაკეთებული განმარტება. ამიტომ, მტკიცებულების ამ სახის გამოყენების წინაპირობად მიჩნეულია შემდეგი წესების დაცვა: 1. განმარტება არ უნდა იყოს გაკეთებული სამართლწარმოების პროცესში; 2. განმარტება უნდა შეეხებოდეს ინფორმაციას, რომლის ნამდვილობაში დარწმუნება აუცილებელია.

აღნიშნული წესის ფორმირება მოხდა საერთო სამართლის ნორმებში, რომლის არსი მდგომარეობს შემდეგში: სამართლწარმოების პროცესში გაკეთებული განცხადებისაგან, აღიარებისაგან, დადასტურებისაგან განსხვავებით, რომლის დროსაც პირის დაკითხვა უშუალოდ ხდება მოსამართლის მიერ და აუცილებლობის შემთხვევაში, შესაძლებელია დამატებითი შეკითხვების დასმა, სამართლწარმოების გარეთ გაკეთებული განცხადება მოკლებულია ყოველივე აღნიშნულს. მიუხედავად ამისა პრინციპული მნიშვნელობისაა მიზანი, რომელიც განაპირობებს მტკიცებულების ამ სახის გამოყენებას. მაგალითად, მოწმე იძლევა ჩვენებას სასამართლოში იმის თაობაზე, რომ ის იყო კოლორადოში და ესაუბრებოდა ძმას, რომელიც იმყოფებოდა ნიუ-იორკში და აცნობა, რომ ნიუ-იორკში წვიმდა. თუკი მოცემული ჩვენების დახმარებით აუცილებელია დადასტურდეს ფაქტი პირის ნიუ-იორკში ყოფნის შესახებ, მაშინ ეს დასაშვები მტკიცებულებაა, ხოლო ნიუ-იორკში წვიმის არსებობის შესახებ ფაქტის დასადგენად ეს არის „ჩვენება სხვისი სიტყვებით“ და შესაბამისად, დაუშვებელი მტკიცებულება. აღნიშნულიდან გამომდინარე ამ მტკიცებულების გამოყენება სამართლწარმოებაში დაუშვებელია მხოლოდ იმ მიზნით, რომ დადასტურდეს ფაქტი, რომლის თაობაზეც ცნობილი ხდება არასასამართლო აღიარებაში.<sup>126</sup> „სხვისი სიტყვებით ჩვენება“ გამოიყენება

<sup>126</sup> Federal Rules of Evidence (1975 წლის 01 ივნისი). Article VIII. Hearsay. Rule 801. n.b., Federal Rules of Civil Procedure, 1997-98, Educational Edition, West Publishing Company, St. Paul, Minn, 1997, 958-963.

მხოლოდ საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ფაქტების დასადგენად<sup>127,128</sup>. მტკიცების ეს საშუალება ვრცელდება მხოლოდ ისეთ განცხადებებზე, რომლებიც არ არის გაკეთებული სამართალწარმოების პროცესში და შეეხება იმგვარ ინფორმაციას, რომლის ნამდვილობაშიც აუცილებელია მოსამართლის დარწმუნება. აქვე უურადღებას გავამახვილებ იმ მნიშვნელოვან საკითხზე, რომელიც შეეხება მტკიცებულებათა განცუთვნადობას, გამომდინარე იქიდან, რომ როგორც ნებისმიერი სხვა მტკიცებულება, ისე მტკიცებულების ეს სახეც უნდა პასუხობდეს განცუთვნადობის წესს<sup>129</sup>. „სხვისი სიტყვებით ჩვენებაში“ მხოლოდ ზეპირი ჩვენება არ იგულისხმება, მასში ასევე მოიაზრება წერილობითი განცხადებები, სხვა პირის მიერ წერილში, ანდერძში, განკარგულებაში, დღიურებში და ა.შ.

„სხვისი სიტყვებით ჩვენების“ შესახებ ფედერალური წესი ითვალისწინებს გამონაკლისების რამოდენიმე ჯგუფს, რომლის თანახმად, „სხვისი სიტყვებით ჩვენებაში“ არ მოიაზრება:

ა) განცხადება, გაკეთებული განმცხადებლის წინააღმდეგ;

ბ) ამა თუ იმ მოვლენის აღწერისა ან/და განმარტების შესახებ დასაშვებია გაკეთდეს განცხადება, ამ მოვლენის აღქმის პროცესში ან განმცხადებლის მიერ დაუყოვნებლივ ამ მოვლენის დამთავრებიდან. ასევე, დასაშვებია გაკეთდეს განცხადება იმ პირის მიერ, რომელმაც აღიქვა ესა თუ ის მოვლენა ძლიერი სულიერი აღელვების მდგომარეობაში, რაც გამოიწვია მოცემულმა მოვლენამ. მსგავსი განცხადებებისა და გამოხატულებებისადმი მაღალი ნდობის გარანტიად თვლიან იმას, რომ ის ატარებს სპონტანურ ხასიათს. ძლიერი სულიერი აღელვება რომელიც ხელს უშლის ფალსიფიკაციას<sup>130</sup>;

გ) სტატისტიკური ჩანაწერები, რომლებიც ეხება შობადობას, გარდაცვალებას, ბავშვების სიკვდილიანობას, ქორწინების რეგისტრაციას შესრულებული უფლებამოსილი სახელმწიფო მოხელის მიერ, ასევე მიიღება სასამართლოს მიერ ამ ქაღალდების შემდგენელი პირების დაკითხვის გარეშე<sup>131</sup>;

დ) რელიგიური ორგანიზაციის მიერ გაკეთებული ჩანაწერები დაბადების, ქორწინების, განქორწინების, გარდაცვალების შესახებ, ასევე

<sup>127</sup> ი. სტევენ ბაიკერ-მკი, ვილიამ მ. ჯანსენ, ჯონ ბ. კორ, *A Student's guide to the Federal Rules of Civil Procedura*, St. Paul, Minn, 1997, 71.

<sup>128</sup> მტკიცებულებების შესახებ ფედერალური წესები შეიძლება განვიხილოთ, როგორც მტკიცებულებითი სამართლის სტანდარტი როგორც ფედერაციაში, ისე შტატებში. მასში მოცემული ნორმატიული რეგულირება შეეხება სამოქალაქო საქმეებზე ყველა საპროცესო მოქმედების ჩატარებას აშშ-ის რაიონულ სასამართლოებში. ფედერალური წესების მიღებამდე მხოლოდ ოთხ შტატში მოქმედებდა მტკიცებულებათა კოდექსი – კალიფორნიაში, ნიუ-ჯერსიში, კანზასში, იუტაში. ი. მულერ კ. კირკპატრიკ ლ. კ., *Evidence*, Boston, New York, Toronto, London, 1995, 4.

<sup>129</sup> ი. სტევენ ბაიკერ-მკი, ვილიამ მ. ჯანსენ, ჯონ ბ. კორ, *Evidence, Examples and Explanations*, Boston, New York, Toronto, London, 1994, 3.

<sup>130</sup> ი. სტევენ ბაიკერ-მკი, ვილიამ მ. ჯანსენ, ჯონ ბ. კორ, *Federal Rules of Civil Procedura, 1997-98, Educational Edition*, West Publishing Company, St. Paul, Minn, 1997, 959.

<sup>131</sup> ი. სტევენ ბაიკერ-მკი, ვილიამ მ. ჯანსენ, ჯონ ბ. კორ, *Evidence, Examples and Explanations*, Boston, New York, Toronto, London, 1994, 3.

სხვა ფაქტების მიიღება სასამართლოს მიერ მითითებული აქტების შემდგენელი პირების დაკითხვის გარეშე<sup>132</sup>;

ე) ოორმეტ წელზე მეტი სიძველის მქონე დოკუმენტებში მოცემული განცხადებები მიიჩნევა სანდოდ<sup>133</sup>.

„სხვისი სიტყვებით ჩვენების“ წესებიდან არსებობს გამონაკლისების სხვა ჯგუფიც<sup>134</sup>, რომელიც შეეხება მხოლოდ მოწმეს და გამოიყენება ისეთ შემთხვევებში, როდესაც მას: 1. კანონიერი უფლება აქვს უარი თქვას ჩვენების მიცემაზე ან სარგებლობს ე.წ. პრივილეგიით<sup>135</sup>; 2. უარს აცხადებს ჩვენების მიცემაზე მიუხედავად სასამართლოს მოთხოვნისა და ჩვენების მიცემის აუცილებლობისა; 3. ეყრდნობა მეხსიერების დაქვეითებას; 4. მიუწვდომელია სასამართლოსათვის.

სენებული საფუძვლების არსებობისას დასაშვებია, რომ ამა თუ იმ ფაქტის დასამტკიცებლად მხარეებმა გამოიყენონ წარმოებული მტკიცებულებები. თუმცა, ისეთ შემთხვევაში, თუ ზემოთ ჩამოთვლილ გარემოებებს მოწმე შეგნებულად ეყრდნობა, მისი უშუალოდ დაკითხვის თავიდან აცილების მიზნით, მაშინ მხარეს ერთმევა უფლება ხელმძღვანელობდეს წარმოებული მტკიცებულებით.

<sup>132</sup> ob., Federal Rules of Civil Procedura, 1997-98, Educational Edition, West Publishing Company, St. Paul, Minn, 1997, 960.

<sup>133</sup> იქვე: 965.

<sup>134</sup> იქვე: 962.

<sup>135</sup> ob., Steven Baicker-McKee, William M. Janssen, Jon B. Corr, A Student's guide to the Federal Rules of Civil Procedura, St. Paul, Minn, 1997, 346-348.

### თავი III

## სამართლის ორლი და ფუნქცია მხარეთა შორის მტკიცების ტკირთის განაწილებისას

### §1. მხარეთა შორის მტკიცების ტკირთის განაწილების მნიშვნელობა

ადრე მოქმედ კანონმდებლობაში დამკიდრებული პრინციპების მოქმედების პირობებში მხარეთა შორის მტკიცების ტკირთის განაწილება წარმოადგენდა საქმეზე ობიექტური ჭეშმარიტების დადგენის აუცილებელ წინა პირობას. „სწორედ ობიექტური ჭეშმარიტების დადგენა იყო მხარეთა შორის მტკიცების ტკირთის განაწილების ინსტიტუტის საპროცესო დანიშნულება<sup>136</sup>“, რაც რადიკალურად შეიცვალა საქართველოს ახალი სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მიღებით. ყველა სამოქალაქო დავის განხილვისას არ მიმდინარეობს სასამართლო მტკიცების პროცესი. მტკიცების პროცესის ინიცირება ხდება იმ მოპასუხის მიერ, რომელიც არ ცნობს მის წინააღმდეგ მიმართულ სასარჩელო მოთხოვნას. იმ შემთხვევაში, თუ მოპასუხის მხრიდან არ არსებობს წინააღმდეგობა, მაშინ მოსარჩელე განთავისუფლებულია სასარჩელო ფაქტების დამტკიცებისაგან. ასეთ შემთხვევაში, ეს უკანასკნელი არ არის ვალდებული წარმოადგინოს და გამოაქვეყნოს მის ხელთ არსებული მტკიცებულებები<sup>137</sup>.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართლები გამოყოფილი და გამოკვლეული არ არის მტკიცების ტკირთის მოქმედება საპროცესო სამართლურთიერობებში. მტკიცების ტკირთის როლის განუზომლად ზრდა გამოწვეულია სასამართლოების საქმიანობით და არა მეცნიერული დოქტრინების განვითარებით<sup>138</sup>. მტკიცების ტკირთის განაწილების პრინციპის მრავალგვარი ფუნქცია განაპირობებს სამოსამართლეო სამართლები მის გამოყენებას სამართლიანი შედეგების დადგომისათვის და

<sup>136</sup> ი. ლილუაშვილი თ, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართლი, თბ, 1992, 127.

<sup>137</sup> ასეთ შემთხვევაში, სასამართლოს გამოაქვს დაუსწრებელი გადაწყვეტილება და აკამაყოფილებს სარჩელს მოთხოვნის არსებითად განხილვის გარეშე.

<sup>138</sup> უნდა აღინიშნოს, რომ ინგლისში ფინანსურული თვალსაზრისით, შენარჩუნებულია აზროვნების წესი, რომელიც გამორჩეულად დიდ მნიშვნელობას ანიჭებს სასამართლო პროცედურას. კონტინენტურ ევროპაში აღზრდილი იურისტი სასამართლოში სოციალური წესრიგის პრინციპებს ხედავს, იგი სასამართლოს აფასებს ამ პრიციპების შუქანდაპარაკობს პოლიტიკური თავისუფლების პრინციპებზე; საკუთრების თუ ხელშეკრულებათა სიწმინდეზე, სოციალურ უფლებებზე, ამ პრინციპების ცხოვრებაში გატარებას კი პრაქტიკოსებს უტოვებს საზრუნავად. ეს მაშინ, როცა ინგლისელი იურისტი ერთგვარი მექანიზმების პრაქტიკოსების უნდობლობით ეკიდება იმას, რაც ფუჭ სიტყვებად მიაჩნია. რა ფასი აქვს რომელიმე სამართლებრივ დებულებას ან პრინციპს, თუკი პრაქტიკაში მათი განხორციელების შესაძლებლობა არ არსებობს. ინგლისელი იურისტების მთელი ყურადღება საუკუნეების მანძილზე მიპყრობილი იყო სასამართლო პროცედურაზე. ი. Zweigert, H. Kötz, An Introduction to Comparative Law, Third Edition, Translated from the German by Tony Weir. Clarendon Press – Oxford, 1998, 204-217.

აშკარად უსამართლო შედეგის თავიდან აცილებისათვის. მხარეთა შორის მტკიცების ტვირთის განაწილების წესი შეეხება მხოლოდ სადაც იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტების დადგენას. მტკიცების ტვირთი კრიკელდება მატერიალურ ფაქტებზე. ამასთან, ერთმანეთისაგან განსხვავდება ის ფაქტები, რომლებიც მტკიცებას არ საჭიროებს და ისინი, რომელთა დასადასტურებლად სავალდებულოა მტკიცებულებათა წარდგენა.<sup>139</sup> ფაქტების დამდგენმა სასამართლომ (პირველი ინსტანცია, სააპელაციო სასამართლო) მხოლოდ ის ფაქტები უნდა დაადგინოს, რომლებიც სავალდებულოა კონკრეტულ საქმეზე გადაწყვეტილების მიღებისა და სამართლებრივი შედეგის დადგომისათვის. ამას უკავშირდება საქმის მონაწილე სუბიექტთა და სასამართლოს საპროცესო მოქმედების: მტკიცებულებათა წარდგენა, მტკიცებულებათა შეფასება და ა.შ. სასამართლომ გადაწყვეტილებას საფუძვლად უნდა დაუდოს მხოლოდ მის მიერ ნამდვილად მიჩნეული ფაქტები. საჭირო არ არის მტკიცებულებათა წარდგენა ყველა შემთხვევაში. კერძოდ, საქართველოს სსკ-ის 106-ე მუხლი ამოდის იქიდან, რომ ფაქტის ნამდვილობა შესაძლებელია ყოველგვარი მტკიცებულებების წარდგენის გარეშე დადგინდეს, როდესაც საქმე ეხება საყოველთაოდ ცნობილ ფაქტებსა და პრეიუდიციულად დადგენილ ფაქტებს.

სამოქალაქო საპროცესო სამართლში არ არის წინასწარი მოკვლევისა და გამოძიების ორგანოები. სასამართლო პროცესში როლების დანაწილება სწორედ იქითკენ არის მიმართული, რომ სხვადასხვა სადაც საქმის შემადგენლობები იქნეს გამოკვლეული. მაგალითად, მოსარჩევება და მოპასუხეს, თითოეულს თავისი თვალსაზრისიდან გამომდინარე, საკუთარი წვლილი შეაქვს იმაში, რომ სასამართლოს არც ერთი შესაბამისი კანონი და არგუმენტი არ გამორჩეს მხედველობიდან. შესაბამისად, სამართლიანობის თვალსაზრისით, მტკიცების ტვირთის დაკისრება საქმეში მონაწილე ერთ რომელიმე პირზე არ არის მიზანშეწონილი. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართლიში მხარეთა შორის მტკიცების ტვირთის განაწილება წარმოებს საქართველოს სსკ-ის 102-ე მუხლის დებულებათა შესაბამისად, რომლის თანახმად, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზეც ის ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს. ერთ-ერთ საქმეში სასამართლო ფაქტობრივი გარემოებების მტკიცების ტვირთი გადააკისრა მოწინააღმდეგე მხარეს, რომელმაც სასამართლოს ვერ წარუდგინა იმის დამადასტურებელ მტკიცებულებები, რომ იგი პასუხს არა აგებდა მოსარჩევისათვის დაბალი ძაბვის (უახარისხო) ელექტროენერგიის მიწოდებით მიყენებული ზიანის ანაზღაურებაზე<sup>140</sup>.

მტკიცების ტვირთის განაწილების ძალით ერთი მხარე, რომელმაც გარკვეული სახის ფაქტები უნდა დაამტკიცოს, თავისუფლდება იმ ფაქტების

<sup>139</sup> იბ., Peter Gottwald, Beweislast und Beweisführung im Wettbewerbsprozeß, Rechtsvergleichende Untersuchung zum deutschen, amerikanischen und schwedischen Recht, GRUR Int 1982, 695. <<http://beck-online.beck.de/?vpath=bibdata%5Czeits%5Cgrurint%5C1982%5Ccont%5Cgrurint.1982.695.1.htm&pos=19&hlwords=beweislastumkehr#xhlhit>> (17.10.2010)

<sup>140</sup> სუსგ. 2008 წლის 19 მარტი, სამოქალაქო საქმე №ას-766-1092-07. გადაწყვეტილება ხელმისაწვდომია საქართველოს უზენაესი სასამართლოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე <<http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/03-2008.pdf>> (10.02.2012).

დამტკიცებისაგან, რომელიც მოპასუხე მხარემ უნდა დაამტკიცოს და პირიქით. გამომდინარე იქიდან, რომ მხარეთა შორის მტკიცების ტვირთის განაწილების წესი მიუთითებს ორ ძირითად ფაქტორზე, კერძოდ, პროცესის მონაწილე რომელმა მხარემ რა ფაქტები უნდა დაამტკიცოს და რომელი ფაქტების დადგენის მოვალეობისაგან თავისუფლდება პროცესის მონაწილე ესა თუ ის მხარე, ამდენად, უნდა დავასკვნათ, რომ მხარეთა შორის მტკიცების ტვირთის განაწილება წარმოადგენს სამოქალაქო სამართალწარმოებაში მხარეთა თანასწორუფლებიანობის პრინციპის რეალიზებას.

მტკიცების ტვირთის განაწილების მნიშვნელობა დიდია იმ თვალსაზრისითაც, რომ იგი სტიმულს აძლევს მხარეთა აქტიურობას მოიძიოს და წარუდგინონ სასამართლოს მტკიცებულებები იმ ფაქტების დასადგენად, რომელთა დამტკიცების მოვალეობა მათ ეკისრებათ, რაც, თავის მხრივ, საქმეზე დასაბუთებული და სამართლიანი გადაწყვეტილების მიღების აუცილებელი პირობაა. ამ კუთხით, ყურადსადებია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 201-ე მუხლი, რომლიც ეხება სასამართლოს დავალებებს მოპასუხისადმი, კერძოდ, აღნიშნული მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, საქმის სასამართლო განხილვისათვის მომზადების მიზნით, მოსამართლე დაუნიშნავს მოპასუხეს ვადას იმისათვის, რომ მან წერილობით შეადგინოს თავისი პასუხი (შესაგებელი) სარჩელსა და მასში დასმულ საკითხებზე, აგრეთვე მოსაზრებები სარჩელისათვის დართული დოკუმენტების შესახებ და წარუდგინოს ისინი სასამართლოს. როგორც ვხედავთ, მტკიცების ტვირთის სუბიექტად მხოლოდ მოსარჩელე როდი წარმოგვიდგება, რადგან მტკიცების ტვირთი მოპასუხე მხარესაც ეკისრება.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება გაკეთდეს მეორე დასკვნა, რომლის თანახმად, სწორედ დასაბუთებული და სამართლიანი გადაწყვეტილების მიღებაა მხარეთა შორის მტკიცების ტვირთის განაწილების მიზანი.

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ მხარეთა შორის მტკიცების ტვირთის განაწილებას აქვს არა მარტო საპროცესო-სამართლებრივი, არამედ მატერიალურ-სამართლებრივი მნიშვნელობაც. აღნიშნული მდგომარეობს იმაში, რომ ფაქტის დაუმტკიცებლობით დამდგარი არახელსაყრელი შედეგები დაკისრება იმ მხარეს, რომელსაც ამ ფაქტის დამტკიცება ევალებოდა. სწორედ არახელსაყრელი გადაწყვეტილების გამოტანის მუქარა წარმოადგენს იმ გადამწყვეტ ფაქტორს, რომელიც უზრუნველყოფს მხარეთა აქტიურობას, დაამტკიცოს შესაბამისი ფაქტები. ერთი მხრივ, მოსარჩელეს ეკისრება იმ გარემოებათა დაამტკიცება, რაც მოპასუხისადმი წაყენებული მოთხოვნის ცალსახა დადასტურებამდე მიიყვანს სასამართლოს, მეორე მხრივ, კი მოპასუხეს, ეკისრება მის მიმართ წაყენებული მოთხოვნის გაქარწყლება, მისივე წარდგენილი (პასუხით) შესაგებლით.

მტკიცების პროცესში დიდი მნიშვნელობა ენიჭება დამაჯერებლად დასაბუთების უნარს. პროცესის მონაწილე სუბიექტს ჩამოყალიბებული უნდა ჰქონდეს შესაბამისი პოზიცია. საჭიროა გააჩნდეს საკუთარი მოსაზრება. დამაჯერებელი დასაბუთების ერთ-ერთი წინა პირობაა საქმის ირგვლივ

არსებული სხვადასხვა მოსაზრებების განხილვა და შემდეგ ერთ-ერთზე დაყრდნობით მყარი პოზიციის ჩამოყალიბება; დასაბუთება უნდა იყოს ლოგიკური, თანამიმდევრული და გასაგები.

მტკიცების ტვირთის მხარეთა შორის განაწილება გადამწყვეტი მნიშვნელობისაა. შეცდომა მის განაწილებაში იწვევს მცდარ გადაწყვეტილებას. მხარეთა შორის მტკიცების ტვირთის განაწილების მნიშვნელობის თვალსაჩინო მაგალითია სამოქალაქო საქმე ვ.რ.-ის სარჩელის გამო მოპასუხე „....ს.ბ-ის“ მიმართ, ანაბრის სახით შეტანილი 33 000 აშშ დოლარის დაბრუნების თაობაზე. ფაქტობრივ გარემოებად მოსარჩელე მიუთითებდა, რომ 17.09.2001წ.-ს ბანკში შეიტანა 15 000 აშშ დოლარი 3 თვის ვადით, თუმცა 10 დღის შემდეგ ბანკის მმართველთან მოლაპარაკების შედეგად თანხა დაუბრკოლებრივ დაუბრუნდა. 17.06.2002წ-ს მოსარჩელე კავლავ შეიტანა ბანკში 33 000 აშშ დოლარი, რაც დროზე ადრე გამოიტანა. 17.09.2002წ-ს მოსარჩელემ აღნიშნული თანხა ისევ მიაბარა მოპასუხე მხარეს. მოგვიანებით ვ.რ-მა მიაკითხა ბანკის მმართველს თანხის გამოსატანად, სადაც შეიტყო, რომ მოპასუხე საზოგადოების ყოფილი მმართველის თვითმკვლელობის შემდეგ ბანკს ახალი ხელმძღვანელობა ჰყავდა, ხოლო მის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების მიხედვით „....ს.ბ-ის“ ფილიალში შესაბამისი თანხა არ ირიცხებოდა. ქ. თბილისის გლდანი-ნაძალადევის რაიონული სასამართლოს 09.06.2003წ-ის გადაწყვეტილებით სარჩელი დაგმაყოფილდა, იმ საფუძვლით, რომ მოსარჩელემ დაადასტურა ფულადი თანხის შენახვის ხელშეკრულების დადების ფაქტი, ხოლო თანხის შენატანის დამადასტურებელი ქვითრის წარმოდგენის ვალდებულება გადაეკისრა მოპასუხე მხარეს<sup>141</sup>. აღნიშნული გადაწყვეტილება გაუქმდა სააპელაციო წესით გასაჩინორების შედეგად, გამომდინარე იქიდან, რომ მოსარჩელე მხარეზე გადანაწილდა არა მხოლოდ შენახვის ხელშეკრულების დადების ფაქტის დადასტურების ტვირთი, არამედ, ასევე ბანკისათვის ფულადი თანხების ჩაბარების დადასტურების ტვირთიც, რომლის დამადასტურებელი მტკიცებულების წარმოდგენა ე.ი. მტკიცების ტვირთის ამ კუთხით რეალიზება მოსარჩელემ ვერ უზრუნველყო<sup>142</sup>. საბოლოოდ, დავა დასრულდა საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებით, რომლითაც განსხვავებულად გადანაწილდა მოდავე მხარეთა შორის მტკიცების ტვირთი, რამაც საბოლოოდ განაპირობა ვ.რ-ს სარჩელის დაგმაყოფილება. „....ს.ბ-ს“ დაეკისრა ვ.რ-ს სასარგებლოდ 33 000 აშშ დოლარის გადახდა.<sup>143</sup> საკართველო პალატამ გაიზიარა, რომ ფულადი თანხის ბანკში მიბარების დასამტკიცებლად საქართველოს ეროვნული ბანკის №66ა ბრძანების მე-13 მუხლის თანახმად, მხარეს უნდა წარმოედგინა სალაროს

<sup>141</sup> თბილისის გლდანი-ნაძალადევის რაიონული სასამართლოს 2003 წლის 09 ივლისის გადაწყვეტილება. სამოქალაქო საქმე №2/607. ხელმისაწვდომია მხოლოდ სასამართლოს არქივში.

<sup>142</sup> თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა სააპელაციო პალატის 2003 წლის 3 ნოემბრის გადაწყვეტილება. სამოქალაქო საქმე №28/2297-03. ხელმისაწვდომია მხოლოდ სასამართლოს არქივში.

<sup>143</sup> სუსგ. 2004 წლის 20 აპრილი, საქმე №ას-97-402-04. გადაწყვეტილება ხელმისაწვდომია საქართველოს უზენაესი სასამართლოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე <http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/samoq2004-4-uni.pdf> > (10.01.2012).

შემოსავლის ორდერი და მიუთითა, რომ მხარეებს შორის გაფორმებული შეთანხმება მიბარების ხელშეკრულების წამოადგენდა და შესაბამისად, მასთან დაკავშირებული დავაც უნდა დარეგულირებულიყო ამ ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობის მომწესრიგებელი ნორმებით. საქართველოს სკის 770-ე მუხლი აწესებს შემნახველის ვალდებულებას, მიმბარებლის მოთხოვნისთანავე დააბრუნოს მიბარებული ნივთი. გამომდინარე იქიდან, რომ მოსარჩელებმ უზრუნველყო მასსა და საკრედიტო დაწესებულებას შორის გაფორმებული ბეჭდიანი ხელშეკრულების წარდგენა, რაც საკმარის მტკიცებულებას წამოადგენდა სადაცო თანხის ბანქში ჩაბარების დასადასტურებლად პალატამ მტკიცების საგნიდან ამორიცხა თანხის ბანკში შესანახად ჩაბარების დამადასტურებელი სალაროს შესაბამისი ქვითრის წარდგენის ვალდებულება და სალაროს მეურნეობის მოუწესრიგებლობა საბანკო დაწესებულებათა შიდა ორგანიზაციულ პროცედურად განიხილა, რაც გავლენას ვერ მოახდენდა მესამე პირთა მოთხოვნებზე. როგორც ვხედავთ, მტკიცების ტვირთის მხარეთა შორის არასწორმა განაწილებამ აღნიშნულ საქმეზე მცდარი გადაწყვეტლების მიღება განაპირობა, რაც საბოლოოდ გასწორდა საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ.

სამართალწარმოებაში მოქმედებს პრეზუმაცია, რომლის თანახმად, მოპასუხეზე არ შეიძლება გავრცელდეს პასუხისმგებლობა, თუკი მოსარჩელე არ დაამტკიცებს გარემოებებს, რომლებიც ადასტურებს მის მოთხოვნას. მართალია მტკიცებულებითი პრეზუმაცია მოსარჩელეს არ ათავისუფლებს მტკიცებულებების წარმოდგენისაგან, მაგრამ სწორედ პრეზუმაციით ხდება მტკიცების ტვირთის მოპასუხეზე გადანაწილება. შესაბამისად, პრეზუმაცია წარმოგიდგება, როგორც მტკიცების საშუალება<sup>144</sup>. სამართალწარმოებაში მხარეთა შორის მტკიცების ტვირთის განაწილება სასამართლო მტკიცების საუკეთესო ორგანიზაციის წინა პირობაა, რომელიც ხელს უწყობს დაინტერესებული პირების ინიციატივის განვითარებას და უზრუნველყოფს სრული მტკიცებულებითი მასალის წარმოდგენას

## **§2. დისპოზიციურობისა და შეჯიბრებითობის პრინციპები, როგორც მტკიცების ტვირთის განაწილების საფუძველი**

იურიდიულ ლიტერატურაში მართებულად აღინიშნება, რომ მტკიცების ტვირთის რეალიზებისა და მისი განაწილების წესის სამართლებრივი ბუნების ზუსტი ახსნა შეუძლებელია მოდავე მხარეთა თანასწორუფლებიანობისა და შეჯიბრებითობის პრინციპების გათვალისწინების გარეშე<sup>145</sup>. შესაბამისად, „მხარეთა შორის მტკიცების

<sup>144</sup> შეად. Egbert Peters, Beweislastpraxis im Privatrecht, NJW 1997, 1495 <[http://beck-online.beck.de/?vpath=bibdata%5Czeits%5Cnjw%5C1997%5Ccont%5Cnjw.1997.1495.2.htm&pos=3&hlwo\\_rds=beweislastumkehr#xhit](http://beck-online.beck.de/?vpath=bibdata%5Czeits%5Cnjw%5C1997%5Ccont%5Cnjw.1997.1495.2.htm&pos=3&hlwo_rds=beweislastumkehr#xhit)>(18.10.2010).

<sup>145</sup> შეად. ოთვლია თ, ფაქტობრივი გარემოებების მნიშვნელობა საკასაციო სასამართლოში თბ, 2011, 273.

ტვირთის განაწილება სამოქალაქო საპროცესო სამართალწარმოებაში მხარეთა თანასწორუფლებიანობის პრინციპის კონკრეტული გამოვლენაა<sup>146</sup>. „ადამიანთა (პირთა) კანონის წინაშე თანასწორობის აღიარებას საფუძველი ჩაუყარა ბუნებითმა სამართალმა<sup>147</sup>. ბუნებითი მოვალეობები, ისევე როგორც ბუნებითი უფლებები ყველა ადამიანისათვის ყოველთვის თანასწორი უნდა იყოს. ეს თანასწორობა საზოგადოებრივი ურთიერთობების ნებისმიერ სფეროში უნდა აისახოს და გავრცელდეს<sup>148</sup>. მათ შორის, რა თქმა უნდა, საპროცესო სამართლებრივ ურთიერთობებშიც. ამიტომ, შეიძლება ითქვას, რომ ამ თანასწორობამ უდიდესი როლი შეასრულა სამოქალაქო საპროცესო სამართალურთიერთობის განვითარებაში<sup>149</sup>. საქართველოს სსკ-ის მე-4 მუხლის დანაწესით, სამართალწარმოება მიმდინარეობს შეჯიბრებითობის საფუძველზე, რაც გულისხმობს რომ მხარეები სარგებლობენ თანაბარი უფლებებითა და შესაძლებლობებით – დაასაბუთო თავიანთი მოთხოვნები, უარყონ ან გააქარწყლონ მეორე მხარის მიერ წამოყენებული მოთხოვნები, მოსაზრებები თუ მტკიცებულებები. მატერიალურ სამართალში გაბატონებულმა ნების ავტონომიის პრინციპმა შესატყვისი გამოვლინება პოვა საპროცესო სამართალში დისპოზიციურობის პრინციპის სახით. დისპოზიციურობა მოქმედებს პროცესის ყველა სტადიაზე და ვლინდება სხვადასხვა ფორმით<sup>150</sup>. კერძოდ, პირს, რომელსაც აქვს ესა თუ ის უფლება, შეუძლია გამოიყენოს უფლება, ისარგებლოს ამ უფლებით, მაგრამ შეუძლია არ გამოიყენოს იგი. დისპოზიციურობის პრინციპს სპეციალური მუხლი ეძღვნება ამჟამად მოქმედ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში. კოდექსის მე-3 მუხლის თანახმად, მხარეები იწყებენ საქმის წარმოებას სასამართლოში, ამ კოდექსში ჩამოყალიბებული წესების შესაბამისად... ამრიგად, დისპოზიციურობის პრინციპი სამოქალაქო საპროცესო სამართალში ნიშნავს მხარეთა თავისუფლებას განკარგონ თავიანთი არა მარტო მატერიალური, არამედ საპროცესო უფლებებიც.

ამდენად, პირს, რომელსაც აქვს ესა თუ ის უფლება, შეუძლია გამოიყენოს უფლება, ისარგებლოს ამ უფლებით, მაგრამ შეუძლია არ

<sup>146</sup> იხ., ლილუაშვილი ო, სამოქალაქო საქმეთა წარმოება სასამართლოში პრაქტიკული სახელმძღვანელო, მე-2 გამოცემა, თბ, 2001, 156.

<sup>147</sup> Gschnitzer F, Allgemeiner Teil des bürgerlichen Rechts, 2. neubearbeitete Auf. Springer-Verlag. Wien/New-York 1992, 11-12. ვუთითებ: ბურდული ო, სამეწარმეო (სავაჭრო) სამართლის განვითარება საქართველოში და გერმანიაში (შედარებითი სამართლებრივი კვლევა), თბ, 2007, 21. მიხედვით.

<sup>148</sup> Seelmann K, Rechtsphilosophie, 2 Auf. München 2001, 65. ვუთითებ: ბურდული ო, სამეწარმეო (სავაჭრო) სამართლის განვითარება საქართველოში და გერმანიაში (შედარებითი სამართლებრივი კვლევა), თბ, 2007, 21. მიხედვით.

<sup>149</sup> იხ., მერყებაშვილი ო, სასამართლოში სამოქალაქო საქმეთა განხილვისას მხარეთა შეჯიბრებითობისა და მოსამართლეთა აქტიურობის პრინციპების მოქმედება, უურნ. „მართლმსაჯულება და კანონი“ №4 (23), 2009, 26.

<sup>150</sup> დისპოზიციურობა დათ. სიტყვა (dispositivus) და ნიშნავს „განკარგვას“. აქედან გამომდინარეობს იურიდიული ტერმინი „დისპოზიციურობა“, რომელიც შესაბამისად ნიშნავს სამოქალაქო ურთიერთობის მონაწილეთა იურიდიულ თავისუფლებას გამოიყენონ თავიანთი უფლებები. იხ., ხოფერია ნ, დისპოზიციურობა საქართველოს ახალი სამოქალაქო მატერიალური და საპროცესო სამართლის მიხედვით, უურნ. „ქართული სამართლის მიმოხილვა“, 1998, 74-76.

გამოიყენოს იგი. უფლების გამოყენება არაა ვალდებულება. უფლების გამოყენება რომ ვალდებულება იყოს, მაშინ იგი, უფლება კი არა ვალდებულება იქნებოდა, რომლის შესრულება ყოველთვის დაუკავშირდება გარკვეულ შედეგს და რომლის შეუსრულებლობა უზრუნველყოფილი იქნება სახელმწიფოს იძულებითი მექანიზმით. თუ პირს შეუძლია განკარგოს თავისი მატერიალურ-სამართლებრივი უფლება ისე, როგორც ეს მას მიაჩნია მიზანშეწონილად, მაშინ შეუძლია ითმინოს ან არ ითმინოს ამ უფლების დარღვევა სხვა პირის მიერ. ეს იმას ნიშავს, რომ არავის არ აქვს უფლება აიძულოს პირი, რათა მან მიიღოს ზომები თავის დარღვეული თუ სადაცოდ გამხდარი უფლების დასაცავად.

საქართველოს სკ-ის მე-7 და მე-8 მუხლები უზრუნველყოფს სამოქალაქო ბრუნვის თავისუფლებას. პირს შეუძლია ისარგებლოს ამ სიკეთით, გაასხვისოს თავისი უფლება ან საერთოდ უარი თქვას მასზე. ნების ავტონომია, რომელზეც აგებულია კერძო სამართლებრივი ურთიერთობა, როგორც ადგინენტო, თავის უშუალო ზეგავლენას ახდენს სამოქალაქო პროცესზე, რაც, მირითადად შემდგები ვლინდება: პირს შეუძლია უფლების დამრღვევისაგან მოითხოვის ანაზღაურება იმ ოდენობით, რამდენსაც თვითონ მიიჩნევს საჭიროდ და მიზანშეწონილად.

ამდენად, ზემოთ აღნიშნული სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე:

1. თვით სამოქალაქო სამართლებრივი უფლებით აღჭურვილ პირზეა დამოკიდებული იმის გადაწყვეტა მიმართოს თუ არა სასამართლოს დარღვეული უფლების დასაცავად;
2. თვით დაინტერესებული პირის ნება-სურვილზეა დამოკიდებული იმ გარემოებების დადასტურება, რომლებიც მიიყვანს მას სასურველ მატერიალურ-სამართლებრივ შედგებამდე.

აგრეთვე მნიშვნელოვანია სამოქალაქო სამართალწარმოებაში მოქმედი შეჯიბრებითობის პრინციპი, რომელიც სამართლიანი და დასაბუთებული გადაწყვეტილების მიღების მიზნებიდან გამომდინარე, სადაც საქმეზე ფაქტობრივი გარემოებების მოპოვების, ანუ მტკიცების ტვირთის გარანტიას წარმოადგენს.

სამოქალაქო სამართალწარმოებაში შეჯიბრებითობის პრინციპის მოქმედება გულისხმობს, რომ სასამართლოში ფაქტებს წარადგენენ მხარეები, რომელთა გამოკვლევისა და შეფასების შედეგად მიიღება საბოლოო, შემაჯამებელი გადაწყვეტილება. საქართველოს ახალი სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მიღებამდე სამოქალაქო სამართალწარმოებაში გაბატონებული იყო საგამოძიებო (ასევე შეიძლება ეწოდოს მოკვლევის, ინკვიზიციურობის, ოფიციალობის პრინციპი)<sup>151</sup> პრინციპი. 1964 წლის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლი შეიცავდა მოთხოვნას, რომლის თანახმად, სასამართლო მოვალე იყო არ

<sup>151</sup> ლათ. *officium* – საჯარო; ლათ. *inquisitio* – გამოძიება, დაკითხვა. ოფიციალობის ან ინკვიზიციის პრინციპი არის პროცესუალური პრინციპი, რომლის მიხედვითაც, სასამართლოს შეუძლია გამოიკვლიოს ფაქტები საკუთარი უფლებამოსილების საფუძველზე. იხ., ციპელიუსი რ, იურიდიული მეთოდების მოძღვრება, მე-10 გადამუშავებული გამოცემა, მიუნხენი, 2006. (თარგმანი ქართულ ენაზე – თოთლაძე ლ, სამეცნიერო რედაქტორი ტურავა ქ. (2009)) 119.

დაყრდნობოდა მხოლოდ მხარეთა მიერ წარმოდგენილ მასალას და ახსნა-განმარტებებს და მიეღო კანონით გათვალისწინებული ყველა ზომა, რათა ყოველმხრივ, სრულად და ობიექტურად გამოერევია საქმის ნამდვილი გარემოებანი და მხარეთა უფლება-მოვალეობანი. ამავე კოდექსის 52-ე მუხლის თანახმად, თუ წარმოდგენილი მტკიცებულებები საკმარისი არ იყო, სასამართლო მხარეებს და საქმეში მონაწილე სხვა პირებს წინადადებას აძლევდა წარმოდგინათ დამატებითი მტკიცებულებები ან შეეგროვებინათ ისინი საკუთარი ინიციატივით<sup>152</sup>. ამ პრინციპის მოქმედების პირობებში იკვეთებოდა რიგი უარყოფითი ტენდენციებისა, შესუსტებული იყო მხარეთა აქტივობა, კერძოდ, ისინი დიდად ადარ ზრუნავდნენ იმ ფაქტების სრულად და ამომტურავად მითითებაზე, რომლებიც ასაბუთებდნენ მათ მოთხოვნებსა და შესაგებელს; ისინი ადარ იჩენდნენ აქტიურობას მტკიცებულებათა მოძიებასა და სასამართლოსათვის წარდგენაზე<sup>153</sup>.

შეჯიბრებითობის პრინციპი თანამედროვე ქართულ სამართლიანი ურთისესობის არ გვხვდება სუფთა სახით. იგი გამოხატულებას პოულობს საპროცესო სამართლის სხვადასხვა ნორმაში და მდგომარეობს შემდეგ ში:

1. გადაწყვეტილებას შეიძლება საფუძვლად დაედოს მხოლოდ მხარეთა მიერ წარმოდგენილი ფაქტები;
2. მტკიცების ტვირთი ეკისრებათ საქმეში მონაწილე მხარეებს;
3. გადაწყვეტილება შეიძლება გამოტანილი იქნეს მხოლოდ მხარეთა მიერ სადაცოდ გამხედარი გარემოებების სარწმუნოდ დადასტურების შედეგად.

შეჯიბრებითობის პრინციპი მოიცავს მხარეთა საქმიანობას მხოლოდ საქმის ფაქტობრივი გარემოებებისა და მტკიცებულებების სფეროში. მხარეთა მოთხოვნებისა თუ შესაგებლის ფაქტობრივი დასაბუთება ეკისრებათ თავად მხარეებს. მხარეებმა თვითონ უნდა განსაზღვრონ, რომელი ფაქტები დაედოს საფუძვლად მათ მოთხოვნებს და რა კონკრეტულ გარემოებებს ემყარება მათი შესაგებელი. შეჯიბრებითობის პრინციპის კონკრეტული გამოვლენაა საქართველოს სსკ-ის 102-ე მუხლის დებულება, რომლის თანახმად, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს.

<sup>152</sup> ინკვიზიციურობის პრინციპმა არსებობა შეწყვიტა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსშიც 2010 წლის 01 ოქტომბრიდან. მოქმედი კოდექსი მოსამართლეებს განსაკუთრებულ როლს აკისრებს, კერძოდ, ისინი სამართლიანი ურთისესობის მონაწილე მხარეს – არც სახელმწიფო ბრალდების მხარეს და არც დაზარალებულ მხარეს. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსს ბევრი საერთო პქნება ფედერაციის სისხლის სამართლის საპროცესო სამართლითან, რაც განპირობებული იყო იმ ისტორიული რეალობით, რომ ათწლეულების მანძილზე საქართველოს სამართლებრივი სისტემა წარმოადგენდა სოციალისტური სამართლებრივი სისტემის შემადგენლ ნაწილს. თუმცა, უფრო ადრე, ვიდრე საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი გადავიდა შეჯიბრებით პრინციპზე და არსებით სახელმისამართით წარმოადგინა მტკიცებულებებისა და მტკიცების პრობლემა. იხ., *Шейфер С. А. Доказательства и доказывание по уголовным делам, М, 2009, 38-48.*

<sup>153</sup> შეად. ლილუა შვილი თ, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართლი, თბ, 2005, 83.

შეჯიბრებითობის პრინციპის კონკრეტული გამოვლენაა საქართველოს სსკის 232<sup>1</sup> მუხლი, რომლის შესაბამისად, მოპასუხის მიერ 201-ე მუხლის მე-2 ნაწილით დადგენილი ვადაში პასუხის (შესაგებლის) წარმოუდგენლობისას, თუ ეს გამოწველია არასაპატიო მიზეზით, მოსამართლეს ზეპირი მოსმენის გარეშე გამოაქვს დაუსწრებელი გადაწყვეტილება. ამასთანავე, სასამართლო დააკმაყოფილებს სარჩელს, თუ სარჩელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები იურიდიულად ამართლებს სასარჩელო მოთხოვნას; წინაადმდებ შემთხვევაში, სასამართლო ნიშნავს მთავარ სხდომას, რის შესახებაც ეცნობება მხარეებს 70-78-ე მუხლებით დადგენილი წესით. სხდომის ჩატარების შემთხვევაში, მოპასუხისაგან მტკიცებულებათა მიღება არ ხდება და სასამართლო მოისმენს მოპასუხის მხოლოდ სამართლებრივ მოსაზრებებს სასარჩელო მოთხოვნასთან დაკავშირებით.

ქართული საპროცესო სამართლი ყველაზე ახლოსაა გერმანულ სამოქალაქო საპროცესო სამართლთან, მაგრამ დისპოზიციურობის პრინციპიდან დაშვებულია გამონაკლისი. საუბარია სასამართლოს ჩარევაზე კერძო სამართლებრივ ურთიერთობებში. კერძოდ, გერმანიის სამოქალაქო საპროცესო სამართალში მტკიცების პროცესი შედგება ორი სტადიისაგან: 1. მტკიცებულებების წარმოდგენა მტკიცების განსაზღვრული საშუალებებით; 2. მტკიცებულებების შეგროვება, გამოკვლევა და შეფასება. ამ პროცედურაში, გერმანელი მოსამართლე უფლებამოსილია თავისი ინიციატივით დაკითხოს მხარეები, დანიშნოს ექსპერტიზა, დაავალოს მხარეებს წარმოადგინონ მათ ხელთ არსებული დოკუმენტები. სასამართლოს უფლება აქვს მხარეთა შუამდგომლობის გარეშე და მხარეთა შორის მტკიცების ტვირთის განაწილების გარეშე კონკრეტული ფაქტის ირგვლივ დაკითხოს პროცესის მონაწილე ერთ-ერთი ან ორივე მხარე<sup>154</sup>. აღნიშნული უფლებამოსილებით სასამართლო სარგებლობს იმ შემთხვევაში, თუ მტკიცებულების შეგროვება, გამოკვლევა და შეფასება (თუკი ასეთ საპროცესო მოქმედებას ჰქონდა ადგილი) არ არის საკმარისი იმისათვის, რომ სამართლის შემფარდებული ორგანო დარწმუნდეს დასამტკიცებელი ფაქტის სისწორეში<sup>155</sup>.

ქართული და გერმანული საპროცესო სამართლისაგან განსხვავებული თავისებურება ახასიათებს ფრანგულ საპროცესო სამართალს, სადაც მხარეთა შორის მტკიცების ტვირთის გადანაწილების წესი მატერიალურ-სამართლებრივი ნორმებითაა განსაზღვრული<sup>156</sup>. საფრანგეთის სამოქალაქო საპროცესო კოდექსი მხარეებს აღჭურავს უფლებამოსილებით აქტიური მონაწილეობა მიიღონ საქმის განხილვაში. სასამართლო პროცესი არის სასამართლოს წინაშე მიმდინარე მხარეთა შეჯიბრი, რომლის დასრულების შემდგომ სასამართლოს მხოლოდ გადაწყვეტილება გამოაქვს. შესაბამისად, სამოქალაქო სამართალწარმოებაში, განსხვავებით სისხლისა და ადმინისტრაციული

<sup>154</sup> შეად. Lutz Michalski, Bayreuth, "Beweisvereitelung" durch beweisbelastete Partei und Nachholbarkeit in der Berufungsinstanz, NJW 1991, 2069. <<http://beckonline.beck.de/?vpath=bibdata%5Czeits%5Cnjw%5C1991%5Ccont%5Cnjw.1991.2069.1.htm&pos=5&hlwords=beweislastumkehr#xhlhit>> (17.10.2010).

<sup>155</sup> შეად. Гражданское Процессуальное Уложение Германии, перевод с немецкого, М, 2006, 94.

<sup>156</sup> იხ., Vincent J., Gulnchar S, Procedure Civile, 27 Ed, Paris, Dalloz, 2003, 57.

სამართალწარმოებისაგან, პროცესუალური ინიციატივა მინიჭებული აქვთ მხარეებს<sup>157</sup>. შეჯიბრებითობა საფრანგეთის სამოქალაქო საპროცესო სამართალში ხასიათდება მხარეთა აქტიურობით და სასამართლოსათვის დამახასიათებელი პასიური როლით. მტკიცების ტვირთის განაწილების ზოგადი წესი განმტკიცებულია საფრანგეთის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-9 მუხლით, რომლის დანაწესით ყოველი მხარე ვალდებულია კანონით გათვალისწინებული წესით დამტკიცოს ფაქტები მისი მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად. პროცესში ყოველი მხარე ამტკიცებს ფაქტებს, რომელზედაც ამყარებს თავის მოთხოვნას მოწინააღმდეგე მხარის მიმართ. წმინდა შეჯიბრებითობის პროცესში მოსამართლე პასიური ფიგურაა. იგი არ მიიღებს ფაქტებს, რომელზეც არ მიუთითებენ მხარეები ან, რომლებიც არ წარმოუდგენიათ მხარეებს. მსგავსი წესი საფრანგეთისათვის არასოდეს არ იყო დამახასიათებელი. მოსამართლწარმოებაში ყოველთვის უხდებოდა აქტიური როლის შესრულება<sup>158</sup>. მოქმედი კანონმდებლობით მოსამართლეს უფლება აქვს თავისი ინიციატივით შეაგროვოს მტკიცებულებები. მოსამართლე უფლებამოსილია:

1. დანიშნოს ექსპერტიზა<sup>159</sup>;
2. გამოიძახოს მხარეები ახსნა-განმარტების მისაცემად<sup>160</sup>;
3. ფაქტების აღქმის მიზნით მონაწილეობა მიიღოს დათვალიერებაში<sup>161</sup>;
4. გამოითხოვოს ერთ-ერთ მხარესთან ან მესამე პირთან არსებული დოკუმენტები<sup>162</sup>.

უკრადსადებია საფრანგეთის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლი, რომლის დანაწესით, სასამართლომ და პროცესში მონაწილე მხარეებმა უნდა ითანამშრომლონ მტკიცებულებათა შეგროვებისა და მტკიცების პროცესში. ამასთან ერთად, სასამართლო უფლებამოსილია მხარის შუმდგომლობის საფუძველზე მხარისაგან ან მესამე პირისაგან მოითხოვოს მტკიცებულებების წარმოდგენა. ამ მითითების შესრულების დაყოვნებისათვის სასამართლო უფლებამოსილია გამოიყენოს ყოველდღიურად მზარდი ჯარიმა<sup>163</sup>. საფრანგეთის კანონმდებლობა ითვალისწინებს დებულებას, რომლის თანახმად, ყოველი მხარე ვალდებულია წარუდგინოს მეორე მხარეს მტკიცებულებები გასაცნობად. ამ ვალდებულების შეუსრულებლობა ითვალისწინებს ჯარიმას<sup>164</sup>.

შეგვიძლია ჩამოვაყალიბოთ ერთგვარი ხედვა მოსამართლის აქტიურობის ფარგლების გაფართოებისა და შინაარსის დადგენის კუთხით: ქართულ სამოქალაქო საპროცესო სამართალში დისპოზიციურობის პრინციპის ზედმეტად ხისტმა დაცვამ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, რომ არ გამოიწვიოს მცდარი გადაწყვეტილებების მიღება და არ შეიზღუდოს ზოგადად სამართლის შემდგომი განვითრება, ამიტომ სასამართლო არ უნდა

<sup>157</sup> იბ., *Phylipe Georges, La Juridiction Administrative*, Paris, 1998, 112.

<sup>158</sup> იბ., *Кейлин А. Д.* Судоустройство и Гржданский Процесс Капиталистических Государств, М, 1950, 248, 249.

<sup>159</sup> იბ., *Code de Procedure Civilie*. Centrime Edition. avec le concours de Isabelle Despres. Laurent Darget. Redacteur aux Editions Dalloz. 2009, Art. 322.

<sup>160</sup> იქვე: Art. 84-198..

<sup>161</sup> იქვე: Art. 295.

<sup>162</sup> იქვე: Art. 138-142.

<sup>163</sup> იქვე: Art. 11.

<sup>164</sup> იქვე: Art. 132-137.

იყოს მხოლოდ მხარეთა პროცესუალური ორთაბრძოლის პასიური ზედამხედველი და მონაწილეობის მიუღებლად არ უნდა ელოდოს მათი შეჯიბრის შედეგს. დამოუკიდებლობის, ობიექტურობისა და მიუკერძოებლობის შენარჩუნებით სასამართლომ უნდა შეასრულოს პროცესის ხელმძღვანელობა. მხარეთა შეჯიბირებითობის მართვის პროცესში სასამართლომ უნდა განუმარტოს საქმეში მონაწილე პირებს მათი უფლებები და მოვალეობები, გააფრთხილოს ისინი საპროცესო მოქმედებების შესრულებისა და შეუსრულებლობის შესაძლო შედეგების შესახებ, თანამშრომლობა გაუწიოს მათ უფლებების რეალიზაციაში, შექმნას საქმის გარემოებების დასადგენად მტკიცებულებათა ყოველმხრივი და სრული გამოკვლევისა და კანონმდებლობის სწორი გამოყენების წინა პირობები. მოსამართლის აქტიურობის ფარგლების განსაზღვრას საკმაოდ დიდი მნიშვნელობა გააჩნია პროცესის სამართლიან დასრულებაში, თუმცა, არ უნდა დაგვავიწყდეს ისიც, რომ ამ თუ იმ სამოქალაქო დავების საეციფიკიდან გამომდინარე, მოსამართლის აქტიურობის ფარგლების განსაზღვრა შეუძლებელია საქმეზე მნიშვნელოვანი ფაქტობრივი სიტუაციის ანალიზის გარეშე.

ზემოთ აღნიშნული მოსაზრების გამყარების მიზნით, მოვიხმობ ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის მიერ 1994 წლის 13 ოქტომბრის რეკომენდაციას მოსამართლეთა ეფექტიანობისა და როლის გაზრდის შესახებ, რომლის თანახმად, „მოსამართლის მოვალეობაა, მართლმსაჯულების ინტერესების გათვალისწინებით, მისცეს მხარეებს მიუკერძოებელი ახსნა-განმარტება საპროცესო საკითხების შესახებ“.<sup>165</sup> მით უფრო, ქონებრივ-სამართლებრივ დავებში მხარეებს, რომლებიც წარმოდგენილი არ არიან ადვოკატების მიერ, ხშირად ესაჭიროებათ პროცედურული საკითხების განმარტება<sup>166</sup>. ასეთ შემთხვევაში, სამოქალაქო დავის განმხილველმა სასამართლომ უნდა უზრუნველყოს, რომ მხარეები საკმარისად იყვნენ ინფორმირებული პროცესის ჯეროვნად წარმართვაში. სასამართლოს ეს უფლებამოსილება, რეალიზებულ უნდა იქნეს ძირითადად პირველი ინსტანციის სასამართლოების მიერ, გამომდინარე იქეიდან, რომ პირველი ინსტანციის სასამართლო არის ფაქტების დამდგენი და ამავდროულად, საქმის მომზადების ეტაპზე იგი პროცედურულად არ არის შეზღუდული მოუწოდოს მხარეს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე რომელ ფაქტობრივ გარემოებაზე გაამახვილოს ყურადღება და წარმოადგინოს სათანადო მტკიცებულებები მის დასადასტურებლად.

ამასთან ერთად, გამოყენებულ უნდა იქნეს ის ნორმატიული აქტები, მათ შორის, ევროპული კონვენცია და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი, რომლებსაც არ იშველიებს

<sup>165</sup> რეკომენდაცია №R (94) 12, მოსამართლე და მართლმსაჯულება, საქართველოს უზანაესი სასამართლო, ადამიანის უფლებათა ცენტრი, თბ, 2001, 28.

<sup>166</sup> იხ., Gardley J, Foundation of Private Law. Property, Tort, Contract, Unjust Enrichment, Oxford, 2006, 116.

პროცესის მონაწილე მხარე, თუკი მათი გამოყენება ხელს შეუწყობს პროცესის სამართლიან დასრულებას<sup>167</sup>.

ამ თვალსაზრისით, საინტერესოა აშშ-ის მოდელი, სადაც სასამართლო წევებს საკითხს იმის შესახებ, თუ რომელმა მხარემ რომელი გარემოება უნდა დაამტკიცოს<sup>168</sup>. დარწმუნების ტვირთი, რომელსაც ხშირად ეძახიან დაურწმუნებლობის რისკს, სხვაგვარად მოქმედებს<sup>169</sup>. მხარე, რომელსაც ეკისრება დარწმუნების ტვირთი, წააგებს პროცესს, თუკი ვერ შესძლებს მოსამართლისა და მსაჯულების დარწმუნებას ფაქტობრივ გარემოებებში სათანადო მტკიცებულებების წარდგენით<sup>170</sup>. მტკიცებულებათა შესახებ ფედერალურ წესებში ვერ შევხვდებით მტკიცების ტვირთის განაწილების მარეგულირებელ სამართლებრივ ნორმებს<sup>171</sup>. დასახელებული ნორმები ფორმულირდება შტატების პროცესუალურ კანონმდებლობასა და დოქტრინაში. სამოქალაქო პროცესის ფედერალური წესების მოთხოვნაა, რომ მხარემ, სარჩელის სასამართლოში წარდგენისას, მიუთითოს მოთხოვნის საფუძვლებზე. სასამართლო საბოლოოდ განსაზღვრავს, რომელ მხარეს ეკისრება მტკიცებულებათა წარმოდგენის ტვირთი<sup>172</sup>.

როგორც ვხედავთ, კონტინენტურ-ევროპულ სამართალში შეინიშნება საერთო სამართლის ქვეყნების კანონმდებლობის რეცეფცია. მიუხედავად საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული შეჯიბრებითობის პრინციპებისა, საფრანგეთისა<sup>173</sup> და გერმანიის კანონმდებლობა შეიცავს, ასევე ნორმებს, რომლებიც ხაზს უსვამს ეწ. ინკვიზიციური სამართალწარმოების ნიშნების არსებობასაც. ეს გასაკვირი არ არის, რადგან აშკარად სახეზეა შეჯიბრებითობისა და ინკვიზიციური პროცესების დაახლოების გზები.

### §3. მხარეთა შორის მტკიცების ტვირთის განაწილების წესი

მტკიცების ტვირთის სწორად განაწილება, კერძოდ, განსაზღვრა იმისა თუ რომელ მხარეს რა ფაქტების დამტკიცება ევალება და აქედან გამომდინარე, რა ფაქტების დამტკიცების მოვალეობისაგან თავისუფლდება

<sup>167</sup> შეად., კონსტანტინე კ, როგორ ვუზრუნველვყოთ საქართველოში ადამიანის უფლებათა დაცვა ევროპული სტანდარტებით, თბ, 2010, 54.

<sup>168</sup> იბ., Steven Baicker-McKee, William M. Janssen, Jon B. Corr, A Student's guide to the Federal Rules of Civil Procedure, St. Paul, Minn, 1997, 148.

<sup>169</sup> შეად. Levin L, Shuchman A, Yablon P, Charles M, Cases and Materials in Civil Procedure. Westburg, New York, 1997, 83.

<sup>170</sup> იბ., Federal Rules of Civil Procedure, 1997-98, Educational Edition, St. Paul, Minn, 1997, 07. მტკიცებულებების შესახებ ფედერალური წესები შეიძლება განვიხილოთ, როგორც მტკიცებულებითი სამართლის სტანდარტი როგორც ფედერაციაში, ისე შტატებში. ფედერალური წესების მიღებამდე მხოლოდ ოთხ შტატში მოქმედებდა მტკიცებულებათა კოდექსი – კალიფორნიაში, ნიუ-ჯერსიში, კანზასში, იუტაში. იბ., Muller C, Kirkpatrick L. C. Evidence, Boston, New York, Toronto, London, 1995, 4.

<sup>171</sup> იბ., Joseph W. Glannon, A Student's guide to Understanding Civil Procedure, Boston, Toronto, 1987, 199-205.

<sup>172</sup> იბ., Mary Kay Kane, Civil Procedure In a Nutshell, Third Adition, St. Paul, Minn, 1991, 158-160.

<sup>173</sup> იბ., Vincent J. Gunichard, S, Procedura Civile, 27 edition, Paris, Dalloz, 2003, 231-233.

ესა თუ ის მხარე, უდიდესი მნიშვნელობისაა სამოქალაქო სამართალწარმოებაში. შესაბამისად, თუკი მხარეს დაევალება იმ ფაქტების არსებობის ან/და არარსებობის დასაბუთება, რომლებიც მტკიცების ტვირთის სხვაგვარი გადანაწილების შემთხვევაში მას არ უნდა დაედასტურებინა საქმეზე გამოტანილი იქნება დაუსაბუთებელი გადაწყვეტილება.

სამოქალაქო სამართალწარმოებაში არსებობს მტკიცების ტვირთის განაწილების სპეციალური და ზოგადი წესები. ზოგიერთ შემთხვევაში, მტკიცების ტვირთის განაწილების წესები ჩამოყალიბებულია მატერიალურ-სამართლებრივ ნორმებში და გამოხატულია იმპერატიული ფორმით. ეს ის შემთხვევა, როდესაც ზოგიერთი ნორმა, მატერიალურ-სამართლებრივ ქცევის წესებთან ერთად, შეიცავს პროცესუალურ-სამართლებრივ კომპონენტებსაც. ასეთ ნორმებს წარმოადგენს ისეთი სამოქალაქო-სამართლებრივი ნორმები, რომლებიც შინაარსობრივად მხარეთა შორის მტკიცების ტვირთის განაწილებაზე მიუთითებს. თვალსაჩინოებისათვის განხილულია ორი მაგალითი:

ა) საქართველოს სკ-ის 687-ე მუხლის დანაწესით, გადამზიდველს ეკისრება იმის მტკიცების ვალდებულება, რომ ტვირთის დაკარგვა, დაზიანება ან მიტანის ვადის გადაცილება უფლებამოსილი პირის ბრალით, ანდა ამავე პირის ისეთი მითითებით მოხდა, რომელზედაც გადამზიდველი პასუხს არ აგებს; აგრეთვე, თუ ტვირთის ნაკლი ისეთი გარემოებებითაა გამოწვეული, რომელთა თავიდან აცილებაც გადამზიდველს არ შეეძლო და არც მათი შედეგები შეიძლებოდა აეცილებინა თავიდან. „გამყიდველის კანონისმიერი გარანტიის არსი მდგომარეობს იმაში, რომ გაყიდული საქონელი ვარგისია ხელშეკრულებით გათვალისწინებული სარგებლობისათვის, ასევე არ გააჩნია ის ნაკლი, რომელიც მნიშვნელოვნად ამცირებს მის ღირებულებას, ანუ მყიდველს, რომ სცოდნოდა ამის შესახებ, ან საერთოდ არ დადებდა ხელშეკრულებას, ან მოითხოვდა გასაყიდი ფასის შემცირებას (საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსის 1641-ე მუხლი, გერმანიის სამოქალაქო სჯულდების 434-ე პარაგრაფი)“.<sup>174</sup>

ბ) საქართველოს სამოქალაქო კოდექსი ითვალისწინებს მოვალის პასუხისმგებლობას მის მიერ ხელშეკრულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევებში. საქართველოს სკ-ის 402-ე მუხლის მეორე წინადადების თანახმად, მოვალე პასუხს აგებს შემთხვევითობისთვისაც, თუ არ დაამტკიცებს, რომ ზიანი შეიძლებოდა დამდგარიყო ვალდებულების დროული შესრულების მომენტშიც. ამდენად, ვალდებულების დარღვევით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით აღძრულ სარჩელში მტკიცების ტვირთის განაწილების წესი გათვალისწინებულია თავად მატერიალური სამართლის ნორმით, რომლის დისპოზიცია ადგენს მოვალის პასუხისმგებლობას შემთხვევითობისთვისაც, თუ მოვალე არ დაამტკიცებს, რომ ზიანი შეიძლებოდა დამდგარიყო ვალდებულების დროული შესრულების შემთხვევაშიც. ამ დროს მტკიცების ტვირთი მატერიალური

<sup>174</sup> იხ., ძლიერი შეილი ბ, ქონების საკუთრებაში გადაცემის ხელშეკრულებათა სამართლებრივი ბუნება, თბ, 2010, 125.

სამართლის ნორმას თავად გადააქვს ერთი მხარიდან მეორეზე – მოსარჩელიდან მოპასუხეზე.

მხარეთა შორის მტკიცების ტვირთის განაწილების ძირითადი წესი ერთგვაროვანია საქართველოსა და გერმანიის სამოქალაქო საპროცესო სამართლად ში. ორივე ქვეყნის სამართლწარმოებაში ადგილი აქვს დისპოზიციურობის პრინციპიდან გადახვევის კანონით დაშვებულ გამონაკლისებს. საუბარიდ სასამართლოს ჩარევაზე კერძო სამართლებრივ ურთიერთობებში. მაგალითად, სასამართლოს შეუძლია თავისი ინიციატივით დაკითხოს მხარეები, დანიშნოს ექსპერტიზა, დაავალოს მხარეებს წარმოადგინონ მათ ხელთ არსებული დოკუმენტები<sup>175,176</sup>. სასამართლოს უფლება აქვს მხარეთა შუამდგომლობის გარეშე და მხარეთა შორის მტკიცების ტვირთის განაწილების გარეშე კონკრეტული ფაქტის ირგვლივ დაკითხოს პროცესის მონაწილე ერთ-ერთი ან ორივე მხარე. თუმცა, უნდა ითქვას, რომ სასამართლოს ამ უფლებამოსილებას გააჩნია საპროცესო კანონმდებლობით მკაცრად რეგლამენტირებული ხასიათი. უფლებამოსილების რეგლამენტაცია გამოიხატება იმაში, რომ სასამართლოს ამ ინიციატივას ესაჭიროება საპროცესო კოდექსით დადგენილი წინა პირობების დაცულობა. კერძოდ, აღნიშნული უფლებამოსილებით სასამართლო სარგებლობს იმ შემთხვევაში, თუ: ა) მტკიცებულების შეგროვება, გამოკვლევა და შეფასება (თუკი ასეთ საპროცესო მოქმედებას ჰქონდა ადგილი) არ არის საკმარისი იმისათვის, რომ სამართლის შემფარდებელი ორგანო დარწმუნდეს დასამტკიცებელი ფაქტის სისწორეში. ბ) მოსამართლეს უფლება აქვს შეკითხვები მისცეს მხარეებს, რომლებიც ხელს შეუწყობს საქმის გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების სრულად და ზუსტად განსაზღვრას, მათ დასადასტურებლად მტკიცებულებათა გამოვლენას და სასამართლოში წარდგენასა და უტყუარობის გამორკვევას. გ) თუ საქმის განხილვასთან დაკავშირებულ საკითხზე მოსამართლეს სპეციალური ცოდნა არ გააჩნია, სასამართლოს შეუძლია თავისი ინიციატივით დანიშნოს ექსპერტიზა საქმის განხილვის ნებისმიერ სტადიაზე მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული საკითხის განმარტებას არსებითი მნიშვნელობა აქვს საქმის გადაწყვეტისათვის.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოსა და გერმანიის სამოქალაქო საპროცესო სამართლას აქვს საერთო პრინციპები და შეიცავს ერთგვაროვან დებულებებს, თეორიული სახის განსხვავებები მაინც არსებობს მტკიცების ტვირთის განაწილების ქართულსა და გერმანულ მოდელებს შორის, სახელდობრ, გერმანულ სამართლწარმოებაში ერთმანეთისაგან განსხვავებენ მტკიცების ობიექტურ და სუბიექტურ ტვირთებს.

ობიექტური მტკიცების ტვირთი გულისხმობს ინფორმაციას იმის შესახებ, თუ პროცესის მონაწილე რომელ მხარეს ეკისრება მტკიცების ტვირთი, ანუ რომელი მხარე ატარებს რისკს, ისეთი შემთხვევისათვის

<sup>175</sup> ი. ლილუაშვილი თ, ხრუსტალი ვ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი, თბ, 2007, 198, 199, 232, 234, 280.

<sup>176</sup> ZPO, §142, §144, §448, Гражданское Процессуальное Уложение Германии, перевод с немецкого, М, 2006, 55-57.

როდესაც საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოება დარჩება დაუმტკიცებელი.

სუბიექტური მტკიცების ტვირთი განსაზღვრავს იმას, თუ რომელი მხარეა ვალდებული წარმოადგინოს მტკიცებულება სასამართლოში. ცხადია სუბიექტური მტკიცების ტვირთი არავითარ როლს არ თამაშობს მტკიცებულებათა შეგროვებაში, რადგან მტკიცებულებებს წარმოადგენენ პროცესის მონაწილე მხარეები, ხოლო სასამართლო მათი მნიშვნელობის გათვალისწინებით წარმოდგენილ მტკიცებულებებს საფუძვლად დაუდებს გადაწყვეტილებას<sup>177</sup>.

— გერმანიის სამოქალაქო საპროცესო სამართლის თეორია მტკიცების პროცესს ყოფს ორ ეტაპად, კერძოდ: 1. მტკიცებულებების წარმოდგენა მტკიცების განსაზღვრული საშუალებებით; 2. მტკიცებულებების შეგროვება, გამოკვლევა და ბოლოს, მათი შეფასება.

გერმანული მოდელის მსგავსად, საქართველოს მოქმედ სამოქალაქო საპროცესო კოდექსში<sup>178</sup> გამოიკვეთა მტკიცების სტადიები, კერძოდ, კოდექსის ამჟამინდელი რედაქციით მოსამართლე არ მიიღებს სარჩელს წარმოებაში, თუკი მასში არ არის აღნიშნული მტკიცებულებები, რომლებიც ადასტურებს მოსარჩელის მიერ მითითებულ გარემოებებს; რაც შეეხება უშუალოდ ამ მტკიცებულებების სასამართლოში წარუდგენლობას სარჩელის წარმოებაში მიღების საწყის ეტაპზე, აღნიშნული არ წარმოადგენს სარჩელის წარმოებაში მიღებაზე უარის თქმის საფუძველს, თუკი მოსარჩელე მიუთითებს მათი წარუდგენლობის საპატიოობაზე. გამომდინარე იქიდან, რომ მოსარჩელე სარჩელის დასაშვებობის ეტაპზევე აწყდება მოთხოვნის ფაქტობრივ გარემოებებზე მითითებისა და შესაბამისი მტკიცებულებების წარდგენის ტვირთს, ხოლო უშუალოდ სარჩელის წარმოებაში მიღების შემდგომ ადგილი აქვს მტკიცებულებების შეგროვებას, გამოკვლევასა და მათ შეფასებას, ამიტომ, შეიძლება ითქვას, რომ თეორიული თვალსაზრისით, სასარჩელო წარმოებაში არსებობს მტკიცების ორი ეტაპი: 1. მტკიცებულებების წარმოდგენა სარჩელის წარმოებაში მიღებამდე; 2. მტკიცებულებების შეგროვება, გამოკვლევა და ბოლოს, მათი შეფასება სარჩელის წარმოებაში მიღების შემდგომ.

ქართული და გერმანული საპროცესო სამართლისაგან განსხვავებით, მტკიცების წესებზე დეტალური მითითებებით გამოირჩევა საერთო სამართლის სისტემის ქვეყნებში მოქმედი მტკიცებითი სამართალი. ეს გასაკვირი არ უნდა იყოს, თუ გავითვალისწინებოთ იმ გარემოებას, რომ საერთო სამართლის სისტემის ქვეყნებში (ინგლისი, აშშ-ში) მტკიცების პროცედურას და ზოგადად მტკიცებულებებს განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა კონტინენტური ეროვნის სისტემის ქვეყნებისაგან (საქართველო, გერმანია, საფრანგეთი) განსხვავებით. აღნიშნული საკითხები რეგულირდება ცალკე სამართლის დარგით — „მტკიცებითი სამართლით“

<sup>177</sup> შეად. ხოვერია ნ, მტკიცებულებათა თეორია გერმანიის სამოქალაქო საპროცესო სამართალში, ლილუაშვილი თ, საიუბილეო კრებული „75“, თბ, 346.

<sup>178</sup> საქართველოს კანონი საქართველოს ზოგიერთ საკანონმდებლო აქტში ცვლილებების შეტანის შესახებ. ამოქმედდა 01.01.2012წ.-დან №5667-რს.

ინგლისის მტკიცებითი სამართალში ერთმანეთისაგან განასხვავებენ მტკიცების ტვირთს და მტკიცებულებათა წარმოდგენის ტვირთს. პირველი დაკავშირებულია მატერიალური სამართლის ნორმებთან, ხოლო მეორე ძირითადად – ამ საპროცესო ვალდებულების მქონე სუბიექტებთან. მტკიცებულებათა წარმოდგენის ტვირთი მოქმედებას იწყებს სამართალწარმოების საწყის ეტაპზე და მიზნად ისახავს პროცესის დასაწყებად საქმარისი მტკიცებულების წარმოდგენას. მოსარჩელე ამ ეტაპზე აწყდება ორი სახის ბარიერს. დასაწყისში მან უნდა წარმოადგინოს საქმარისი მტკიცებულებები. წინააღმდეგ შემთხვევაში, მოსამართლე შეწყვეტს საქმეზე სამართალწარმოებას. თუკი მოსარჩელე გადალახავს ამ ბარიერს, მას ელოდება შემდგომი ბარიერი. კერძოდ, დამტკიცების ტვირთი, რომელიც მდგომარეობს სარჩელში მითითებულ ფაქტობრივ გარემოებებში მოსამართლის დარწმუნებაში<sup>179</sup>.

ამდენად, ინგლისური კანონმდებლობა დასაშვებად მიიჩნევს მტკიცებულებათა შეგროვებასა და გამოქვეყნებას სასამართლოში საქმის წარმოების დაწყებამდე. მტკიცებულებათა წარმოდგენის ტვირთის ამოცანა დავის არსის დადგენაში, დავის შემადგენელი ძირითადი საკითხების გამოვლენაში მდგომარეობს. მოსამზადებელ სტადიაზე ხდება დავის საგნის დადგენა და შეჯიბრებითი ქალალდების გაცვლა, რაც ხელს უწყობს მხარეთა ინფორმირებულობას და სასამართლო სხდომაზე მოულოდნელობის ეფექტის თავიდან აცილებას<sup>180</sup>. როგორც ვხედავთ ინგლისურ სამართალწარმოებაში მტკიცების ტვირთს ემიჯნება მტკიცებულებების წარმოდგენის ვალდებულება, რამდენადაც მისი შესრულება არ გულისხმობს რაიმე ფაქტის დამტკიცებას, აუცილებელია მხოლოდ მტკიცებულებათა „მოხმობა“. 1995 წლის სამოქალაქო სამართალწარმოების შესახებ წესები სასამართლო ხელმძღვანელობას ყოფს ორ ჯგუფად. პირველ ჯგუფს მიეკუთვნება სასამართლოს ვალდებულება მოუწოდოს მხარეებს ერთმანეთთან თანამშრომლობისაკენ და მეორე ჯგუფს მიეკუთვნება ინგლისის სასამართლოების ვალდებულება პროცესის წარმართვის შესახებ. ამ მიზნით, სასამართლომ სარჩელის წარდგენიდან მაქსიმალურად სწრაფად უნდა მოახდინოს: სადაცო ასპექტების იდენტიფიცირება; მონაწილეობა მიიღოს მტკიცებულებათა შევსებაში, კერძოდ, ჩატაროს მოსმენა და შეაგროვოს მტკიცებულებები სატელეფონო თუ სხვა კომუნიკაციის საშუალებით; გააგრძელოს ან შეამოკლოს საპროცესო მოქმედების შესრულების ვადა; შეაჩეროს საქმის განხილვა ამა თუ იმ მოვლენამდე ან ვადამდე; მოუწოდოს მხარეს ან მის წარმომადგენელს გამოცხადდეს სასამართლოში და ა.შ. უფრო მეტიც, ბრიტანეთის სამოქალაქო სასამართლო უფლებამოსილია გააკონტროლოს მტკიცებულებათა შეგროვების პროცესი სადაცო საკითხესა და მათი

<sup>179</sup> ი. ხ., Cross R, Wilkins N, Outline of the Law of Evidence, London, 1987, 27, 28.

<sup>180</sup> საქმის წინასწარი მომზადების სტადია მიზნად ისახავს მტკიცებულებათა წინასწარ გამოვლენას და გაცნობას. ამ სტადიის მეშვეობით ადვოკატი ქმნის მუშობის სტრატეგიას და ტაქტიკას, შეიცნობს საკუთარი ან/და მოპასუხება მხარის ძლიერ და სუსტ მხარეებს, მუშაობს პოზიციის გასამყარებლად. ი. ხ., Кейлин А. Д. Судоустройство и Гражданский Процесс Капиталистических Государств, М, 1950, 160.

სასამართლოში წარმოდგენის ხერხებზე მითითებით. პროცესის სასამართლო ხელმძღვანელობის ვალდებულება ემსახურება საქმის სამართლიან დასრულებას. ამ კუთხით შეიცვალა ინგლისში დომინირებული დისპოზიციურობის პრინციპის შინაარსი და საქმის განხილვა უკვე არ არის დამოკიდებული მხოლოდ დაინტერსებულ პირთა ნების გამოვლენაზე და მხარეთა დაპირისპირებისას, სადაც მოსამართლე მხოლოდ არბიტრის როლს ასრულებს დაინდება არა ობიექტური ჭეშმარიტება, არამედ დგება შედეგი, რომელიც პროცესის სამართლიან დასრულებას ემახურება.

საქართველოში შეჯიბრებითობის პრინციპის მოქმედების ფარგლებში სასამართლოს როლი მტკიცებულებათა შეგროვებაში საქმართ შეზღუდულია და იგი შემოიფარგლება მხოლოდ, მხარის დასაბუთებული განცხადების შემთხვევაში, მტკიცებულებათა გამოთხოვით. აღნიშნული იმაზე მიუთითებს, რომ მხოლოდ მხარეები (მოსარჩელე, მოპასუხე, მესამე პირები დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით და მესამე პირები დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე) არიან ვალდებული სასამართლოში წარმოადგინონ მტკიცებულებები. თუმცა, კანონით პირდაპირ განსაზღვრულ შემთხვევებში, სასამართლოს შეუძლია გამოითხოვოს მტკიცებულება ისეთი მხარისაგან, რომელიც არაა ვალდებული ეს ფაქტი დაამტკიცოს.

დაისმის კითხვა: რა ბერკეტებით აღჭურვა სასამართლო კანონმდებელმა ისეთი შემთხვევის თავიდან ასაცილებლად, როდესაც არ სრულდება სასამართლოს მოთხოვნა გამოთხოვილი მტკიცებულების წარმოდგენის შესახებ?

პასუხი კითხვაზე უნდა ვეძებოთ საქართველოს სსკ-ის 136-ე მუხლის დისპოზიციაში, რომლის სამართლებრივი ანალიზი ცხადყოფს, რომ თუ გამოთხოვილ წერილობით მტკიცებულებებს ფიზიკური და იურიდიული პირები არ გადაუგზავნიან სასამართლოს, ან არ შეატყობინებენ იმ საპატიო მიზეზების შესახებ, რომლის გამოც შეფერხებულია მტკიცებულებათა წარდგენა, სასამართლო, მოქალაქეს ან საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ხელმძღვანელს, ანდა შესაბამის, თანამდებობის პირს აჯარიმებს 150 ლარით, ხოლო წერილობითი მტკიცებულების განმეორებით წარუდგენლობის შემთხვევაში, სასამართლო აჯარიმებს შესაბამის პირს პირველი ჯარიმის სამმაგი ოდენობით. ამასთან, დაჯარიმება არ ათავისუფლებს შესაბამის პირს სასამართლოს მიერ გამოთხოვილი წერილობითი მტკიცებულებების წარდგენის მოვალეობისაგან.

უფრო მეტიც, წინამდებარე მუხლით მოსამართლე უფლებამოსილი ხდება იმ შემთხვევაში, თუ წერილობთი მტკიცებულების წარდგენაზე არასაპატიო მიზეზით უარს ამბობს ერთ-ერთი მხარე, რომელიც არ უარყოფს, რომ მტკიცებულება მის ხელთაა, მტკიცებულების გამოთხოვის შესახებ შუამდგომლობის აღმდვრელი პირი გაათავისუფლოს იმ ფაქტის მტკიცების ტვირთისაგან, რომელიც ამ მტკიცებულებით უნდა დაედასტურებინა და ასეთი ტვირთი გადააკისროს მხარეს, რომელიც უარს ამბობს წერილობითი მტკიცებულების წარდგენაზე.

როგორც გხედავთ, სანქცია სწორედ მტკიცების ტვირთის გადანაწილებაში მდგომარეობს. შესაბამისად, სადაც ფაქტის დაუმტკიცებლობით გამოწვეული არახელსაყრელი მატერიალურ-

სამართლებრივი შედეგები არ დაეკისრება იმ მხარეს, ვისაც კანონის თანახმად ამ ფაქტის დამტკიცების მოვალეობა ეკისრებოდა, არამედ იმ მხარეს, რომელმაც არ წარმოადგინა სასამართლოს მიერ გამოთხოვილი მტკიცებულება.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი ითვალისწინებს მტკიცების ტვირთის ინოვაციური განაწილების წესს, წარმოების ისეთი სახეების დროს, რომელიც შეეხება რეკეტული ქონების, თანამდებობის პირის, ქურდული სამყაროს წევრის, ადამიანით მოვაჭრის, ნარკოტიკული საშუალების გავრცელების ხელშემწყობის ან საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 194-ე მუხლის მესამე ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით მსჯავრდებული პირის ქონების ჩამორთმევასა და სახელმწიფოსათვის გადაცემასთან დაკავშირებული საქმეების განხილვას. ასევე, პირის ოქუპირებულ ტერიტორიებზე აკრძალული უკონომიკური საქმიანობის განხორციელებისათვის, მსჯავრდებულ პირთან დაკავშირებულ პირად ცნობის თაობაზე საქმის განხილვის წესებს.

წარმოების დასახელებულ კატეგორიაში მტკიცებულება გარკვეული ფაქტის დასადასტურებლად მოეთხოვება იმ მხარესაც, რომელსაც ამ ფაქტის დამტკიცების ტვირთი არ ეკისრება, რაც ცვლის მხარეთა შორის მტკიცების ტვირთის განაწილების მანამდე დადგენილ წესს. აღნიშნული მდგომარეობს იმაში, რომ იმ ფაქტის დამტკიცების მოვალეობა, რომელიც ევალებოდა ერთ მხარეს, საბოლოო ჯამში გადაეკისრება მეორე მხარეს. სხვაგვარად, სადაც ფაქტის დამტკიცების მოვალეობის მქონე გახდება მეორე მხარე, თუ იგი არ შეასრულებს სასამართლოს მითითებას, მტკიცებულებათა წარმოდგენის შესახებ. როგორც ვხედავთ, დამტკიცების ტვირთი საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალში არის მოძრავი, იგი არაა მუდმივად მიჯაჭული პრეზუმეციაზე. მტკიცების ტვირთი ეკისრება სწორედ პროცესის იმ მონაწილე მხარეს, რომლისთვისაც უფრო ადვილია მტკიცებულებათა წარმოდგენა.

მატერიალური სამართლის იმ ნორმების ანალიზი, რომლებიც შეიცავს მითითებას თუ რომელმა მხარემ რა ფაქტები უნდა დაამტკიცოს, საფუძველს გვაძლევს დავასკვნათ, რომ კანონმდებელი მტკიცების ტვირთის მხარეთა შორის განაწილების დროს სხვადასხვა მოსაზრებას ემყარება. მაგალითად, საქართველოს სკ-ის 651-ე მუხლის მეორე ნაწილი შეიცავს სპეციალურ ნორმას, რომლის თანახმად, მასალის შემთხვევითი დაღუპვის ან დაზიანების რისკი ეკისრება მასალის მიმცემ მხარეს. საკითხის ასეთი გადაწყვეტა დაფუძნებულია ცნობილ პრინციპზე, რომლის თანახმად ნივთის შემთხვევითი დაღუპვის ან დაზიანების რისკი ეკისრება მის მესაკუთრეს. ნორმა ითვალისწინებს მასალის მიმცემი მხარის უფლებას დაამტკიცოს, რომ მასალის დაღუპვა ან დაზიანება გამოწვეულია ხელშეკრულების მეორე მხარის ბრალით. საინტერესოა რა მოსაზრებით ხელმძღვანელობდა კანონმდებელი იმ შემთხვევებში, როცა მიუთითებდა, თუ რომელმა მხარემ რა ფაქტები უნდა დაადგინოს. კანონმდებლის მოსაზრების გარკვევა საშუალებას მოგვცემს შეუცდომლად გავანაწილოთ მტკიცების ტვირთი იმ შემთხვევაშიაც, როცა კანონი ასეთ მითითებას არ შეიცავს. საპროცესო სამართალში არსებული მოსაზრების თანახმად, „მტკიცებულებათა წარმოდგენის მოვალეობას საძიებელი ფაქტის დასადგენად კანონმდებელი

აკისრებს იმ მხარეს, რომლისათვისაც ეს უფრო ადგილი და მოსახერხებელია. ასე მაგალითად, დაამტკიცოს ხელშეკრულებით რაიმე ურთიერთობის წარმოშობის ფაქტი (ვთქვათ, სესხის მიცემის ფაქტი) გაცილებით უფრო ადგილია მოსარჩელისათვის (გამსესხებლისათვის), ვიდრე მოპასუხისათვის. მაგრამ, იმის დამტკიცება, რომ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება მოპასუხებ შეასრულა (ვთქვათ, დაუბრუნა სესხი). უფრო ადგილია თვით მოპასუხისათვის, ვიდრე მოსარჩელისათვის“<sup>181</sup>. მაგალითად, ერთ-ერთ საქმეში საქმის განმხილველმა სასამართლომ ნარდობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხის გადახდის დოკუმენტის წარდგენის ვალდებულება მოსარჩელის მტკიცების ტვირთად მიიჩნია და მიუთითა, რომ გადახდის დამადასტურებელი ქვითრები, ბუნებრივია, უნდა გააჩნდეს იმ მხარეს, რომელმაც გადაიხადა და არა მოწინააღმდეგებ მხარეს<sup>182</sup>. სხვა შემთხვევაში, კანონმდებელი ხელმძღვანელობს ჩვენი საზოგადოების რეალური სინამდვილისა და რეალური ურთიერთობების განმაზოგადებელი დასკვნებით, ჩვენი სინამდვილის მუდმივად განმეორებადი ფაქტებით. კანონმდებელი თვითონ განსაზღვრავს რომელი ფაქტების არსებობისას შეიძლება გავაკეთოთ დასკვნა სხვა ფაქტების არსებობა - არარსებობის შესახებ. მაგალითად, თუ, დაზარალებული დაამტკიცებს, რომ მისი ქონება დაზიანდა, რომ ეს ქონება დააზიანა გარკვეულმა პირმა და განსაზღვრავს მის ოდენობას, კანონმდებელი აკეთებს დასკვნას, რომ ზიანის მიყენებელი მოქმედებდა ბრალებულად. აქედან გამომდინარე, დაზარალებული არ არის ვალდებული დაამტკიცოს ზიანის მიყენებლის ბრალი. ბრალის არარსებობას ამტკიცებს თვით ზიანის მიყენებელი. ერთ-ერთ საქმეში, საქმის განმხილველმა სასამართლომ მიუთითა, რომ ანაზღაურებას ექვემდებარებოდა ნებისმიერი ზიანი, მიყენებული მოქალაქის ქონებისათვის, რომელიც შეიძლება გამოიხატოს დაზარალებულის ქონების განადგურებით ან გაშვებული მოგების შემცირებით. ამასთან, დელიქტური პასუხისმგებლობის ერთ-ერთი პრინციპი, რომელიც ზიანის სრულად ანაზღაურებაში მდგომარეობს ნიშნავს, რომ დაზარალებულს უნდა აუნაზღაურდეს ყველა ქონებრივი დანაკარგი როგორც რეალური, ასევე გაშვებული მოგება<sup>183</sup>.

ამდენად, ერთი ჯგუფი ფაქტებისა ივარაუდება მოპასუხის სასარგებლოდ და ამიტომ, ისინი უნდა დაამტკიცოს მოსარჩელებ, ხოლო მეორე ჯგუფი ფაქტებისა ივარაუდება მოსარჩელის სასარგებლოდ და ისინი უნდა დაამტკიცოს მოპასუხებ.

დებულება იმის შესახებ, თუ რომელი მხარისათვის უფრო ადგილი და მოსახერხებელია დაამტკიცოს ესა თუ ის ფაქტი, აგრეთვე რომელი ფაქტების დამტკიცების საფუძველზე წარმოიშობა ვარაუდი ამა თუ იმ მხარის სასარგებლოდ, არ არის ზუსტად განსაზღვრული მატერალური სამართლის ნორმებში და ეს ბუნებრივიცაა, რადგან „სამართალს არ

<sup>181</sup> ლილუაშვილი თ, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართლი, თბ, 2005, 231.

<sup>182</sup> თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2011 წლის 05 ივნისის განჩინება, სამოქალაქო საქმე №2ბ/874-11. ხელმისაწვდომია მხოლოდ სასამართლოს არქივში.

<sup>183</sup> თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2012 წლის 07 თებერვლის განჩინება, სამოქალაქო საქმე №2ბ/55-12. ხელმისაწვდომია მხოლოდ სასამართლოს არქივში.

შეუძლია და არც უნდა დააფიქსიროს უფლებებისა და მოვალეობების თანაფარდობის ყველა შესაძლო ვარიანტი და კომბინაცია. არ შეიძლება იმის დავიწყება, რომ სამართლის ნორმას, ქმნის რა მართლურთიერთობის მოდელს, შეუძლია განასახიეროს მხოლოდ ძირითადი ტიპური ნიშნები. ამიტომ არის, რომ სამართლის ნორმა ურთიერთობის მონაწილეებს, მათ სავალდებულო და შესაძლებელ ქცევას, მათი მოქმედებების შედეგებს განსაზღვრავს მხოლოდ აბსტრაქტული ფორმით. გარდა ამისა, სამართლი თავისი განვითარების პროცესში ჩამორჩება საზოგადოებრივი ურთიერთობების განვითარებას. სამართლის ეს კონსერვატიზმი ობიექტურად საჭიროებს კომპენსაციას საზოგადოებრივ ურთიერთობებთან მისი კონტაქტის პროცესში, მათი განვითარებისა და უთიერთქმედების გარკვეულ ეტაპზე. ასეთ კომპენსაციურ ფუნქციას ასრულებს სასამართლო სამართლის შეფარდების პროცესში. სამართლის შემფარდებელი განსაზღვრულ სიტუაციებში ადგენს თუ რა უფლებებით შეიძლება სარგებლობდეს საპროცესო სამართალურთიერთობის თითოეული მონაწილე და რა მოვალეობა უნდა შეასრულოს თითოეულმა მათგანმა<sup>184</sup>. ამ საკითხის მოწესრიგება მთლიანად მინდობილი აქვთ სასამართლოებს და ასეთ შემთხვევაში, მტკიცების ტვირთის განაწილება წარმოებს საქართველოს სსკის 102-ე მუხლით დადგენილი ზოგადი რეგულაციით. ერთ-ერთ საქმეზე, რომელიც წარმოებდა დ.შ....-სა და ინდ. მენაშენეთა ამხანაგობა „ი...“-ს შორის, დავის საგანზე საცხოვრებელი ფართისა და ავტოფარების გადაცემა, სასამართლომ მიიჩნია, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ არასწორად გაანაწილა მხარეთა შორის მტკიცების ტვირთი. აღნიშნულის გათვალისწინებით საქმის განმხილველმა სასამართლომ აღნიშნა, რომ მოპასუხეს უნდა ემტკიცებინა მოსარჩელეების მიერ გადახდილი თანხების არასაკმარისობა იმისათვის, რომ ეს უკანასკნელები აღიარებული ყოფილიყვნენ პირველი კატეგორიის მენაშენებად, ხოლო თანხების სრულად გადახდის მტკიცების ტვირთი დააკისრა მოსარჩელეებს<sup>185</sup>.

ამასთან, საკითხი როგორდება იმითაც, რომ სამოქალაქო სამართალში არ არის პრეზუმაციების, ანუ მხარეთა შორის მტკიცების ტვირთის განაწილების დასრულებული სისტემა. რიგ შემთხვევაში, კანონი არ შეიცავს პირდაპირ მითითებას იმაზე, თუ, რომელმა მხარემ კონკრეტულად რა ფაქტი უნდა დაამტკიცოს ან, რომელი ფაქტების დამტკიცების საფუძველზე წარმოშობა ვარაუდი სხვა ფაქტების არსებობა - არარასებობის შესახებ. მხარეთა შორის მტკიცების ტვირთის განაწილების ზოგიერთ წესს ადგენს სასამართლო პრაქტიკა, რაც ავსებს კანონმდებლობაში არსებულ ხარვეზებს. ამ თვალსაზრისით, სწორედ სასამართლოა ის უფლებამოსილი ორგანო, რომელსაც უფლება ეძლევა დაწერილი კანონი შემდგომ განავითაროს. აღნიშნული შეიძლება განხორციელდეს არა მარტო კანონის ინტერპრეტაციის გზით, არამედ, ასევე

<sup>184</sup> იხ., გ. ხუბუა, სამართლის თეორია, თბ, 2004, 132.

<sup>185</sup> სუსგ. 2009 წლის 23 აპრილი, საქმე №ას-861-1075-08. გადაწყვეტილება გამოქვეყნებულია საქართველოს უზენაესი სასამართლოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე <<http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/2009aprili.pdf>> (11.02.2012).

კანონის ხარვეზის შევსების გზით. მაგალითად, ერთ-ერთ საქმეზე თბილისის საქალაქო სასამართლომ მოსარჩელე ბ.ა-სა და მოპასუხე, სს „ს.პ-ს“ შორის უსაფუძვლოდ გადახდილი თანხის დაბრუნების შესახებ დაგაზე ძირითადი მოვალის მიერ ვალდებულების დარღვევის არარსებობის მტკიცების ტვირთი და მოვალის გადახდისუნარობის დადასტურების მტკიცების ტვირთი, რაც სარჩელის დაკმაყოფილების საფუძველი იქნებოდა მოპასუხე მხარეს გადააკისრა. სარჩელის ფაქტობრივ გარემოებად მითითებული იყო, რომ ბანკმა მოსარჩელს, როგორც სოლიდარულ მოვალეს, სახელფასო ანაგარიშიდან ჩამოეჭრა 6523.92 ლარი როგორც ძირითადი მოვალის, ისე სოლიდარულად პასუხისმგებელი მოვალის გაფრთხილების გარეშე<sup>186</sup>.

რაც შეეხება საკითხს იმის შესახებ, გადადის თუ არა მტკიცების ტვირთი ერთი მხარიდან მეორეზე და როდის, უჭერად წამოიჭრება სამოქალაქო პროცესში და მას დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს. ასე მაგალითად, ნახელიდობის ხელშეკრულების საფუძველზე „ა“ ითხოვს 500 ლარის გადახდას „ბ“-სგან. ეს უკანასკნელი აცხადებს, რომ სურს აღნიშნული ვალდებულებისა და მის სასარგებლოდ „ა“-ს მიმართ არსებული ვალის დაბრუნების მოთხოვნის გაქვითვა, რომელიც ასევე შეადგენს 500 ლარს და შესრულების ვადა დამდგარია. „ა“ აცხადებს რომ მან სრულად დაუბრუნა „ბ“-ს ვალი. „ბ“ სათანადო ფორმით სადაცოდ ხდის „ა“-ს განცხადებას. „ა“-ს სასამართლოსათვის მხოლოდ იმის დამტკიცება შეეძლო, რომ მან „ბ“-ს ვალის სახით 200 ლარი გადაუხადა. ამ შემთხვევაში მტკიცების ტვირთი „ა“-ს ეკისრება, ვინაიდან ვალის დაბრუნების ვალდებულების შესრულება მისთვის ხელსაყრელი ფაქტია. მაშასადამე, „ა“-ს ეკისრება იმის რისკი, რომ იგი ვერ ამტკიცებს დანარჩენი 300 ლარის გადახდის ფაქტს, რის შედეგადაც ვალის დაბრუნების მოთხოვნა გაქარწყლებულია მხოლოდ 200 ლარის ნაწილში<sup>187</sup>.

დასკვნის სახით უნდა ითქვას, რომ მტკიცების ტვირთის მოდავე მხარეებზე განაწილება წარმოგვიდგება, როგორც სასამართლოს პასიური როლის გაფართოების წინა პირობა, ვგულისხმობთ „ფორმალური ჰეშმარიტების პრიციპს“, რომლის დანაწესით სასამართლო მხოლოდ ხელმძღვანელობს სამოქალაქო საქმის მოძრაობას.

#### **§4. პრეზუმაციები, როგორც მტკიცების ტვირთის განაწილების საფუძველი**

მტკიცების ტვირთის განაწილების საფუძვლებს წარმოადგენსაგრეთვე სამოქალაქო სამართლადში გათვალისწინებული ვარაუდები (ე.წ. პრეზუმაციები). მაგალითად, საქართველოს სკ-ის 506-ე მუხლით

<sup>186</sup> თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 13 იანვრის გადაწყვეტილება, სამოქალაქო საქმე №2ბ/12789-10. ხელმისაწვდომია მხოლოდ სასამართლოს არქივში.

<sup>187</sup> იხ., პეტერ ს. სამოქალაქო კაზუსების დამუშავების მეთოდიკა, ობ., 2009, 26, 29.

განსაზღვრულია განვადებით ნასყიდობის ხელშეკრულების ფორმა, კურძოდ, იგი უნდა დაიდოს წერილობით. მაგრამ 507-ე მუხლის თანახმად, თუ გარიგების ფორმა დარღვეულია, მაშინ ხელშეკრულება დადებულად მიიჩნევა ნივთის გადაცემის მომენტიდან. ამ შემთხვევაში, მყიდველი ვალდებულია გადაიხადოს მხოლოდ ნივთის ფასი პროცენტების გარეშე. 677-ე მუხლიდან გამომდინარე, სანამ არ დამტკიცდება საპირისპირო, ივარაუდება, რომ ზედნადები (კონსამენტი) არის იმის მტკიცებულება, რომ დადებულია გადაზიდვის ხელშეკრულება, განსაზღვრულია მისი შინაარსი და ტვირთი გადამზიდველს მიღებული აქვს. ასევე, საპირისპიროს დადასტურებამდე, არსებობს იმის პრეზუმაცია, რომ თუ ზედნადებში არ არის აღნიშნული გადაზიდვის პირობები, გადამზიდველის მიერ ტვირთის მიღებისას, ტვირთი და მისი შეფუთვა გარეგნულად კარგ მდგომარეობაში იყო და რომ ტვირთის ცალობრივი რაოდენობა, მისი აღნიშვნები და ნომრები ემთხვევა ზედნადებში ჩაწერილ მონაცემებს. მოყვანილი ნორმების შინაარსიდან, შეიძლება გამოვიყვანოთ პრეზუმაციის დანიშნულება, კურძოდ, ივარაუდება ფაქტი X (გადაზიდვის ხელშეკრულების არსებობა) იწვევს გარკვეულ იურიდიულ შედეგს, ანუ მეორე მხარის პასუხისმგებლობას, თუ დამტკიცდება ფაქტი - ზედნადები, კონსამენტი.

სამართალწარმოებაში პრეზუმაციების მოქმედების გზით ხდება ერთი სახის მტკიცების საგნის შეცვლა სხვა სახის მტკიცებულებით. ამასთან, თუ მხარე შესძლებს წარადგინოს ფაქტები, რომელთა საფუძველზე სასამართლო მიღის დასკვნამდე, რომ არსებობს გადაწყვეტილებისათვის მნიშვნელოვანი სხვა ფაქტები, მაშინ მეორე მხარეზე გადადის მტკიცების ტვირთი - გააქარწყლოს მოსამართლის ვარაუდი. ეს კი სხვა არაფერია, თუ არა მხარეთა შორის მტკიცების ტვირთის განაწილება. გამომდინარე იქიდან, რომ ვარაუდები (ე.წ. პრეზუმაციები) გამომდინარეობს მატერიალური სამართლის ნორმებიდან და ამასთან ერთად, წარმოადგენს მტკიცების ტვირთის განაწილების საფუძვლებს.

როგორც ზემოთ აღნიშნეთ, სამოქალაქო სამართლის პროცესში, „ერთი ჯგუფი ფაქტებისა ივარაუდება მოპასუხის სასარგებლოდ და ამიტომ, ისინი უნდა დაამტკიცოს მოსარჩელებმ, ხოლო მეორე ჯგუფი ფაქტებისა ივარაუდება მოსარჩელის სასარგებლოდ და ისინი უნდა დაამტკიცოს მოპასუხებ. ფაქტები, რომელთა არსებობა (არარსებობა) ივარაუდება მოპასუხის სასარგებლოდ, ივარაუდება ასეთნაირად ყოველგვარი წინასწარი დამტკიცების გარეშე”<sup>188</sup>. მაგალითად, მოსარჩელებმ აღმრა სარჩელი ნივთის სხვისი უკანონო მფლობელობიდან გამოთხოვის შესახებ (ვინდიკაციური სარჩელი). ასეთ შემთხვევაში, მოპასუხებ (ნივთის ფაქტობრივი მფლობელი) იგულისხმება სადაცო ნივთის მესაკუთრედ. ამიტომ მას ჯერ-ჯერობით არაფრის მტკიცება არ სჭირდება. იგი ნივთს ფაქტობრივად ფლობს და იგულისხმება კიდეც ამ ნივთის მესაკუთრედ, ანუ მოპასუხის სასარგებლოდ ივარაუდება ფაქტების არსებობა რაიმე წინასწარი მტკიცებულებების წარმოდგენის გარეშეც. რაც შეეხება მოსარჩელეს ე.ი ვინდიკაციური სარჩელის აღმდგრელ პირს, მის სასარგებლოდ ამჯერად არაფერი არ ივარაუდება. ამიტომ, მან წინასწარ უნდა დაამტკიცოს, რომ იგი არის

<sup>188</sup> ლილუაშვილი თ, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი, თბ, 2005, 229.

მესაკუთრე იმ ნივთისა, რომელსაც მოპასუხე ფაქტობრივად ფლობს და, რომლის უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვის შესახებ მან დააყენა სარჩელი.

მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა მოსარჩელე დაამტკიცებს, რომ ნივთის მესაკუთრეა, წარმოიშობა პრეზუმფცია (ვარაუდი) იმის თაობაზე, რომ მოპასუხე ამ ნივთს უკანონოდ ფლობს. ასეთი ვარაუდის წარმოშობით კი მოპასუხეზე გადადის იმ ფაქტის დამტკიცების მოვალეობა, რომ იგი ამ სადავო ნივთს ფლობს კანონიერი საფუძვლით, ანუ წარმოადგენს სადავო ნივთის მართლზომიერ მფლობელს. მაგალითად, ერთ-ერთ საქმეზე საქართველოს უზენაესმა სასამართლომ მიუთითა, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 429-ე მუხლის პირველ ნაწილზე, რომლის თანახმად, კრედიტორი ვალდებულია მოვალის მოთხოვნით შესრულების მთლიანად ან ნაწილობრივ მიღების შესახებ გასცეს ამის დამადასტურებელი დოკუმენტი. ვალდებულების შესრულების თაობაზე დავის შემთხვევაში, მტკიცების ტვირთი ეკისრება მოვალეს. სწორედ მოვალემ უნდა დაამტკიცოს, რომ ვალი გადაიხდა და ამით ვალდებულება შეწყდა<sup>189</sup>. როგორც ვხედავთ, იმის ზუსტად განსაზღვრა, თუ როდის და რა მომენტიდან გადადის მტკიცების ტვირთი ერთი მხარიდან მეორეზე, არის უადრესად მნიშვნელოვანი საკითხი, რომლის არასწორად გადაწყვეტილების შეიძლება მოჰყვეს უსამართლო გადაწყვეტილების გამოტანა.

კანონები, ხშირ შემთხვევაში, შეიცავს ვარაუდებს (ე.წ. პრეზუმფციებს) ფაქტების არსებობის თაობაზე. თუ არსებობს კანონით გათვალისწინებული საქმის გარემოებებისათვის დამახასიათებელი ნიშნები ფაქტის პრეზუმფციისათვის, მაშინ ნავარაუდევი ფაქტი მტკიცებას არ საჭიროებს. მაგალითად, პროცენტების გადახდის ვალდებულება შეიძლება წარმოიშვას ისეთი საფუძვლებიდან, რომლებიც საერთოდ არ წარმოშობს ზიანის ანაზღაურების ვალდებულებას. გერმანიის სამოქალაქო სჯულდების §288-ე თანახმად, მოვალის მიერ ფულადი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, კრედიტორს ყოველგვარი დამატებითი მტკიცებულებების წარმოდგენის გარეშე შეუძლია მოითხოვოს პროცენტების გადახდა<sup>190</sup>. პრეზუმფცია წარმოადგენს ვარაუდს ამა თუ იმ ფაქტის არსებობის შესახებ. ასეთი ვარაუდი კი შეიძლება წარმოიშვას მხოლოდ გარკვეული ფაქტების საფუძველზე, რომლებიც წინასწარ ცნობილია ან უნდა დადგინდეს<sup>191</sup>. საქართველოს სკ-ის 158-ე მუხლის დებულებათა შესაბამისად, ივარაუდება, რომ მოძრავი ნივთის მფლობელი არის მისი მესაკუთრე. უძრავ ნივთზე კი, საჯარო რეგისტრში რეგისტრაციის ფაქტი წარმოშობს საკუთრების ვარაუდს. ყველა შემთხვევაში, ამ ვარაუდის გასაქარწყლებლად მოწინააღმდეგე მხარემ უნდა დაამტკიცოს, რომ სადავო ნივთის მესაკუთრე არაა ის პირი, ვის სასარგებლოდაც მოქმედებს ვარაუდი,

<sup>189</sup> სუსტ. 2002 წლის 4 მარტი. საქმე №3/441-01. გადაწყვეტილება ხელმისაწვდომია საქართველოს უზენაესი სასამართლოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე <<http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/samoq2002-5-uni.pdf>> (11.02.2012).

<sup>190</sup> იბ., ძლიერიშვილი ზ, ფულადი ვალდებულების შესრულების თავისებურებანი, თბ, 2005, 45, 46.

<sup>191</sup> იბ., ლილუაშვილი თ, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართლი, თბ, 2005, 228, 229.

არამედ თვითონ. ასევე, გარემოება იმის შესახებ, რომ ტვირთი არაა დაკარგული. ყველა შემთხვევაში დასაშვებია საპირისპირ მტკიცება.

მტკიცებას საჭიროებს ის ფაქტი, რომელიც ვარაუდს ასაბუთებს ასევე, ნორმის შემადგენლობა, რომელიც პრეზუმფციას შეიცავს. ამის საპირისპიროდ, მოწინააღმდეგე მხარემ კანონმდებლობით დაშვებულ ფარგლებში უნდა ამტკიცოს საწინააღმდეგო, კერძოდ, რომ არ არსებობს ნავარაუდევი ფაქტი.

ნორმას, რომელიც პრეზუმფციას შეიცავს ხშირად მატერიალური სამართალი ითვალისწინებს და შესაბამისი პროცესისათვისაა განკუთვნილი. პრეზუმფციების მატერიალურ-სამართლებრივი თვისება გულისხმობს გარკვეული მატერიალურ-სამართლებრივი შედეგის დადგომას მატერიალურ სამართალურთიერთობის სუბიექტებისათვის. ამდენად, დავის შემთხვევაში, მოქმედებს მატერიალურ-სამართლებრივი პრეზუმფციების პროცესუალურ-სამართლებრივი ფუნქციები. ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, მოწმდება სამოქალაქო სამართლებრივ ნორმაში არსებული პრეზუმფცია განკუთვნება თუ არა ინტერესის სფეროს.

კონსტიტუციური პრინციპის ცალკეულ გამოვლინებას წარმოადგენს სისხლის სამართლის პროცესის ფუძემდებლური პრინციპი, რომლის თანახმად, ადამიანი უდანაშაულოდ ითვლება, ვიდრე მისი დამნაშვერი არ დამტკიცდება კანონით დადგენილი წესით და კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენით.<sup>192</sup> როგორც ცნობილია, ამ პრინციპს უდანაშაულობის პრეზუმფციას უწოდებენ. საინტერესოა როგორია უდანაშაულობის პრეზუმფციის საპროცესო მნიშვნელობა? უდანაშაულობის პრეზუმფციის საპროცესო მნიშვნელობა მთლიანად ამოიწურება მტკიცების ტვირთის განაწილებით. კერძოდ, არავინ არ არის ვალდებული ამტკიცოს თავისი უდანაშაულობა, ბრალდების მტკიცების მოვალეობა ეკისრება ბრალმდებელს. ამდენად, მას, ვინც ბრალს სდებს ადამიანს დანაშაულის ჩადენაში, ვალდებულია დაამტკიცოს ეს ბრალეულობა.<sup>193</sup>

სამოქალაქო პროცესში არის ორი ერთმანეთისადმი დაპირისპირებული მხარე, კერძოდ, მოსარჩელე და მოპასუხე. შესაბამისად, ერთი ნაწილი მტკიცების საგანში შემავალი ფაქტებისა ივარაუდება მოსარჩელის სასარგებლოდ, ხოლო დანარჩენი ნაწილი – მოპასუხის სასარგებლოდ. ის, რაც მოსარჩელის სასარგებლოდ ივარაუდება უნდა დაამტკიცოს მოპასუხებ, ხოლო ის, რაც მოპასუხის სასარგებლოდ ივარაუდება პირიქით, უნდა დაამტკიცოს მოსარჩელებ. ეს იმას ნიშნავს, რომ პრეზუმფციები სასამართლოში მტკიცების მოვალეობისაგან კი არ ათავისუფლებს მხარეს, არამედ წარმოადგენს მხარეთა შორის მტკიცების განაწილების საფუძველს<sup>194</sup>. მოსარჩელე ვალდებულია დაამტკიცოს მტკიცების საგანში შემავალი გარკვეული ფაქტების ნაწილი, ხოლო ამ

<sup>192</sup> საქართველოს კონსტიტუციის მე-40 მუხლი (24.08.1995).

<sup>193</sup> საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ამიტომაა ჩაწერილი, რომ სასამართლოს, პროკურორს, გამომძიებელს უფლება არა აქვთ მტკიცების ტვირთი ბრალდებულს დააკისრონ.

<sup>194</sup> იხ., ლილუაშვილი თ, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი, თბ, 2005, 228-233.

ფაქტების მეორე ნაწილი ვალდებულია დაამტკიცოს მოპასუხებ. ნორმები, რომლებიც შეიცავს პრეზუმუტციებს, წარმოადგენენ კანონის პირდაპირ მითითებას იმის შესახებ, რომელმა მხარემ კონკრეტულად რა ფაქტები უნდა დაამტკიცოს სამოქალაქო პროცესში.<sup>195</sup>

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართლისაგან განსხვავებით, სადაც ზოგადად არის განმარტებული პრეზუმუტცია და მის საფუძველზე მტკიცების ტვირთის განაწილების წესი, ინგლისის მტკიცებით სამართლში განასხვავებენ ხუთი სახის პრეზუმუტციას:

„პირველი სახე – დარწმუნებითი პრეზუმუტცია. „ა“ ფაქტის დასამტკიცებლად სასამართლო პრეზუმირებს, რომ „ბ“ ფაქტი ნამდვილად არსებობს. ეს შესადავებელი პრეზუმუტციაა. მხარე, რომელიც ამ პრეზუმუტციას ედავება, ატარებს სამართლებრივ ტვირთს. მაგალითად, პრეზუმირდება, რომ ყველა ადამიანი ფსიქიკურად ჯანმრთელია, ვიდრე საწინააღმდეგო არ დაამტკიცდება.

მეორე სახე – დამტკიცებითი პრეზუმუტცია. აქ სასამართლო დასკვნას აკეთებს, რომ „ბ“ ფაქტი არსებობს, რამდენდაც დამტკიცებულია „ა“ ფაქტი. ესეც შესადავებელი პრეზუმუტციაა. შესადავებლად საკმარისია დამტკიცდეს, რომ „ბ“ ფაქტი შეიძლება მიჩნეულ იქნეს როგორც არსებულად, ისე არარსებულად. ხსენებული პრეზუმუტცია მხარეს აკისრებს მისი უარყოფის მტკიცების ტვირთს.

მესამე სახე – უდავო პრეზუმუტციები, რომლებსაც ითვალისწინებს სტატუტები.

მეოთხე სახე – ნებადართული პრეზუმუტციები. „ა“ ფაქტის დამტკიცება ნებას რთავს სასამართლოს ჩათვალოს ფაქტი „ბ“ დასამტკიცებულად. ეს პრეზუმუტციებიც ასახულია სტატუტებში.

მეხუთე სახე – ფაქტის პრეზუმუტცია, რომელიც წარმოადგენს ყოველდღიურ გამოცდილებას. რაც ნიშნავს იმას, რომ ყველა მოსამართლე გააკეთებს ერთსა და იმავე დასკვნას ერთი და იმავე ფაქტის მიმართ. მაგალითად, პრეზუმუტცია ცხოვრების ხანგრძლივობაზე. ამ პრეზუმუტციის თანახმად, ივარაუდება რომ ადამიანები ცხოვრობენ გონივრული დროის მანძილზე<sup>196</sup>.

<sup>195</sup> ოუმცა, ცალსახად არც ეს შეიძლება ითქვას, რადგან საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართლადში არსებობს მტკიცების ტვირთის განაწილების თავისებურებანი, რომელიც განხილულია წინამდებარე დისერტაციის IV თავში.

<sup>196</sup> პრეზუმუტციის რამდენიმე მაგალითი ინგლისური სამართლიდან:

1) ქორწინების კანონიერების პრეზუმუტცია – პრეზუმუტციორდება, რომ ქორწინების რეგისტრაცია იყო კანონიერი. ფორმალური კანონიერების პრეზუმუტცია რეგისტრაციის არაკანონიერების ტვირთს აკისრებს იმ მხარეს, რომელიც ადასტურებს რეგისტრაციის არაკანონიერებას. ქორწინების რეგისტრაციის ძირითადი ფაქტის დამტკიცება ეპისტოლური მიზანის მიხარებას, რომელიც ადასტურებს ქორწინების კანონიერებას.

2) რეგისტრირებულ ქორწინებაში დაბადების პრეზუმუტცია – პრეზუმუტციორდება, რომ ბავში, დაბადებული ან ჩასახული ქორწინების განმავლობაში არის კანონიერი ქორწინების დროს დაბადებული. ძირითადი ფაქტი, რომელიც უნდა დადასტურდეს არის ის, რომ ბავშის ჩასახვისა, თუ დაბადების დროს ბავშის დედა დაქორწინებული იყო. ბავშის მამად პრეზუმუტციორდება ამ ქალბატონის ქმარი. ი. ბ. Решетникова. Доказательственное право Англии и США, Екатеринбург, 1997, 108, 109.

**თავი IV. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით  
გათვალისწინებული მთკიცების ტვირთის ინოგაციური  
განაწილების თავისებურებანი**

**§1. მტკიცების ტვირთის ინოგაციური განაწილების თავისებურება  
საოჯახო საქმეთა განხილვისას**

კანონმდებლობაში ინოგაციათა დანერგვა მის სრულყოფას უკავშირდება. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში შეტანილი უახლესი ცვლილებები მოიცავს სამოქალაქო საპროცესო სამართლისათვის ადრე უცნობ ინსტიტუტს. მასში მოიაზრება ახალი ცნებები, იდეები, კატეგორიები. სიახლეები ხელს შეუწყობს სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებას სამართლებრივი სახელმწიფოს ფარგლებში, რაც აუცილებელია ქვეყნისათვის.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი არეგულირებს სასარჩელო და არასასრჩელო წარმოების სახეებს.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მეშვიდე კარში ვხვდებით სამოქალაქო სამართლწარმოებისათვის უცნობ ინსტიტუტებს, რომლებიც განსხვავდება სამოქალაქო საპროცესო სამართლით რეგულირებული უფლებების დაცვის დანარჩენი სასარჩელო ფორმისაგან. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მეშვიდე კარში მოქცეული კატეგორიის საქმეები შეეხება საოჯახო, ადმინისტრაციული, სახელმწიფო-სამართლებრივი ურთიერთობიდან წარმოშობილი, რომელიც რეგულირებულია საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით და რეკეტული ქონების, თანამდებობის პირის, ქურდული სამყაროს წევრის, ადამიანით მოვაჭრის, ნარკოტიკული საშუალების გავრცელების ხელშემწყობის ან საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 194-ე მუხლის მესამე ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით მსჯავრდებული პირის ქონების ჩამორთმევასა და სახელმწიფოსათვის გადაცემასთან დაკავშირებული საქმეების, ასევე პირის ოკუპირებულ ტერიტორიებზე აკრძალული ეკონომიკური საქმიანობის განხორციელებისათვის მსჯავრდებულ პირთან დაკავშირებულ პირად ცნობის თაობაზე დაკავშირებული საქმეების განხილვის თავისებურებებს.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მეშვიდე კარით რეგულირებული სამართლწარმოებისათვის დამახასიათებელი თავისებურებებით დაინტერესება გამოწვეულია ამ კატეგორიის საქმეებზე „მტკიცების ტვირთის განაწილების არატრადიციული, არაკლასიკური სახით, რომელიც წარმოდგენილია შერეული ფორმით“<sup>197</sup>, რაც საკვანძო ადგილს იკავებს ნაშრომის კვლევაში.

<sup>197</sup> იხ., ქირია გ, რეკეტული ქონების ან ქურდული სამყაროს წევრის ქონების ჩამორთმევისა და სახელმწიფოსათვის გადაცემასთან დაკავშირებული წარმოების კომენტარი საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მიხედვით, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი, თბ, 2006, 29.

აღნიშნულ სამართალწარმოებაში მხარეთა შორის მტკიცების ტვირთის გადანაწილების პრაქტიკული მაგალითების შესწავლის გზით მიმოვისილავთ სამართალწარმოების აღნიშნული ფორმის შესაძლო ყველა მხარეს და მათ პროცესუალურ პრინციპებთან შეთავსების პროცესების პროცესების.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი არეგულირებს განსხვავებული უფლებებისა და ინტერესების სასამართლო დაცვის წესს. ამ საქმეების მატერიალურ-სამართლებრივი ბუნება ხშირ შემთხვევაში, გავლენას ახდენს მათი განხილვის პროცედურასა და ფორმაზე.

საოჯახო-სამართლებრივი ურთიერთობიდან წარმოშობილი საქმეების განხილვა ცალკე თავის სახით არის გამოყოფილი, რადგან მას ახასიათებს გარკვეული თავისებურებები. ამ თავისებურებას განპირობებს საოჯახო ურთიერთობების სპეციფიკა, რომელიც უპირატესად პირადული და განგრძობადი ხასიათისაა. ერთ-ერთ ფუნდამენტურ თავისებურებას, სხვა კატეგორიის საქმეთა განხილვისაგან განსხვავებით, წარმოადგენს სამძებრო პრინციპის უფრო ფართოდ გამოყენება. მართალია. საოჯახო-სამართლებრივი ურთიერთობები განეკუთვნება კერძო-სამართლებრივი ურთიერთობების სფეროს, მაგრამ მათი განვითარებითა და სიმტკიცით დაინტერესებულია მთელი საზოგადოება<sup>198</sup>. აღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლოს, რომელიც ისილავს კონკრეტულ საოჯახო-სამართლებრივ დავას, „მინიჭებული აქვს უფლება საქართველოს სსკ-ის მე-4 მუხლის მე-2 ნაწილისა და 354-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, არ დასჯერდეს მხოლოდ მხარეთა მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებებს და თავისი ინიციატივით განსაზღვროს იმ გარემოებათა წრე, რომელთა დადგენის გარეშე შეუძლებელია საქმის სწორად გადაწყვეტა (მტკიცების საგანი), ასევე მხარეთა ახსნა-განმარტების მოსმენის შემდეგ თვითონ გამოითხოვოს მტკიცებულებები, რომელზედაც მხარეებს არ მიუთითებიათ, მაგრამ ამ მტკიცებულებებს მნიშვნელობა აქვს მტკიცების საგანში შემავალ დასადგენ გარემოებათა დასადასტურებლად. მაშასადამე, საქართველოს სსკ-ის 354-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დებულება არის სპეციალური ნორმა და მას უპირატესობა ენიჭება 103-ე მუხლით გათვალისწინებულ ზოგად ნორმასთან შედარებით”<sup>199</sup>.

ამ კატეგორიის საქმეთა განხილვისას სასამართლოს შეუძლია:

ა) თავად განსაზღვროს მტკიცების საგანი ე.ი. იმ გარემოებათა წრე, რომელთა დადგენის გარეშე შეუძლებელია საქმის სწორად გადაწყვეტა; ბ) თავისი ინიციატივით გამოითხოვოს მტკიცებულებები, რომლებზეც მხარეებს არ მიუთითებიათ, მაგრამ აქვთ მნიშვნელობა მტკიცების საგანში შემავალი ფაქტების დასადგენად.

საოჯახო საქმეთა განხილვისას პროცესის გაჭიანურების თავიდან აცილების მიზნით, გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსი

<sup>198</sup> „ოჯახთა განვითარების ისტორიაში ორიგინალური ფენომენია რომაული ოჯახი. ეს არის სამოქალაქო ოჯახი, რომელიც აგებული იყო არა იმდენად სისხლით ნათესაობის პრინციპზე, რამდენადაც მამის ძალაუფლების ქვეშ გაერთიანების პრინციპზე. ოჯახის არსებას აფუძნებდა მამის ძალაუფლება“: იხ., ზოიძე ბ, მველი ქართული მქმედირეობითი სამართალი, თბ, 2000, 31.

<sup>199</sup> იხ., ძლიერი შეიძლი ზ, სამოქალაქო საპროცესო სამართლის ცალკეული საკითხები, თბ, 2007, 97.

სასამართლოს აძლევს უფლებას გაუძღვეს საქმისწარმოებას. ეს ნიშნავს, რომ სასამართლო არსებით გავლენას ახდენს საქმის მიმდინარეობაზე და პროცესის შედეგზე. სასამართლო საქმის მიმდინარეობის ნებისმიერ ეტაპზე უზრუნველყოფს, რომ მხარეებმა წარადგინონ განმარტებები და შესაბამისი შუამდგომლობები<sup>200</sup>. სასამართლოს ეკისრება ვალდებულება, მხარეებს მისცეს განმარტებები, რომლითაც ისინი გადალახავენ დისპოზიციურობისა და შეჯიბრებითობის პრინციპებიდან გამომდინარე სიძნელეებს. თუმცა, იმავდროულად, მხარეები თავისუფლად გადაწყვეტენ აპირებენ თუ არა მოსამართლის განმარტებების გათვალისწინებასა და გამოყენებას<sup>201</sup>.

შეჯიბრებითობის პრინციპის პარალელურად, სასამართლოს გადაცემული აქვს პროცესის მატერიალური ხელმძღვანელობის უფლებამოსილება. თუმცა, აქ დგება ამ ორი პრინციპის, მხარეთა შეჯიბრებითობისა და სასამართლოს აქტიურობის პროცესის საკითხი. საინტერესოა რა დოზით უნდა მოხდეს ამ ორი პრინციპის შერწყმა და გამოყენება საქმის განხილვისას<sup>202</sup>.

მხარეთა შეჯიბრებითობის პრინციპი არ უნდა იქნეს გაგებული უკიდურესი ფორმით და სასამართლომ ისე არ უნდა დაიცვას პირის უფლებები და ინტერესები, რომ გასცდეს მის ნება-სურვილს, სასამართლომ არ უნდა სცადოს პირთა იმ უფლებების რეალიზაცია, რაც არ ყოფილა მოთხოვნილი.

ამასთან, შეჯიბრებითობის პრინციპი არ უნდა იქნეს გაგებული, როგორც სასამართლოს უკიდურესი პასიურობა. საპროცესო კანონმდებლობით სასამართლოს შეუძლია თავისი ინიციატივით შეაგროვოს მტკიცებულებები, თუ ამას საქმის გარემოებები მოითხოვს ან მხარეები შუამდგომლობენ ამის შესახებ. მტკიცების ტვირთის მხარეებზე განაწილებისას, სასამართლოს არ ერთმევა უფლება, მხარეებს შესთავაზოს, წარმოადგინონ დამატებითი მტკიცებულებები<sup>203</sup>, მაგალითად, თუკი დავა შეეხება მეუღლეთა თანხაკუთრებაში არსებული ქონების გაყოფას, აქ გადაწყვეტია ის, ხომ არ რეგულირდება მეუღლეებს შორის ქონებრივი უფლებები საქორწინო კონტრაქტით, გამომდინარე იქიდან, რომ ასეთის არსებობის შემთხვევაში, საკითხი გადაწყვდება საქორწინო კონტრაქტის შესაბამისად<sup>204</sup>.

ამდენად, საკითხი უნდა გადაწყვდეს შეჯიბრებითობისა და ინკვიტიციურობის პრინციპებს შორის ზომიერი ბალანსის სასარგებლოდ. შესაბამისად, მხარეები არც შეზღუდული იქნებიან სასამართლოს აქტიურობით და არც დაიჩაგრებიან იმის გამო, რომ სასამართლოს

<sup>200</sup> შეად. Grunsky W, Zivilprozessrecht, München, 11 Aufl, 2003, 36.

<sup>201</sup> შეად. Luke W, Zivilprozessrecht, München, 8 Aufl, 2003, 5.

<sup>202</sup> ამ საკითხის გადასაჭრელად პროცესი უნდა აიგოს შეჯიბრებითობის პრინციპის საფუძველზე. თუმცა, სასამართლოს ჩარევა დასაშვები უნდა იყოს იმ დოზით, რითაც არ დაირღვევა დისპოზიციურობის პრინციპი, ანუ სასამართლომ არ უნდა შეზღუდოს მხარეები თავიანთ უფლებებში, არ აიძულოს ისინი დაცვის ამა თუ იმ საპროცესო ფორმის გამოყენებაზე და არც დამოუკიდებლად, თავად არ გამოიყენოს ეს ფორმები მხარეების ნების საწინააღმდეგოდ. იხ., Vasilevskij E. B, Курс Гражданского Процесса, Т. I. M, 1913, 157.

<sup>203</sup> იხ., კობახიძე ა, სამოქალაქო საპროცესო სამართლაში, თბ, 2003, 43, 44.

<sup>204</sup> იხ., Kaye P, Civil Jurisdiction and Enforcement of Foreign Judgments, Oxford, 1987, 613.

ნეიტრალური როლი ექნება მინიჭებული საქმის გარემოებების გამოკვლევაში.

„სასამართლომ აქტიურად და პვალიფიციურად უნდა გამოიყენოს მისთვის საპროცესო კანონმდებლობით მინიჭებული უფლებები, იმისათვის, რომ უზრუნველყოს დარღვეული ან სადაცოდ გამხდარი უფლების დასაცავად სასამართლოში მისულ პირთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვა“<sup>205</sup>.

შეგვიძლია ვთქვათ, რომ საოჯახო-სამართლებრივი ურთიერთობიდან წარმოშობილი საქმეების განხილვისას გამოიყენება დისპოზიციურობისა და შეჯიბრებითობის პრინციპები და მათ პარალელურად, ამ კატეგორიის საქმეების განხილვისათვის დამახასითებელი თავისებურებების გამო, აქ, აგრეთვე გამოიყენება სამძებრო, ანუ ინკვიზიციური პრინციპი.

სამძებრო პრინციპის მოქმედების ფარგლებში, საოჯახო საქმეების განხილვის დროს, სასამართლოს მატერიალური ნორმების გათვალისწინებით შეუძლია თავისი ინიციატივით განსაზღვროს დასადგენ გარემოებათა წრე (მტკიცების საგანი) და მხარეთა ახსნა-განმარტებების შემდეგ თვითონ გამოითხოვოს მტკიცებულებები, რომლებზედაც მხარეებს არ მიუთითებიათ.

განქორწინების საქმეთა მომზადების სტადიაზე სასამართლო განსაზღვრავს მტკიცების საგანს, კერძოდ:

სარჩელის საფუძვლად მითითებულ ფაქტებს;

შესაგებლის ფაქტებს, ე.ო. ფაქტებს, რომლებსაც მოსარჩელის მიერ აღძრული მოთხოვნების საწინააღმდეგოდ ემყარება მოპასუხება;

სხვა ფაქტებს, რომლებსაც არსებითი მნიშვნელობა აქვს საქმის გადაწყვეტისათვის.

ზოგჯერ საქმის ობიექტურად განხილვას სჭირდება დამატებითი მასალების შეკრება სასამართლოს მიერ. ასეთ შემთხვევაში, არ შეიძლება ბავშვის დაწოვება სათანადო მატერიალური უზრუნველყოფის გარეშე. ამ მიზნით, განქორწინებისა და შვილების სასარგებლოდ ალიმენტის გადახდევინების საქმის განხილვისას მოსამართლემ თავისი ინიციატივით უნდა გამოარკვიოს, მონაწილეობს თუ არა მოპასუხება შვილების რჩენაში. თუ სასამართლო დაადგენს, რომ მოპასუხება არ ასრულებს ამ ვალდებულებას საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 355-ე მუხლის შესაბამისად, სასამართლო აღჭურვილია უფლებამოსილებით მხარეთა შუამდგომლობის საფუძველზე მიიღოს დროებითი განკარგულება (განჩინების სახით) საქმის საბოლოო განხილვამდე, რათა მოაწესრიგოს მშობლებსა და შვილებს შორის ურთიერთობის საკითხი.

საქორწინო-საოჯახო ურთიერთობებიდან წარმოშობილ საქმეთა განხილვისათვის დამახასიათებელი თავისებურებები, ასევე მოქმედებს დაუსწრებელი გადაწყვეტილების ინსტიტუტის გამოყენების შემთხვევაში.

<sup>205</sup> ი.ს., მერქანტული ი, სასამართლოში სამოქალაქო საქმეთა განხილვისას მხარეთა შეჯიბრებითობისა და მოსამართლეთა აქტიურობის პრინციპების მოქმედება, ქურნ. „მართლმსაჯულება და კანონი“, საქართველოს მოსამართლეთა ასოციაცია, №4 (23), 2009, 26.

ზოგადი წესის თანახმად, კანონით გათვალისწინებული პირობების არსებობისას სასამართლო უფლებამოსილია გამოცხადებული მხარის შუამდგომლობის საფუძველზე, გამოუცხადებული მხარის დაუსწრებლად განიხილოს საქმე. მოსარჩელის გამოუცხადებლობის დროს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანისას სასამართლო არ აფასებს არც საქმეში არსებულ მტკიცებულებებს და არც საქმეს ფაქტობრივი თვალსაზრისით. საქმის ფაქტობრივი გარემობები დადგენილად მიიჩნევა მხარის გამოუცხადებლობის გამო და არა მათი არსებითად განხილვის შედეგად. ამ თვალსაზრისით, დაუსწრებელი გადაწყვეტილების ინსტიტუტი წარმოადგენს მხარეთა პასუხისმგებლობის დონის ამაღლების დამატებით გარანტიას, რომელიც ხელს უწყობს დავების გადაწყვეტის დაჩქარებას და სასამართლოების განტვირთვას. დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღების ერთ-ერთ პირობას იმის ვარაუდი წარმოადგენს, რომ მოპასუხებ ცნო სარჩელი, ამიტომ დაკარგა თავდაცვის ინტერესი. ამ შემთხვევაში, დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღება ლოგიკურია და გამართლებულია. თუმცა იმ მოპასუხის მიმართ, რომლის გამოუცხადებლობამაც სასამართლოს უერ შეუქმნა ამგვარი რწმენა, დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა გაუმართლებელია.

აღნიშნული წესი საოჯახო საქმეების სასამართლო განხილვისას არ უნდა იქნეს გამოყენებული. კანონმდებელი გვთავაზობს განსხვავებულ რეგულაციას, რაც იმაში მდგომარეობს, რომ საოჯახო საქმეების განხილვისას, სხვა სასარჩელო წარმოებისაგან განსხვავებით, მოსარჩელის გამოუცხადებლობა სასამართლოს მთავარ სხდომაზე არ იძლევა მის მიერ სარჩელზე უარის თქმის ვარაუდის საფუძველს. ამას განაპირობებს ის გარემოება, რომ ამ წარმოებაში სასამართლომ თავად უნდა გამოითხოვს მტკიცებულებები, რომლებზედაც მხარეებს არ მიუთითებიათ, მხარეთა გამოუცხადებლობა არ აბრკოლებს საკითხის გადაწყვეტას. სასამართლოს მიერ თავისი ინიციატივით მტკიცებულებათა გამოთხოვის გამო, მოპასუხის მთავარ სხდომაზე გამოუცხადებლობა არ წარმოადგენს სარჩელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებების აღიარებისა და სარჩელის ცნობის ვარაუდს. ამიტომ, სასამართლომ გამოუცხადებელი მხარის გარეშე, საქმეში არსებული მასალების საფუძველზე უნდა განიხილოს და გადაწყვიტოს საოჯახო საქმე. თუ საქმის მასალები არ იძლევა დასაბუთებული გადაწყვეტილების გამოტანის შესაძლებლობას, სასამართლომ უნდა გამოითხოვოს შესაბამისი მტკიცებულებები, გადადოს საქმის განხილვა სხვა დროისათვის და მოცემულ საოჯახო დავასთან დაკავშირებით ყველა მტკიცებულების მოპოვების შემდეგ არსებითად გადაწყვიტოს დავა, ჩვეულებრივი და არა დაუსწრებელი გადაწყვეტილებით.

იმის გათვალისწინებით, რომ საოჯახო საქმეების განხილვის დროს სასამართლო თავისი ინიციატივით განსაზღვრავს დასადგენ გარემოებათა წრეს და მხარეთა ახსნა-განმარტებების შემდეგ თვითონ გამოითხოვს მტკიცებულებებს, რომლებზედაც მხარეებს არ მიუთითებიათ, სასამართლომ

მოპასუხე მხარე არ უნდა გააფრთხილოს პასუხის (შესაგებლის) წარმოუდგენლობის შესაძლო შედეგების შესახებ<sup>206</sup>.

„სასამართლომ არა მარტო მხარეთა მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებით, არამედ თავისი ინიციატივითაც მოპოვებული მტკიცებულებებით უნდა გადაწყვიტოს დავა“<sup>207</sup>. თავდაპირველად უნდა დადგინდეს გარემოებები, რომლებიც ექვემდებარება დამტკიცებას მთლიანად საქმეზე (მტკიცების საგანი), შემდეგ კი ის ფაქტები, რომლებიც უნდა დამტკიცდეს კონკრეტული მხარის მიერ (მტკიცების ტვირთი).

დამტკიცებას დაქვემდებარებული ფაქტები, გამომდინარეობს მატერიალური სამართლის ნორმის დისპოზიციიდან. ასეთი ნორმა მიუთითებს ისეთ ფაქტობრივ გარემოებებზე, რომლებიც უნდა დამტკიცდეს განსახილველი კატეგორიის ნებისმიერ საქმეზე. მაგალითად, მშობლის უფლების ჩამორთმევის საქმეზე სასამართლო გამოდის საქართველოს სკის 1205-ე მუხლის დისპოზიციიდან.

ამასთან, ყველა საქმეს ახასიათებს თავისი სპეციფიკა, რომელიც გამომდინარეობს სარჩელიდან (განცხადებიდან) და შესაგებლიდან. სარჩელში (განცხადებაში), შესაგებელში ირკვევა ის კონკრეტული გარემოებები, რომლებიც უნდა დამტკიცდეს მოცემულ საქმეზე.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების განსაზღვრის მიზნით უნდა გამოვიყენოთ ორი წყარო: ა) მოცემული საქმის მარეგულირებელი მატერიალური სამართლის ნორმა; ბ) სარჩელისა და შესაგებლის საფუძვლები.

მტკიცების გალდებულება მდგომარეობს მტკიცებულებების წარმოდგენაში, რომლებიც ადასტურებს იმ გარემოებებს, რომლებსაც ემყარება მხარე. ხშირად იურისტები ფიქრობენ, რომ მტკიცებულებების წარმოდგენა საკმარისია მტკიცების ტვირთის შესასრულებლად. ფორმალურად ეს ასეა, მაგრამ საქმის მოსაგებად მარტო მტკიცებულებების წარმოდგენა არ არის საკმარისი. მთავარია, როგორ წარმართავ მტკიცებულებების გამოკვლევას, რათა სასამართლო დარწმუნდეს მათ უტყუარობაში. ყოველი მხარე მოწინააღმდეგ მხარის მტკიცებულებას აქარწყლებს თავისი სამართლებრივი პოზიციით.

საოჯახო საქმეთა განხილვის თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ „მოსამართლე განსაზღვრავს თუ რომელ გარემოებებს აქვთ საქმისათვის მნიშვნელობა. განუმარტავს მხარეებს (მეუღლეებს, რომ თითოეულმა მათგანმა უნდა დაამტკიცოს ის გარემოებები, რომლებზეც, როგორც საფუძველზე, ისინი ამყარებენ თავიანთ მოთხოვნებსა და შესაგებელს. ამ მიზნით, მოსამართლემ მხარეებს უნდა განუმარტოს, რა

<sup>206</sup> საქართველოს სსკის 232<sup>1</sup> მუხლით გათვალისწინებულია მოპასუხის მიერ პასუხის (შესაგებლის) წარუდგენლობის შედეგები. ნორმის დანაწესით, მოპასუხის მიერ ამ კოდექსის 201-ე მუხლის მეორე ნაწილით დადგენილ ვადაში პასუხის (შესაგებლის) წარუდგენლობისას, თუ ეს გამოწვეულია არასაპატიო მიზეზით, მოსამართლეს ზეპირი მოსმენის გარეშე გამოაქვს დაუსწრებელი გადაწყვეტილება.

<sup>207</sup> იხ., ბათუმის საქმეთა განხილვის თავისებურებანი და დაუსწრებელი გადაწყვეტილება, ქურნ. „მართლმსაჯულება და კანონი“, საქართველოს მოსამართლეთა ასოციაცია, №4 (23), 2009, 26.

მტკიცებულებებით შეუძლიათ მეუღლებს მათ მიერ მითითებული გარემოებების დადასტურება“.<sup>208</sup>

ამ ზოგადი წესიდან გამონაკლისს წარმოადგენს პრეზუმფციის მოქმედება, რომელიც ერთ-ერთ ან ორივე მხარეს ათავისუფლებს ამა თუ იმ ფაქტების დამტკიცებისაგან. მაგალითად, საოჯახო სამართალში მოქმედებს ბავშვის დაქორწინებული მშობლებისაგან წარმოშობის ფაქტი<sup>209</sup>. აღნიშნული მაგალითი მიგვანიშნებს კანონისმიერი პრეზუმფციის განსაკუთრებულ მნიშვნელობაზე. ეს უკანასკნელი მოსამართლეს მიუთითებს, თუ რით უნდა იხელმძღვანელოს მან იმ შემთხვევაში, როცა მას არ ძალუდს სიმართლის გარკვევა. ასეთ შემთხვევაში საჭიროა ორიენტირის ადება მტკიცების ტვირთზე. თითოეულმა მხარემ უნდა წარმოადგინოს და დაამტკიცოს ის ფაქტები, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნასა და შესაგებელს. აქ იგულისხმება ის ფაქტები, რომლებიც აუცილებელია და საჭირო ნორმის აღწერილობითი ნაწილის შემადგენელი ცალკეული ელემენტების შესავსებად. ზოგიერთ შემთხვევაში კანონი ცვლის ამ წესს: გარკვეული ფაქტები მიიჩნევა არსებულად და მოწინააღმდეგებ მხარემ ისინი სადაც არ უნდა გახადოს. კანონისმიერ პრეზუმფციებს ორი ფუნქცია აქვს: საპროცესო და მატერიალურ-სამართლებრივი. პირველი გამოხატება იმაში, რომ ეს პრეზუმფციები ცალკეულ შემთხვევაში ცვლის საქართველოს სსკის 102-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ მტკიცების წესს და მტკიცების ტვირთს აკისრებენ მეორე მხარეს, რაც ამ უკანასკნელისათვის დაკავშირებულია რისკთან, რომ მან შეიძლება წააგოს პროცესი, თუ მტკიცებულება არ იქნა მიღებული. მატერიალურ-სამართლებრივი ფუნქცია კი, იმაში მდგომარეობს, რომ ნორმის აღწერილობითი ნაწილის ერთ-ერთი შემადგენელი კომპონენტი კონკრეტულ პროცესთან მიმართებაში და კონკრეტულ მხარეთა შორის მაშინაც მოცემულად ჩაითვლება, როცა ობიექტურად ვერ მოხერხდა ამ გარემოების დადგენა.

განქორწინების სასამართლო წესით განხილვა რთულ პროცედურასთანაა დაკავშირებული. საზღვარგარეთის ბევრ ქვეყანაში მოქმედებს თავისუფალი განქორწინების პრინციპი, თუმცა დღემდე არსებობს ისეთი ქვეყნებიც, რომელთა კანონმდებლობა დასაშვებად არ მიიჩნევს განქორწინებას. ესენი, უმეტეს შემთხვევაში, ის ქვეყნებია, სადაც შეინიშნება კათოლიკური ეკლესიის ზეგავლენა. მაგალითად, არგენტინა, კოლუმბია და სხვ.<sup>210</sup> საჭიროა საქმის დეტალურად შესწავლა, მეუღლეთა შორის წარმოშობილ ურთიერთობათა შინაარსში გარკვევა, მოწმეთა დაკითხვა, დოკუმენტების გამოთხოვა. მოსამართლემ განქორწინების საქმეზე უნდა განსაზღვროს მტკიცების საგანი:

დაქორწინების ფაქტი;

<sup>208</sup> იხ., ქურდაძე შ. სამოქალაქო საქმეთა განხილვა პირველი ინსტანციის სასამართლოში, მე-2 გამოცემა, თბ., 2006, 828.

<sup>209</sup> შვილის წარმოშობა დაქორწინებული მშობლებისაგან დასტურდება ჩანაწერით მშობლელთა ქორწინების შესახებ. არარეგისტრირებული ქორწინების დროს გაჩენილი ბავშვის წარმოშობა დგინდება მამობის ნებაყოფლობითი აღიარების საფუძველზე გაკეთებული ჩანაწერით სამოქალაქო რეგისტრის სააგენტოს ტერიტორიულ სამსახურში, ანდა მამობის დადგენის ფაქტით, რაც განმტკიცებულია სასამართლოს გადაწყვეტილებით.

<sup>210</sup> შეად. ზენინ И. А., Гражданское и торговое право зарубежных стран, М, 2009, 197, 198.

განქორწინებაზე ერთ-ერთი მეუღლის თანხმობის არარსებობის ფაქტი; მეუღლეთა შემდგომი ერთად ცხოვრებისა და ოჯახის შენარჩუნების შეუძლებლობის ფაქტი<sup>211</sup>;

სხვა ფაქტები შედის მტკიცების საგანში საქმის კონკრეტული გარემოებებიდან გამომდინარე.

თუ არ არსებობს განქორწინებაზე ერთ-ერთი მეუღლის თანხმობა, მაშინ სასამართლოს სხვა როლი ეკისრება, რადგან კანონმდებელი ადგენს მხოლოდ განქორწინების ზოგად საფუძვლებს, კერძოდ, სასამართლომ უნდა დაასკვნას, რომ შემდგომში მეუღლეთა ერთად ცხოვრება და ოჯახის შენარჩუნება შეუძლებელია. საქმის ფაქტობრივი გარემოებების გამორკვევის დროს სასამართლო არ უნდა დასჯერდეს ერთ რომელიმე მტკიცების საშუალებას, რამეთუ განსახილველი კატეგორიის საქმეებზე კანონმდებელი არ ადგენს შეზღუდვებს ამ სფეროში.

გარდა ამისა, მტკიცების საგანი ფართოვდება თუ მეუღლის ან ერთ-ერთი მათგანის თხოვნით სასამართლო იხილავს იმ ქონების გაყოფის საკითხს, რომელიც წარმოადგენს მეუღლეთა თანასაკუთრებას<sup>212</sup>.

მტკიცების საგანს გარკვეული თავისებურება ახასიათებს მაშინ, როდესაც სასამართლოში აღმრულია საქმე განქორწინების მოთხოვნით ცოლის ორსულობის დროს და ბავშვის დაბადებიდან ერთი წლის განმავლობაში. აღნიშნულის მიზეზს წარმოადგენს საქართველოს სკის 1123-ე მუხლის დანაწესი, რომლის თანახმად ქმარს ცოლის თანხმობის გარეშე არა აქვს განქორწინების საქმის აღძვრის უფლება ცოლის ორსულობის და ბავშვის დაბადებიდან ერთი წლის განმავლობაში. სამოქალაქო კოდექსის მოცემული ნორმა ზღუდავს მხოლოდ ქმრის უფლებას აღნიშნული გარემოებების არსებობისას. ცოლს ასეთ შემთხვევებში სრული მოცულობით უნარჩუნდება განქორწინების საქმის ნებისმიერ დროს აღძვრის უფლება.

მოსამართლემ მსგავსი საქმის განხილვისას მტკიცების საგანში უნდა შეიტანოს:

დაქორწინების ფაქტი;

განქორწინებაზე მეუღლის თანხმობის არსებობის ფაქტი.

მეუღლის ორსულობის ანდა ბავშვის დაბადების ფაქტი არა უგვიანეს ერთი წლისა (მიუხედავად მკვდარი ბავშვის დაბადებისა ან ბავშვის ერთ წლამდე ასაკის მიუღწევლად გარდაცვალებისა).

სასამართლო პრაქტიკაში პრობლემურია საკითხი იმის შესახებ, გავრცელდება თუ არა ეს წესი იმ შემთხვევაზე, როდესაც ცოლი ორსულადაა ან მას ჰყავს ერთ წლამდე ასაკის ბავშვი სხვა პირისაგან. კანონი არ შეიცავს პირდაპირ მითითებას ამაზე. კანონის მიზანია არა მამაკაცის უფლების შეზღუდვა, არამედ ქალისა და ბავშვის

<sup>211</sup> შესაბამისად, მტკიცების საგანში შევა ის კონკრეტული ფაქტები, რომელსაც მოსარჩელე ემყარება თავის სასარჩელო განცხადებაში განქორწინების შესახებ თავისი მოთხოვნის დასასაბუთებლად.

<sup>212</sup> საქართველოს სკის 1130-ე მუხლის შესაბამისად, მეუღლის ან ერთ-ერთი მათგანის თხოვნით, სასამართლო ვალდებულია განქორწინების საქმის გადაწყვეტასთან ერთად განიხილოს იმ ქონების გაყოფის საკითხი, რომელიც წარმოადგენს მეუღლეთა თანასაკუთრებას.

ჯანმრთელობა<sup>213</sup>. შესაბამისად, ამ კატეგორიის საქმეზე იურიდიული მნიშვნელობა არა აქვს იმ ფაქტს, ბავში წარმოშობილია თუ არა დაქორწინებული მშობლებისაგან<sup>214</sup>.

საქართველოს სსკის 354-ე მუხლის მიზნიდან გამომდინარე, მოსამართლემ თავისი ინიციატივით, დასადეგენ გარემოებათა წრის განსაზღვრისა და მტკიცებულებათა გამოთხოვისას, ცოლ-ქმარს უნდა განუმარტოს, რომ თითოეული მათგანი ვალდებულია დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც ისინი ამყარებენ თავიანთ მოთხოვნებსა და შესაგებელს. ამ მიზნისათვის მხარეებს უნდა განემარტოთ, როგორი მტკიცებულებებით შესძლებენ ისინი მათ მიერ მითითებული გარემოებების დამტკიცებას. ასევე, აუცილებელია მხარეებს განემარტოთ, რომ საპატიო მიზეზით სასამართლოში მტკიცებულებათა წარმოდგენის შეუძლებლობის შემთხვევაში, ისინი უფლებამოსილი არიან შეუძლებლობით მიმართონ სასამართლოს მათვის შესაბამისი დახმარების გაწევის თხოვნით.

ამდენად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ განქორწინების საქმეთა განხილვისას მოქმედებს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლით დადგენილი მტკიცების ტვირთის განაწილების საერთო წესი.

საინტერესოა ქორწინების ბათილად ცნობის საქმეების განხილვისათვის დამახასიათებელი თავისებურებები.

საპროცესო კანონმდებლობა ქორწინების ბათილად ცნობას ითვალისწინებს მხოლოდ სასამართლოს მიერ.

ამ კატეგორიის საქმეებზე მტკიცების საგანში შედის შედეგი ფაქტები:

დაქორწინების ფაქტი;

ფაქტები, რომლებიც ადასტურებს პირის უფლებამოსილებას აღმრას საქმე ქორწინების ბათილად ცნობის მოთხოვნით:

აღნიშნული შეიძლება გამომდინარეობდეს მშობლის უფლებამოსილებიდან - ეს ის შემთხვევაა, როდესაც სარჩელი წარდგენილია ერთ-ერთი არასრულწლოვანი მეუღლის მშობლის მიერ;

აღნიშნული შეიძლება გამომდინარეობდეს სხვა საქორწინო ურთიერთობიდან იმ შეთხვევაში, თუ სარჩელი წარდგენილია კანონით დადგენილი წესით ქორწინებაში მყოფი სხვა მეუღლის მიერ;

აღნიშნული შეიძლება გამომდინარეობდეს კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გადაწყვეტილებიდან, რომლითაც დადგენილია ერთ-ერთი ან ორივე მეუღლის ქმედუუნარობა, დანიშნულია მეურვე და სარჩელი წარდგენილია ქმედუუნარო მეუღლის მეურვის მიერ;

აღნიშნული შეიძლება გამომდინარეობდეს სხვა პირთა და დაინტერესებული პირების უფლებების და ინტერესების დარღვევიდან, თუ სარჩელი წარდგენილია იმ პირთა მიერ.

ქორწინების ბათილად ცნობის შესახებ წარმოებულ ყოველ კონკრეტულ საქმეზე მტკიცების საგანი განისაზღვრება იმის მიხედვით, თუ

<sup>213</sup> ი. ჩიკვაშვილი შ. საოჯახო და მემკვიდრეობის სამართლი, თბ., 1999, 143.

<sup>214</sup> ი. სправочник по доказыванию в гражданском судопроизводстве, под. редакцией Решетниковой И. В., 4-е издание, переработанное, М, 2008, 207.

რის საფუძველზეა დაყენებული მოთხოვნა ქორწინების ბათილად ცნობის შესახებ.

ქორწინების ბათილად ცნობის საქმეთა განხილვისას მოქმედებს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლით დადგენილი მტკიცების ტვირთის განაწილების საერთო წესი. კერძოდ, განმცხადებელი ვალდებულია დაამტკიცოს ქორწინების ბათილად ცნობის მოთხოვნით სარჩელის აღმდეგის უფლებამოსილების არსებობა, დაქორწინების ფაქტი და ქორწინების ბათილად ცნობის საფუძველი (სარჩელის საფუძვლად მითითებული ფაქტები). მოპასუხე ამტკიცებს იმ გარემოებას, რომ ქორწინების რეგისტრაციის მომენტში არ არსებობდა ქორწინების დამაბრკოლებელი გარემოებები ან ისინი აღარ არსებობს საქმის განხილვის მომენტში.

თუ მეუღლე, რომლის უფლებებიც დაირდვა დაქორწინებით მოითხოვს სარჩოს დანიშნვნას, მატერიალური ან მორალური ზიანის ანაზღაურებას, მაშინ მან, პირველ რიგში, უნდა დამტკიცოს, რომ იგი არის კეთილსინდისიერი მეუღლე, ხოლო შემდეგ, უნდა ამტკიცოს მოთხოვნის საფუძვლად მითითებული გარემოებები.

ქორწინების ბათილად ცნობის საქმეში მნიშვნელოვან როლს ასრულებს პრეზუმაცია. პრაქტიკაში გვხვდება ისეთი შემთხვევებიც, როცა მეუღლეებმა არაფერი იცოდნენ იმ გარემოებათა შესახებ, რომლებიც კრძალავს ქორწინების შესაძლებლობას. მაგალითად, შესაძლებელია ქორწინების რეგისტრაციის დროს მათ არ იცოდნენ ის, რომ არაღვიძლი და-ძმა ყოფილან, რაც ქორწინებიდან განსაზღვრული დროის გასვლის შემდეგ გახდა ცნობილი. ასეთ შემთხვევაში, მოქმედებს ქორწინების ნამდვილობის პრეზუმაცია და ქორწინება წყდება სასამართლოში ამ გარემოების დადგენის მომენტიდან. ამ დრომდე გასული პერიოდისათვის ქორწინება წარმოშობს ყველა იმ სამართლებრივ შედეგს, რაც ნამდვილი ქორწინებისთვისაა დამახასიათებელი. ამგვარად, ქორწინების ნამდვილობის პრეზუმაციის შინაარსი იმაში მდგომარეობს, რომ განსაკუთრებულ შემთხვევებში, მეუღლეთა ერთად ცხოვრების პერიოდში, მათვის მოუღლოდნელად, მართალია, აღმოჩნდება მათი ქორწინების დამაბრკოლებელი გარემოების არსებობა, რაც კანონის მიხედვით ქორწინების გაბათილების საფუძველია, მაგრამ მას, საოჯახო სამართლებრივ ურთიერთობათა სუბიექტების ინტერესებიდან გამომდინარე, ფაქტობრივად ქორწინების გაბათილება კი არ მოჰყვება, არამედ – მისი შეწყვეტა<sup>215</sup>.

საალიმენტო მოვალეობებს ეთმობა საქართველოს სკის 1212–1231-ე მუხლები, რომლებიც შეეხება მშობლებისა და შვილების საალიმენტო მოვალეობებს, ოჯახის სხვა წევრების საალიმენტო მოვალეობებს.

ამ კატეგორიის საქმეებზე სასარჩელო მოთხოვნის და შესაგებელში მითითებული გარემოებების დასამტკიცებლად მხარეებს შეუძლიათ გამოიყენონ მტკიცების სხვადასხვა საშუალება ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე. თუმცა, გათვალისწინებულ უნდა იქნეს ის გარემოება, რომ ალიმენტის მოთხოვნის თაობაზე აღძრულ საქმეებზე მტკიცების საგანში

<sup>215</sup> იხ., შენგალია რ, შენგალია კ, საოჯახო სამართალი, თბ, 2009, 130-132.

შემავალი ფაქტების უმეტესობა, შეიძლება დადგინდეს მხოლოდ წერილობითი მტკიცებულებებით, კერძოდ, სხვადასხვა დოკუმენტებით, ცნობით, მოწმობით, გადაწყვეტილებთ და სხვა.

შვილის აღზრდისა და რჩენის მოთხოვნილებების დაკმაყოფილების ვალდებულება მშობლების მხრიდან წარმოიშობა ბავშვის დაბადებისთანავე, მაგრამ საალიმენტო სამართალურთიერთობები ჩნდება იმ მომენტიდან, როდესაც მშობლები აღარ ასრულებენ თავიანთ მოვალეობებს ბავშვის მატერიალურ უზრუნველყოფასთან დაკავშირებით, აღარ ზრუნველ მასზე. ამ მომენტიდან ბავშვს უჩნდება უფლება, მოითხოვოს უზრუნველყოფა საარსებო სახსრებით. ამ დროს მშობლების ვალდებულება ბავშვის რჩენასთან დაკავშირებით, გარდაიქმნება საალიმენტო სამართალურთიერთობებში და ამ მომენტიდან ბავშვს უჩნდება უფლება, მიიღოს ალიმენტი იმ სახით, როგორც ეს იქნება გათვალისწინებული სასამართლოს გადაწყვეტილებით ალიმენტის გადახდევინების შესახებ.

კანონი ამჟამად ალიმენტის ოდენობის განსაზღვრას მიაკუთვნებს სასამართლოს კომპეტენციას. სასამართლო კი, ამას განსაზღვრავს გონივრული და სამართლიანი შეფასების საფუძველზე შვილის ნორმალური რჩენა-აღზრდისათვის აუცილებელ მოთხოვნათა ფარგლებში. ამ დროს გადამწყვეტი მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს, აგრეთვე ალიმენტის გადამხდელის ხელფასის ან სხვა შემოსავლის ოდენობას.

მშობელს, რომელიც ითხოვს ალიმენტის დანიშვნას, აწვეს მტკიცების ტვირთი იმ გარემოების დადასტურებისა, რომ არასრულწლოვანი ბავშვი იმყოფება მის კმაყოფაზე და მეორე მშობელი მონაწილეობას არ დებულობს ბავშვის რჩენაში ან ამ უკანასკნელის მიერ გაწეული მატერიალური დახმარების ოდენობა არასაკმარისია.

სასამართლოს მიერ არასრულწლოვანი შვილისათვის განსაზღვრული ალიმენტის ოდენობა არ არის მუდმივი ხასიათის. იგი შესაძლებელია შეიცვალოს მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილებით. ამისათვის უნდა არსებობდეს სერიოზული საფუძველი. ალიმენტის ოდენობის შეცვლა განპირობებული უნდა იყოს იმ გარემოებათა სტაბილურობით, რომელიც საფუძვლად დაედო ალიმენტის თავდაპირველი ოდენობის განსაზღვრას. ეს, უპირველესად, გულისხმობს ახალ გარემოებათა წარმოშობას, რამაც ცვლილება უნდა შეიტანოს ადრე განსაზღვრული ალიმენტის ოდენობაში. ასეთ შემთხვევაში, მოსარჩევე ამტკიცებს სასამართლოს მიერ დადგენილი ალიმენტის ოდენობის გაზრდის საფუძვლად მითითებულ გარემოებებს. ხოლო მოპასუხემ, თავის მხრივ, უნდა დაამტკიცოს მისი შემოსავლის ოდენობა.

მშობელს, რომელიც ალიმენტს უხდის არასრულწლოვან შვილებს, შეიძლება დაეკისროს მონაწილეობა დამატებით ხარჯებში, რომლებიც გამოწვეულია განსაკუთრებული გარემოებებით (ბავშვის მძიმე ავადმყოფობით, დასახიჩრებით და სხვ), თანახმად საქართველოს სკის 1215-ე მუხლისა. დამატებითი ხარჯების დაკისრების მოთხოვნისას მტკიცების ტვირთი ეკისრება მოსარჩევებს.

ქმედუუნარო სრულწლოვანი შვილების სასარგებლოდ გადასახდელი ალიმენტის ოდენობას განსაზღვრავენ მშობლები ურთიერთშეთანხმებით. პრაქტიკულად, ხშირ შემთხვევაში, ამ საკითხზე მშობლები ვერ

თანხმდებიან. ამიტომ, საჭირო ხდება საალიმენტო დავის გადაწყვეტა სასამართლოში. ქმედუუნარო სრულწლოვანი შვილების უფლება მშობლებისაგან მიიღონ ალიმენტი წარმოიშობა შემდეგი გარემოებების არსებობისას, რომლებიც შედის მტკიცების საგანში:

შვილების მშობლებისაგან შთამომავლობითი წარმომავლობა;

სრულწლოვანი შვილის ქმედუუნარობა დადგენილი სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით;

მატერიალური დახმარების გაწევის საჭიროება (არასაკმარისი შემოსავალი, პენსია);

მშობლებსა და შვილებს შორის ალიმენტის ოდენობაზე შეთანხმების არარსებობა.

სრულწლოვანმა შვილმა, რომელიც სარჩოს მოითხოვოს მშობლებისაგან, უნდა დაამტკიცოს ფაქტი თავისი ქმედუუნარობისა და მატერიალური დახმარების საჭიროების შესახებ.

თუ სარჩელი ადმრულია დამატებით ხარჯებში მონაწილეობის მისაღებად, მაშინ მოსარჩელემ უნდა დაამტკიცოს დამატებითი ხარჯების არსებობის ფაქტი. ასეთ შემთვევაში, მატერიალური და ოჯახური მდგომარეობისა და სხვა მიზეზების არსებობის დამადასტურებელი მტკიცებულებები უნდა წარმოადგინოს ორივე მხარემ, მიუხედავად იმისა, რომელი მხარე ემყარება მას.

უმრავლეს შემთხვევაში, შვილები მშობლებისადმი მატერიალურ მხარდაჭერას ნებაყოფლობით და შეგნებულად გამოხატავენ და ეს ჩვეულებრივ, საოჯახო სამართლებრივ მოვალეობად მიაჩნიათ. ამიტომ, იგი არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს საალიმენტო ვალდებულებად, რადგან მოკლებულია იძულების ელემენტებს. არიან ისეთი შვილები, რომლებსაც შეგნებული არა აქვთ მშობლებისათვის ზრუნვისა და მატერიალური მხარდაჭერის მოვალეობა. ასეთი შვილების მიმართ კანონი ადგენს ვალდებულებას, იზრუნონ მშობლებისათვის და დაეხმარონ მათ. ასეთი ვალდებულების იძულებითი შესრულება უზრუნველყოფილია სასამართლოს მეშვეობით. სრულწლოვან ქმედუნარიან შვილებს ევალებათ არჩინონ თავიანთი არაშრომისუნარიანი მშობლები, რომლებსაც მატერიალური დახმარება სჭირდებათ. შვილების საალიმენტო ვალდებულების განსაზღვრისას სასამართლო ეფუძნება ორ გარემოებას: მშობლების შრომისუუნარობასა და მატერიალური გაჭირვებას.

შრომისუუნარო მშობლები, რომლებიც მატერიალურ დახმარებას საჭიროებენ თავიანთი შვილებისაგან უფლებამოსილი არიან მოითხოვონ დახმარება შემდეგი გარემოებების არსებობისას, რომლებიც შედის მტკიცების საგანში:

მშობლება და შვილებს შორის შთამომავლობითი წარმომავლობა;

მშობლის შრომისუუნარობა (საპენსიო ასაკს მიღწევა, ინვალიდობა);

მატერიალური დახმარების საჭიროების არსებობა;

მშობლება და შვილებს შორის ალიმენტის ოდენობაზე შეუთანხმებლობა;

შვილების ქმედუნარიანობა.

იმის გათვალისწინებით, რომ ალიმენტის ოდენობა განისაზღვრება მყარი ფულადი თანხით როგორც მშობლების, ისე შვილის რეალური

მატერიალური მდგომარეობიდან გამომდინარე, მტკიცების საგანში შესაძლოა შევიდეს შემდეგი გარემოებები:

მშობლის მატერიალური უზრუნველყოფის დონე;

მშობლებისა და შვილების სახელზე რიცხული მუდმივი შემოსავლის მომტანი ქონების არსებობა;

მუდმივ სარჩენად მყოფი სხვა პირების არსებობა;

სხვა სრულწლოვანი ქმედუნარიანი შვილების ყოლა;

სხვა ქმედუუნარო შვილის ყოლა, რომელსაც უხდის ალიმენტს;

დამატებითი ხარჯების არსებობა.

შვილებისაგან ალიმენტის მოთხოვნის უფლება არა აქვთ მშობლებს იმ შემთხვევაში, თუ ჩამორთმეული აქვთ მშობლის უფლება, ანდა თუ სასამართლო დაადგენს, რომ მშობლები თავს არიდებდნენ მშობლის მოვალეობის შესრულებას. აღნიშნული განპირობებულია იმ გარემოებით, რომ უფლებაჩამორთმეული მშობელი კარგავს შვილთან ნათესაობაზე დამყარებულ ყველა უფლებას. მშობლებისათვის ალიმენტის გადახდის ვალდებულებისაგან განთავისუფლების მიზნით შვილები შეიძლება დაეყრდნონ შემდეგ ფაქტებს:

მშობლის უფლების ჩამორთმევა;

მშობლის მოვალეობისათვის თავის არიდება;

მოსარჩელის მიერ წინასწარგანზრახული დანაშაულის ჩადენა მოპასუხის მიმართ;

მოსარჩელის უდირსი საქციელის ჩადენა ოჯახის მიმართ.

სასარჩელო მოთხოვნის საფუძვლები დამტკიცებულ უნდა იქნეს მოსარჩელის მიერ. თუმცა, მოსარჩელე არ არის ვალდებული დაამტკიცოს ფაქტი იმის შესახებ, რომ მისი სრულწლოვანი შვილი ქმედუნარიანია. იმ შემთხვევაში, თუ შეიღს აქეს სურვილი მიაღწიოს სარჩელზე უარის თქმის სამართლებრივ შედეგს, მაშინ, იგია ვალდებული ამტკიცოს მისი ქმედუუნარობა. მოპასუხეს კისრება ვალდებულება ამტკიცოს გარემოებები, რომლის საფუძველზეც ქმედუნარიანი სრულწლოვანი შვილები შეიძლება განთავისუფლდნენ მშობლების რჩენის მოვალეობისაგან. ამიტომ სასამართლოს ენიჭება უფლებამოსილება განსაზღვროს საქმეზე დასადგენი მტკიცებულებები თავისი შეხედულებისამებრ (შეგროვების თვალსაზრისითაც) და შემდგომ შეაფასოს ისინი.

აუცილებელი მტკიცებულებებია:

ბავშვის დაბადების მოწმობა;

მშობლის საპენსიო მოწმობა ან მისი პირადობის დამადასტურებელი მოწმობა;

ცნობა გამომუშავებული თანხის, შემოსავლის ან პენსიის ოდენობის შესახებ;

ცნობა ოჯახის წევრთა რაოდენობის შესახებ;

მშობლების ქორწინების მოწმობა;

შვილის შემოსავლის ოდენობის დამადასტურებელი ცნობა;

მშობლის უფლების ჩამორთმევის შესახებ კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილების ასლი;

სხვა წერილობითი მტკიცებულებები.

როგორც ვნახეთ, სასამართლო მტკიცების პროცესში მონაწილეობს სხვადასხვა სუბექტები და ასრულებს შესაბამის ფუნქციებს. ერთი მხრივ, სასამართლო იკვლევს მხარეთა მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებებს, სთავაზობს მხარეებს წარმოადგინონ დამატებითი მტკიცებულებები, მხარეებს დახმარებას უწევს მტკიცებულებათა მოპოვებაში, აფასებს წარმოდგენილ მტკიცებულებებს და ამ შეფასებას ასახავს სასამართლოს გადაწყვეტილებაში. მეორე მხრივ, საქმეში მონაწილე მხარეები წარმოადგენენ გარემოებების დამადასტურებელ მტკიცებულებებს, ადასტურებენ თავიანთ სამართლებრივ მოსაზრებებს.

დაბოლოს, სასამართლო მტკიცების პროცესი შედგება სამოქალაქო სამართლუროიერობის სხვადასხვა სუბიექტის თანამშრომლობით<sup>216</sup>.

ზოგადად, მტკიცების პროცესის მომწესრიგებელი სამართლის ნორმები იყოფა საერთო ნორმებად, რომლებიც თანაბრად გამოიყენება ყველა კატეგორიის საქმეზე და სპეციალურ ნორმებად, რომლებიც რეგლამენტირებას უკეთებს მტკიცების პროცესს მხოლოდ ცალკეული კატეგორიის საქმეზე.

**§2. მტკიცების ტვირთის ინვაციური განაწილების თავისებურება რეპუტული ქონების, თანამდებობის პირის, ქურდული სამყაროს წევრის, ადამიანით მოვაჭრის, ნარკოტიკული საშუალების გავრცელების ხელშემწყობის ან საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 194-ე მუხლის მესამე ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით მსჯავრდებული პირის ქონების ჩამორთმევისა და სახლმწიფოსათვის გადაცემასთან დაკავშირებული საქმეების განხილვის დროს**

XXI საუკუნის დასაწყისშიც კი, კორუფციამ საქართველოში მოიცვა ისეთი სფეროები, როგორებიცაა: განათლება, პოლიტიკა, ეკონომიკა, ხელოვნება და სხვა, რამაც მოახდინა საზოგადოებრივი ცხოვრების ამა თუ იმ წამყვანი სფეროების არათუ განვითარება, არამედ უკან სვლა – რეგრესი.

ზემოთ აღნიშნული საქმიანობისათვის პასუხს არავინ აგებდა, რაც გამოწვეული იყო სათანადო ნორმატიული აქტების არარსებობით. სახელმწიფო უკანონო შემოსავლების ზრდამ განაპირობა მის წინააღმდეგ ბრძოლის ნორმატიული აქტის მიღება.

საქართველოს კანონმდებლობის პარმონიზაციის შეუქცევადმა პროცესმა განვითარებული ქვეყნების კანონმდებლობასთან, დღის წესრიგში დააყენა დემოკრატიული ხელისუფლების მიერ ანტიკორუფციული და ანტიკაპიტული საკანონმდებლო ბაზის შექმნა. 2004 წლის 24 ივნისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი „ორგანიზებული დანაშაულისა

<sup>216</sup> ი. სправочник по доказыванию в гражданском судопроизводстве, под. редакцией Решетниковой И. В., 4-е издание, переработанное, М, 2008, 9.

და რეკეტის „შესახებ“<sup>217</sup>. საქართველოს პარლამენტის მიერ ზემოთაღნიშნული კანონის მიღებით ცვლილებები და დამატებები იქნა შეტანილი საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში 2005 წლის 20 დეკემბერს ძალაში შევიდა XLIV<sup>1</sup> თავი, რომელიც შეეხება რეკეტული ქონების, თანამდებობის პირის, ქურდული სამყაროს წევრის, ადამიანით მოვაჭრის, ნარკოტიკული საშუალების გავრცელების ხელშემწყობის ან საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 194-ე მუხლის მესამე ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით მსჯავრდებული პირის ქონების ჩამორთმევისა და სახელმწიფოსათვის გადაცემასთან დაკავშირებულ წარმოებას. ამ თავში განსაზღვრულია უკანონო და დაუსაბუთებელი ქონების მოპოვების არასამართლებრივი და არასახლმწიფოებრივი გზების აღკვეთის ღონისძიებები სასამართლოს მეშვეობით.

აღნიშნული საკანონმდებლო ცვლილებები გახდა წინა პირობა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის პარმონიზებისა და უნიფიცირებისა მსოფლიოში მიმდინარე გლობალიზაციასთან.

უპირველესად, გვინდა ერთმანეთისაგან გამოიჯოთ რეკეტული ქონების, თანამდებობის პირის, ქურდული სამყაროს წევრის, ადამიანით მოვაჭრის, ნარკოტიკული საშუალების გავრცელების ხელშემწყობის ან საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 194-ე მუხლის მესამე ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით მსჯავრდებული პირის ქონების ჩამორთმევა ქონების კონფისკაციისაგან.

საკონსტიტუციო დაცვის სფეროში მიღებული გადაწყვეტილებებიდან კონსტიტუციონალისტები საგანგებოდ გამოყოფენ საკონსტიტუციო სასამართლოს პლენურის 1997 წლის 21 ივლისს მიღებულ გადაწყვეტილებას თბილისის დიდუბე ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს კონსტიტუციურ წარდგინებაზე. რაიონული სასამართლო ითხოვდა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 23-ე და 96-ე მუხლებში დამატებით სასჯელად შემოღებული „ქონების კონფისკაციის“ გაუქმებას საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლთან მიმართებით. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 1997 წლის 21 ივლისის გადაწყვეტილებით, არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი სისხლის სამართლის კოდექსის 23-ე მუხლის მეხუთე ნაწილის პირველი ქვეპუნქტი და ამავე კოდექსის 96-ე მუხლის მეორე ნაწილის სანქციის ის მონაკვეთი, რომელშიც დამატებითი სასჯელის სახით გათვალისწინებული იყო ქონების კონფისკაცია.

„კონფისკაციას, როგორც დამატებით სასჯელს, როდი უარყოფს ყველა ქვეყანა. კრიმინალისტების ნაწილი მას სრულიად მისაღებ მოვლენად მიიჩნევს. მათი აზრით, ეს სასჯელის სახეა და, მაშასადამე, იგი ყოველთვის დაკავშირებული დანაშაულის ჩამდენ პირთან“.<sup>218</sup>

კონფისკაცია საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ განმარტა, როგორც მსჯავრდებულის პირადი საკუთრების – მთელი

<sup>217</sup> ორგანიზებული დანაშაულისა და რეკეტის „შესახებ“ საქართველოს კანონი (პარლამენტის უწევბანი, №2354-რს, 2004).

<sup>218</sup> იხ., ზოდე ბ, საკონსტიტუციო კონტროლი და ღირებულებათა წესრიგი საქართველოში, ობ, 2007, 120.

ქონების ან მისი ნაწილის იძულებითი უსასყიდლო ჩამორთმევა. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მსჯელობის საგანი იყო კონფისკაცია იმგვარი შინაარსით, როდესაც დასაშვები იყო დამნაშავისათვის მთელი ქონების ჩამორთმევა, თუნდაც, იგი კანონიერი გზით ყოფილიყო შეძენილი და არა კორუფციული ან სხვაგვარი დანაშაულის შედეგად. ჩადენილ დანაშაულსა და სასჯელის ამ სახეს შორის დარღვეული იყო კაგშირი.

სახელმწიფოს უფლება აქვს გაუწიოს კონტროლი, ანუ ზედამხედველობა საკუთრების გამოყენებას, რათა განახორციელოს დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა. უკანონო და დაუსაბუთებელი ქონების ჩამორთმევა მიზნად ისახავს საერთო-სახელმწიფოებრივ ინტერესს - შეიზღუდოს საეჭვო წარმოშობის ქონებისა და ფინანსური საშუალებების სამოქალაქო ბრუნვა. საქართველო დღეს, ევროპულ ინსტიტუტებში ინტეგრაციისაკენ მიისწრაფვის, რომლის წინაპირობასაც წარმოადგენს საქართველოს სამართლებრივი სივრცის ევროპულ სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანა<sup>219</sup>.

საკუთრების უფლება ერთ-ერთი ამოსავალი წერტილია ევროპულ სამართლებრივ სივრცეში და განმტკიცებულია ევროსაბჭოს მიერ აღიარებული სამართლით. საკუთრების უფლება ადამიანის ფუნდამენტურ უფლებათა რიცხვს მიეკუთვნება, რომლის გარეშეც შეუძლებელია დემოკრატიული სახელმწიფოს არსებობა<sup>220</sup>. „სუბიექტის უფლება შეიძლება არსებოდეს, როგორც წესი, „ადამიანის მიღმა არსებულ“<sup>221</sup> ნებისმიერ „ქონებაზე“. „ქონება“ უპირველეს ყოვლისა, ადამიანის პიროვნულობისაგან იმიჯნება და მასში მოიაზრება ყველაფერი, ის რაზეც შესაძლებელია ადამიანის ნების ზემოქმედება. „ქონება“ არის ნივთი, ანუ „არათავისუფალ“ თუ „არაგონიერ“ ბუნებას მიკუთვნებული, მატერიალური (სხეულებრივი) და, ამავე დროს, ადამიანის ნებას დამორჩილებული საგანი. ქონებად განიხილება, ასევე ქონებრივი უფლება, რომელიც, თავის მხრივ, შეიძლება არსებოდეს ნივთზე ან არამატერიალურ სიკეთეზე<sup>222</sup>. მნიშვნელოვანია საკუთრების რეგლამენტაცია - უფლების შინაარსი, კომპონენტი და შეზღუდვის საფუძვლები. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საქართველოს კანონმდებლობის განმარტება ადამიანის უფლებათა ევროპული სტანდარტებით, რაც ხელს შეუწყობს ევროპული კონვენციით, ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლითა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ადამიანის უფლებათა დაცვის სტანდარტების პარმონიზებას.

<sup>219</sup> შეად. კახნიაშვილი ა, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისობა ევროკონფიდენციასთან. თბ, 2002, 120.

<sup>220</sup> იხ., ცნობილი ი, და ხევები, საკუთრების უფლება საქართველოში, რედაქტორი ხიდებელი თ, ჩევიძე გ, თბ, 2007, 4.

<sup>221</sup> „...außerhalb des Menschen stehenden...“ იხ., Kohler, Urheberrecht an Schriftwerken und Verlagsrecht, Stuttgart, 1907 (Neudruck: Aalen, 1980). Coing, Europäisches, Privatrecht II, 19. Jahrhundert 1985, §43 III, 274. ვუთითქმ: კერძებული დ, კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, თბ, 2009, 70. მიხედვით.

<sup>222</sup> იხ., კერძებული დ, კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, თბ, 2009, 183-184.

ადამიანის უფლებათა ევროპული სტანდარტებით საქართველოს კანონმდებლობის განმარტება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საქართველოს კონსტიტუციასთან მიმართებით. კონსტიტუციურ დებულებათა განმარტებას ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მიხედვით, ხელს უწყობს საქართველოს კონსტიტუციისა და ევროპული კონვენციის დებულებათა მსგავსება. ამის საილუსტრაციოდ შეიძლება ისეთი უფლების რეგულირების საკითხის მოშევლიება, როგორიცაა საკუთრების უფლება. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის პირველი დამატებითი ოქმი არ ზღუდავს მაღალხელშემკვრელ სახელწიფოებს უზრუნველყონ ისეთი კანონების შემოღება, რომლებიც მათ აუცილებლად მიაჩნიათ საკუთრების გამოყენებაზე კონტროლის განსახორციელებლად, საერთო ინტერესებიდან გამომდინარე. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის პირველი დამატებითი ოქმის პირველი მუხლი შედგება სამი ნაწილისაგან. პირველი ნაწილი ზოგადი ხასიათისაა და ადგენს, რომ საკუთრების უფლება დაცული უნდა იყოს ყველასათვის; მეორე ნაწილით განსაზღვრულია ის შემთხვევები და პირობები, როდესაც საკუთრების უფლების შეზღუდვა დასაშვებია, რაც ნაკარნახევი უნდა იყოს საზოგადოების ინტერესებითა და იმ პირობებით, რომლებიც გათვალისწინებულია კანონითა და საერთაშორისო სამართლის ზოგადი პრინციპებით; მესამე ნაწილი დეკლარაციულად ადგენს, რომ სახელმწიფოები სარგებლობენ უფლებით, გამოიყენონ მათთვის სასურველი კანონები გადასახადების გადახდის უზრუნველსაყოფად<sup>223</sup>. მუხლის დისპოზიცია ადგენს, რომ მხოლოდ საზოგადოებრივი საჭიროებისათვის შეიძლება ჩამორთმეულ იქნეს საკუთრება კანონითა და საერთაშორისო სამართლის ზოგადი პრინციპებით გათვალისწინებული პირობების დაცვით<sup>224</sup>. ამდენად, იმისათვის რომ, მართლზომიერად ჩაითვალოს საკუთრების შეზღუდვა, მან უნდა დააკმაყოფილოს სამი პირობა, კერძოდ: ა) ადამიანის უფლებათა შეზღუდვა უნდა იყოს კანონით განსაზღვრული; ბ) ემსახურებოდეს კანონიერ მიზანს; და გ) იყოს აუცილებელი საზოგადოებისათვის. როგორც ვხედავთ, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენციის პირველი დამატებითი ოქმის პირველი მუხლი ადგენს საკუთრების უფლების შეზღუდვის დასაშვებ ფარგლებს და ითვალისწინებს მასში ჩამოყალიბებულ უფლებათა და თავისუფლებათა მართლზომიერი შეზღუდვის შესაძლებლობას სახელმწიფოს მიერ.

მსგავსად ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციისა, საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლის მეორე პუნქტი იძლევა საკუთრების უფლების შინაარსში შექრის უფლებამოსილებას<sup>225</sup>. აღნიშვნული მუხლი რელატიური ხასიათისაა და შესაბამისად, არ წარმოადგენს შემაკვებელ ნორმას რეპეტული ქონების, თანამდებობის

<sup>223</sup> იხ., თომაძე დ, საგადასახადო ვალდებულებები და საკუთრების უფლება – ევროპული სასამართლოს ხედვა, ადამიანის უფლებათა დაცვის კონსტიტუციური და საერთაშორისო მექანიზმები სტატიათა კრებული, რედაქტორი კორპულია ქ, თბ, 2010, 39.

<sup>224</sup> European Convention of Human Rights and fundamental Freedoms (1950, 1952) <<http://www.conventions.coe.int/Treaty/en/Treaties/Html/005.htm>> (28.03.2012).

<sup>225</sup> იხ., თანამდებოვე საკორპორაციო სამართლის თეორიული და პრაქტიკული საკითხები, თხარისის წერტილის სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიული, თბ, 2009, 99.

პირის, ქურდული სამყაროს წევრის, ადამიანით მოვაჭრის, ნარკოტიკული საშუალების გავრცელების ხელშემწყობის ან საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 194-ე მუხლის მესამე ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით მსჯავრდებული პირის ქონების ჩამორთმევის შემთხვევისათვის. კონსტიტუციის 21-ე მუხლით დაცული უფლება თავისთავში აერთიანებს საკუთრებას, როგორც ინსტიტუტის გარანტიას და საკუთრებას, როგორც სუბიექტის უფლების გარანტიას.

საქართველოს კონსტიტუციის აღნიშნული დებულებით გათვალისწინებული საკუთრების უფლების ხელშეუხებლობა დამოკიდებულია თავად საკუთრების წარმოშობის კანონიერებაზე, სხვა სიტყვებით, რომ ვთქვათ, აღნიშნული დებულებებით დაცულია მხოლოდ კანონიერად მოპოვებული საკუთრება. თუ საკუთრება მოპოვებულია არამართლზომიერად, დაუსაბუთებდლად და მოპასუხე მხარე ვერ შესძლებს შესაბამისი მტკიცებულებებით დაადასტუროს სადავო ქონების შეძენის მართლზომიერება, მიიჩნევა, რომ ასეთი საკუთრება ვერ იქნება დაცული საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლის დებულებით.

რეპეტული ქონების, თანამდებობის პირის, ქურდული სამყაროს წევრის, ადამიანით მოვაჭრის, ნარკოტიკული საშუალების გავრცელების ხელშემწყობის ან საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 194-ე მუხლის მესამე ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით მსჯავრდებული პირის ქონების ჩამორთმევისა და სახელმწიფოსათვის გადაცემასთან დაკავშირებული დებულებები არ უნდა იქნეს მიიჩნეული ადამიანის უფლებათა დაცვის დაბალ სტანდარტად. აღნიშნული დებულებები უნდა განიმარტოს ევროპული სტანდარტების მიხედვით, „წინააღმდეგ შემთხვევაში, შეიძლება კანონმდებლობის ნორმების „შინაარსი“ ჩამორჩეს ევროპული სტანდარტებით დაცულ უფლებათა შინაარსს, რომელიც სულ უფრო ვითარდება ადამიანის უფლებათა დაცვის სტანდარტების ზრდასთან ერთად<sup>226</sup>.“ „ადამიანის უფლებათა ევროპული სტანდარტების მიხედვით კანონმდებლობის დებულებების განმარტების ერთ-ერთი განმაპირობებელი ფაქტორია ის, რომ ევროპული კონვენცია აღიარებულია „ცოცხალ“ დოკუმენტად, რაც იმას მოიაზრებს, რომ კონვენციის დებულებები უნდა განიმარტოს საზოგადოებრივ ცნობიერებაში მომხდარი ცვლილებების შესაბამისად. ევროპული კონვენციის შესაბამისი დებულებები არ ზღუდავს სახელმწიფოს უფლებას გამოიყენოს ისეთი კანონები, რომელთაც იგი საჭირო მიიჩნევს იმისათვის, რომ გააკონტროლოს საკუთრების გამოყენება საერთო ინტერესების შესაბამისად ან უზრუნველყოს გადასახადების, შენარჩანების, ან ჯარიმის გადახდის მოკრება. სხვა შემთხვევაში, ანუ ქონების ჩამორთმევის შეუძლებლობის შემთხვევაში, შერყეული იქნებოდა სახელმწიფოს, როგორც კანონიერებაზე ზედამხედველი მმართველობითი აპარატის დანიშნულება და ამოცანები, რის შედეგადაც სახელმწიფო ვედარ

<sup>226</sup> იხ., კონსტანტინე კ. ევროპული სტანდარტების ინტეგრაციისაკენ: ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია და საქართველოს გამოცდილება, თბ, 2008, 48.

შესძლებდა თავისი მიზნების ეფექტურ განხორციელებას და კანონიერებისა და მართლწესრიგის დაცვას<sup>227</sup>.

ამ კატეგორიის საქმეზე გადაწყვეტილების მიღებისას სასურველია გამოყენებულ იქნეს ეკროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლი და შიდასახელმწიფოებრივ ნორმატიულ აქტთან ერთად გადაწყვეტილება დასაბუთდეს ადამიანის უფლებათა ეკროპული სტანდარტებით. გადაწყვეტილება ამგვარი დასაბუთებით უფრო დამაჯერებელი იქნება პროცესის მონაწილე მხარისათვის, მიუხედავად იმისა, მის სასარგებლოდ არის თუ არა ეს გადაწყვეტილება გამოტანილი<sup>228</sup>. მართლმსაჯულების განხორციელებისას ადამიანის უფლებათა ეკროპული სტანდარტების გამოყენება გველა მხარის ინტერესებშია და მისი მეშვეობით შესაძლებელია სასამართლო დავა გადაწყდეს სამართლიანად, დროულად და დაიხარჯოს ნაკლები რესურსები როგორც პროცესის მონაწილე მხარეების, ისე სასამართლოსა და სახელმწიფოს მიერაც.

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ეკროპული კონვენციის პირველი დამატებითი ოქმის პირველი მუხლი ყოველ ფიზიკურ ან/და იურიდიულ პირს უფლებას ანიჭებს, შეუფერხებლად ისარგებლოს თავისი საკუთრებით და მისი ჩამორთმევა მხოლოდ საზოგადოებრივი საჭიროებისათვისაა გათვალისწინებული. საგულისხმოა, რომ ეკროპული კონვენცია არ კრძალავს ქონების ჩამორთმევას, თუ მიზანი საზოგადოებრივი ინტერესია, გამოყენებული ზომა არის მართლზომიერი (ემყარება კანონს და საერთაშორისო სამართლის ზოგად პრინციპებს) ან, გამოყენებული ზომა მიზნის მიღწევის პროცერციულია, ანუ კონკრეტულ პირსა და საზოგადოებრივ ინტერესთა შორის თანაფარდობაა დაცული. ეკროპული კონვენციის პირველი დამატებითი ოქმის პირველი მუხლის მეორე აბზაცით გათვალისწინებულია არა მხოლოდ პირის საკუთრების უფლების შეზღუდვა, არამედ სახელმწიფოს უფლება - საკუთარი შეხედულებით, „საერთო ინტერესების“ შესაბამისად, განახორციელოს პირთა მიერ საკუთრებით სარგებლობაზე კონტროლი.

ზემოთ აღნიშნული იძლევა საშუალებას ვამტკიცოთ, რომ საქართველოს კონსტიტუცია და სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტები, თუ საერთაშორისო კონვენციები იცავს მხოლოდ კანონიერად მოპოვებულ საკუთრებას. საკუთრების უფლება შეიძლება შეიზღუდოს საჯარო ინტერესებიდან გამომდინარე და მის აბსოლუტურ უფლებად მიჩნევა შეფარდებითია. ამდენად, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, უნდა გაიმიჯნოს, მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი მოთხოვნილების აუცილებელი დაკმაყოფილება და კონკრეტული პირის საკუთრების უფლება.

რეპეტული ქონების, თანამდებობის პირის, ქურდული სამყაროს წევრის, ადამიანით მოვაჭრის, ნარკოტიკული საშუალების გავრცელების ხელშემწყობის ან საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 194-ე

<sup>227</sup> ი. კონსტანტინე კ, როგორ ვუზრუნველვყოთ საქართველოში ადამიანის უფლებათა დაცვა ეკროპული სტანდარტებით, თბ, 2010, 33.

<sup>228</sup> ი. Polakiewicz J, The Implementation of the ECHR and the Decision of the Strasburg Court in Western Europe: An Evaluation, The Domestic Implementation of the European Convention of Human Rights in Eastern and Western Europe 1992, 160.

მუხლის მესამე ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით მსჯავრდებული პირის ქონების ჩამორთმევა არ ეწინააღმდეგება ევროპულ სტანდარტებს. აღნიშნული სამართალწარმოებისას ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის გამოყენებას, ძირითადად, ფსიქოლოგიური მნიშვნელობა აქვს. თუ სასამართლო საქმის გადასაწყვეტად, შიდასახელმწიფოებრივ ნორმატიულ აქტთან ერთად, იყენებს ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციას, იგი მიღებულ გადაწყვეტილებას მატებს ავტორიტეტულობას. ასეთ შემთხვევაში, ნაკლებად სავარაუდოა პროცესის მხარემ ეჭვი შეიტანოს იმაში, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია არაეფექტიანად იცავს მის უფლებებს.

პრობლემა გაცილებით შორს მიდის, როდესაც ფიზიკური პირისა და კერძო სამართლის იურიდიული პირის მიერ შეძენილი ქონება აღმოჩნდება რეგულირებული ან დაუსაბუთებელი და შემძენი ამ ფაქტის მიმართ კეთილსინდისიერია. აღნიშნული ინოვაციის შესახებ საქართველოს ჯერჯერობით არ გააჩნია სასამართლო პრაქტიკა რეკეტული ქონების, თანამდებობის პირის, ქურდული სამყაროს წევრის, ადამიანით მოვაჭრის, ნარკოტიკული საშუალების გავრცელების ხელშემწყობის ან საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 194-ე მუხლის მესამე ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით მსჯავრდებული პირის ქონების ჩამორთმევის იმგვარი სამართალურთიერთობის მოსაწესრიგებლად, როდესაც სახეზეა შემძენის კეთილსინდისიერების შესახებ ზოგადი დათქმა. ამ მხრივ, საქართველოში არსებული თეორიულ-პრაქტიკული საკითხების ინოვაციური, თუნდაც დროებითი ხასიათის გაურკვევლობა, საინტერესოა ევროპელი კანონმდებლის კუთხითაც და რა თქმა უნდა პოსტკომუნისტური ბლოკის ქვეყნებისათვის.

„განვითარებული ქვეყნების სამართალში კეთილსინდისიერება წარმოადგენს მოელი სამოქალაქო ბრუნვის პრინციპს. სამოქალაქო ბრუნვის სიმყარე და სტაბილურობა მისი მონაწილეების კეთილსინდისიერებაზეა დამოკიდებული<sup>229</sup>.“ კეთილსინდისიერების ამოსავალი წერტილია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-8 მუხლის მესამე ნაწილი: „სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილენი ვალდებული არიან კეთილსინდისიერად განახორციელონ თავიანთი უფლებები და მოვალეობანი“. როგორც ვხედავთ, „კეთილსინდისიერება წარმოგვიდგება, როგორც ვალდებულებითი სამართლის, ისე მთლიანად კერძო სამართლის უმნიშვნელოვანეს, წარმართველ ნორმად და იგი გამოიყენება ხელშეკრულების დადების, მისი ნამდვილობის და ხელშეკრულების განმარტების მიზნით. ფაქტობრივად, კეთილსინდისიერების ქცევის სტანდარტი ვრცელდება მთლიანად კერძო სამართალზე<sup>230</sup>.“ კეთილსინდისიერება ვალდებულების შესრულების დროს პოზიტიური გაგებით გამოიყენება, რომლის თანახმად, ბრუნვის მონაწილის

<sup>229</sup> იხ., ქლიერიშვილი ზ, ვალდებულების შესრულება, ობ, 2006, 13.

<sup>230</sup> დაწვრილებით იხ. იოსელიანი ა, კეთილსინდისიერების პრინციპი სახელშეკრულებო სამართალში, შედარებით – სამართლებრივი გამოკვლევა, ჟურნ. „ქართული სამართლის მიმოხილვა“, სპეციალური გამოშვება, ობ, 2007, 13-72.

ვალდებულება ემყარება იმ სინამდვილეს, რომელიც მისთვის ცნობილია.<sup>231</sup> მაგალითად, ქართული სამოქალაქო კოდექსის თავისებურებას წარმოადგენს კეთილსინდისიერი შემძენის უფლებრივი მდგომარეობის დეტალური მოწესრიგება. ამ მხრივ იგი თანამედროვე ევროპულ კერძო სამართალთან სრული ჰარმონიზაციით გამოიჩინება. მთავარი ქონების მესაკუთრისა და კეთილსინდისიერი შემძენის ინტერესების სამართლიანი ბალანსირებაა. სამოქალაქო კოდექსი ამ საკითხს წყვეტს არა მარტო ბრუნვის კონკრეტული მონაწილის ინტერესებიდან გამომდინარე, არამედ საჯარო წესრიგის სტაბილურობის ინტერესების გათვალისწინებით. დოქტრინისათვის ამოსავალია კეთილსინდისერი სამოქალაქო ბრუნვა, რასაც საფუძველს უყრის მოქმედი სამოქალაქო კოდექსი. ბრუნვის კეთილსინდისიერება ამ ბრუნვის მონაწილეთა კეთილსინდისიერებაა, ეს კი გულისხმობს ბრუნვის მონაწილეებისადმი სახდომისა. ეს სრულიადაც არ ნიშნავს ურთიერთობის მონაწილეთა მხრიდან ერთმანეთის მიმართ თვალდახუჭულ ნდობას. იგი აუცილებლად გულისხმობს წინდახედულობის გონივრულ მასშტაბს, რომლის იგნორირებამაც შეიძლება ბრუნვის მონაწილე არაკეთილსინდისიერ მონაწილედ აქციოს და სამართლით დაცული სფეროს მიღმა დატოვოს.

დაისმის კითხვა: როგორ უნდა გადაწყდეს მესაკუთრისა და კეთილსინდისიერი შემძენის ინტერესთა კონფლიქტის საკითხი რეკეტული ქონების, თანამდებობის პირის, ქურდული სამყაროს წევრის, ადამიანით მოვაჭრის, ნარკოტიკული საშუალების გავრცელების ხელშემწყობის ან საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 194-ე მუხლის მესამე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით მსჯავრდებული პირის ქონების შემძენის შემთხვევაში?

ამ შემთხვევაში, არ უნდა შეიქმნას პრობლემა კეთილსინდისიერების პრინციპის ფართოდ განმარტებასა და გამოყენებაში. გამოსავალი ამ დროს სტრუქტურული დისხალანისის ადგგენაში უნდა ვეძებოთ, უპირატესობა უნდა მიენიჭოს კეთილსინდისიერების ქცევის სტანდარტს, მორალს, ნდობას - ეს სწორედ ის პრიორიტეტებია, რომლებსაც განსაზღვრავს თავად მოვალეობა - დავიცვათ კერძო ავტონომიის ფარგლებში დადგებული გარიგებები. კერძო ავტონომიის ფარგლებში დადგებული გარიგებების არსებობის პირობებში დაცული უნდა იქნეს ხელშეკრულების მონაწილე სუსტი მხარის ინტერესი თავად გარიგების მიმართ და კეთილსინდისიერი შემძენის არსებობის შემთხვევაში, სოციალური თანასწორობის ადდგენისაკენ სწრაფვისას არ უნდა დაგვავიწყდეს სუსტი მხარის ინტერესების დაცვა<sup>232</sup>.

„ორგანიზებული დანაშაულისა და რეკეტის შესახებ“2004 წლის 24 ივნისის საქართველოს კანონი სამოქალაქო კოდექსთან მიმართებაში სპეციალური და ახალი კანონია, რომლის მიზანია, ხელი შეუწყოს ორგანიზებული დანაშაულის, ქურდული სამყაროს და რეკეტის წინააღმდეგ

<sup>231</sup> იბ., *ძლიერი შვილი ზე, ვალდებულების შესრულება მესამე პირის მიერ*, თბ., 2005, 13, 14.

<sup>232</sup> იბ., *Cherednychenko Olha, Fundamental Rights, Contract Law and the Protection of the Weaker Party. A Comparative Analysis of the Constitutionalisation of the Contract Law, with Emphasis on Risky Financial Transactions*. Vol. 5, European Law Publishers, 2007, 4, 5.

ბრძოლას და თავიდან აცილებას, აგრეთვე ქურდული სამყაროს წევრების წინააღმდეგ ბრძოლას კერძო, საზოგადოებრივი და სახელმწიფო ინტერესების დასაცავად. მოცემულ შემთხვევაში, მნიშვნელოვანია საჯარო წესრიგის დაცვა. „საჯარო წესრიგის ცნება სამოქალაქო კოდექსში მორალურ იმპერატივებთანაა დაკავშირებული. საჯარო წესრიგი ხელს უწყობს ზნებრივი და სამართლიანი სამოქალაქო ბრუნვის დამკვიდრებას. საჯარო წესრიგის დარღვევით ილახება არა მხოლოდ ვინმეს კერძო ინტერესები, არამედ საჯარო ინტერესები. ეს იმიტომ, რომ საჯარო წესრიგით დაცული სიკეთე საზოგადო ფასეულობისაა და მისი დარღვევა ძირს უთხრის საზოგადოების არსებობის საფუძვლებს. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 54-ე მუხლი ბათილად მიიჩნევს ამ წესრიგის საწინააღმდეგო გარიგებას. აქედან აშკარა ხდება, რომ სამოქალაქო ბრუნვის თავისუფლება შებოჭილია და გარკვეული საზოგადოებრივი ინტერესების ფარგლებშია მოქცეული. მაშასადამე, ყოფილა ურთიერობანი, რაც არ შეიძლება იყოს მხოლოდ კერძო ავტონომიის საქმე<sup>233</sup>. სამოქალაქო ბრუნვის მნიშვნელოვანი თავისებურება ის არის, რომ ყოველი მხარე შეიძლება იყოს იმ ტვირთის მატარებელი, რომლის ზიდვაც მას შეუძლია. როცა მტკიცდება, რომ იგი უძლურია ზიდოს ეს ტვირთი, პასუხისმგებლობის საკითხიც იხსნება.

ზემოთ მოყვანილ სამართლის ნორმებში ერთმანეთის პირისპირ დგას საჯარო წესრიგი და კეთილსინდისიერი შემძენი. როგორც უკვე აღინიშნა, მათი მდგომარეობა არსებითად განსხვავებულია. ნივთის შემძენის ბედიდალი მთლიანადა დამოკიდებული გამსხვისებლის სამართლებრივ მდგომარეობასა და საკუთარ წინდახედულობაზე. თუ აღმოჩნდება გამსხვისებელი რეკვიტირი, თანამდებობის პირი, ადამიანით მოვაჭრე, ნარკოტიკული საშუალების გავრცელების ხელშემწყობი, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 194-ე მუხლის მესამე ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით მსჯავრდებული პირი, ქურდული სამყაროს წევრი – მხოლოდ შემძენის კეთილსინდისიერი ვერ გახდება მისი უფლების დაცვის იარაღი. აქ გადამწყვეტია კეთილსინდისიერი შემძენისა და საჯარო წესრიგის ინტერესთა სამართლიანი ბალანსირება, რაც ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ვფიქრობ, სასამართლოს შეფასების საგანი უნდა იყოს. თუკი საკუთრების უფლებას გავაფეტიშებოთ ცხადია, გაგვიჭირდება იმ სინამდვილისადმი შეგუება, როდესაც მასზე ვერ იმარჯვებს კეთილსინდისერი შემძენი. რატომ უნდა დაიჩაგროს შემძენი. განა ის, რისი შეძენის საფუძველიც ხარვეზიანი არაა, შეიძლება საბოლოოდ გაქარწყლდეს? განა შეძენის ობიექტური საფუძველი არ არის ამ შეძენის ნამდვილობის გარანტი? თუმცა, აქ მარტო სუბიექტური ნება-კეთილსინდისიერება არა გვაქვს სახეზე, გადამწყვეტი მნიშვნელობისაა ობიექტური ნება საჯარო წესრიგისა. მოკლედ, ეს ის შემთხვევაა, როდესაც საჯარო წესრიგი ასწორებს ობიექტურის ნაკლს.

<sup>233</sup> ი. ხ., Cherednychenko Olha, Fundamental Rights, Contract Law and the Protection of the Weaker Party. A Comparative Analysis of the Constitutionalisation of the Contract Law, with Emphasis on Risky Financial Transactions. Vol. 5, European Law Publishers, 2007, 206, 207.

ამდენად, საკუთრების უფლების ნებისმიერი ხელყოფა უნდა ემსახურებოდეს საჯარო ან საერთო ინტერესებით განპირობებულ კანონიერ მიზნებს. ამასთან, შენარჩუნებულ უნდა იქნეს სამართლიანი ბალანსი საზოგადოების საერთო ინტერესებსა და პირის ფუნდამენტურ უფლებათა დაცვის მოთხოვნებს შორის. კანონი არ ითვალისწინებს ისეთ უთანხმოობას, რომლის შედეგადაც პირს შეიძლება თვითნებურად და უსამართლოდ ჩამოერთვას ქონება მეორე პირის სასარგებლოდ. საკუთრების ხელყოფის დასაშვებად აღიარებისათვის, ის არა მარტო საჯარო ინტერესით განპირობებულ კანონიერ მიზანს უნდა ემსახურებოდეს, არამედ, ასევე, უნდა არსებობდეს გონივრული პროპორციულობა გამოყენებულ საშუალებებსა და მისაღწევ მიზანს შორის. სამართლიანად უნდა დაბალანსდეს საზოგადოების საერთო ინტერესის მოთხოვნები და პირის ფუნდამენტური უფლებების დაცვის მოთხოვნები. დანაშაულებრივი გზით მოპოვებული თანხებით ქონების შეძენის წინააღმდეგ ზომების მიღება ეს არის კონტროლი ქონებით სარგებლობაზე. დანაშაულებრივი გზით შეძენილ ქონებაზე კონტროლის მიზანია საჯარო ცხოვრების განთავისუფლება კრიმინალური ავტორიტეტების გავლენისაგან და სახელმწიფოში დემოკრატიული წყობილების დაცვა.

საქართველოს სსკ-ის 356<sup>5</sup> მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თუ სასამართლო 356<sup>3</sup> მუხლის შესაბამისად, თანამდებობის პირის ან თანამდებობის პირთან დაკავშირებული პირის ქონებას ცნობს უკანონოდ, ან დაუსაბუთებლად, ასეთი ქონება მესამე პირთა კანონიერი ინტერესების დაკმაყოფილების შემდეგ გადაეცემა მის კანონიერ მესაკუთრეს, ხოლო კანონიერი მესაკუთრის დადგენის შეუძლებლობის შემთხვევაში – სახელმწიფოს.

საქართველოში საკუთრების უფლების შეზღუდვასთან დაკავშირებით არსებული სასამართლო პრაქტიკიდან საინტერესოა, საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება კ....ს საქმესთან დაკავშირებით. 2007 წლის 17 ოქტომბერს, საქართველოს გენერალურმა პროკურატურამ სასარჩელო განცხადებით მიმართა სასამართლოს მ. მ....სა და ზ. კ....ს მიმართ და მოითხოვა, მათ მფლობელობაში არსებული ქონების უკანონოდ ან/და დაუსაბუთებლად ცნობა და სახელმწიფოს საკუთრებაში გადაცემა. მოცემულ საქმეზე საინტერესოა, სასამართლოს მიერ საკუთრებასთან დაკავშირებით მოცემული განმარტებები. სამოქალაქო კოლეგიამ სარგებლობის იურიდიული დეფინიციის არარსებობის პირობებში კანონის ანალოგიისა და სამართლის ზოგად პრინციპებზე დაყრდნობით განმარტა, რომ სარგებლობა, მფლობელობის მსგავსად, შეიძლება იყოს პირდაპირი და არაპირდაპირი და მიიჩნია, რომ ქონებით იმგვარად სარგებლობა სხვა პირთა მიერ, რომელიც ქურდული სამყაროს წევრის ინტერესებს შეესაბამება, უნდა ჩაითვალოს თავად ქურდული სამყაროს წევრის მიერ განხორციელებულ სარგებლობად. საკასაციო სასამართლომ ამ საქმეზე დასძინა, რომ სასამართლო დოქტრინისა და სასამართლო პრაქტიკაში აღიარებული მოსახრების თანახმად, „სარგებლობა“ ნიშნავს ნივთის ექსპლუატაციას, მისი სასარგებლო თვისებების გამოყენებას. უზენაესმა სასამართლომ მიიჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში, სადაც ქონება პირველი დამატებითი ოქმის პირველი მუხლის მოქმედების ფარგლებში

ხვდებოდა. მოხდა ქონების ხელყოფა, ვინაიდან მესაკუთრეს ჩამოერთვა ეს უკანასკნელი და მოხდა მისი სახელმწიფოსათვის გადაცემა ორგანიზებული დანაშაულისა და რეკეტის შესახებ საქართველოს კანონით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად. ამ შემთხვევაში, ხელყოფა, ანუ ჩამორთმევა ემსახურებოდა საჯარო ინტერესებს, ვინაიდან დადგენილ იქნა, რომ სადაცო ქონება მოპოვებული იყო დანაშაულებრივი გზით. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია არ კრძალავს ქონების ჩამორთმევას, თუ: ა) მიზანი არის საზოგადოებრივი ინტერესი; ბ) გამოყენებული ზომა მართლზომიერია (ემყარება კანონს და საერთაშორისო სამართლის ზოგად პრინციპებს; გ) გამოყენებული ზომა მიზნის მიღწევის პროპორციულია, ანუ პირსა და საზოგადოებრივ ინტერესებს შორის თანაფარდობა დაცულია.

რეკეტული ქონების, თანამდებობის პირის, ქურდული სამყაროს წევრის, ადამიანით მოვაჭრის, ნარკოტიკული საშუალების გავრცელების ხელშემწყობის ან საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 194-ე მუხლის მესამე ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით მსჯავრდებული პირის ქონების ჩამორთმევა და სახელმწიფოსათვის გადაცემა არ წარმოადგენს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებულ სასჯელთა სახე-სხვაობას. აღნიშნული ქონების ჩამორთმევისათვის სახეზე უნდა იყოს უშუალო კავშირი დასახელებული კატეგორიის დანაშაულის ჩადენისა და მისი ჩადენისას შეძენილ ქონებას შორის, რომელიც კერძო სამართლებრივი ურთიერთობით რეგულირებულ სფეროში ექცევა მას შემდეგ, რაც სისხლის სამართლებრივი განაჩენი შევა კანონიერ ძალაში.

ამ კატეგორიის საქმეებზე სამოქალაქო სამართალწარმოების წესით სარჩელს ადრეავს არა ფიზიკური ან კერძო სამართლის იურიდიული პირი, არამედ პროკურორი, რომელიც სასამართლოში გამოდის, როგორც სახელმწიფო ბრალმდებელი, რაც დღესმოქმედი ქართული კანონმდებლობისათვის ინოვაციაა. ამგვარი სიტუაცია დამახასიათებელი იყო მხოლოდ სსრკ სამოქალაქო საპროცესო კოდექსისათვის (1964წ.), რომელიც იმ დროიდან მოყოლებული დღემდე შენარჩუნებულია რუსთის ფალერაციის სამოქალაქო საპროცესო კოდექსში, სადაც მტკიცების გალდებულების სუბიექტები არიან არა მარტო მხარეები<sup>234</sup>, არამედ საქმეში მონაწილე სხვა პირები<sup>235</sup>, რომლებიც სარგებლობენ საპროცესო უფლებებითა და მოვალეობებით. მათ, როგორც იურიდიულად დაინტერესებულ სუბიექტებს მინიჭებული აქვთ უფლებები. ამ უფლებებით ისინი აქტიურ მონაწილეობას დებულობენ სამოქალაქო სამართალწარმოებაში, მათ შეუძლიათ გავლენა მოახდინონ პროცესის მსვლელობასა და განვითარებაზე. საქმეში მონაწილე პირები ვალდებული არიან კეთილსინდისიერად ისარგებლონ მათვის მინიჭებული უფლებებითა და მოვალეობებით. უპირტესად, ეს ეხება მესამე პირებს დამოუკიდებელი

<sup>234</sup> ი. კомментарий к Гражданскому Процессуальному Кодексу РФ, под. редакцией Жилин Г. А. Издание Четвертое, переработанное и дополнительное, 2008. 99, 100.

<sup>235</sup> მესამე პირები, პროკურორი, პირები, რომლებიც სასამართლოს მიმართავენ სხვა პირთა უფლებების დასაცავად. იქნე: 95, 96.

სასარჩელო მოთხოვნით და პროკურორებს<sup>236</sup>. რამდენადაც ეს უკანასკნელები სარგებლობენ და ატარებენ ყველა იმ უფლებასა და ეკისრებათ ყველა ის მოვალეობა, როგორიც მოსარჩელეს. შესაბამისად, ისინი ვალდებული არიან დაამტკიცონ გარემოებები, რომლებზედაც ამყარებენ თვითონ მოთხოვნებს.

პროკურორი და სხვა პირები, რომლებიც სასამართლოს მიმართავენ სხვა პირთა უფლებების დასაცავად, ასევე სარგებლობენ მოსარჩელის უფლებებით და ატარებენ ვალდებულებებს. მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ განცხადება შეტანილია კონკრეტული პირის ინტერესების დასაცავად, ეს პირი თვითონ ებმება პროცესში მოსარჩელის სახითა და მისი შესაბამისი პროცესუალური უფლებებისა და ვალდებულებების მთელი კომპლექსით.

აქედან გამომდინარე, არასასურველი მატერიალურ-სამართლებრივი შედეგები, რომლებიც შეიძლება გამოიწვეულ იქნეს საქმის აღძვრის ინიციატორის მიერ მტკიცების ვალდებულებების შეუსრულებლობით გავრცელდება მხოლოდ მოსარჩელეზე, ანუ იმ კონკრეტულ პირზე, ვისი უფლების დასაცავადაც იქნა აღმრული სამოქალაქო საქმე<sup>237</sup> და არა პროკურორზე.

რუსეთის ფედერაციის სამოქალაქო საპროცესო კოდქსისაგან განსხვავებით, პროკურორის მონაწილეობა საქართველოს სამოქალაქო სამართალწარმოების პროცესში მხოლოდ კანონით პირდაპირ გათვალისწინებული გარკვეული კატეგორიის დავებზეა შესაძლებელი. მაგრამ გასათვალისწინებელია თვით წარმოების ახალი სახის ინოვაციური ხასიათი არა მხოლოდ საქართველოს კანონმდებლობისათვის, არამედ კონტინენტურ-ევროპული კერძო სამართლის კუთხითაც. აღნიშნული საკითხი იმდენად დრმა და ყოვლისმომცველია ნაშრომის სტრუქტურიდან გამომდინარე მასზე საუბრისაგან თავს ვიკავებ. პროკურორის მონაწილეობა სამოქალაქო საქმის განხილვაში და მისთვის სარჩელის აღმდების უფლებამოსილება სამოქალაქო საპროცესო კოდქსით გათვალისწინებულ ყველა თავისაგან განასხვავებს XLIV<sup>1</sup> თავს.

გერმანულ სამართალწარმოებაში პროკურორის მონაწილეობა ძირითადი სახით გვხვდება სისხლის სამართლის საქმებზე. სამოქალაქო საპროცესო სამართალში პროკურორის მონაწილეობა შემოიფარგლება მხოლოდ რამდენიმე შემთხვევით, კერძოდ, საქორწინო-საოჯახო სამართალუროთიერთობიდან გამომდინარე საქმეებზე (გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კოდქსის §632, §636, §637) მაგალითად, ქორწინების ბათილად ცნობის თაობაზე სარჩელი სასამართლოს წარედგინება პროკურორის მიერ ორივე მეუღლის წინააღმდეგ; თუკი, ერთ-ერთი მათგანი გარდაცვლილია მაშინ, ცოცხლად დარჩენილი მეორე მეუღლის წინააღმდეგ. ისეთ შემთხვევებში, როდესაც პროკურორი სამართალწარმოებაში მხარის სტატუსით მონაწილეობს, მოგებული მხარის სასარგებლოდ ხარჯების გადახდა ხდება სახელმწიფო ხაზინიდან. ამდენად, კონტინენტურ-ევროპულ

<sup>236</sup> ი. კомментарий к Гражданскому Процессуальному Кодексу РФ, под. редакцией Жилин Г. А., Издание Четвертое, переработанное и дополнительное, 2008, 106-118.

<sup>237</sup> ი. Жилин Г. А., Бриков В. В., Ганичева Е. С. и другие. Комментарий к Гражданскому Процессуальному Кодексу РФ, М, 2008, 137.

სამართალში შეინიშნება საერთო სამართლის ქვეყნების კანონმდებლობის რეცეფცია. მიუხედავად საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული და დაცული მხარეთა შეჯიბრებითობის პრინციპებისა, საფრანგეთის, გერმანიის, რუსეთის, საქართველოს კანონმდებლობა შეიცავს, ასევე ნორმებს, რომლებიც ხაზს უსვამს ე.წ. ინკვიზიციური სამართალწარმოების ნიშნების არსებობასაც. ეს გასაკვირი არ არის, რადგან აშკარად სახეზეა შეჯიბრებითობისა და ინკვიზიციური პროცესების დაახლოების გზები.

რეკეტული ქონების ჩამორთმევისა და სახელმწიფოსათვის გადაცემის თაობაზე სარჩელი შესაძლებელია აღიძრას არა მარტო რეკეტული დაჯგუფებისა და რეკეტირის მიმართ, არამედ მისი ოჯახის წევრის ახლო ნათესავის ან რეკეტირთან დაკავშირებული პირის მიმართაც.

საქართველოს სსკ-ის 356<sup>2</sup> მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, რეკეტული ქონების, თანამდებობის პირის, ქურდული სამყაროს წევრის, ადამიანით მოვაჭრის, ნარკოტიკული საშუალების გავრცელების ხელშემწყობის ან საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 194-ე მუხლის მესამე ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით მსჯავრდებული პირის ქონების ჩამორთმევისა და სახელმწიფოსათვის გადაცემის თაობაზე სარჩელის აღმდეგის უფლება აქვს პროკურორს მათ მიმართ სასამართლოს განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლიდან ათი წლის ვადაში.

ნორმის სამართლებრივი ანალიზი ცხადყოფს, რომ პროკურორის მიერ სამოქალაქო სარჩელის აღმდეგაზე ვრცელდება ხანდაზმულობა. ხანდაზმულობის ვადა შეადგენს ათ წელს. სარჩელის წარდგენის ხადაზმულობა იწყება სისხლის სამართლის წესით სასამართლოს განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლის მომენტიდან და წყდება უფლებამოსილი პირის მიერ სამოქალაქო სარჩელის შეტანით. ხანდაზმულობის ათწლიანი ვადის გასვლასთან ერთად, პროკურორს ერთმევა უფლება წარადგინოს სამოქალაქო სარჩელი.

თანამდებობის პირის ქონების ჩამორთმევისა და სახელმწიფოსათვის გადაცემის თაობაზე სარჩელი შესაძლებელია აღიძრას არა მარტო თანამდებობის პირის მიმართ, არამედ მისი ოჯახის წევრის, ახლო ნათესავის ან თანამდებობის პირთან დაკავშირებული პირის მიმართ საქართველოს სსკ-ის 356<sup>2</sup> მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად.

თანამდებობის პირთან დაკავშირებული პირის განმარტებას იძლევა ამავე კოდექსის 356<sup>1</sup> მუხლის „ლ“ ქვეპუნქტი, რომლის თანახმად, თანამდებობის პირთან დაკავშირებული პირი არის პირი, რომელსაც იურიდიული დოკუმენტაციის საფუძველზე საკუთრებაში აქვს ქონება და არსებობს საფუძვლიანი ეჭვი, რომ იგი მოპოვებულია თანამდებობის პირის მიერ ან/და ამ ქონებით სარგებლობს, მას განკარგავს (ან განკარგა) თანამდებობის პირი.

აღნიშნული ნორმის მიზნებიდან გამომდინარე, ამა თუ იმ პირის თანამდებობის პირთან დაკავშირებულ პირად მიჩნევისათვის საჭიროა კუმულაციური პირობის არსებობა:

აღნიშნულ პირს (დაკავშირებულ პირს) იურიდიული დოკუმენტაციის საფუძველზე საკუთრებაში უნდა ჰქონდეს ქონება;

მოსარჩელეს უნდა გააჩნდეს საფუძვლიანი ეჭვი, რომ ეს ქონება მოპოვებულია თანამდებობის პირის მიერ ან/და ამ ქონებით სარგებლობს, მას განკარგავს თანამდებობის პირი.

კანონმდებლობა ერთმანეთისაგან განასხვავენს თანამდებობის პირის ქონებასა და დაუსაბუთებელ ქონებას.

თანამდებობის პირის ქონებას წარმოადგენს თანამდებობის პირის, მისი ოჯახის წევრის, ახლო ნათესავის ან თანამდებობის პირთან დაკავშირებული პირის შემოსავალი, ქონება ან ქონებიდან მიღებული შემოსავალი, რომლის მართლზომიერი საშუალებებით მიღების დამადასტურებელი საბუთი ან სხვა მტკიცებულება არ არსებობს.

დაუსაბუთებელი ქონება არის ქონება, აგრეთვე ამ ქონებიდან მიღებული შემოსავალი, აქციები (წილი), რომლის/რომელთა კანონიერი საშუალებით მოპოვების დამადასტურებელი დოკუმენტები თანამდებობის პირს ან დაკავშირებულ პირს არ გააჩნია, ან იგი მოპოვებულია უკანონო ქონების გასხვისების შედეგად მიღებული ფულადი სახსრებით.

საპროცესო კანონმდებლობა ითვალისწინებს რეპეტული ქონების, თანამდებობის პირის, ქურდული სამყაროს წევრის, ადამიანით მოვაჭრის, ნარკოტიკული საშუალების გავრცელების ხელშემწყობის ან საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 194-ე მუხლის მესამე ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით მსჯავრდებული პირის ქონების ჩამორთმევის უზრუნველყოფის საპროცესო საშუალებებს.

ზემოთ მითითებული ქონების ჩამორთმევის შესახებ აღმრული სარჩელის უზრუნველყოფა არის მატერიალური კანონმდებლობით დაცული უფლებებისა და კანონიერი ინტერესების რეალური განხორციელების სწრაფი და ეფექტური საპროცესო-სამართლებრივი გარანტია.

სარჩელის უზრუნველყოფის ინსტიტუტი კონცენტრირებულია საქართველოს სსკის 191-ე მუხლში, კერძოდ, იმ წინადაღებაში, რომლის თანახმად, თუ არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ უზრუნველყოფის დონისძიებათა მიუღებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას, სასამართლოს გამოაქვს განჩინება სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ.

უზრუნველყოფის დონისძიების გამოყენებაზე მსჯელობისას, სასამართლო, პირველ რიგში, ყურადღებას ამახვილებს სარჩელის უზრუნველყოფის საფუძველზე, კერძოდ, სამომავლოდ საქმეზე მიღებული გადაწყვეტილების აღსრულების გამნელების ან აღუსრულებლობის საშიშროებაზე. მოსარჩელემ უნდა მიუთითოს იმ კონკრეტული გარემოებების არსებობა, რომლებიც ადასტურებს ვარაუდს, რომ უზრუნველყოფის დონისძიების მიუღებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 356<sup>4</sup> მუხლი შეიცავს სპეციალურ დანაწესს სარჩელის უზრუნველყოფის დონისძიების შესახებ განცხადების სავალდებულო წარდგენის თაობაზე, რომლის თანახმად, თუ არსებობს მონაცემები, რომ რეპეტული დაჯგუფების, რეპეტიორის, თანამდებობის პირის, ქურდული სამყაროს წევრის, ადამიანით მოვაჭრის, ნარკოტიკული საშუალების გავრცელების ხელშემწყობის, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 194-ე მუხლის მესამე ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით

მსჯავრდებული პირის, მათი ოჯახის წევრის, ახლო ნათესავის ან რეკეტიორთან, თანამდებობის პირთან, ქურდული სამყაროს წევრთან, ადამიანით მოვაჭრესთან, ნარკოტიკული საშუალების გავრცელების ხელშემწყობთან ან საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 194-ე მუხლის მესამე ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით დაკავშირებული პირის მფლობელობაში არსებულ ქონებას გადამალავენ ან დახარჯავენ ანდა სხვაგვარად გაასხვისებენ პროკურორი ვალდებულია განცხადებით მიმართოს სასამართლოს ქონებაზე, მათ შორის, საბანკო ანგარიშებზე, ყადაღის დადების თაობაზე. მოცემულ შემთხვევაში, კანონის ნორმა იმპერატიული ხასიათისაა და იგი გულისხმობს პროკურორის ვალდებულებას გაატაროს სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების პრევენციული ზომები.

ქართულ სააქციო სამართალში, ეკროპის საკორპორაციო სამართლის მსგავსად, გახნდა 53<sup>1</sup> მუხლი, რომელიც საზოგადოების მხრიდან აქციათა გამოსყიდვას შეეხება. ეს ის შემთხვევაა, როდესაც გარკვეული წინა პირობების დადგომისას საზოგადოება ვალდებული ხდება აქციონერისაგან გამოისყიდოს აქციები. 2005 წლის 24 ივნისს „მეწარმეთა შესახებ“ კანონს ახალი 53<sup>2</sup> და 53<sup>3</sup> მუხლები დაემატა.<sup>238</sup> „კანონის ახალმა ნორმამ დააწესა სავალდებულო სატენდერო შეთავაზების და აქციათა სავალდებულო გაყიდვის პრინციპი. განსაკუთრებული წინააღმდეგობა კი, წარმოიშვა მეორე ნორმათან - აქციათა სავალდებულო მიყიდვასთან დაკავშირებით. ეს ნორმა გასახიორდა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში, როგორც კონსტიტუციის საწინააღმდეგო ნორმა და 2007 წლის 18 მაისს სსს-ს №2/1-370, 282, 390, 402, 405 გადაწყვეტილებით არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი და გაუქმდა.<sup>239</sup> ეკროპის კავშირში მოქმედმა ერთიანმა დირექტივამ 2004 წელს დაადგინა აქციათა სავალდებულო მიყიდვის პრინციპი საერთო-ევროპულ სამართლებრივ სივრცეში<sup>240</sup> და წევრ სახელმწიფოებს 2006 წლამდე ამ პრინციპის ნაციონალურ კანონმდებლობაში დანერგვის ვალდებულება დაეკისრათ<sup>241</sup>. როგორც ჩანს, ეს გახდა იმის მიზეზი, რომ ქართველი კანონმდებელი ვერ „შეეცა“ ამ მუხლის გაუქმებას და ახალი კანონით აქციათა სავალდებულო მიყიდვის პრინციპი მეწარმეთა შესახებ კანონში კვლავ დადგინდა<sup>242</sup>. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსს სპეციალური თავი დაემატა, რომელმაც აქციათა სავალდებულო

<sup>238</sup> გამოქვეყნებულია: საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №1781, 24.06.2005.

<sup>239</sup> იხ. ბურდული ი, სავალდებულო სატენდერო შეთავაზება. აქციათა სავალდებულო გაყიდვა: აქციით მინიჭებული უფლების ბოროტად გამოყენება ოუ კაპიტალის ბაზრის განვითარების აუცილებელი წინა პირობა?! ქურნ. „მართლმსაჯულება“, თბ, 2007, №2, 10.

<sup>240</sup> Richtlinie 2004/25/EG des Europäischen Parlamentes und des Rates vom 21. April 2004 betreffend Übernahmangebote, ABL. 2004 L, 142-12. ვუთითებ: ბურდული ი, სააქციო სამართლის საფუძვლები (გერმანული და ქართული სამართლის მაგალითზე), თბ, 2010, ტ. I, 103. მიხედვით.

<sup>241</sup> Gotschev/Staub, Der Ausschluss von Minderheitsaktionären nach Art. 33 Börsengesetz und durch aqueeze out merger gemäss Fusionsgesetz, GesKR 2006, 265. ვუთითებ: ბურდული ი, სააქციო სამართლის საფუძვლები (გერმანული და ქართული სამართლის მაგალითზე), თბ, 2010, ტ. I, 103. მიხედვით.

<sup>242</sup> შეად. ბურდული ი, სააქციო სამართლის საფუძვლები (გერმანული და ქართული სამართლის მაგალითზე), თბ, 2010, ტ. I, 101-103.

მიყიდვის პროცედურა განსაზღვრა<sup>243</sup>. მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის 53<sup>4</sup> მუხლი აქციათა სავალდებულო მიყიდვას იმ შემთხვევაში ითვალისწინებს, თუ აქციების შეძენის შედეგად აქციონერს საკუთრებაში აქვს სააქციო საზოგადოების ხმების 95 პროცენტზე მეტი<sup>244</sup>. რადგანაც კონტრაკიონების იძულების უფლება მისცა კანონმდებელმა მაჟორიტარ აქციონერს, იგი ვალდებულია დაასაბუთოს მისი აუცილებელობა. კონტრაკიონების იძულება ეს არ არის უპირობო უფლება. ნებისმიერ შემთხვევაში, მაჟორიტარმა აქციონერმა ჯერვანი მტკიცებულებები უნდა წარმოადგინოს საიმისოდ, რომ აქციების გამოსყიდვა აუცილებელია სააქციო საზოგადოებისათვის. მოკლედ, მან უნდა დაასაბუთოს, რომ მინორატორი აქციონერის არსებობა „საქმიანობა“ მას უქმნის ისეთ პრობლემებს, რომლებიც საკმარისია აქციათა გამოსყიდვისათვის<sup>245</sup>. წინააღმდეგობებს ვაწყდებით იმ შემთხვევაში, თუ რეკეტული ქონების, თანამდებობის პირის, ქურდული სამყაროს წევრის, ადამიანით მოვაჭრის, ნარკოტიკული საშუალების გავრცელების ხელშემწყობის ან საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 194-ე მუხლის მესამე წაწილის „გ“ ქვეპუნქტით მსჯავრდებული პირის ქონებას შეადგენს საზოგადოების აქციათა სწორედ ის ხუთი პროცენტი, რომლის სავალდებულო წესით მიყიდვაც განხორციელდა. ამ შემთხვევაში, ერთმანეთს უპირისპირდება მყიდველის სამართლებრივი მდგომარეობა და საჯარო წესრიგი. სამოქალაქო კანონმდებლობა საკამაოდ ფართო შესაძლებლობებს აძლევს მხარეებს განსაზღვრონ ხელშეკრულების შინაარსი. ცალკეულ შემთხვევებში ეს შინაარსი შეიძლება წინაღმდეგობაში მოდიოდეს კანონთან და კონსტიტუციასთანაც. საჭიროა ერთმანეთისაგან გაიმიჯნოს ნორმატიული და კერძო პირთა ავტონომიური ნება. მართალია, კერძოსამართლებრივ ურთიერთობებში შესვლა ხდება სახელშეკრულებო თავისუფლების საფუძველზე, მაგრამ ამ ურთიერთობის ნორმატიულ საფუძველს ქმნის სახელმწიფო. ნორმატიული ნება, რითაც განისაზღვრება ამა თუ იმ ურთიერთობის შინაარსი სავალდებულო მხარეთათვის, თუკი იგი არ ითვალისწინებს მისგან გადახვევის კერძო ინიციატივას. „ამიტომაცაა, რომ კერძოსამართლებრივი ხასიათის ნორმატიული დადგენილებანი ისევე ექვემდებარება კონსტიტუციურ კონტროლს, როგორც ყველა სხვა“<sup>246</sup>. საზოგადოების აქციათა 5 პროცენტის შემძენის (მყიდველის) ბედ-იღებალი მთლიანადა დამოკიდებული გამსხვისებლის სამართლებრივ მდგომარეობაზე. თუ აღმოჩნდება საზოგადოების აქციათა გასხვისებული 5 პროცენტი რეკეტული, თანამდებობის პირის, ადამიანით მოვაჭრის,

<sup>243</sup> იხ., ხურცილავა რ, გამარტივებული წარმოება საქართველოს სამოქალაქო პროცესში. ობ, 2009, 243-263.

<sup>244</sup> მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონი, საქართველოს პარლამენტის უწყებანი, 1994, №21-№22 (14.03.2008 №5913).

<sup>245</sup> იხ., თანამედროვე საკორპორაციო სამართლის თეორიული და პრაქტიკული საკითხები, თიხათის წერეთლის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტი, ობ, 2009, 109, 110.

<sup>246</sup> იხ., თანამედროვე საკორპორაციო სამართლის თეორიული და პრაქტიკული საკითხები, თიხათის წერეთლის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტი, ობ, 2009, 91, 92.

ნარკოტიკული საშუალების გავრცელების ხელშემწყობის, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 194-ე მუხლის მესამე ნაწილის „გ“ქვეპუნქტით მსჯავრდებული პირის, ქურდული სამყაროს წევრის ქონება, მაშინ მყიდველის უფლებები ვერ იქნება დაცული საკუთრების საყოველთაოდ აღიარებული პოსტულატით. ამდენად, მყიდველი დგება მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის 53<sup>4</sup> მუხლით მინიჭებული უფლების გამოყენების რისკის ქვეშ.

თანამდებობის პირის ან თანამდებობის პირთან დაკავშირებული პირის ქონება ცნობილ იქნება დაუსაბუთებლად, თუ საქმის წარმოების პროცესში მოპასუხებ სასამართლოს ვერ წარუდგინა ქონების ან ამ ქონების შეძენისთვის საჭირო ფინანსური საშუალებების კანონიერი გზით მოპოვების ან ამ ქონებაზე საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტები. როგორც ვხედავთ, მოპასუხებ ვალდებული (და არა მოსარჩელე) სასამართლოს წარუდგინოს მტკიცებულებები თავისი ქონების დასაბუთებულობისა და კანონიერების შესახებ. თანამდებობის პირისა და მასთან დაკავშირებული პირებისათვის დაუსაბუთებელი ქონების ჩამორთმევისა და სახელმწიფოსათვის გადაცემასთან დაკავშირებული სამართალწარმოებისას, გადაწყვეტილების გამომტანმა სასამართლომ უნდა იმსჯელოს მხარეთა შორის მტკიცების ტვირთის განაწილების თავისებურებაზე. იმის საილუსტარაციოდ როგორ გაანაწილა მხარეთა შორის მტკიცების ტვირთი სასამართლომ შეიძლება მაგალითის მოყვანა. საქმე ეხებოდა დაუსაბუთებელი ან/და უკანონოდ ცნობილი ქონების ჩამორთმევასა და სახელმწიფოსათვის გადაცემას. ამ საქმესთან დაკავშირებით, საპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, პირველი ინსტანციის სასამართლომ დავის გადასაწყვეტად გამოსაყენებელი ნორმების შინაარსიდან გამომდინარე, მტკიცების ტვირთი მხარეთა შორის სწორად გაანაწილა. კერძოდ, მოსარჩელე მხარეზე გადაიტანა დაუსაბუთებელი ქონების შესახებ დასაბუთებული ეჭვის (სარჩელის აღძვრის საფუძვლები) მტკიცების ტვირთი, ხოლო მოპასუხებ მხარეს დააკისრა დასაბუთებული ეჭვის გაქარწყლების, ანუ სადაცო ქონების შეძენის კანონიერების მტკიცების ტვირთი<sup>247</sup>.

აღნიშნული კატეგორიის დავებში საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით მტკიცების ტვირთი გადანაწილებულია მოსარჩელის სასარგებლოდ, ანუ ივარაუდება, რომ მოპასუხების (თანამდებობის პირის) ქონება არის დაუსაბუთებელი და მოპასუხებების ეკისრება მტკიცების ტვირთი სადაცო ქონების დასაბუთებულობასთან დაკავშირებით.

მოცემული კატეგორიის დავებში მოსარჩელეს ეკისრება მხოლოდ საფუძვლიანი ეჭვის არსებობის დადასტურების ტვირთი, ხოლო საპირისპირ მტკიცების ტვირთი სადაცო ქონების დასაბუთებულობასთან დაკავშირებით ეკისრება მოპასუხებ მხარეს. ერთ-ერთ საქმეზე განიმარტა, რომ დავის საგანს წარმოადგენდა რა თანამდებობის პირისა და მასთან დაკავშირებული პირებისათვის დაუსაბუთებელი ქონების ჩამორთმევა და

<sup>247</sup> ობილისის საპელაციო სასამართლოს 2007 წლის 25 ოქტომბრის გადაწყვეტილება, სამოქალაქო საქმე №2ბ/1299-07. ხელმისაწვდომია სასამართლოს არქივში.

სახელმწიფოსათვის გადაცემა, მოსარჩევეს ეკისრებოდა მხოლოდ საფუძვლიანი ეჭვის არსებობის დადასტურების ტვირთი, ხოლო საპირისპირო მტკიცების ტვირთი სადაცო ქონების დასაბუთებულობასთან დაკავშირებით, ეკისრებოდა მოპასუხე მხარეს. იქიდან გამომდინარე, რომ საქმეში არსებული მტკიცებულებების საფუძველზე, პალატამ დასაბუთებულად მიიჩნია საფუძვლიანი ეჭვის არსებობა მასზედ, რომ სადაცო უძრავი ქონება დაახლოებით 1800000 აშშ დოლარად იყო შეძენილი თანამდებობის პირის მიერ, რომელსაც არ გააჩნდა თავის მხრივ ამ ოდენობის თანხის მართლზომიერი საშუალებით მიღების დამადასტურებელი საბუთი. სადაცო უძრავი ქონების დასაბუთებულობასთან დაკავშირებით მტკიცების ტვირთი დაეკისრა მოპასუხება<sup>248</sup>.

როგორც ვხედავთ, ჯერ იწყება სისხლის სამართლებრივი წარმოება და ის მთავრდება გამამგებულებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლით, ისე რომ არაფერია ნათქვამი იმ ქონების ბედზე, რომლის შეძენის არაკანონიერი გზა საფუძვლად დაედო სისხლის სამართლებრივ წარმოებას.

ამასთან, რეკეტული ქონების, თანამდებობის პირის, ქურდული სამყაროს წევრის, ადამიანით მოვაჭრის, ნარკოტიკული საშუალების გავრცელების ხელშემწყობის ან საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 194-ე მუხლის მესამე ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით მსჯავრდებული პირის ქონების ჩამორთმევისა და სახელმწიფოსათვის გადაცემასთან დაკავშირებული წარმოება ხასიათდება ფაქტების დამტკიცების განსხვავებული პროცედურით, რაც გულისხმობს მხარეთა შორის მტკიცების ტვირთის არათანაბარზომიერ განაწილებას<sup>249</sup>.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, თამამად შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ საქმე გვაქვს მტკიცების ტვირთის არატრადიციულ, არაკლასიკურ ინვაციურ ფორმასთან. იგი წარმოგვიდგება ე.წ. შერეული სახით. ერთი მხრივ, საქართველოს სსკ-ის 356<sup>3</sup> მუხლის მეორე ნაწილი მოსარჩევეს ავალდებულებს სასამართლოში წარმოადგინოს მტკიცებულების მოპასუხების რეკეტულობის თაობაზე, მეორე მხრივ, საქართველოს სსკ-ის 356<sup>5</sup> მუხლის მეორე ნაწილის მიზნიდან გამომდინარე, მტკიცების ტვირთის გადატანა ხდება მოპასუხებზე. მტკიცების ტვირთის განაწილების არატრადიციულობა განპირობებულია თვით სამართლებრივი დავის თავისებურებით, რაც მდგომარეობს ქონების, საკუთრების არასამართლებრივი გზით დაუფლებაში.

სამართალწარმოებაში მოქმედებს პრეზუმუცია, რომლის თანახმად, მოპასუხება არ შეიძლება გავრცელდეს პასუხისმგებლობა, თუკი მოსარჩევე არ დაამტკიცებს გარემოებებს, რომლებიც ადასტურებს მის მოთხოვნას. მართალია, მტკიცებულებითი პრეზუმუცია მოსარჩევეს არ ათავისუფლებს მტკიცებულებების წარმოდგენისაგან, მაგრამ სწორედ პრეზუმუციით ხდება მტკიცების ტვირთის მოპასუხებზე გადანაწილება.

<sup>248</sup> თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 25 ივნისის გადაწყვეტილება, სამოქალაქო საქმე №2ბ/932-09. ხელმისაწვდომია სასამართლოს არქივში.

<sup>249</sup> იხ., ქორია გ. რეკეტული ქონების ან ქურდული სამყაროს წევრის ქონების ჩამორთმევისა და სახელმწიფოსათვის გადაცემასთან დაკავშირებული წარმოების კომენტარი საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მიხედვით, გრიგოლ რობაჭიძის სახელობის უნივერსიტეტი, თბ, 2006, 34.

შესაბამისად, პრეზუმცია წარმოგვიღება, როგორც მტკიცების საშუალება, „პრეზუმციების არსებობა საჭიროა იმისათვის, რომ ურთიერთობის მონაწილეები გაურკვეველ, ბუნდოვან მდგომარეობაში არ აღმოჩნდნენ და მათი სამართლებრივი სტატუსი ჰაერში არ იყოს გამოკიდებული“<sup>250</sup>. პრეზუმფცია ათავისუფლებს იმ მხარეს, რომლის სასარგებლოდაც დადგენილია პრეზუმფცია, ისეთი ფაქტების დამტკიცებისაგან, რომლებიც ამ მხარეს უვალებოდა. სამართლწარმოების ზოგადი წესებისაგან განსხვავებით, ამ კატეგორიის საქმეთა განხილვისას, კერძოდ, რეკეტული ქონების, თანამდებობის პირის, ქურდული სამყაროს წევრის, ადამიანით მოვაჭრის, ნარკოტიკული საშუალების გავრცელების ხელშემწყობის ან საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 194-ე მუხლის მესამე ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით მსჯავრდებული პირის ქონების ჩამორთმევისა და სახელმწიფოსათვის გადაცემასთან დაკავშირებული წარმოებისას არ გამოიყენება პრეზუმფცია.

მტკიცების ტვირთის გადაკისრება მოპასუხე მხარეზე ხდება, მას შემდეგ, რაც პროკურორი ვერ დაამტკიცებს ქონების რეკეტულობას, უკანონობასა და დაუსაბუთებლობას.

ამრიგად, პრეზუმფციის მთავარი დანიშნულება – დაუდასტურებელი ფაქტების მოწინააღმდეგ მხარის სასარგებლოდ გადაწყვეტა – აღნიშნულ წარმოებაში გამოხატულებას არ პოულობს.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება თამამად დავასკვნათ, რომ განხილულ სამართალწარმოებაში საქმე გვაქვს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობისათვის უცხო სამართლებრივ ინსტიტუტთან, რომლის თავისებურებაც მდგომარეობს მტკიცების ტვირთის არათანაბარზომიერ განაწილებაში.

### **§3. მხარეთა შორის მტკიცების ტვირთის ინვაციური განაწილების თავისებურება პირის ოკუპირებულ ტერიტორიებზე აკრძალული ეკონომიკური საქმიანობის განხორციელებისათვის მსჯავრდებულ პირთან დაკავშირებულ პირად ცნობის თაობაზე საქმის განხილვასთან დაკავშირებით**

მოცემული პარაგრაფის საკვლევი ობიექტი სამოქალაქო საპროცესო კოდექსში 2008 წლის 19 დეკემბერს ძალაში შესული XLIV<sup>2</sup> თავია, რომლითაც რეგულირდება პირის ოკუპირებულ ტერიტორიებზე აკრძალული ეკონომიკური საქმიანობის განხორციელებისათვის მსჯავრდებულ პირთან დაკავშირებულ პირად ცნობის თაობაზე საქმის განხილვასთან დაკავშირებული წარმოება, რაც, თავის მხრივ, დაკავშირებულია 2008 წლის აგვისტოს ცნობილ მოვლენებთან. კერძოდ, რუსეთის მიერ არააღეკვატური

<sup>250</sup> იხ., ჭანტურია ლ, შესავალი სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში, თბ, 1997, 160.

საომარი მოქმედების განხორცილების საფუძველზე საქართველოს ტერიტორიების ოკუპაციის შედეგებთან.

უპირატესად აღვნიშნავთ, რომ საქართველო არის სუვერენული, ერთიანი და განუყოფელი სახელმწიფო და მის ტერიტორიაზე ნებისმიერი სხვა სახელმწიფოს შეიარაღებული ძალების ყოფნა საქართველოს სახელმწიფოს მკაფიოდ და ნებაყოფლობით განცხადებული თანხმობის გარეშე, 1907 წლის პააგის რეგულაციების, 1949 წლის უნივერსიტეტის IV კონვენციისა და საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის ნორმების შესაბამისად, არის სუვერენული სახელმწიფოს ტერიტორიის უკანონო სამხედრო ოკუპაცია. საქართველოს მთავრობის მიერ თავისი ტერიტორიის კონტროლი პრობლემურია. 90-იანი წლების დასაწყისში მომხდარი მოვლენების გამო, საქართველოს მთავრობას არ ხელეწიფება გააკონტროლოს თავისი ორი რეგიონი – აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი (ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიები)<sup>251</sup>. საქართველოს სახელმწიფოში უკანონო სამხედრო ოკუპაციამ განაპირობა ოჯაპირებული ტერიტორიების შესახებ ნორმატიული აქტის მიღება. აღნიშნული კანონის მიღებით ცვლილებები და დამატებები იქნა შეტანილი სამოქალაქო საპროცესო და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში. საკანონმდებლო ცვლილებები შეიცავს ისეთ ნორმებს, რომლებიც განსაზღვრავს იმ ტერიტორიების სტატუსს, რომლებიც თკუპირებულია რუსეთის ფედერაციის სამხედრო აგრესიის შედეგად და ადგენს ამ ტერიტორიების განსაკუთრებულ სამართლებრივ რეჟიმს.

თკუპირებული ტერიტორიების შესახებ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის დანაწესით, საქართველოში თკუპირებული ტერიტორიები და საზღვაო ზონებია: ა) აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიები; ბ) ცხინვალის რეგიონი (ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიები); გ) შავ ზღვაზე რუსეთის ფარერაციასთან საქართველოს სახელმწიფო საზღვრის მდინარე ფსოუდან სამხრეთით მდინარე ენგურის შავ ზღვასთან ჩადინების აღმინისტრაციული საზღვრის გასწვრივ მიმდებარე საზღვაო აკვატორიაში შემავალი საქართველოს შიდა წყლები და ტერიტორიული ზღვა, მათი ფსკერი და წიაღი, რომლებზედაც საქართველო ახორციელებს სუვერენიტეტს, აგრეთვე საზღვაო ზონები: მიმდებარე ზონა, განსაკუთრებული ეკონომიკური ზონა და კონტინენტური შელფი, სადაც საქართველო თავისი კანონმდებლობისა და საერთაშორისო სამართლის ნორმების, კერძოდ, საზღვაო სამართლის შესახებ, გაეროს 1982 წლის კონვენციის შესაბამისად, მიმდებარე ზონაში სარგებლობს ფისკალური, სანიტარული, საიმიგრაციო და საბაჟო უფლებებით, ხოლო განსაკუთრებულ ეკონომიკურ ზონაში და კონტინენტურ შელფზე – სუვერენული უფლებებითა და იურისდიქციით; დ) აღნიშნული ტრიტორიების ზემოთ არსებული საპარტო სივრცე.

თკუპირებულ ტერიტორიებზე აკრძალული ეკონომიკური საქმიანობის განხორციელებისათვის მსჯავრდებული პირის საკანონმდებლო განმარტება

<sup>251</sup> იხ., კორკელია კ, მჭედლიძე ნ, ნალბანდოვი ა, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისობა ადამიანის უფლებათა ეგროპული კონვენციისა და მისი ოქმების სტანდარტებთან, ობ, 2005, 17.

მოცემულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 322<sup>2</sup> მუხლში, რომლის თანახმად, ოკუპირებულ ტერიტორიებზე აკრძალული ეკონომიკური საქმიანობის განხორციელებისათვის მსჯავრდებული პირია ის, რომელმაც ოკუპირებულ ტერიტორიებზე ჩაიდინა ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ საქართველოს კანონით აკრძალული ქმედება. ოკუპირებულ ტერიტორიებზე აკრძალული საქმიანობის საკანონმდებლო ჩამონათვალი საქმაოდ ფართოა და იგი მოიცავს: а) ნებისმიერ ეკონომიკურ (სამეწარმეო ან არასამეწარმეო) საქმიანობას, მიუხედავად იმისა, ხორციელდება თუ არ იგი მოგების, შემოსავლის ან კომპენსაციის მისაღებად, თუ ასეთი საქმიანობა საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით საჭიროებს შესაბამის ლიცენზიას ან ნებართვას. ავტორიზაციის ან რეგისტრაციის გავლას ან შეთანხმებას ასეთის არარეგისტრირებული შემთხვევაში; ბ) სამხედრო და ორმაგი დანიშნულების პროდუქციის შეტანას ან/და გამოტანას; გ) საერთაშორისო საპარტნერო, საზღვაო და სარკინიგზო მიმოსვლას, აგრეთვე საერთაშორისო საგზაო სატრანსპორტო გადაზიდვას; დ) სახელმწიფო რესურსებით სარგებლობას; ე) ფულადი გადარიცხვების ორგანიზებას; ვ) ამ პუნქტის „ა“ - „ე“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული საქმიანობის დაფინანსებას ან რაიმე სხვა ფორმით ხელშეწყობას<sup>252</sup>. ყურადსაღებია ამ მუხლის პირველი ქვეპუნქტით გათვალისწინებული საგამონაკლისო შემთხვევები, რასაც დასაშვებად მიიჩნევს ოკუპირებულ ტერიტორიებზე ამ საქმიანობის განხორციელება მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში, სპეციალური თანხმობით, რომელიც გაიცემა საქართველოს მთავრობის სამართლებრივი აქტით დადგენილი წესით, თუ ეს ემსახურება საქართველოს სახელმწიფო ინტერესებს, კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების, დეოკუპაციის ან პუმანიტრულ მიზნებს.

ოკუპირებულ ტერიტორიებზე აკრძალული ეკონომიკური საქმიანობის განხორციელებისათვის მსჯავრდებულ პირთან დაკავშირებული პირის საკანონმდებლო განმარტებას იძლევა ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ საქართველოს კანონი, რომლის მე-6 მუხლის მე-5 პუნქტის მიზნებიდან გამომდინარე, დაკავშირებული პირია: а) პირი, რომელსაც ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული საქმიანობის განმახორციელებელ პირთან აქვს წილი ან აქციათა 5 პროცენტზე მეტი; ბ) პირი, რომელსაც აქვს წილი ან აქციათა 25 პროცენტზე მეტი ამ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ პირთან; გ) პირი, რომელსაც აქვს წილი ან აქციათა 50 პროცენტზე მეტი ამ პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ პირთან.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 356<sup>8</sup> მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის დანაწესით, ოკუპირებულ ტერიტორიებზე აკრძალული ეკონომიკური საქმიანობის განხორციელებისათვის მსჯავრდებულ პირთან დაკავშირებული პირის ქონებას წარმოადგენს ნებისმიერი ქონება ან ამ ქონებიდან მიღებული შემოსავალი.

ამდენად, მითითებული სამართლის ნორმები ითვალისწინებს როგორც აკრძალული ეკონომიკური საქმიანობის განხორციელებისათვის

<sup>252</sup> ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტი, №431, 2008.

მსჯავრდებული პირისათვის ქონების ჩამორთმევას, ისე მსჯავრდებულ პირთან დაკავშირებული პირის დასჯასაც, ქონების ჩამორთმევის გზით.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის XLIV<sup>2</sup> თავით რეგულირდება არა აკრძალული ეკონომიკური საქმიანობის განხორციელებისას შეძენილი ქონების ჩამორთმევის საკითხი, არამედ აკრძალული ეკონომიკური საქმიანობის განხორციელებისთვის მსჯავრდებულ პირთან დაკავშირებულ პირად ცნობის საკითხი. ამასთან, სარჩელი შეიძლება აღიძრას იმ შემთხვევაში, თუ მსჯავრდებული პირის მიმართ გამოტანილი სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულება ვერ ხერხდება. ამ კატეგორიის საქმეებზე სარჩელს აღძრავს პროკურორი, რომელიც უფლებამოსილია აღძრას სარჩელი, თუ ოკუპირებულ ტერიტორიებზე აკრძალული ეკონომიკური საქმიანობის განხორციელებისათვის მსჯავრდებული პირის მიმართ გამოტანილი სასამართლო გადაწყვეტილება ითვალისწინებს ჯარიმას ან ქონების ჩამორთმევას და მსჯავრდებული პირის მიმართ ვერ ხერხდება აღსრულება. როგორც ვხედავთ, სამოქალაქო სამართლაწარმოება წარმოადგენს ეწ შუალედურ რგოლს და, თავის მხრივ, ესახურება ოკუპირებულ ტერიტორიებზე აკრძალული ეკონომიკური საქმიანობის განხორციელებისათვის მსჯავრდებული პირის მიმართ გამოტანილი გადაწყვეტილების სხვაგვარ აღსრულებას.

სამოქალაქო სამართლაწარმოების დაწყების წინა პირობას წარმოადგენს სისხლის სამართლაწარმოების წესით დამდგარი კანონიერ ძალაში შესული განახენის არსებობა. სისხლის სამართლაწარმოების წესით უნდა დადგინდეს პირი, რომელმაც ჩაიდინა სისხლის სამართლის კოდექსის 322<sup>2</sup> მუხლით გათვალისწინებული ქმედება, როგორიცაა ოკუპირებულ ტერიტორიებზე ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ საქართველოს კანონით აკრძალული ეკონომიკური საქმიანობა.

პროკურორის მიერ სამოქალაქო სარჩელის აღძვრაზე ვრცელდება ხანდაზმულობის ათწლიანი ვადა. სარჩელის წარდგენის ხანდაზმულობა იწყება სისხლის სამართლის წესით სასამართლოს განახენის კანონიერ ძალაში შესვლის მომენტიდან და წყდება უფლებამოსილი პირის მიერ სამოქალაქო სარჩელის შეტანით. ხანდაზმულობის ათწლიანი ვადის გასვლასთან ერთად, პროკურორს ერთმევა უფლება წარადგინოს სამოქალაქო სარჩელი.

წინამდებარე პარაგრაფში მიმოვიხილავთ მტკიცების ტვირთის განაწილებას პირის ოკუპირებულ ტერიტორიებზე აკრძალული ეკონომიკური საქმიანობის განხორციელებისათვის მსჯავრდებულ პირთან დაკავშირებულ პირად ცნობის თაობაზე საქმის განხილვის დროს, რაც განპირობებულია იმ გარემოებით, რომ განსახილველ სამოქალაქო სამართლაწარმოებაში მტკიცების ტვირთის განაწილების ინსტიტუტი ახალი შინაარსით წარმოგვიდგება.

სამოქალაქო სამართლაწარმოებაში არსებითი მნიშვნელობისაა ის, თუ როგორი წესით უნდა დამტკიცდეს დამტკიცებას დაქვემდებარებული ფაქტები, ვის ეკისრება მათი მტკიცების ტვირთი. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლით გათვალისწინებული შეჯიბრებითობის პრინციპის თანახმად, მტკიცების ტვირთი თანაბარზომიერად ნაწილდება მხარეთა

შორის. შესაბამისად, როგორც მოსარჩელე, ასევე მოპასუხე მხარე უშუალოდ ამტკიცებს იმ გარემოებებს, რაზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებს თუ შესაგებელს. მხარეთა შორის მტკიცების ტვირთი არათანაბარზომიერად ნაწილდება პირის ოკუპირებულ ტერიტორიებზე აკრძალული ეკონომიკური საქმიანობის განხორციელებისათვის მსჯავრდებულ პირთან დაკავშირებულ პირად ცნობის თაობაზე საქმის განხილვასთან დაკავშირებულ წარმოებაში. კერძოდ, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 356<sup>9</sup> მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, მოსამართლე პირს ცნობს ოკუპირებულ ტერიტორიებზე აკრძალული ეკონომიკური საქმიანობის განხორციელებისათვის მსჯავრდებულ პირთან დაკავშირებულ პირად, თუ სათანადო მტკიცებულებათა შეფასების საფუძველზე გაირკვა, რომ არსებობს ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ საქართველოს კანონით გათვალისწინებული საფუძველები. ამავე მუხლის მესამე ნაწილის თანახმად, მოსარჩელე ვალდებულია სასამართლოს წარუდგინოს მტკიცებულებები მოპასუხების ოკუპირებულ ტერიტორიებზე აკრძალული ეკონომიკური საქმიანობის განხორციელებისათვის მსჯავრდებულ პირთან დაკავშირებულ პირად ცნობის შესახებ. მოსარჩელე სასარჩელო განცხადებაში ემყარება მოპასუხების ბრალეულობას, მაგრამ არ არის ვალდებული იგი დაამტკიცოს – არსებობს მოპასუხების ბრალეულობის პრეზუმაცია და მოპასუხე თავად ამტკიცებს მის არარსებობას. თავის მხრივ, მოსარჩელისათვის საკმარისია დაეყრდნოს მოპასუხების ვალდებულების შეუსრულებლობას.

აღნიშნულიდან გამომდინარე, შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ საქმე გვაქვს მტკიცების ტვირთის არატრადიციულ, არაკლასიკურ ფორმასთან. იგი წარმოგვიდგება ე.წ. შერეული სახით.

განსახილველი კატეგორიის საქმებზე სამართალწარმოება შესაძლებლობას იძლევა მიღებულ იქნეს დაუსწრებელი გადაწყვეტილება, გარდა გარკვეული გამონაკლისებისა. კერძოდ, პირის ოკუპირებულ ტერიტორიებზე აკრძალული ეკონომიკური საქმიანობის განხორციელებისთვის მსჯავრდებულ პირთან დაკავშირებულ პირად ცნობის შესახებ სამართალწარმოებაში დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის დამაბრკოლებელ გარემოებას არ წარმოადგენს საქართველოს სსკ-ის 233-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის დებულება, რომელიც ადგენს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის დაუშვებლობის ერთ-ერთ წინა პირობას<sup>253</sup>.

სამოქალაქო სამართალწარმოება მიმდინარეობს შეჯიბრებითობის საფუძველზე. მხარეები თანაბრად არიან უფლებამოსილი შეაგროვონ საქმეზე პროცესუალური მასალები, ე.ი მტკიცებულებები და მონაწილეობა მიიღონ საქმის განხილვაში. მოქმედი შეჯიბრებითობის პრინციპიდან გამომდინარე, სასამართლოს მთავარ სხდომაზე მოპასუხების გამოუცხადებლობის შემთხვევაში არსებობს ვარაუდი, რომ მოპასუხე აღიარებს სარჩელის საფუძვლად მითითებულ ფაქტობრივ გარემოებებს და

<sup>253</sup> მხარის გამოუცხადებლობის შემთხვევაში სასამართლოს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა დაუშვებელია თუ გამოუცხადებელ მხარეს დროულად არ ეცნობა საქმის ფაქტობრივი გარემოებები.

ცნობს სარჩელს. ამიტომ, საქმის ფაქტობრივი გარემოებები მიიჩნევა დადასტურებულად. საკითხის ამგვარი გადაწყვეტა მხოლოდ მაშინ არ ეწინააღმდეგება შეჯიბრებითობის პრინციპს, თუ სხდომაზე გამოცხადებელი მხარე მოწვეული იყო საქმის განხილვაზე კანონით დადგენილი წესით. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 71-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლო უწყება ადრესატს ბარდება მხარის მიერ მითითებული ძირითადი მისამართის ფაქტობრივი ადგილსამყოფელის), ალტერნატული მისამართის, სამუშაო ადგილის ან სასამართლოსათვის ცნობილი სხვა მისამართის მიხედვით. იმ შემთხვევაში, თუ, მოპასუხე მხარისათვის უცნობია სარჩელის განხილვის თარიღი (სასამართლო უწყება მისთვის არავის ჩაუბარებია), ის ფიზიკურად ვერ შესძლებს არჩევანი გააკეთოს სხდომაზე გამოცხადებსა და გამოცხადებლობას შორის. საქართველოს სსკ-ის 233-ე მუხლის დანაწესი მხარის გამოცხადებლობის შემთხვევაში, დაუშვებლად მიიჩნევს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანას, თუ: ა) გამოცხადებული მხარე არ იყო მოწვეული 70-78-ე მუხლებით დადგენილი წესით; ბ) სასამართლოსათვის ცნობილი გახდა, რომ ადგილი ჰქონდა დაუძლეველ ძალას ან სხვა მოვლენებს, რომელსაც (რომლებსაც) შეეძლო ხელი შეეშალა სასამართლოში მხარის დროულად გამოცხადებისათვის; გ) გამოცხადებელ მხარეს დროულად არ ეცნობა საქმის ფაქტობრივი გარემოებები; დ) არ არსებობს სარჩელის აღმვრის წინაპირობები. როგორც ვხედავთ, კანონმდებელი იცავს მოპასუხების ინტერესს. დაუსწრებელი გადაწყვეტილებით არ უნდა შეიღახოს მხარის მოსმენის უფლება. დაუსწრებელი გადაწყვეტილება არ დადგეს ისეთ პირობებში, როდესაც სასამართლოსათვის ცნობილია მხარის გამოცხადების დამაბრკოლებელი გარემოებების არსებობა. მხარის გამოცხადებლობის საპატიოობისათვის არ არის საკმარისი მხოლოდ დაუძლეველი ძალის არსებობა, არამედ გასათვალისწინებელია „სხვა მოვლენის“ არსებობაც, რასაც მხარის გამოცხადებისთვის რეალურად შეეძლო ხელის შეშლა, მაგალითად, მხარის ყოფნა ოკუპირებულ ტერიტორიებზე და მისთვის „საზღვრის“ გადალახვის პროცედურა.

დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა განპირობებულია საპროცესო ეკონომიის პრინციპით, რაც გულისხმობს საქმის დროულად, გაჭიანურების გარეშე გადაწყვეტას. ასეთ შემთხვევაში, გადაწყვეტილება, თუ იგი არ გასაჩივრებულა, მალე შედის კანონიერ ძალაში და მისი აღსრულებაც უმოკლეს ვადაში მოხდება<sup>254</sup>. როგორც ვხედავთ, დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა დამოკიდებულია მხარისათვის უწყების ჩაბარებაზე და მისი სასამართლოში გამოცხადების ობიექტურ შესაძლებლობაზე, რაც შესაძლოა შეუძლებელი გახდეს ხშირ შემთხვევაში მხარის მისამართის (ფაქტობრივი ადგილსამყოფელის) ოკუპირებულ ტერიტორიაზე არსებობის გამო. მართალია, საქართველოს სსკ-ის 70-ე მუხლის მესამე ნაწილი ითვალისწინებს უწყების ტელეფონით ჩაბარებას, თუმცა, თუ გავითვალისწინებთ საქართველოში შექმნილ დე ფაქტო

<sup>254</sup> იხ., ბასილა ფ, მოპასუხების მიერ პასუხის (შესაგებლის) წარუდგენლობის შედეგები. უკრ, „მართლმსაჯულება და კანონი“, თბ, 2010, №1.

სიტუაციას და იმას, რომ კონფლიქტი ოკუპირებულ ტერიტორიებზე კვლავ მოუწესრიგებელია, არსებობს პროცესის მონაწილე სუბიექტის სასამართლო სხდომაზე გამოუცხადებლობის დიდი აღბათობა. აღნიშნული გარემოება, თავის მხრივ, შეიძლება უარყოფითად აისახოს როგორც მართლმსაჯულების, ისე სახელმწიფოს ინტერესებზე, იმ თვალსაზრისით, რომ შეილახოს მხარეთა თანაბარ პირობებში მოსმენის უფლება, რაც გარანტირებულია როგორც შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტებით, ისე, ადამიანის უფლებათა უპროპული კონკრეტიის მე-6 მუხლით (სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლება)<sup>255</sup>.

ზემოთ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით განვითარებულ მსჯელობაზე დაყრდნობით, მარტივია იმის მტკიცება, რომ ვინაიდან საქმე ეხება ფაქტობრივ მდგომარეობას, რომელიც ხელისუფლების კონტროლს მიღმა რჩება, ამ კატეგორიის საქმეებზე დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა გაუმართდებელია.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 356<sup>11</sup> მუხლი შეიცავს სპეციალურ დანაწესს სარჩელის უზრუნველყოფის დონისძიების შესახებ განცხადების საგადაებულო წარდგენის თაობაზე, რომლის თანახმად, თუ არსებობს მონაცემები ოკუპირებულ ტერიტორიებზე აკრძალული ეკონომიკური საქმიანობის განხორციელებისათვის მსჯავრდებულ პირთან დაკავშირებული პირის მფლობელობაში არსებული ქონების გადამალვასა ან დახარჯვაზე, ანდა სხვაგვარად გასხვისებაზე პროკურორი ვალდებულია განცხადებით მიმართოს სასამართლოს ამ ქონებაზე, მათ შორის, საბანკო ანგარიშებზე, ყადაღის დადების მოთხოვნით.

განსახილველი სამართალწარმოების შედეგად მიღებული გადაწყვეტილებით შესაძლოა დადგინდეს მსჯავრდებული პირის მიმართ გამოტანილი სასამართლო გადაწყვეტილებით გათვალისწინებული ჯარიმის სახით დაკისრებული თანხის გადახდევინების (ქონების ჩამორთმევის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების შემთხვევაში – ეკვივალენტური დირექტულების ქონების ჩამორთმევა ან თანხის გადახდევინება) აღსრულების მიქცევა მსჯავრდებულ პირთან დაკავშირებული პირის ქონებაზე. ეს თავის მხრივ, არ გამორიცხავს მსჯავრდებულ პირთან დაკავშირებული პირის ქონებაზე სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებას.

<sup>255</sup> European Convention of Human Rights and fundamental Freedoms (1950, 1952), A Compilation of International Instructions. UN, New York and Geneva, 1994.

## დ ა ს პ ვ ნ ა

წარმოდგენილი ნაშრომის შესახებ არსებული პრაქტიკული, ნორმატიული და სამეცნიერო მასალის შესწავლის შედეგად, დასკვნის სახით შეიძლება ჩამოვაყალიბოთ რამდენიმე ძირითადი დებულება, რომელიც წარმოაჩენს საკითხის პრობლემურობას და შეიცავს მის ინოვაციურ გადაწყვეტას:

1. საქართველოს ახალი სამოქალაქო საპროცესო კოდექსის ძალაში შესვლის შემდეგ, მტკიცების ტვირთოან დაკავშირებით არ არსებობს არც ერთი მონოგრაფიული გამოკვლევა. ნაშრომის დასაწყისშივე აღნიშნულია, რომ აქამდე შემუშავებულ სამეცნიერო ნაშრომებში ასახული ძირითადი დებულებები აღარ შეესაბამება თანამედროვე საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართლის მოთხოვნებს. ქართული სამოქალაქო საპროცესო სამართლის საყოველთაო უნიფიკაციის გზაზე მოხდა სასამართლოს აქტიურობის პრინციპის ტრანსფორმაცია სასამართლო ხელმძღვანელობის პრინციპად. აქტუალურია საკითხი იმის შესახებ თუ, ვინ უნდა წარმოადგინოს მტკიცებულება სასამართლოში, სხვაგვარად, ვის ეკისრება მტკიცების ტვირთი? ნაშრომში ნაჩვენებია როგორ ხდება მხარეთა შორის მტკიცების ტვირთის პრაქტიკული განაწილება და რა ზეგავლენას ახდენს იგი სამოქალაქო საპროცესო სამართლის ფუნდამენტურ პრინციპებსა და ინსტიტუტებზე.

საქართველოში სასამართლო რეფორმის შედეგად მივიღეთ, რომ მართლმსაჯულება ხორციელდება შეჯიბრებითობისა და დისპოზიციურობის პრინციპების შესაბამისად, რომელიც ინკვიზიციურობისაგან განსხვავებით, არ გულისხმობს სასამართლოს მიერ საქმეზე „ობიექტური ჰეშმარიტების“ დადგენას, არამედ დავხტის განხილვისას სასამართლო მთლიანად ეყრდნობა მხარეთა აქტიურობასა და თვითინიციატივას და მხოლოდ მხარეების მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებების ფარგლებში იხილავს ყოველ კონკრეტულ სამოქალაქო საქმეს და გამოაქვს არა არსებითად სწორი გადაწყვეტილება, როგორც ეს დამახასიათებელი იყო რეფორმამდე არსებული სასამართლოებისათვის, არამედ – დასაბუთებული გადაწყვეტილება, რომელიც ემსახურება პროცესის ე.წ. მხარეთა ორთაბრძოლის სამართლიან დასრულებას. ამგვარად, სასამართლო რეფორმის შედეგად ჩამოყალიბებული და თანამედროვე იურიდიულ აზროვნებას მორგებული საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მიღების შემდგომ, სამართლწარმოების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საპროცესო მოქმედება გახდა მტკიცების პროცესი. თანამედროვე სამოქალაქო საპროცესო სამართლში დისპოზიციურობისა და შეჯიბრებითობის პრინციპის მოქმედების პირობებში სწორედ მტკიცების ტვირთის რეალიზებასა და მის ხარისხება დამოკიდებული მხარეთა შორის წარმოშობილი დავის (კონფლიქტის) განხილვის საპროცესო შედეგი (საბოლოო რეზულტატი). ამიტომაც, აქტუალურია მტკიცების ტვირთის არსისა და მისი მნიშვნელობის გააზრება, მხარეთა შორის მტკიცების ტვირთის სწორი გადანაწილება, მოდავე მხარეთა მიერ მტკიცების ტვირთის რეალიზება. შეიძლება გადაუჭარბებლად ითქვას, რომ მტკიცების ტვირთი

არის სწორედ ის ხერხემალი სამართალწარმოებისა, რომლის გარეშეც არ დგება არც ერთი სასამართლოს შემაჯამებელი გადაწყვეტილება და, მაშასადამე, წარმოდგენილი ნაშრომი, რომელშიც რეფორმის შემდეგ, პირველადაა კომპლექსურად გაანალიზებული მტკიცების ტვირთი, მისი როლი და მნიშვნელობა, შესწავლილია მოდავე მხარეებს შორის მტკიცების ტვირთის სწორი გადანაწილება და განხილულია ის მატერიალურ-სამართლებრივი შედეგები, რომლებიც დგება მტკიცების ტვირთის სწორი ან/და არასწორი გადანაწილების შედეგად არის აქტუალური და მიგვითოთებს მის მნიშვნელობასა და სიახლეზე.

წარმოდგენილი ნაშრომი ემყარება მიღწეული შედეგების გათვალისწინებას და, ამასთან, ახლებურად წარმოაჩენს თანამედროვე სამართალწარმოებაში მტკიცებს ტვირთის მნიშვნელობას, მხარეთა შორის მტკიცების ტვირთის ინვაციური განაწილების თავისებურებებს წარმოების ისეთი სახეების დროს, როგორიცაა საოჯახო საქმეთა განხილვა, რეკეტული ქონების, თანამდებობის პირის, ქურდული სამყაროს წევრის, ადამიანით მოვაჭრის, ნარკოტიკული საშუალების გავრცელების ხელშემწყობის ან საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 194-ე მუხლის მესამე ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით მსჯავრდებული პირის ქონების ჩამორთმევისა და სახელმწიფოსათვის გადაცემასთან დაკავშირებული საქმეების განხილვა, პირის ოკუპირებულ ტერიტორიებზე აკრძალული ეკონომიკური საქმიანობის განხორციელებისათვის მსჯავრდებულ პირთან დაკავშირებულ პირად ცნობის თაობაზე საქმის განხილვა.

2. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი არ გვაძლევს მტკიცების საკანონმდებლო განმარტებას. სამოქალაქო საპროცესო სამართალში მტკიცების ტვირთის არსის გაგება შეუძლებელია თანამედროვე სამართალწარმოებაში მისი პრაქტიკული გამოყენების გააზრების გარეშე. მტკიცების ტვირთი ბუნდოვან იდეაზე კი არ უნდა აიგოს, არამედ უნდა განიმარტოს, თუ რა მიმართებაშია საპროცესო სამართალუროიერთობის საბოლოო შედეგთან, სადაცო საკითხის გადაწყვეტასთან, ვინაიდან სწორედ ამ დროს ვლინდება მტკიცების ტვირთის არსი. ნაშრომში წარმოებული კვლევის შედეგად მტკიცების ტვირთი გააზრებულ იქნა შემდეგი კუთხიდან: მტკიცების ტვირთი ეს არის დავის მონაწილე მხარის იურიდიული მოვალეობა – შეასრულოს გარკვეული პროცესუალური მოქმედება. სანქცია ამ მოვალეობის შეუსრულებლობისათვის მდგომარეობს იმაში, რომ არახელსაყრელი მატერიალურ-სამართლებრივი შედეგები გარდაუვლად დადგება იმ მხარის მიმართ, რომელმაც ეს პროცესუალური გალდებულება არ შეასრულა.

3. წარმოებული კვლევის შედეგად გამოირკვა, რომ მტკიცების ტვირთის განაწილებას ახასიათებს შერეული ბუნება. მხარეთა შორის მტკიცების ტვირთის განაწილების მნიშვნელობის დადგენის მიზნით, ნაშრომში გაანალიზებულია სასარჩელო და არასასარჩელო წარმოების სახეები. გამოკვლეულია მხარეთა შორის მტკიცების ტვირთის განაწილების საერთო და განმასხვავებელი ნიშნები, რის საფუძველზეც, ზოგადად, გამოიკვეთა მხარეთა შორის მტკიცების ტვირთის განაწილების არაერთგავროვანი წესი. კერძოდ, სამართალწარმოების ისეთი სახეების დროს, როგორებიცაა რეკეტული ქონების, თანამდებობის პირის, ქურდული

სამყაროს წევრის, ადამიანით მოვაჭრის, ნარკოტიკული საშუალების გავრცელების ხელშემწყობის ან საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 194-ე მუხლის მესამე ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით მსჯავრდებული პირის ქონების ჩამორთმევისა და სახელმწიფოსათვის გადაცემასთან დაკავშირებული საქმეების განხილვა, პირის ოკუპირებულ ტერიტორიებზე აკრძალული ეკონომიკური საქმიანობის განხორციელებისათვის მსჯავრდებულ პირთან დაკავშირებულ პირად ცნობის თაობაზე საქმის განხილვა, მტკიცების ტვირთის ვალდებულების მქონეა მოპასუხე, რადგან საბოლოოდ, მოპასუხება ეკისრება სასარჩელო ფაქტების დაუმტკიცებლობით დამდგარი არახელსაყრელი შედეგები, რაც ინოვაციაა ქართულ სამართლებრივ სივრცეში.

ნაშრომში ერთმნიშვნელოვნად არის ხაზგასმული რეკეტული ქონების, თანამდებობის პირის, ქურდული სამყაროს წევრის, ადამიანით მოვაჭრის, ნარკოტიკული საშუალების გავრცელების ხელშემწყობის ან საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 194-ე მუხლის მესამე ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით მსჯავრდებული პირის ქონების ჩამორთმევის მიზანია იმ სოციალური თანასწორობის აღდგენა, რომელიც დაირღვა ამგვარი მატერიალური ფასეულობის შეგროვების პროცესში. ამ კუთხით დაისმის კითხვა დაცულია თუ არა ამგვარი ქონების შემძენი იმ შემთხვევაში, თუკი მისთვის ქონების უკანონოდ შეძენის ფაქტი თავიდანვე უცნობი იყო და ამ ფაქტის მიმართ კეთილსინდისიერია. საკითხის ამ კუთხით განხილვა განაპირობა იმ ობიექტურმა გარემოებამ, რომ ქონების ჩამორთმევას მოქმედი კანონმდებლობა ითვალისწინებს არა მხოლოდ რეკეტიორისათვის, ქურდული სამყაროს წევრის და ა.შ., არამედ, მათთან დაახლოებული პირებისათვისაც. ნიშანდობლივია ისიც, რომ დაახლოებული პირის ცნება შეფასებით კატეგორიას მიეკუთვნება და პირთა საკმაოდ ფართო წრეს მოიცავს. მით უმეტეს, იმგვარ პირობებში, როდესაც თავად სარჩელის ადგვრის ხანდაზმულობა ათწლიანი ვადით განისაზღვრა, რაც, თავის მხრივ, ეჭვებეშ აყენებს ზოგადად სამოქალაქო ბრუნვის მონაწილის დაცულობის ხარისხს. ორივე ინტერესი – კეთილსინდისიერი შემძენის ინტერესი და საჯარო წესრიგი თანაბრად დაცვის ინტერესთა სფეროს მიეკუთვნება. ამ შემთხვევაში გამოსავალი, სტრუქტურული დისტალანსის აღდგენაში უნდა ვეძებოთ, უპირატესობა უნდა მივანიჭოთ კეთისინდისიერების ქცევის სტანდარტს, მორალს, ნდობას - ესენი ის პრიორიტეტებია, რომლებსაც განსაზღვრავს თავად მოვალეობა - დავიცვათ კერძო ავტონომიის ფარგლებში დადებული გარიგებები. კერძო ავტონომიის ფარგლებში დადებული გარიგებების არსებობის პირობებში დაცული უნდა იქნეს ხელშეკრულების მონაწილე სუსტი მხარის ინტერესი თავად გარიგების მიმართ და კეთილსინდისიერი შემძენის არსებობის შემთხვევაში, სოციალური თანასწორობის აღდგენისაკენ სწრაფვისას არ უნდა დაგვავიწყდეს სუსტი მხარის ინტერესების დაცვა<sup>256</sup>.

<sup>256</sup> ი. ხ. Cherednychenko Olha, Fundamental Rights, Contract Law and the Protection of the Weaker Party. A Comparative Analysis of the Constitutionalisation of the Contract Law, with Emphasis on Risky Financial Transactions. Vol. 5, European Law Publishers, 2007, 4, 5.

4. გარკვეული თავისებურებები ახასიათებს საოჯახო საქმეების განხილვისაც. წარმოების ამ სახის თავისებურება იმაში უნდა გამოიხატოს, რომ სხვა სასარჩელო წარმოებისაგან განსხვავებით, ამ წარმოებაში მცირე დოზით, მაგრამ მაინც უნდა შეინიშნებოდეს ინკვიტიურობის ელემენტები, რომელიც უფლებას მისცემს მოსამართლეს თავისი ინიციატივით დაადგინოს საქმის ცალკეული გარემოებები, რომლებზედაც მხარეებს არ მიუთითებიათ. აღნიშნულ სამართალწარმოებაში მტკიცების საგანი მხოლოდ მხარეთა მითითებით არ უნდა განისაზღვროს.

5. ლოგიკურია, რომ სწორედ მტკიცებულებათა მნიშვნელობა განაპირობებს მისადმი უგოდენ სტაბილურ ყურადღებას დოქტრინასა და პრაქტიკაში. საზღვარგარეთ, მეცნიერთა ნაწილი, სხვაობას ხედავს მტკიცებულებით სამართალსა და პროცესს შორის. კერძოდ, ამერიკელ, და არა მხოლოდ ამერიკელ იურისტთა აზრით, პროცესი ითვალისწინებს სასამართლოში საქმის განხილვის წესებს, რომლის მიზანია სასამართლო გადაწყვეტილების მიღება, ხოლო მტკიცება – ეს არის მოსამართლის დარწმუნება, დაქვემდებარება ლოგიკის კანონებისადმი<sup>257</sup>. სადაც არ არის, რომ საქართველოში მტკიცებულებებსა და მტკიცების პროცესთან დაკავშირებული საკითხები არის პროცესის ნაწილი, თუმცა, მისი მნიშვნელობიდან და მოცულობიდან გამომდინარე, სასურველია, რომ „მტკიცებულებითი სამართლის“ სახელწოდებით ისწავლებოდეს საეციალური კურსი. ამ გზით უფრო მეტად იქნება წარმოჩინებული და შესწავლილი სასამართლოში მტკიცებასთან დაკავშირებული კომპლექსური საკითხები; უფრო მეტად შეიცნობა მტკიცებულებებისა და მტკიცების პროცესში მხარის აქტიურობის მნიშვნელობა და, რა თქმა უნდა განვითარდება ახალი სასწავლო (საეციალური) კურსი, რომელიც გააერთიანებს იმ უმნიშვნელოვანებს საკითხებს, რომელთა ირგვლივ მიმდინარეობს საქმის წარმოება სარჩელის წარმოებაში მიღებიდან საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე. ეს კი შესაძლებლობას მისცემს სტუდენტებს, დამწყებ პრაქტიკოსებს, იურისტებს, ადვოკატებს, მეტი ყურადღება დაუთმონ სამართალწარმოების პროცესში ამ საკვანძო საკითხს.

6. უმნიშვნელოვანების საკითხი მტკიცების სტადიების გამიჯვნის შესახებ. მტკიცების სტადიები, ისევე როგორც სამართალწარმოების სხვა სტადიები უნდა ენაცვლებოდეს ერთმანეთს. ნაშრომში განხილულია საერთო სამართლის სისტემის ქვეყნების მაგალითი, სადაც მტკიცების ტვირთი ემიჯნება მტკიცებულებების წარმოდგენის ტვირთს. მტკიცებულებათა წარმოდგენის ტვირთი დაკავშირებულია მატერიალური სამართლის ნორმებთან, ხოლო მტკიცების ტვირთი, – ძირითადად, ამ ტვირთის ვალდებულების მქონე სუბიექტებთან. მტკიცებულებათა წარმოდგენის ტვირთი მოქმედებას იწყებს სამართალწარმოების საწყის ეტაპზე და მიზნად ისახავს პროცესის დასაწყებად საკმარისი მტკიცებულების წარმოდგენას. მოსარჩელე ამ ეტაპზე აწყდება ორი სახის ბარიერს. მტკიცებულებების წარმოდგენის ტვირთის შესრულება გავლენას ახდენს მტკიცების ტვირთის რეალიზაციაზე. ამ მხრივ, მტკიცებულებათა წარმოდგენის სტადია დასაწყისშივე წარმოაჩენს საქმისათვის მნიშვნელობის

<sup>257</sup> იხ., Гражданский Процесс Зарубежных Стран, под редакцией Давтян А. Г, М, 2008, 237.

მქონე გარემოებებს და ამით მოპასუხეს ექმნება გარკვეული წარმოდგენა საქმის შემდგომი მსვლელობის პერსპექტიულობის შესახებ. მოპასუხებ შესაძლოა, თავიდანვე მორიგება არჩიოს მოსარჩელებთან, რაც განტვირთავს სასამართლოებს საქმეთა სიმრავლისაგან, აარიდებს მხარეებს ზედემეტი საპროცესო ხარჯების გაწევას. ამასთან, მტკიცებულებათა წარმოდგენის ტვირთის ამოცანა დავის არსის დადგენაში, დავის შემადგენელი ძირითადი საკითხების გამოვლენაში მდგომარეობს. მოსამზადებელ სტადიაზე ხდება დავის საგნის დადგენა და შეჯიბრებითი ქაღალდების გაცვლა, რაც ხელს უწყობს მხარეთა ინფორმირებულობასა და სასამართლო სხდომაზე მოულოდნელობის უფექტის თავიდან აცილებას. თუკი მტკიცებულებების წარმოდგენის ვალდებულების პრაქტიკული რეალიზაცია უზრუნველყოფს საქმის განხილვას საჭირო საქმარისი მასალებით, მაშინ მტკიცების ტვირთის შესაბამისად, მხარემ უნდა დაამტკიცოს თავისი სიმართლე იმდენად ზედმიწევნით ზუსტად და დასაბუთებულად, რომ სასამართლოს არავითარი ეჭვი არ უნდა წარმოეშვას – ვის სასარგებლოდ გამოტანოს გადაწყვეტილება. მოცემული წესის საეციფიკა მდგომარეობს შემდეგში: თუ სარჩელში მითითებულ ფაქტობრივ გარემოებებს მოპასუხე არ ხდის სადაცოდ, მაშინ მოსარჩელე განთავისუფლებულია მათი მტკიცებისაგან. ასეთ შეთხევებაში, მოსარჩელეს არ ეკისრება სასარჩელო მოთხოვნის მატერიალური საფუძვლების მტკიცების ტვირთი და იგი მტკიცებულებების წარმოდგენის გარეშე იქმაყოფილებს პრეტენზიას. სასამართლო ავტომატურად გამოიტანს გადაწყვეტილებას სარჩელის დაკმაყოფილების შესახებ. ხოლო, თუ მოპასუხე არ ეთანხმება მოსარჩელის მიერ მითითებულ გარემოებას, მაშინ მოსარჩელე ვალდებულია დაამტკიცოს სადაცო გარემოება შესაბამისი მტკიცებულების წარმოდგენით.

7. ნაშრომში განხილულია ქართული საპროცესო სამართლისათვის უცნობი მტკიცებულების ისეთი სახეები, როგორსაც ითვალისწინებს ინგლისისა და აშშ-ის სამართალწარმოება „აფიდევიტისა“ და „ჩვენება სხვისი სიტყვების სახით“.

„აფიდევიტი“ არის წერილობითი, ფიცის ქვეშ მოცემული ჩვენება ან მოწმის საზეიმო განცხადება. „აფიდევიტი“ შესაძლებლობას იძლევა მიღებულ იქნეს ინფორმაცია მოწმისაგან ან/და პროცესის სხვა მონაწილეებისაგან, რომლებიც ვერ ცხადდებიან პროცესზე ჩვენების მისაცემად. მოწმის ჩვენების „აფიდევიტის“ ფორმაში მიცემის შესახებ გადაწყვეტილება მიიღება სასამართლოს ან მხარის ინციატივით.

„ჩვენება სხვისი სიტყვებით“ არის ინფორმაცია ფაქტის შესახებ, მიღებული არა პირველწელიდან, არამედ მისი მატარებლისაგან. „ჩვენება სხვისი სიტყვებით“ მოიცავს ნებისმიერი სახის ინფორმაციას. მის პირველწელოს შეიძლება წარმოადგენდეს არა მხოლოდ ადამიანი, არამედ ასევე დოკუმენტი, რომლის სასამართლო სხდომაზე წარმოდგენა შეუძლებელია.

ქართული საპროცესო სამართლისათვის უცნობი მტკიცებულების აღნიშნული სახეები საინტერესო უნდა იყოს სამართალწარმოებაში საქმის ფაქტობრივი გარემოებების დასადგენად. ისინი კიდევ უფრო მეტ შესაძლებლობას მისცემს პროცესის მონაწილე მხარეებს წარმოადგინონ

მათთვის ხელსაყრელი მტკიცებულებები თავიანთი წილი მტკიცების ტვირთის სათანადო რეალიზებისათვის.

8. მატერიალური კანონმდებლობით გათვალისწინებულ გამონაკლის შემთხვევებში, ფაქტების მითითების ტვირთი და დამტკიცების ტვირთი ერთმანეთს უნდა გაემიჯნოს. ეს ის გამონაკლისი შემთხვევებია, როდესაც სამართალწარმოება, ძირითადად, მოწინააღმდეგე მხარის მტკიცების ტვირთი უნდა იყოს. სამაგალითო კლასიკური დავები შეეხება მკურნალობის დროს ექიმის მიერ დაშვებულ შეცდომებს და წუნდებული პროდუქტით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების შესახებ მოთხოვნებს. ზიანის დადგომის შესახებ ფაქტობრივი გარემოების დამტკიცება მომხმარებლისათვის პრობლემას არ წარმოადგენს, ხოლო პროდუქტის წუნის დამტკიცება, ანუ იმ გარემოების დამტკიცება, რომ კონკრეტული პროდუქტის წარმოებისას შეცდომა იქნა დაშვებული რთული შესაფასებელი და დასამტკიცებელია მომხმარებლის მხრიდან. ამიტომ, არ არის მართებული, რომ დაზარალებულს, რომელსაც წარმოდგენა არა აქვს წარმოების ტექნოლოგიურ პროცესზე, მთლიანად ეკისრება მტკიცების ტვირთი. დაზარალებული ვერ შესძლებს იმის დამტკიცებას, რომ კონკრეტული პროდუქტის წარმოებისას დაშვებული იყო რაიმე სახის შეცდომა. დაზარალებულის მტკიცების ტვირთი უნდა შემოიფარგლოს მხოლოდ იმ ფაქტობრივი გარემოების მტკიცებით, რომ ნამდვილად პროდუქტის წარმოებისას დაშვებულმა შეცდომამ გამოიწვია ზიანის მისოვის ზიანის მიუენება, რამდენადაც მტკიცების ტვირთის ამგვარი განაწილებით უკეთ იქნება დაცული მომხმარებელთა უფლებები.

9. სამართალს არ შეუძლია და არც უნდა დააფიქსიროს სამართლის სუბიექტების უფლებებისა და მოვალეობების თანაფარდობის უკელა შესაძლო ვარიანტი და კომბინაცია. სამართლის ნორმა ურთიერთობის მონაწილეებს, მათ სავალდებულო და შესაძლებელ ქცევას, მათი მოქმედებების შედეგებს განსაზღვრავს მხოლოდ აბსტრაქტული ფორმით. გარდა ამისა, სამართალი თავისი განვითარების პროცესში ჩამორჩება საზოგადოებრივი ურთიერთობების განვითარების ტემპს. საგულისხმოა, რომ სამართლის ეს კონსერვატიზმი საჭიროებს კომპენსაციას. ამგვარ ფუნქციას ასრულებს სასამართლო. სამართლის შემფარდებული განსაზღვრულ სიტუაციებში ადგენს, რა უფლებებით შეიძლება სარგებლობდეს საპროცესო სამართალურთიერთობის თითოეული მონაწილე და რა მოვალეობები უნდა შეასრულოს თითოეულმა მათგანმა. უმეტეს შემთხვევებში, ეს პროცესი მხარეთა შორის მტკიცების ტვირთის განაწილებაში მდგომარეობს. ამა თუ იმ სამოქალაქო-სამართლებრივი ურთიერთობის სამართლებრივი შეფასებისათვის უნდა დადგინდეს მატერიალურ-სამართლებრივი ნორმით გათვალისწინებული გარკვეული იურიდიული ფაქტების (იურიდიული შემადგენლობის) უტყუარად არსებობა, რაც შესალებელია სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით აღიარებული მტკიცებულებებით. ამასთან, ამა თუ იმ ფაქტობრივი გარემოებების დასაღენად, მტკიცებულებათა მიღება და შეგროვება უნდა განხორციელდეს განკუთვნადობისა და დასაშვებობის პრინციპების მოთხოვნათა გათვალისწინებით. კანონი დაუშვებელ მტკიცებულებათა რიგს, გარდა კანონის დარღვევით მოპოვებული მტკიცებულებებისა ასევე,

მიაკუთვნებს ისეთ მტკიცებულებებს, რომლებიც, მიუხედავად მათი შინაარსისა, არ არის გამოსადეგი ამა თუ იმ გარემოებების დასამტკიცებლად, ვინაიდან ამ გარემოებების დამამატკიცებელი დოკუმენტის სახე თვითონ კანონმა – კონკრეტულად, ნორმამ განსაზღვრა, ზოგიერთ შემთხვევაში მტკიცების სტანდარტს განსაზღვრავს მატერიალური კანონმდებლობა. ერთია საქმის გარემოებებზე მითითება და მეორეა ამ გარემოებების დამადასტურებელი კონკრეტული მტკიცებულებების წარმოდგენა. დამტკიცების ტვირთი საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალში არის მოძრავი, იგი არაა მუდმივად მიჯაჭვული პრეზუმაციაზე და გადადის პროცესის იმ მონაწილეებზე, რომლებისთვისაც უფრო ადგილია, ვიდრე სხვა მონაწილისათვის, წარმოადგინოს მტკიცებულება. დებულება იმის შესახებ, რომელი მხარისათვის უფრო ადგილი და მოსახერხებელია დამტკიცოს ესა თუ ის ფაქტი, აგრეთვე, რომელი ფაქტების დამტკიცების საფუძველზე წარმოიშობა ვარაუდი ამა თუ იმ მხარის სასარგებლოდ კანონში ბუნდოვანია და არ არის განსაზღვრული. ამ საკითხის მოწესრიგებას უზრუნველყოფენ სასამართლოები. „ამ გზით შეიძლება საქართველოს კანონმდებლობაში გაჩნდეს ახალი ფასეულობები და ქცევის წესები. მით უფრო, რომ თანამედროვე სამართლებრივ სისტემაში კოდიფიცირებული სამართალი არ ზღუდავს სამართლის განვითარებას“<sup>258</sup>.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი გერმანული სამოქალაქო საპროცესო კოდექსისაგან განსხვავებით არ ითვალისწინებს გადახვევას დისპოზიციურობის პრინციპიდან. ამიტომ სასურველია ცალკეული კატეგორიის საქმეებზე კოდექსმა სასამართლოს მიანიჭოს უფლებამოსილება გადაუხვიოს დისპოზიციურობის პრინციპს და ინკვიზიციურობის გარკვეული ელემენტების გამოყენებით განიხილოს დავა, რომლის ძალითაც სასამართლო მტკიცების საგანს მისცემს ფორმულირებას მტკიცების ტვირთის შესაბამისად. მოსამართლის ეს საპროცესო მოქმედება საქმეში მონაწილე მხარეებისათვის თვალსაჩინოს გახდის, თუ რომელ დასამტკიცებელ ფაქტთან დაკავშირებით უნდა ჩამოაყალიბონ თავიანთი შეხედულება. მოსამართლის ამ უფლებამოსილებით თავიდან იქნება აცილებული ზედმეტი საპროცესო დონისძიებები, ამით დაცული იქნება პროცესის ეკონომიკის პრინციპი, რომლის მიხედვითაც, სასამართლო, მტკიცებულების სახით, მიიღებს მხოლოდ იმ მონაცემებს, რომლებიც საფუძვლად უნდა დაედოს სასამართლო გადაწყვეტილებას. იმავდროულად, მხარეებიც იქნებიან ინფორმირებული მტკიცების ტვირთის შესახებ.

<sup>258</sup> კერძებლიდან და კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, ობ, 2009, 70.

## გიგლიორგაზია

### ნორმატიული მასალა

საქართველოს კონსტიტუცია, 1995.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, პარლამენტის უწყებანი, №47-48, 1997.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, საქართველოს პარლამენტის უწყებანი, №31, 1997.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, №1772 - IIს, 2010.

საქართველოს სსრკ სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, 1964.

„ორგანიზებული დანაშაულისა და რეკეტის შესახებ“ საქართველოს კანონი, პარლამენტის უწყებანი, №2354-რს, 2004.

„მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონი“, საქართველოს პარლამენტის უწყებანი, №21-№22 (14.03.2008 №5913), 1994.

„ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ საქართველოს კანონი №431, 2008.

საქართველოს კანონი „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“, საქართველოს პარლამენტი №1139, 1997.

საქართველოს კანონი „პაციენტის უფლებების შესახებ“, საქართველოს პარლამენტი №283, 2000.

Гражданский Процессуальный Кодекс РФ, 2003.

Zivilprozessesordnung (ZPO), 2010, C.H. Beck, München.

Bürgerliches Gesetzbuch (BGB), 2001, C.H. Beck, München.

The Constitution of the United States of America, 1787, Federal Rules of Civil Procedure, 1997-98, Educational Edition, St. Paul, Minn, 1997.

European Convention of Human Rights and Fundamental Freedoms, 1950.  
<http://www.conventions.coe.int/Treaty/en/Treaties/Html/005.htm>

Civil Evidence Act. 1968, 1972, 1995.

Federal Rules of Evidence, 1975.

Federal Rules of Civil Procedure, 1997.

Code de Procedure Civile de la France, 2007.

გერმანიის სამოქალაქო კოდექსი (ქართულ ენაზე თარგმანი, ბეჭედული მიღება) თბილისი, 2010.

*Гражданское Процессуальное Уложение Германии, перевод с немецкого, М, 2006.*

## სასამართლოს გადაწყვეტილებები

სუსგ. 2011 წლის 27 ივნისი, სამოქალაქო საქმე №ას-260-244-11.

სუსგ. 2011 წლის 01 ნოემბერი, სამოქალაქო საქმე №ას-715-674-2011.

სუსგ. 2009 წლის 13 აპრილი, სამოქალაქო საქმე №ას-55-389-09.

სუსგ. 2009 წლის 23 აპრილი, სამოქალაქო საქმე №ას-861-1075-08.

სუსგ. 2008 წლის 19 მარტი, სამოქალაქო საქმე №ას-766 1092-07.

სუსგ. 2007 წლის 25 სექტემბერი, სამოქალაქო საქმე №ას-296-624-07.

სუსგ. 2007 წლის 27 ნოემბერი, სამოქალაქო საქმე №ას-537-879-07.

სუსგ. 2005 წლის 26 ივლისი, ადმინისტრაციული საქმე №ბს-434-25(3) 05).

სუსგ. 2005 წლის 14 სექტემბერი, სამოქალაქო საქმე №ას-874-1146-05.

სუსგ. 2004 წლის 20 აპრილი, სამოქალაქო საქმე №ას-97-402-04.

სუსგ. 2002 წლის 4 მარტი, სამოქალაქო საქმე №3/441-01.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2011 წლის 05 ივლისის განჩინება, სამოქალაქო საქმე №2ბ/874-11.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 13 იანვრის გადაწყვეტილება, სამოქალაქო საქმე №2ბ/12789-10.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 27 იანვრის გადაწყვეტილება, სამოქალაქო საქმე №2ბ/2283-09.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 25 ივნისის გადაწყვეტილება, სამოქალაქო საქმე №2ბ/932-09.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 25 ოქტომბრის გადაწყვეტილება, სამოქალაქო საქმე №2ბ/1299-07.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2006 წლის 21 სექტემბრის განჩინება. სამოქალაქო საქმე №2ბ/256-06.

თბილისის გლდანი-ნაძალადევის რაიონული სასამართლოს 2003 წლის 09 ივნისის გადაწყვეტილება, სამოქალაქო საქმე №2/607.

თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა სააპელაციო პალატის 2003 წლის 03 ნოემბრის გადაწყვეტილება, სამოქალაქო საქმე №2ბ/2297-03.

რეკომენდაცია №R(94)12, მოსამართლე და მართლმსაჯულება, საქართველოს უზანაესი სასამართლო, ადამიანის უფლებათა ცენტრი, თბილისი, 2001.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებებში გამოყენებულ ნორმათა განმარტებანი, თბილისი, 2010.

## სამეცნიერო ნაშრომები

ბახილაია გ, საოჯახო საქმეთა განხილვის თავისებურებანი და დაუსწრებელი გადაწყვეტილება, ჟურნ. „მართლმსაჯულება და კანონი“, საქართველოს მოსამართლეთა ასოციაცია, №4 (23), 2009, 26.

ბოხაშვილი ბ, ადამიანის უფლებათა ეგროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი, თბილისი, №9, 2008.

ბურდული ი, სააქციო სამართლის საფუძვლები (გერმანული და ქართული სამართლის მაგალითზე), თბილისი, 2010.

ბურდული ი, სავალდებულო სატენდერო შეთავაზება. აქციათა სავალდებულო გაყიდვა: აქციით მინიჭებული უფლების ბოროტად გამოყენება თუ კაპიტალის ბაზრის განვითარების აუცილებელი წინაპირობა?! ჟურნ. მართლმსაჯულება, თბილისი, 2007, №2.

ბურდული ი, სამეწარმეო (სავაჭრო) სამართლის განვითარება საქართველოში და გერმანიაში (შედარებითი სამართლებრივი კვლევა), თბილისი, 2007.

**ბიოლინგი** პ, მოსამართლეთა სემინარი თემაზე: გადაწყვეტილების მიღების მეთოდიკა, ბაქურიანი, 2007.

**ბიოლინგი** პ, ლუგრინგპაუსი პ, შატბერაშვილი ლ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ცალკეული მოთხოვნის სისტემური ანალიზი, თბილისი, 2005.

**ბიოლინგი** პ, ჭანტურია ლ, სამოქალაქო საქმებზე გადაწყვეტილების მიღების მეთოდიკა, მე-2 გამოცემა, თბილისი, 2004.

**ზოიძე** ბ, საკონსტიტუციო კონტროლი და ლირებულებათა წესრიგი საქართველოში, თბილისი, 2007.

**ზოიძე** ბ, ევროპული კერძო სამართლის რეცეფცია საქართველოში, თბილისი, 2005.

**ზოიძე** ბ, ძველი ქართული მემკვიდრეობითი სამართალი, თბილისი, 2000.

**ზოიძე** ბ, ქართული ვალდებულებითი სამართლის სისტემა და პრინციპები, ჟურნ. ქართული სამართლის მიმოხილვა, 2000, 3/4 კვ.

**თოდრია** ო, ფაქტობრივი გარემოებების მნიშვნელობა საკასაციო სასამართლოში თბილისი, 2011.

**თომაძე** ლ, საგადასახადო ვალდებულებები და საკუთრების უფლება – ევროპული სასამართლოს ხედვა, ადამიანის უფლებათა დაცვის კონსტიტუციური და საერთაშორისო მექანიზმები სტატიათა კრებული, რედაქტორი კორკელია კ, თბილისი, 2010.

თანამედროვე საკორპორაციო სამართლის თეორიული და პრაქტიკული საკითხები, თინათინ წერილის სახელობის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტი, თბილისი, 2009.

**ოოსელიანი** ა, კეთილსინდისიერების პრინციპი სახელშეკრულებო სამართალში, შედარებით – სამართლებრივი გამოკვლევა, ჟურნ. ქართული სამართლის მიმოხილვა, სპეციალური გამოშვება, თბილისი, 2007.

**კახნიაშვილი** ა, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისობა ევროკონვენციასთან, თბილისი, 2002.

**კერებელიძე** ლ, კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, თბილისი, 2009.

**კორკელია** კ, როგორ უზრუნველვყოთ საქართველოში ადამიანის უფლებათა დაცვა ევროპული სტანდარტებით, თბილისი, 2010.

კორეგლია კ, ევროპული სტანდარტების ინტეგრაციისაკენ: ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია და საქართველოს გამოცდილება, თბილისი, 2008.

კორეგლია კ, მჯედღიძე ნ, ნალბანდოვი ა, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისობა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციისა და მისი ოქმების სტანდარტებთან, თბილისი, 2005.

კვანტალიანი ნ, „პაციენტის უფლებები და ჯანმრთელობის დაცვის პერსონალის სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძვლები“. დისერტაცია იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო სარისხის მოსაპოვებლად, თბილისი, 2012.

ლილუაშვილი თ, ხრუბალი გ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი, თბილისი, 2007.

ლილუაშვილი თ, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი, თბილისი, 2005.

ლილუაშვილი თ, სამოქალაქო საქმეთა წარმოება სასამართლოში პრაქტიკული სახელმძღვანელო, მე-2 გამოცემა, თბილისი, 2001.

ლილუაშვილი თ, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი, თბილისი, 1992.

მეგრელიძე კ, აზროვნების სოციოლოგიის ძირითადი პრობლემები, თბილისი, 1965.

მეგრებაშვილი ი, სასამართლოში სამოქალაქო საქმეთა განხილვისას მხარეთა შეჯიბრებითობისა და მოსამართლეთა აქტიურობის პრინციპების მოქმედება, უკურნ. მართლმსაჯულება და კანონი, საქართველოს მოსამართლეთა ასოციაცია, №4 (23), 2009.

პედაგოგიური ფსიქოლოგია, ნაწილი I, რედ, ჩხარტიშვილი გ, თბილისი, 1962.

რენჯ დავიდი, თანამედროვეობის ძირითადი სამართლებრივი სისტემები, რუსული გამოცემიდან თარგმნა თემო ნინიძემ, თბილისი, 1993.

უზნაძე დ, ზოგადი ფსიქოლოგია, თბილისი, 1980.

უცხო სიტყვათა ლექსიკონი, შემდგენელი ჭაბაშვილი გ, თბილისი, 1964.

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, რედ. ა. ჩიქობავა, თბილისი, 1986,

**ქირია გ, რეკეტული ქონების ან ქურდული სამყაროს წევრის ქონების ჩამორთმევისა და სახელმწიფოსათვის გადაცემასთან დაკავშირებული წარმოების კომენტარი საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მიხედვით, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი, თბილისი, 2006.**

**ქირია გ, სასამართლო გადაწყვეტილებათა გადასინჯვის თეორიულ-პრაქტიკული კომენტარები საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მიხედვით, თბილისი, 2002.**

**ქურდაძე გ, სამოქალაქო საქმეთა განხილვა პირველი ინსტანციის სასამართლოში, მე-2 გამოცემა, თბილისი, 2006.**

**ხუბუა გ, სამართლის თეორია, თბილისი, 2004.**

**ციბელიუხიშვილი რ, იურიდიული მეთოდების მოძღვრება, მე-10 გადამუშავებული გამოცემა, მიუნხენი 2006, (თარგმანი ქართულ ენაზე – თოთლაძე ლ, სამუცნიერო რედაქტორი ტურავა მ. (2009)).**

**ცვაიგერტი პ, კოტცი პ, შედარებითი სამართალმცოდნეობის შესავალი კერძო სამართლის სფეროში, ტომი I, (თარგმანი ქართულ ენაზე – სუმბათა შვილი ე, მეცნიერული რედაქცია ნინიძე თ.) თბილისი, 2000.**

**ცვაიგერტი პ, კოტცი პ, შედარებითი სამართალმცოდნეობის შესავალი კერძო სამართლის სფეროში, ტომი II, თბილისი, 2001.**

**შენგელია რ, შენგელია ე, საოჯახო სამართალი, თბილისი, 2009.**

**პოთაძე თ, უხარისხო პროდუქტით მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებლობის სამართლებრივი პრობლემა ქართულ და ევროპულ კანონმდებლობაში, ურნ. მართლმსაჯულება, №2 (2007).**

**ხოფერია ნ, დისპოზიციურობა საქართველოს ახალი სამოქალაქო მატერიალური და საპროცესო სამართლის მიხედვით, ურნ. ქართული სამართლის მიმოხილვა, 1998.**

**ხოფერია ნ, შეჯიბრებითობის პრინციპი სამოქალაქო საპროცესო სამართალში. დისერტაცია იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, 1999.**

**ხოფერია ნ, მტკიცებულებათა თეორია გერმანიის სამოქალაქო საპროცესო სამართალში, ლილუაშვილი თ, საიუბილეო კრებული „75“. გამოცემულია გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობის საზოგადოების მხრდაჭერით.**

**ხურცილავა რ, გამარტივებული წარმოება საქართველოს სამოქალაქო პროცესში. თბილისი, 2009.**

ისთვისაც გახდეს საინტერესო და გამოსაყენებელი“.

ჭანტურია ლ, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, თბილისი, 2011.

ჭანტურია ლ, შესავალი საქართველოს სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში, თბილისი, 1997.

ძლიერი შვილი ზ, ქონების საკუთრებაში გადაცემის ხელშეკრულებათა სამართლებრივი ბუნება, თბილისი, 2010.

ძლიერი შვილი ზ, სამოქალაქო საპროცესო სამართლის ცალკეული საკითხები, თბილისი, 2007.

ძლიერი შვილი ზ, ვალდებულების შესრულება, თბილისი, 2006.

ძლიერი შვილი ზ, ვალდებულების შესრულება მესამე პირის მიერ, თბილისი, 2005.

ძლიერი შვილი ზ, ფულადი ვალდებულების შესრულების თავისებურებანი, თბილისი, 2005.

პეტერი ს, სამოქალაქო კაზუსების დამუშავების მეთოდიკა, თბილისი, 2009.

კობახიძე ა, სამოქალაქო საპროცესო სამართალი, თბილისი, 2003.

ჩიქვა შვილი გ, საოჯახო და მემკვიდრეობის სამართალი, თბილისი, 1999.

ცერცვაძე გ. მედიაცია დავის გადაწყვეტის ალტერნატული ფორმა (ზოგადი მიმოხილვა) თბილისი, 2010.

ცხობილაძე ი, და სხვები, საკუთრების უფლება საქართველოში, რედაქტორი ხიდეგშვილი თ, ჩხეიძე გ, თბილისი, 2007.

Алехина С. А, Давтян А. Г, Мирзоян М. Е, Кулакова В. Ю, Гражданский Процесс Зарубежных Стран, Москва, 2008.

Авдеенко Н. И, Евсеев П. Н, Кабакова М. А, Каллистратова Р. Ф, Лесницкая Л. Ф, Муравьева А. С, Царев М. И, Чечина Н. А, Чечот Д. М, Гражданский Процесс, Москва, 1968.

Бояринцев В, Соотношение публичности и диспозитивности в судебном праве, диссертация на соискание ученой степени кандидата юридических наук, Москва, 1987.

*Боннер А. Г, Соотношение инициатива и активности сторон и суда в Советского Гражданском Судопроизводстве, советское государство и право, №8, 1983.*

*Биркин М, Роль суда в обнаружения и собирания писменных доказательств по гражданским делам, Москва, 1977.*

*Воложсанин В. П, Земченко Н. А, Сов. Гражданский Процесс, Москва, 1988.*

*Вышинский А. Я, Теория Судебных Доказательств в Сов. Праве, Москва, 1950.*

*Васьковский Е. В, Курс Гражданского Просесса, Т. I. Москва, 1913.*

*Гражданское Право, под. ред. Суханова Е. А, Т.1, 3-е изд. Москва, 2010.*

*Давтян. А. Г, Гражданское Процессуальное Право Германии, Москва, 2000.*

*Давтян А. Г, Експертиза в гражданском Процессе. Москва, 1995.*

*Елисеев Н. Г, Гражданское процессуальное право зарубежных стран, М, 2004*

*Елисейкин М, Право суда выйти за пределами требования, Москва, 1965.*

*Жилин Г. А, Бриков В. В, Ганичева Е. С, и другие. Комментарий к Гражданскому Процессуальному Кодексу РФ, Москва, 2008.*

*Зенин И. А, Гражданское и торговое право зарубежных стран, Москва, 2009*

*Комментарий к гражданскому процессуальному кодексу РФ под. ред. М. С. Шакарян. Москва, 2003.*

*Курылев С. В, Основы теории доказывания в сов. правосудии, Минск, 1969.*

*Курс Гражданского Процесса, Под ред, Треушников, Москва, 2003.*

*Лилуашвили Т. А, Предмет и бремя доказывания в Гражданском Процессе, Тб, 1957.*

*Мальцев Е, О праве суда (судья) на возбуждение Гражданских дел, Сборник учебных трудов Свердловского юридического института, Свердловск, 1975.*

*Малышев К, Судопроизводство, Москва, 1876.*

*Матиевский М, Осуществление диспозитивных правомочий в Советском Гражданском Процессе, Свердловск, 1980.*

*Нешатаева Т. Н., Международное Частное Право и Международный Гражданий Процесс, Москва, 2004.*

*Пучинский В. К., Гражданский Процесс США, Москва, 1979.*

*Пиаталетов И., Право суда выйти за пределы исковых требований, Москва, 1978.*

*Решетникова И. В., Доказательственное право Англии и США, Екатеринбург, 1997.*

*Строгович М. С., Материальная истина и судебные доказательства в сов. уголовном Процессе, Москва, 1956.*

*Справочник по доказыванию в гражданском судопроизводстве, под. редакцией Решетниковой И. В., 4-е издание, переработанное, Москва, 2008.*

*Треушников М. К., Доказательства и Доказывание Сов. Гражданском Процессе, Москва, 1982.*

*Францифоров А. Ю, Францифоров Ю. В, Принципы гражданского процессуального Права, жур. Арбитражный и гражданский процесс, №4, 2003.*

*Шакарян М, Субъекты Советского Гражданского процессуального права, Москва, 1970.*

*Шейфер С. А, Доказательства и доказывание по уголовным делам, Москва, 2009.*

*Щеглов В. Н, Принципы искового производства, Вопросы теории и практики Гражданского процесса, Саратов, 1976.*

*Юдельсон К. С, Судебные доказательства и практика их использования в Гражданском Процессе, Москва, 1956.*

*Юдельсон К. С, Проблема Доказывания в Сов. Гражданском Процессе, Москва, 1951.*

*Arens Peter, Luke Wolfgang, Zivilprozessrecht, Erkentnisverfahren, Zwangsvollstreckung, München, 1992.*

*Andrea Bockey, Das selbstständige Beweisverfahren im Arzthaftungsrecht, NJW, 2003.*

*Egbert Peters, Beweislastpraxis im Privatrecht, NJW, 1997.*

*Frohlich, D, Beweisvereitelung im Zivilprozess. Inaugural-Dissertation zur Erlangung der Wurde eines Doc. iuris der Julius-Maximilians-Universitat, Wurzburg, 2008.*

*Gschmitzer F, Allgemeiner Teil des bürgerlichen Rechts, 2. neubearbeitete aufl. Springer-Verl. Wien/New-York, 1992.*

*Grunsky, W.* Zivilprozessrecht, 11 aufl, München, 2003, C.H. Beck.

*Gotschev/Staub*, Der Ausschluss von Minderheitsaktionären nach Art. 33 Börsengesetz und durch aqueze out merger gemäss Fusionsgesetz, GesKR 2006.

*Heinz Thomas, Klaus Reichold, Hans Putzo, Rainer Husstegeb*, Zivilprozessordnung, 24, neubearbeitete Auf, München, 2002.

*Helmut F*, Richter und Sachverständiger aus Sicht der Sozialgerichtsbarkeit, ZZP Bd. 83, 1970.

*Hans-Joachim Musielak*. Grundkurs ZPO, 2 aufl, 1993.

*Haft, Fritjof*, Verhandlung und Mediation, in: Haft, Fritjof./von Schlieffen, Katherina, (Hrsg.) Handbuch Mediation, 2 aufl, München, 2009.

*Rosenbeg L, Schwab K, Gottwald P*, Zivilprozessrecht, München, 2009.

*Luke, W*, Zivilprozessrecht München, 8 aufl, 2003.

*Lutz Michalski*, "Beweisvereitelung" durch beweisbelastete Partei und Nachholbarkeit in der Berufungsinstanz, NJW, 1991.

*Othmar Jauernig*, Zivilprozessrecht, München, 1993.

*Gottwald P*, Beweislast und Beweisführung im Wettbewerbsprozeß, Rechtsvergleichende Untersuchung zum deutschen, amerikanischen und schwedischen Recht, GRUR Int. 1982.

*Stone F. F*, Institutions Fundamentales du droit des Etats-Unis, 1965.

*Schopenhauer A*, Vorlesungen über die gesamte Philosophie, Erster Teil, Cap. 3, (Werke, hrsg. v. P. Deussen, Bd. 9) 1913.

*Seelmann K*, Rechtsphilosophie, 2 Aufl. München, 2001.

*Rosenberg, L*, Die Beweislast, 5 aufl, München, Berlin, 1965.

A Student's guide to the Federal Rules of Civil Procedure, St. Paul, Minn, 1997.

*Best A*, Evidence, Examples and Explanations, Boston, New York, Toronto, London, 1994.

*Coss R, Tapper C*, Cross on Evidence, London, Dublin, Edinburg, 1990.

*Cross R, Wilkins N*, Outline of the Law of Evidence, London, 1987.

*Cherednychenko Olha*, Fundamental Rights, Contract Law and the Protection of the Weaker Party. A Comparative Analysis of the Constitutionalisation of the Contract Law, with Emphasis on Risky Financial Transactions. Vol. 5, European Law Publishers, 2007.

Federal Rules of Civil Procedure, 1997-98, Educational Edition, St. Paul, Minn, 1997.

*Gardley J*, Foundation of Private Law. Property, Tort, Contract, Unjust Enrichment. Oxford, 2006.

*Hart H. L. A*, The Concept of Law, New York, 1994.

*Jolowicz J. A*, The Woolf Report and the Adversary System, CIQ, Vol, 15, 1996.

*Joseph W. Glannon*, A Student's guide to Understanding Civil Procedure, Boston, Toronto, 1987.

*Kaye P*, Civil Jurisdiction and Enforcement of Foreign Judgments, Oxford, 1987.

*Leo Levin A, Shuchman P, Yablon C*, Cases and Materials on Civil Procedure, 1997 Supplement, successor edition, Westbury, New York, 1997.

*Leo Levin A, Shuchman P, Yablon C*, Cases and Materials on Civil Procedure, Westbury, New York, 1992.

*Lempert P. O, Saltzburg S. A*, A Modern Approach to Evidence, Text, Problems, Transcripts and Cases, 6th Edition, Minn, 1982.

*Murphy P. A*, Practical Approach to Evidence, 3rd Edition, London, 1988, 1.

*Mary Kay Kane*, Civil Procedure In a Nutshell, 3rd Adition, St. Paul, Minn, 1991.

*Muller C, Kirkpatrick L. C*, Evidence, Boston, New York, Toronto, London, 1995.

*Polakiewicz J*, The Implementation of the ECHR and the Decision of the Strasbourg Court in Western Europe: An Evaluation, The Domestic Implementation of the European Convention of Human Rights in Eastern and Western Europe, 1992.

*Steven Baicker-McKee, William M. Janssen, Jon B. Corr*, A Student's guide to the Federal Rules of Civil Procedure, St. Paul, Minn, 1997.

*Teeven M. K*, A History of The Anglo-American Common Law of Contract, New-York, London, (Series Editor – Murphy P, L, Number 59), First published in USA in 1990.

The Case Law of Central and Eastern Europe. Enforcement of Contracts, Vol. 1, Ed. by *Mussman S, Tajti T*, Germany, 2009.

*Zimmerman R*, Roman Law, Contemporary Law, European Law, The Civilian Tradition Today, New York, 2001.

*Zweigert S, Kötz H*, An Introduction to Comparative Law, Third Edition. Translated from the German by Tony Weir, Clarendon Press – Oxford, 1998.

*Code de Procédure Civile*. Centrime Edition. avec le concours de Isabelle Despres. Laurent Darget. Redacteur aux Editions Dalloz. 2009.

*Gunichard, S*, Procédure Civile, 27 edition, Paris, Dalloz, 2003.

*Phylique Georges*, La juridiction administrative, Paris, 1998.

*Vincent J, Gulnichard S*, Procédure Civile, 27 Edition, Paris, Dalloz, 2003.